

DANTE ALIGHIERI
LA DIVINA
COMMEDIA

libro primo

INFERNO

Tradotta

da

Constantino Gamsacurdia

Constantino Cicinadze
commentata

da

Constantino Gamsacurdia

Tphlisi Georgia Edizione
di Stato

MCMXXIII

დანტე ალიგჰიერი

კომედიის
პირველი

წიგნი პირველი

ჯოჯოსეთი

ქონსტანტინე გამსახურდიას
და ქონსტანტინე ჭიჭინაძის:
მიერ თარგმნილი
ქონსტანტინე გამსახურდიას
მიერ შედგენილი დანტეს ბიო
გრაფიითა და კომენტარიებით

13982/53

K 269.622
3



საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბაგბოშის ნახატი

დანტი ალიგჰიერი

I. შესავალი

საოცარია, ექვსი საუკუნის მანძილზე საქართველოში არავის მიუქცევია ყურადღება დანტე ალიგჰიერის პიროვნებისა და შემოქმედებისათვის, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ჩემს პატარა შენიშვნას „ალიგჰიერი დანტე“, პირველად 1922 წ. გამოქვეყნებულს.

მერმე რა ახლოსაა დანტე, როგორც დროული მანძილის, ისე თავისი პოეტური ტემპერამენტით რუსთაველთან და ქართველი ხალხის გენიასთან! უნდა აღინიშნოს: გაცილებით უფრო ახლოს, ვიდრე პომერი და ვირგილიუსი, შექსპირი და გოეტე. დანტეც, რუსთაველის დარად, ისევე განმარტოებული სდგას ბნელი საუკუნოების მიჯნაზე; როგორც მთა ყაზიბეგი შებინდებისას.

ახლოსაა ჩვენთან ეს დიდი ფლორენციელი თავისი ტემპერამენტით, მაგრამ შორსაა იგი დროული დისტანციის მიხედვით.

ამიტომაც წინასწარ მომიტევოს ჩემმა მკითხველმა, თუ დანტეს ეპოქის დახასიათებამ და ანალიზმა შორეული მანძილების შოვლა და მიმოხილვა მოითხოვა.

არც შექსპირს და არც გოეტეს, არც რუსთაველსა და არც ბაირონს ისეთი მკვდრო კავშირი არა ჰქონიათ თავიანთი დროი ვითარ ებასთან, როგორც დანტეს. შესაძლოა დანტესთვის ეს ერთგვარი აქილევსის ტერფიც იყოს, რომ იგი ძლიერ გადაკვანძულია მე-XIII — მე-XIV საუკუნის იტალიასთან, ე. ი. დანტე უფრო მეტად დატვირთულია ისტორიზმით, ვიდრე სხვა რომელიმე მისივე რანგის გენია. ამიტომაც არც ეგზომ პარადოქსად უნდა მოგვეჩვენოს ასეთი თქმა: იტალიის კვატროჩენტოს ისტორია რომ არავის დაეწერა, მართო „ღვთაებრივი კომედიაც“ იკმარებდაო.

არსებითად პოეზია უფრო ღრმა ანალიზსა და უფრო განიერ ისტორიულ ჩარჩოებს იძლევა, ვიდრე რომელიმე ფაქტოლოგიური განრიგებით დაწერილი ისტორია.

და დანტეს კომედიაში წარმოდგენილია არა მართო მე-XIII და მე-XIV საუკუნის იტალია, არამედ მთელი წარმართული ანტიკის, ქრისტიანული რომის და საშუალო საუკუნოების ფილოსოფია, ესქატოლოგია და კოსმოსოფია.

არც ერთ ევროპულ დიდ მწერალს, ვიდრე შექსპირამდის, ასეთი გრანდიოზული კულტურ-ისტორიული პანორამები არ გადაუშლია. არც ერთ პოეტს ჰომერსა და შექსპირს შორის და, ვგონებ, არც შექსპირიდან — გოეტემდის ასეთი დიდი ფიზიონერული ხილვის უნარი არ გამოუმჯობავებია მსოფლიო ლიტერატურაში.

დანტეს ლეტაებრივი კომედია სხივთა არილის შემკრები ფოკუსია, სადაც პირისპირ ხედებიან ურთიერთს ძველი ანტიკის ფილოსოფიის, ჰელადისა და წარმართული რომის მსოფლიოშეცნობის, ქრისტიანული ესქატოლოგიისა, არაბთა კულტურის ფლუიდები, ადრე რენესანსისა და ჰუმანიზმის დიადი იდეები. ხოლო თავად ეს დიდი ფლორენციელი სდგას ევროპული კულტურის იხეთ გზისსაქცევზე, როცა ბნელი საუკუნოების წყველია დიდან გამოშავალი კაცობრიობა შეფურინვით ეგებებოდა სულიერი განახლების, აღორძინების გარიჟრაჟს — იტალიურ რენესანსს.

თითქმის რუსთაველის თანამედროვეა დანტე, მაგრამ დანტე უფრო ისტორიულია, ვიდრე რუსთაველი. უკეთ ვიტყვოდი: დანტე რუსთაველზე უფრო კონკრეტულია, უფრო ნაციონალური და სწორედ თავისი ნაციონალური ფერწერით, ნაციონალურ იტალიურ-ტემპერამენტით იგი უფრო მეტად დაკავშირებულია თავის თანადროულ იტალიის ისტორიასა, მის კულტურის ყოველნაირ ემანაციასთან, მის გეოგრაფიასთან, მის კოსმოგონიასა და რელიგიასთან. თითქმის ყოველი მისი სტროფი კომენტარს მოითხოვს, განსაკუთრებით ქართულ სინამდვილეში.

რუსთაველი გაცილებით უფრო განყენებულია, არა თავისი ფორმით, არამედ თავისი იდეური შინაარსითაც.

სწორედ ამიტომაც, ვგონებ, გასაგები იქნება, თუ ჩვენ იძულებული გავხდებით თუნდაც მიმინოს თვალი მიმოვაგლოთ დანტეს წინანდელ და მის თანადროულ იტალიის ისტორიულ ყოფას.

II. ისტორიული მემკვიდრეობა

რამდენადაც განსხვავებულია დანტე რუსთაველისაგან, იმდენივე მზგავსებაა საქართველოს და იტალიის ისტორიას შორის. უშუშვენიერესი მხარე მთელს დასავლეთში, იგი ყველაზე უბედური ქვეყანა იყო მთელს ევროპულ ხმელზე. გადასულმა რომის იმპერიამ დიდ სულიერ კულტურასთან ერთად დიდი წყევლაც უანდერდა იტალიის ერს. რომში დასაბამიდანვე ევროპული ქრისტიანობის რელიგიური ცენტრი იყო და სწორედ ამ ქრისტიანობის ალამდროობამ გააჩანაგა

იტალია — ოდითგანვე შეზობელ ერების საჯიროთო პლაცდარმად ქცეული. სარაცუნები და ესპანელები, გერმანელები და ფრანგები ერთი მეორეს ეჯიბრებოდნენ ხან იტალიის ტერიტორიისა, ხანაც რომის იმპერატორის გვირგვინის, ხანაც პაპის ტახტის დაუფლებისათვის.

დანტეს ეპოქაში სამი ძლიერი სახელმწიფო ურევდა ხელს იტალიის სახელმწიფო საქმეებში: ჰოჰენშტაუფენების დინასტიის გერმანია, ანჟუს საფრანგეთი, ხოლო ესპანეთი არაგონების სეფეწულების სახით.

გერმანელების იმპერატორების რომში დაგვირგვინების ტრადიცია კარლოს დიდმა დაამყარა, როცა მან 800 წელს ქრ. შ. ძველი რომის ნანგრევებს თვალი მიმოავლო და წ. პეტრეს ეკლესიაში რომის იმპერატორად აკურთხებინა თავი რომის პაპს. შესაძლოა, თავის დროზე დიდი ილლახუბიები გაუღვდა ქალაქ რომს ახალი ცეზარული სახელმწიფოს აღდგენამ, მაგრამ მომდევნო საუკუნეების ისტორია იმის მოწმეა, რომ ამ ილლახუბიას სისხლის წვიმების მეტი არაფერი მოუტანია არც იტალიის ნაციონალურ და არც გერმანიის იმპერიისათვის.

ჯერ კიდევ გრეგორ მე-VII—რომის პაპი—გრძნობდა, რომ გერმანელ იმპერატორების რომში დაგვირგვინება იტალიის დამოუკიდებლობის აღკვეთას შიასწავებდა. თავისთავად ცხადია, პაპიზმი არ იყო ნაციონალურ-იტალიური ინსტიტუტი, მაგრამ ისტორიაში ხშირად ხდება, რომ ანაციონალური ძალა ხშირად ნაციონალურ ნიღაბით იბრძვის თავის მიზნების მისაღწევად. პაპზე მეტად მწვავედ ოგრძნეს ეს იტალიის ქალაქებმა და თავად იტალიის ხალხმა. და აჰა, პიზა, ლუკა, ასტი და მილანო გაერთიანდნენ და თავისუფალ კომუნებისათვის იბრძვიან.

სხვადასხვა დროის განმავლობაში ხსენებულ კომუნებს იტალიის სხვა ქალაქებიც მიემხრნენ. ასე რომ მე-XI და მე-XII საუკუნოების მანძილზე ამ ქალაქებში არა ერთხელ დანთებულა ნამდვილი პოლიტიკური რევოლუციის კოცონი. ამ ნიადაგზე წარმოიშვა არა ერთი ქალაქური რესპუბლიკა იტალიის მიწაზე; რა თქმა უნდა, ამ რესპუბლიკებს სულ სხვა სოციალური ნაშენობა ჰქონდა მირწყული, ვიდრე თანადროული გაგების რესპუბლიკას.

გამოხდა ჟამი, და ამ რესპუბლიკანურად განწყობილმა ქალაქებმა ისევ იმპერატორების დროშების წინაშე მოიდრიკეს თავი. ანაციონალური პაპიზმი განაგრძობდა ბრძოლას უალრესად ანაციონალური იმპერატორების ანტიქსიის წინააღმდეგ, რადგანაც, როგორც

ვიცი, რომის პაპი „ქრისტეს მოადგილედ“ სთვლიდა თავს, და გამაგებელი ეპოტინებოდა არა მარტო სასულიერო, არამედ საერო ხელისუფლებასაც. ისიც ცნობილია, რომ პაპების ბრძოლამ საერო ხელისუფლებათა წინააღმდეგ ევროპაში ახალ საუკუნემდის მოაღწია; ასე რომ, თავად ნაპოლეონ ბონაპარტეს შეება რომის ერთერთი პაპი. ხოლო დანტეს დროს რომის პაპისა და რომის იმპერატორის გვირგვინის მოტრფიალე მეფეებს შორის ატეხილმა ბრძოლამ ორი სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული პარტია წარმოშვა იტალიის მიწაზე: გველფებისა და გიბელინებისა (მათი სახელწოდება წარმომდგარია გერმანული ხიტყვებიდან: Wolf და Wibling. პირველი მათგანი იყო იმპერატორის მომხრე, ხოლო უკანასკნელი — პაპისა. თავად დანტე, როგორც მთელი მაშინდელი იტალია, გახვეული იყო ამ პარტიულ პოლიტიკურ ბრძოლაში.

მთელი იტალიის არისტოკრატია, ზოგჯერ ქალაქები, საამქროები, სამღვდლოება და თვით ინტელექტუალური სამყაროს წარმომადგენელი ორ მოპირდაპირე ბანაკად დანაწილდნენ.

რომის იმპერატორის გვირგვინის მძიებელი გერმანელი მეფეები მოისწრაფოდნენ რომისაკენ, მრავალათასი გერმანელი ლანდსკნებტისაგან¹ შემდგარ ლაშქრებს წინ მიუძღოდნენ, და ცეცხლითა და მახვილით იმორჩილებდნენ იტალიის მოსახლეობას. რომის პაპი მეტწილად წინააღმდეგობას უწევდა იმპერატორს, ხანაც იძულებული ხდებოდა დაეთმო და რომის იმპერატორის გვირგვინი თავზე დაედგა ახლად მოვლინებულ უცხო მბრძანებელისათვის.

1155 წელს გერმანელმა ფრიდრიჰ ბარბაროსსამ დასძრა თავისი ლანდსკნებტები რომისაკენ, აიღო რომი და პაპი აღრიან მე-IV აიძულა რომის იმპერატორის გვირგვინი დაედგა მისთვის. პაპის მიერ ქედის მოღრეკის შემდეგ, ფრიდრიჰ ბარბაროსსა ახლა იტალიის თავისუფალ ქალაქებს მიადგა. გარეკა ქალაქების მიერ არჩეული ელჩები და მათ ნაცვლად თავის მიერ დანიშნული ვიკარები. დააყენა აღრიან შეოთხეს სამი მოქიშპე პაპი გაუჩინა, რკინის სალტეებით შეკოჭა იტალიის ქალაქები და წოდებანი. მაგრამ ლომბარდიის ქალაქების ლიგა შეებრძოლა იმპერატორს 1176 წელს ლეგანოსთან. დამარცხებულმა ბარბაროსსამ მორჩილება გამოუცხადა ახალ პაპს ალექსანდრე მე-III-ს.

ფრიდრიჰ ბარბაროსსას შემდეგ ფრიდრიჰ მე-II ჰოჰენშტაუფენუნდა ვახსენოთ, რადგან იგი ფრიად თვალსაჩინო პიროვნება იყო

1. ჯარისკაცი, ყმა.

იტალიაში მე-XII საუკუნის მანძილზე. ეს მეფე მრავალგზის ნახსენებია დანტეს კომედიაში და პიროვნულად იგი ფრიად ტიპური წარმომადგენელია არა მარტო საშუალო საუკუნის ტირანული მონარქიისა, არამედ თავადაც დიდ ყურადღებას იქცევდა მეცნიერებათა და ხელოვნებათა ცოდნით. იგი თავისი დიდი განსწავლით და რელიგიური სექტიციზმით ძლიერ მოგვაგონებს დავით აღმაშენებელს, რომელიც კარგად იცნობდა ასტროლოგიას (ივ. ჯავახიშვილი. „ქართველი ერის ისტორია“¹).

ფრიდრიჰ მე-II-მ დედულეთიდან სამკვიდროდ მიიღო ორივე სიცილიის² მეფის გვირგვინი. მუდამ გარს ეხვიენენ პოეტები, ასტროლოგები, ჯაღოსანნი, მისანნი; თავადაც მოშიარეობას ეწეოდა, შავ მაგიას მისდევდა, ბალადებს სწერდა, მიმინოებს გეშავდა, რაინდულ წესებს სასტიკად იცავდა და დიდ პოლიტიკასაც აწარმოებდა (საერთოდ ჰოჰენშტაუფენები ბევრ რამეში მოგვაგონებენ ბაგრატიონებს).

ფრიდრიჰ მე-II-მ ჩინებულად იცოდა ლათინური, გერმანული, ძვ.-ბერძნული, არაბული და ანტიური ფილოსოფია. პირად ცხოვრებაში ფრიად ექნალტიური ტიპი იყო და უაღრესი ტირანი. მან უმცირესი ექვის გამო თვალები დასთხარა თავის პირად მდივანს პიერ დევიანის. მამისაგან მას ნაანდერძევი ჰქონდა დიდი იმპერიალისტური მსოფლიო პოლიტიკა და ამ პოლიტიკის სარბიელი იწყებოდა გერმანიის ჩრდილოში და თავდებოდა იმ ჩექმის ქვინტთან, რომელსაც ასე ძლიერ წააგავს იტალიის გეოგრაფიული სილუეტი.

ასეთი იყო მისი პოლიტიკის რადიუსი, ევროპული მასშტაბით განზომილი. მაგრამ ფრიდრიჰ მეორე ევროპის გარეშეც ფიციბდა სარბიელს.

1. ნიკოლოზ გულაბერიძეს თავის თხზულებაში „საკითხავი სუეტისა ცხოველისა“ მოთხრობილი აქვს: „დიდი იგი მეფეთა შორის დავით სიტყუასა ყოველსა ზედა უფროს ყოველთა კაცთასა მსახუბელი ღმრთისა და მზურგალედ ტრფიალი ღმრთის მსახურებისა გარნა უკვე ამის სუეტისა ცხოველისა მიმართ მხოლოდ განდრეკილობდა ღეცა გონებით და ესრეთ ორგულობით მეტყველებდა ვითარმედ: „ჰოე რაჲ უწყი, თუ რა არს კონცხსა მას შინა ან რაჲსა თავყვანს ვცემო?“ (ამოღებულია პროფ. ივ. ჯავახიშვილის დაუბეჭდავი შრომიდან).

2. ხმელთა შუაზღვის კუნძულები, მრავალი საუკუნის მანძილზე ბიზანტიელების, ლანგობარდების და სარაცენების საბრძოლო არენა იყო. 1042 წ. ნორმანებმა აიღეს, 1189 ჰოჰენშტაუფენების დინასტიამ მიითვისა. ხოლო მათ შემდეგ ანჟუი.

1213 წლის აღდგომის დღეს პაპმა ცირკულარული წერილი დაუგზავნა მთელი საქრისტიანოს მეფეებსა და მთავრებს; იერუსალიმის აღება და „ქრისტეს სამარხის განთავისუფლება მოითხოვა“.

და ამ ქრისტიანული ღვთისმოსაობის ნიღბით შებურვილი ევროპული იმპერიალიზმის დიდი გეგმების თავკაცობა ფრიდრიჰ მე-II-ს დააკისრა ისტორიამ.

ჯვაროსნულ ომების ინიციატივის აღებამ ფრიად გააგროზა რომის პაპი. პაპის ავტორიტეტი და როგორც ზნეობრივის ობიექტი პოლიტიკური ზედგავლენა სწვდებოდა ფინიკიელების ნაპირებიდან ირლანდიამდის, სიცილიიდან ნორვეგიამდის და თავად მივიწყებული ისლანდიისა და გრონლანდიის კუნძულებზედაც მრავალი იყო პაპის აგენტი.

დღეს ძნიად წარმოსადგენია ის უშველებელი პოლიტიკური მახინა, რომელსაც წარმოადგენდა იმ დროინდელი პაპის კურია. მეფეები, ჰერცოგები, მთავრები და ეპისკოპოსები წნორის ფოთოლივით ცახცახებდნენ „ქრისტეს მოადგილის“ წყევლის წინაშე. პაპსა და კათოლიკურ სამღვდელეობას შეკოჭილი ჰყავდა მთელი მაშინდელი ევროპის სულიერი ცხოვრების ორგანოები: უმაღლესი სასწავლებლები, ლიტერატურა და ფილოსოფია.

არა მარტო არისტოკრატია და იტალიაში ახლად აღორძინებული ბურჟუაზია და წოდებანი, არამედ უაღრესი ხალხის მასები კლერიკალური იდეების ბანგით იყვნენ გაბრუებული. და სწორედ ამ დაბალი ხალხის მასების გაღვანიზირებისათვის რომის პაპს მოწყობილი ჰქონდა უაღრესად ელასტიური ჯაშუშების ორგანიზაცია აურაცხელი „მათხოვარ ბერების ორდენების“ სახით. ეს ორდენები სულის სიღრმეში უძვრებოდნენ ხალხს და ამავე დროს თავად ზემოწვევით ატარებდნენ პაპის პოლიტიკას.

სწორედ ასეთ დროს იმპერატორის გვირგვინი მიიღო ფრიდრიჰ მე-II-მ პაპის ხელიდან და სამაგიეროდ სიტყვა დასდო ჯვაროსნულ ომებს გასძლოლოდა.

ფრიდრიჰ მე-II სიცილიაში აღიზარდა და არაბულმა კულტურამ დიდი ზედგავლენა მოახდინა მის პიროვნებაზე. პაპის კურიათ თავიდანვე იზრუნა, რომ ფრიდრიჰ მე-II თავის ზედგავლენის ჩრდილს ქვეშ დაეყენებინა, ამიტომაც ბავშობაში კარდინალი საკლელი მიუჩინა მეურვედ.

1220 წელს რომის პაპმა პრაქტიკული გამოცდა იმპერატორს. იმპერატორს არ უნდა აეკრიფა ხარკი პაპის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა და გლეხთაგან. გარდა პოლიტიკური

ქიშპობისა, სხვა რამეც არ მოსწონდა პაპის კურიას ფრიდრიჰ მე II-ის მართველობასა და ცხოვრებაში.

ეს იმპერატორი რაღაც ახირებულ ევროპულ-არაბულ ნარევე ტიპად ეჩვენებოდა პაპის კურიას.

ფრიდრიჰმა არნახული ფუფუნებით მორთული დარბაზები და ფანჯატურები გაიმართა პალერმოში. მას გარს ეხვიენ არა მარტო გერმანელი და იტალიელი მეცნიერები, პოეტები და არტისტები, არამედ არაბი მწიგნობრები, ასტროლოგები და ფილოსოფოსები; არისტოტელეს ათარგმინებდა ფრიდრიჰი არაბულიდან ლათინურად.

თავად ფრიდრიჰმა აღმოსავლეთიდან შეთვისებული მიმინოს გამართვის ხელოვნების შესახებ წიგნი დასწერა, და მტაცებელ ფრინველთა ანატომიური აღნაგობის შესწავლა დაიწყო. ცხადია, იმ ხანებში მარტოოდენ სიტყვა „ანატომიის“ გაგონებაც ბრაზს მოჰკვირდა პაპს. ყოველივე ამას ისიც ზედ დაერთო, რომ ფრიდრიჰმა ქალაქ ლუკერიაში მამადიანებისაგან შემდგარი მეციხოვნე ჯარი ჩააყენა. ეს ყოველივე არაფრით ჰგავდა „ქრისტეს ჯვარის მტვირთველ“ მონარქის საქციელს.

პაპს ძლიერ ეწადა „ჯვაროსნულ ომებში“ ჩაება იმპერატორი, და ამიტომაც აიძულა იგი იერუსალიმის მეფის იოჰან დე-ბრიენის 13 წლის ქალიშვილი იზაბელა იპოლანტა ცოლად შეერთო. პაპმა წამსვე „იერუსალიმის მეფედ“ აკურთხა იმპერატორი.

1227 წელს, 60.000 რაინდი და ყმა მოსჯარდა ბრინდიზთან და იმპერატორი იერუსალიმს უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ საშინელი ეპი დამოვარდა და მუსრი გაავლო გერმანელ რაინდებსა და ლანდსკნეტებს. ოტრანტომდის რომ მიღწიეს ჯვაროსნებმა, აქ დედოფალი იზაბელა უნდა დაბრუნებულიყო, თავად ფრიდრიჰი ავად გახდა (თუ თავი მოიავადმყოფა) და უკანვე გაბრუნდა.

ამასობაში ჰონორიუს მე-III მოკვდა და პაპის ტახტზე ავიდა 80 წლის ბერეკაცი გრეგორ მე-IX. პაპმა იქვე შეიტანა ფრიდრიჰის „ავადმყოფობაში“ და კიდევაც შეაჩვენა იგი.

გამომჟღავნდა პაპსა და იმპერატორს შორის არსებული ქიშპი, და გაიმართა ომი გველფებსა და გიბელინებს შორის.

შესაძლოა, ამ პატარა მონოგრაფიაში დიდხანს მომიხდეს შეჩერება ფრიდრიჰ-მე-II-ის პიროვნებასთან, მაგრამ ეს იმიტომაც უნდა მოხდეს, რომ ფრიდრიჰი ფრიად ტიპიური განსახიერებება აღრეწეს სანსის სულიერი განწყობილებებისა. არაბული კულტურის ზედგავლენამ მასში ერთგვარი კოსმოპოლიტიზმი შთანერგა. რა თქმა უნდა, არც ფრიდრიჰის კოსმოპოლიტიზმი იყო

ჩვენი თანადროული გაგების კოსმოპოლიტიზმი. ფრიდრიხის აზრით „მისტიური კავშირი აერთიანებდა ერებსა და ხალხებს ქრისტეს მიერ ძმობაში“. თუ რომის პაპი უნივერსალური სასულიერო მონარქიის დამყარებისაკენ მიილტვოდა, ფრიდრიხი ნაპოლეონ ბონაპარტეს ცეზარო-პაპიზმისა და საერთოდ დიდევროპული იმპერიალიზმის წინამორბედი იყო. ფრიდრიხი ბერძნული იმპერიის აღორძინებას ლამობდა, ამ იმპერიაში ბუნებრივად უნდა შესულიყო იერუსალიმი და ეგვიპტე. ამ დიადი იმპერიის უკიდურესი მიჯნები უნდა გავრცელებულიყო ბალტიის ზღვიდან ვიდრე მონღოლეთის სტეპებამდის. ბრუნეტო ლატინი მას ასე ახასიათებს: „მისი გული სულ სხვა საგნებს მიეღობოდა — მას სწადია გახდეს მთელი სამყაროს მამფალი და ბატონი“.

ფრიდრიხმა დააჩქარა ევროპული აბსოლუტური მონარქიის იდეას ფორმაცია. ფეოდალები შეავიწროვა, სახელმწიფოს მართვა-გამგეობა მოხელეთა იერარქიას ჩააბარა.

ხომ ასე გაშვავებით ებრძოდა იგი როგორც ფეოდალების აღვირახსნილობას, ისე კათოლიკური რეაქციის ვეშაპს — პაპს, მაგრამ ამავე დროს არც იტალიის თავისუფალ ქალაქებსა და კომუნებს და ადგათ კარგი დღე. ამ ქრისტიანი იმპერატორის ტირანულ ნებისყოფის აღსრულება მინდობილი ჰქონდათ სარაცენებისა და იანიზარებისაგან შემდგარ გვარდიებს და ჯალათების რაზმეულებს. თავისთავად ცხადია, ეს ნახევრად მუსლიმანური, ნახევრად აზიური ტიპის ქრისტიანი იმპერატორი როგორც პაპს, ისე მთელს კლერიკალურ სამყაროს წარმოდგენილი ჰყავდათ როგორც ანტიქრისტი.

პაპის მომხრე მემატრიანენი მას ახასიათებდნენ როგორც „მწვალებელს, მუხანათს, სასტიკს, ავხორცს“.

პაპი-გრეგორ მე-IX ასე გვიხატავს ფრიდრიხ მე-II-ის: „მიხედეთ ამ ვეშაპს — ზღვათა წილიდან აღმოსულს, პირისაგან მისისა აღმოინერწყვის გმობაჲ უფლისა. აღნაგობაჲ მისი ემსგავსვის ბაბრსა მძვინვარესა, სიცოფეთა თვისითა ლომია იგი ქეშმარიტ, ხოლო ბრჭალებითა თვისითა ემსგავსის იგი ხელქმნილსა დათვისა“.

„იმპერატორი, — განაგრძობს გრეგორ მე-IX, — გვიქადის შემუსვრას წ. პეტრეს ტახტისას, ხოლო შჯული ქრისტიანული უნდა შესცვალოს წარმართთა ნათესავთა წესითა“.

1245 წელს პაპმა ვიქილი ალბერტ დე ბეგამ გვამცნობს:

„მსგავსად ახლად მოვლენილისა ლუციფერისა იგი მოწადინებულ არს ზეცად აღქრას ღმერთსა ჩვენსას და აღმართოს ტახტი

თვისი უმაღლესს მნათობთა ცისათა, რათა მოიხვეჭოს მძლეობაჲ უფროს მოადგილისა ყოვლად ძლიერისა უფლისა ჩვენისა“...

ასე ახასიათებდნენ ფრიდრიხს პაპის კარისკაცები, სამაგიეროდ ფრიდრიხის კარის პოეტები, მწერლები და მემატრიანენიც არ აქებდნენ რომის პაპს. მრავალი სარკასტული მადრიგალი დახვედრია პაპს ინოკენტი მე-IV-ეს თავის სამუშაო ოთახში. ამ მადრიგალებში ლანძღავდნენ ქრისტეს მოადგილეს, და მისი მბრძანებლობის აღსასრულს უწინასწარმეტყველებდნენ.

პაპი გრეგორ მე-IX-ც არ დამაშვრალა ფრიდრიხის ძაგებით:

„იგი ესოდენ ცრუმეტყველ შეიქმნა, რომ ყველას, ვინც ყოვლად შემძლესა უფალსა ჩვენსა უბიწო ქალწულის მიერ უხრწნელად შობილად აღვიარებს, შლეგსა უწოდებს“.

ასე ებრძოდა ფრიდრიხ მე-II რომის კურიას.

მაგრამ მისი კულტურ-ისტორიული მისისა მართო ამ ბრძოლით არ დამთავრებულა. ცნობილია: რომის ეკლესია პირველ საუკუნოებიდანვე ფიცხელ ბრძოლას აწარმოებდა ანტიური ფილოსოფიის, ხელოვნების და მეცნიერებათა წინააღმდეგ. ძველი საბერძნეთისა და რომის ავტორების ხელთაწერებს სწვავდნენ.

იდეებობდა პლატონი, არისტოტელეს, დემოკრიტი, მთელი ანტიური ფილოსოფია.

მუტერს, ხელოვნების ცნობილ ისტორიკოსს, ჩინებულად აწერილი აქვს, თუ როგორ დაფლეს ისე მიწაში კათოლიკე ბერებმა შემთხვევით აღმოჩენილი შიშველი აფროდიტეს ქანდაკება — როგორც ეშმაკულის ხატება¹. არაბების მიერ იტალიისა და ესპანიის დაპყრობამ უდიდესი ისტორიული როლი შეასრულა ადრე რენესანსის დაჩქარებაში.

არაბებმა შეითვისეს ანტიური ფილოსოფია, და ევროპული კულტურის უშუშვენიერესი ნაშიერი — ანტიური კულტურა არაბების მეშვეობით კვლავ დაუბრუნდა ევროპას. ამ მხრით არც მონგოლებს, არც სელჯუკებს, არც ჰუნგრელებს და არც ერთ სხვა არა ევროპულ ტომის თავდასხმას ასეთი დიდი ზედგავლენა არ მოუხდენია ევროპელ ხალხების კულტურათა ისტორიაში. ევროპული რენესანსის მსწავლულნი არაბული მთარგმნელებისა და კომენტატორების მეშვეობით გაეცნენ არისტოტელესს.

ფრიდრიხ მე-II-ის პალერმოელი სასახლის კარები ღია იყო სწორედ არაბ მეცნიერებისა და მწიგნობრებისათვის. ძნელია იმის

¹ შეად. Mutter. Kunstgeschichte.

წარმოდგენა: თუ რა მოხდებოდა, რომ ესა თუ ის ფაქტორი არ შემოქრილიყო ამა თუ იმ ისტორიულ პროცესის მიმდინარეობაში. მაგრამ მაინც დაბეჯითებით შეგვიძლია ვივარაუდოთ: რომის კურონის ისე მაგრად ჰქონდა დახშული მთელი ევროპის კარები არა ქრისტიანულ მსოფლშეცნობისა და კულტურისათვის, რომ არაბთა ზედგავლენის გარეშე ძვ. ბერძნული კულტურის განახლებული ნაკადი მე-XII — XIII საუკ. ევროპის ისტორიაში ვერ შემოიჭრებოდა, და ცხადია, ამიტომაც იტალიური რენესანსი ან დაიგვიანებდა, ან სავსებით არ მოხდებოდა¹.

ჯერ კიდევ მე-VIII საუკ. დაიბადა ბალღადში თავისუფალი მეცნიერული კვლევის იდეა. ეს ტენდენცია ბუნებრივად ყურანის დოგმატიურ შეუვალობას დაუპირდაპირდა. ეს მოძრაობა ომიადებმა ესპანეთში თან გადაიტანეს. ამ სწავლის კერა გახდა კორდოვის ფილოსოფოსთა სკოლა, ხოლო მე-XII საუკ. არაბი მწიგნობარი ავეროასი ჰქადაგებს ამ იდეას.

სრულიადაც შემთხვევითი ამბავიც არ გახლავთ ის გარემოება, რომ ევროპელ ქრისტიანი პოეტი დანტე „ჯოჯოხეთის“ ტალანში პლატონის, არისტოტელესის და სხვა წარჩინებულ მეცნიერთა დამსანთა გვერდით აყენებს არისტოტელესის კომენტატორსა და დიდ მწიგნობარს ავეროასს (იხ. „ჯოჯოხეთი“ ქება მე-II).

ავეროასი რომის ეკლესიამ ატიეზმის მამამთავრად გამოაცხადა. როგორც იბნ-ტოფაღალ, ისე მისი მოწაფე — ავეროასი რელიგიის საქმეებისადმი გულგრილობას ჰქადაგებდნენ. მათი სწავლის მიხედვით ყოველი ადამიანის სინიდისი თავისუფალი უნდა ყოფილიყო კეთილისა და ჭეშმარიტის შესაცნობად (ასეთი იდეები არც ისე იოლად მოსათმენი იყო საშუალო საუკუნეში).

და ეს „ანტექრისტი“ ავეროასი და ორივე მისი ვაჟი ფრიდრიჰ მე-II-ემ შერხიზნა პალერმოს სასახლეში. აქიდან მოედო იტალიას

1. გავერით ითქვას: რენესანსის ნიშნები საქართველოში იტალიაზე ადრე გახდა საცნაურ. რუსთველის პლატონიური იდეები, უკეთ რომ ვსთქვათ, არა ქრისტიანული განწყობილებანიც არაბული კულტურის ზედგავლენას უნდა მიეწეროს. შესაძლოა ეს იმიტომაც მოხდა, რომ არაბებმა ევროპის მხოლოდ განაპირა კიდურების დაპყრობა შესძლეს, ხოლო საქართველოს ცენტრში ნაწგრძლივად ბატონობდნენ. ამ მხრით ფრიალ საინტერესოა ვიტკოვსკის შრომა Einfluss des Orients და სხვ. თუმცა უნდა აღვნიშნო ვიტკოვსკიზე ადრე გერონტი ქიქოძემ აღნიშნა 1914 წ. რენესანსის ნიშნები ქართულ ფრესკებში (იხ. გ. ქიქოძე — ბეთანია). მე განზრახული მაქვს საეციალური მონოგრაფია, რომელშიაც დაწვრილებით შევეხები ადრეან რენესანსის ზედგავლენას ქართულ კულტურაზე საერთოდ.

არაბული სკეპტიციზმი, რელიგიისადმი გულგრილობა და რაციონალისტური სწავლა.

ამგვარად ქრისტიანული ეკლესიის მიერ განდევნილმა არისტოტელესმა კვლავ ფეხი შედგა ევროპის მიწაზე. მთელმა დასავლეთმა და პარიზის უნივერსიტეტმაც არაბი კომენტატორების შრომებისაგან შეიცვენეს როგორც არისტოტელესს, ისე ძვ. ბერძნული ფილოსოფია¹.

ქრისტიანული ეკლესია ჯერ შეებრძოლა არისტოტელესს ამ „წარმართ წინამორბედს ქრისტესას“, შემდეგ კი ნაწილობრივად მიიღო და თავის გემოზე გადაკეთება მოუწოდოდა (თომას აკვინელი, ალბერტ დიდი და სხვ). ავეროასი მატერიის გარდუვალობას ჰქადაგებდა. ყოველი სუბსტანცია ყოფნის ყოველგვარ ფორმაში მარადეა-მულა და გარდუვალი.

ფრიდრიჰს ეს ყოველივე ძლიერ აინტერესებდა. თავად თავმჯდომარეობდა თავის სასახლეში გამართულ ფილოსოფიურ აკადემიას. არც ერთი ევროპელი მბრძანებელი თავისი მსოფლიო ჰეგემონიის პოლიტიკური პრინციპებით და მრავალკიდოვანი განათლებით ისე არ გვაგონებს ნაპოლეონ ბონაპარტეს, როგორც ფრიდრიჰ მეორე. ფრიდრიჰის საუბრები აღმოსავლეთის სიბრძნისმეტყველებთან ძლიერ წააგავს ნაპოლეონის შეკამათებას ეგვიპტის ექსპედიციაში მონაწილე მეცნიერთან. ასეთივე სკეპტიკური, ეპიკურეული განწყობილებით განიჩქოვდნენ იმპერატორის პარტიის ლიდერები ფარინატა და გვილო კავალკანტი, რომელთაც დანტე იხსენიებს თავის „ჯოჯოხეთში“. როცა ფლორენციის მოქალაქენი მღუმარედ მოსიერნე გვილო კავალკანტის შეეყრებოდნენ, ასე ამბობდნენ: „იგი საბუთებს ეძებს იმის დასამტკიცებლად, რომ ღმერთი არ არსებობს“.

„ჯოჯოხეთში“ მგზავრობის დროს ვირგილიუსი და დანტე მოინახულებენ ფარინატას.

... და ჩემი თვალი ფარინატას თვალს შეეყარა,
 „იგი ამჟამად აღმართავდა შუბლსა და მკერდსა —
 „თითქოს წამება ზიზლსა ჰგვრიდა მას მარტოოდნ“.
 („ჯოჯოხეთი“ ქ. X, თარგმანი კ. ქიქინაძისა).

ჯოჯოხეთში მყოფი სკეპტიკოსი ფარინატა არ იმჩინებს ვითომდაც ცეცხლის გენის სიმწვავეს და არც კი მალავს იმ ზიზლს, რომელსაც იგი რელიგიის მიმართ განიცდიდა.

1. შეად. Uberweg. Geschichte d. Philosophie.

ალბად დანტემ „ჯოჯოხეთში“ განზრახ მოათავსა ერთად ფრიდ-რიკ მე-II-ე, უბალდინი და კავალკანტე კავალკანტი.

პაპი დაჟინებით მოითხოვდა იმპერატორს ჯერ კიდევ ქორწინების დამეს დადებული სიტყვა განეხორციელებინა: ჯვაროსნულ ომებს გასძლოლოდა. ვინ იცის, „ქრისტეს სამარხის“ განთავისუფლება უფრო მეტად აინტერესებდა მას, თუ იმპერატორის დალუპვა ნაზარეთის უდაბნოებში¹?

ბოლოს და ბოლოს შეჩვენებული იმპერატორი იძულებული გახდა იერუსალიმს გამგზავრებულიყო. მან აიღო კიდევაც იერუსალიმი, ბეთლემი და ნაზარეთი, მაგრამ ამის მიუხედავად ერთმა ინგლისელმა დომინიკანელმა ბერმა პაპის სახელით კვლავ შეაჩვენა იმპერატორი. 1229 წელს ფრიდრიხი ისევ მობრუნდა იტალიაში და ისევ განახლდა სამოქალაქო ომი გველფებსა და გიბელინებს შორის არა მარტო იტალიაში, არამედ გერმანიაშიაც.

ახლა პაპის კურია მწვალებელთა დევნის დროშა აღმართა. ინკვიზიცია, ცეცხლის კოცონზე ცოცხალი ადამიანების შეგდება ყოველდღიური ამბავი იყო. მთელი ევროპა კუდიანების პროცესების, ეშმაკების გამოდევნის და საშინელი რელიგიური დევნის ასპარეზად გარდაიქცა.

ამ მოვლენების დახასიათებას ჩვენ უფრო ქვემოთ შევუდგებით. 1241 წელს ევროპა მონღოლთა თავდასხმის საფრთხის წინაშე წარსდგა, მაგრამ მიუხედავად ამისა, პაპსა და იმპერატორს შორის ატეხილი ბრძოლა ოდნავაც არ შენელებულა.

ფრიდრიკ მეორემ ახლა ლომბარდიის ქალაქთა ლიგის წინააღმდეგ მიმართა უმთავრესი ძალა. ფრიდრიხის ლანდსკნებტებმა ზედიზედ აიღეს ვიცენცა, პადუა და ფერარა (1236 წ.).

1237 წელს იმპერატორმა ერთად შეჰყარა თავისი სარაცენელი, გერმანელი ჯარები და გიბელინურად განწყობილი იტალიელები და კორტენუოასთან სასტიკად დაამარცხა მტერი.

ამ ბრძოლაში გამომკლავნდა უმაგალითო ამბავი: უკვე რელიგიურ მომენტებს იმდენი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. მაჰმადიანი სარაცენები ისეთივე გულმოდგინებით იბრძოდნენ, როგორც კათოლიკები კათოლიკების წინააღმდეგ. 1240 წელს ფრიდრიხმა აიღო

1. მიმოხილვის ისტორიული ფაქტები შეთანხმებულია შემდეგ შრომებთან: The Historians History of the World. Italy. London. The Tims, 1907 Weber Weltgeschichte I B. Leipzig. 1918. P. A. Fiorentino. La Divine Comedie, Paris, 1874.

ანკონა, პაპის საუფლო მიწები და სპოლეტოს საჰერცოგო. ეს ყოველივე ცალკეული ეპიზოდებია იმ დიადი ბრძოლებისა, რომლის არენას წარმოადგენდა იტალიის ტერიტორია მრავალი საუკუნის მანძილზე.

ფრიდრიკ მე-II ბოლოს და ბოლოს იმსხვერპლა პაპის წინააღმდეგ ატეხილმა ბრძოლამ და მრავალჯის პაპის მიერ შეჩვენებული იმპერატორი, საკუთარ ვაჟს დაუხრჩვია თურმე. და საშუალო საუკუნოების საზოგადოებას სჯეროდა, რომ პაპის შეჩვენების მსხვერპლად გახდნენ ფრიდრიხის ვაჟები: ენცო, კონრადი და მანფრედი და შვაბების დინასტიის უკანასკნელი ნაშიერი კონრადინი.

1246 წელს ფრანგი შარლ ანჟუ ეწვია იტალიას და ეს მოხდა პაპის ლოცვა-კურთხევით. იგი მოიწვია პაპმა კლემენტ მე-IV-ემ.

1266 წელს შარლ ანჟუ ეკურთხა აპულიისა და სიცილიის მეფედ. მან სასტიკად დაამარცხა ფრიდრიხის ვაჟი მანფრედი კეპრანოსთან და ორი წლის შემდეგ აღარდ დე სენ ვალერიის თათბირის წყალობით ომი მოუგო კონრადინს. ეს ამბავიც მოხსენებული აქვს დანტეს თავის „ჯოჯოხეთში“.

ცნობილია: საშუალო საუკუნოების პოლიტიკურ ისტორიაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო რელიგიურ მომენტებს, არამედ დინასტიათა შორის დამყარებულ ნათესაობრივ ურთიერთობასაც.

ესპანელმა, არაგონის პრინცმა პიერმა იტალიელი პრინცესა კონსტანცა ცოლად. შეერთო. 6 თვის შემდეგ პიერ არაგონელი პალერმოში მეფედ აკურთხეს.


მაგრამ სულ მოკლე ხანში ამ ახალ მეფესაც მოუწია შეჩვენების ჯერმა.

ესპანური ზედგავლენის გაძლიერებით დაშინებულმა პაპმა შარლ დე ვალუა მოიწვია იტალიაში და ახლად მოსულ ვალუასთან გამართულ ბრძოლაში პიერ არაგონელი მოჰკლეს.

* *

პაპიზმი სავსებით უბაღლო მოვლენაა არა მარტო ევროპის, არამედ მთელი მსოფლიოს ისტორიაში. ერთის შეხედვით ეს იყო სავსებით სასულიერო ინსტიტუცია და იმავე დროს იგი ასრულებდა უდიდეს პოლიტიკურ მისიას არა მარტო იტალიაში, არამედ მთელი ევროპისა და დასასრულ მთელი მსოფლიოს პოლიტიკაში. რომელი პაპები უკანასკნელი საუკუნის ევროპელ პრეზიდენტების

Handwritten note: K 269. 622 3



დარად უმემკვიდროდ გადადიოდნენ. მათ კარდინალები ირჩევდნენ. არც კარდინალები და არც პაპები მარტოოდენ იტალიელები არ ყოფილან. პირველი პაპიდან დაწყებული დღემდის რომის პაპად ირჩევდნენ და ირჩევენ არა მარტო ტომით იტალიელებს, არამედ გერმანელებს და ფრანგებსაც და ესპანელებსაც.

საშუალო საუკუნეში იტალიური ნაციონალური ტენდენციის მიმდევარნი იყვნენ: გრეგორ მე-VII, ალექსანდრე მე-III და ინოცენც მე-III, რომელიც ყველაზე მეტის გამმაგებით იბრძოდა პაპის უნივერსალური მონარქიის განხორციელებისათვის. როგორც კარდინალები, ისე პაპები მეტ წილად დიდგვაროვან არისტოკრატიულ წრეებიდან იყვნენ გამოსული.

მაგალითად: ინოცენც მე-IV საერო ცხოვრებაში გენუის უფუარჩინებულეს არისტოკრატიულ გვარს ატარებდა, დანტეს თანამედროვე პაპი ჰადრიან მე-V (საერო ცხოვრებაში ოტტობონო დე ფიესკი) დიდი ეპიკურეელი და გარყვნილი პიროვნება იყო. ჰადრიან მე-V-ს შემდეგ პაპის ტახტზე ავიდა ერთი ესპანელი კარდინალი იოჰან მე-XXI სახელით, ხოლო ეს უკანასკნელი შესცვალა იტალიელმა დიდმა არისტოკრატმა ორსინიმ — ნიკოლას მე-III-ემ.

პაპების ყოფაცხოვრების დასახასიათებლად უნდა გავიხსენოთ პაპი ცელესტინ მე-V. კარდინალ გაეტანის მოუწიდა პაპის ტახტზე ასვლა და ამიტომაც ასეთ ხრიკს მიმართა: როცა ეს გულუბრყვილო და გამოჩრჩხელებული პაპი ნაშუაღამევის ლოცვას აღავლენდა, ერთმაზად ზევიდან მოესმა ხმა: პაპის ტახტზე უარი სთქვიო. პაპს ეს ზეციდან მონაწივენი ხმა ეგონა და გაბრიყვდა და მეორე დღეს უარი სთქვა ტახტზე. დაუყონებლივ ტახტზე ავიდა გაეტანი ბონიფაც მე-VIII-ის სახელწოდებით. (ცელესტინ მე-V ჯოჯოხეთში მოათავსა დანტემ.) ბონიფაც მე-VIII საფრანგეთთან პოლიტიკური დაახლოვების მომხრე იყო. მანვე მოიწვია იტალიაში შარლ დე ვალუა. ავხორციობით ცნობილი იყო კლემენს მე-V, რომელსაც ხასად ჰყავდა გრაფ დე ფუას ქალიშვილი. ამ ამბავს არც არავინ მალავდა პაპის სასახლეში. ანეგდოტური ხასიათის ამბებს იცნობს ისტორია მდებდრობითი სქესის პაპის იოჰანნას შესახებ. ეს უკანასკნელი კიდევაც დააორსულეს თურმე ამომრჩეველებმა — კარდინალებმა.

როცა პაპი იოჰან მე-XXII გარდაიცვალა, მას აღმოაჩნდა 28 მილიონი ოქროს დუკატი და 7 მილიონი დუკატის ღირებულების ოქროს ლარნაკები.

* * *

დანტეს „ჯოჯოხეთ“-ში ჩვენ ვხვდებით პაპების, იმპერატორების, ეპისკოპოსების, კრიჟანგების, გარყვნილი არისტოკრატების და ჩარჩების გვერდით ჰალქიმოკოსებს, ასტროლოგებს, მისნებს და „შავი შავის“ ოსტატებს. ეპოქის სტილის დასახასიათებლად საჭიროა გავეცნოთ საშუალო საუკუნის კათოლიკური ეკლესიის მიერ გავრცელებულ კუდიანებისა და ჭინკების პროცესებს, „ემმაკეულების“ გამოდევნის ამბებს. ეს ყოველივე ჩვენი საუკუნისათვის შორეულია და გაუგებარი, მაგრამ იმ დროინდელი ევროპის სულიერი ცხოვრების შესაცნობად ეს დიახაც აუცილებელია.

კათოლიკური ეკლესია ხელოვნურად ჰქმნიდა მისტიურ მოჩვენებებს, რათა ამ გზით ენერგიულად შებრძოლებოდა იმ რაციონალიზმს, რომელმაც ჯერ კიდევ ადრე რენესანსის ეპოქაში თავი იჩინათუნდაც პალერმოელ სიბრძნისმეტყველთა და მათ მიმდევართა შორის.

ჰოჰენშტაუფენების მტერმა პაპმა გრეგორ მე-IX საგანგებო ბულლა გამოაქვეყნა (Bulle vox) 1233 წელს და ამ ბულლაში იგი სიკვდილით ემუქრება იმათ, „ვინც გომბეშოებისა და კატების სახით არსებულ, თონეს ოდენა ეშმაკებთან რაიმე კავშირს დაიჭერს“¹).

ხოლო პაპი იოან მე-XXII თავის ბულლაში: Bulle super specula მოუწოდებს საქრისტიანოს სადმე აღმოაჩინონ გველის რქა (cornu serpentinum), ამ გველის რქას უნდა ჰქონოდა ჯადოსნური შხამი. ამავე ბულლაში იგი შეჩვენებს უქადის ყველას, ვინც ამ გველის რქას მიითვისებს და პაპს არ მიუტანს. ინოცენც მე-XXII, 1330 წელს გამოცემულ ბულლაში ჰქრძალავს „ემმაკეულთან წერილობით ხელშეკრულებების დადებას, ეშმაკეულისა და ჯადოსნურ ხატების თაყვანისცემას“.

ასევე ენერგიულად ებრძოდა პაპი ინოცენც მე-VII ეშმაკეულებსა და კუდიანებს. (გაკვრით ითქვას: ამ „ქრისტეს მოსაყდრეს“ 16 ბუში ჰყავდა!). საქვეყნოდ ცნობილია რომის პაპების მიერ ჭინკების წინააღმდეგ გამოცემული ბულლები (Summis desiderantes). ერთერთ ასეთ ბულლაში ვკითხულობთ:

„მხურვალე გულის წადილით, როგორც ამას მოითხოვს უზენაესი მწყემსის მამობრივი რულუნება, მონდომებული ვართ განვიგრძოს კათოლიკური შჯული და მწველებლური ბოროტება დავითგუნოს...“

„ულარესი გულის ტკბილით საცნაურ ყვაფით, რომ გერმანიის ზოგიერთ ალაგას, განსაკუთრებით მაინცის, კელნის, ტრიერის,

¹ შვად. დოქტ. მაქს კემმერინის „ადამიანობის სისულელის ისტორიიდან“ შაუნხენ, 1920 წ. გერმ. გამოცემა.

ზალცბურგის და ბრემის მხარეში, მრავალი პირი, ორივე სქესისა, საკუთარი სულის ცხონებისა და კათოლიკური შჯულის მიუხედავად, სქესობრივ კავშირს იჭერენ მამაკაცისა და დიაცის სახით მოვლინებულ ეშმაკეულებთან (cum daemonibus incubis et succubis) და თავიანთი ჯადოსნობით, შელოცვებით, სიმღერებით, აბრკალებენ და აფუჭებენ დიაცების მშობიარობას, ცხოველთა მუცლის ნაყოფს, მიწის ნაყოფს, მტევნებს, ხეხილს, აგრეთვე მამაკაცებს, დიაცებს, ვენახებს, ჯეჯილებს, საბალახოებს, ამასთანავე აწამებენ მამაკაცებს, დიაცებს, ოთხფეხსა და ორ ფეხა პირუტყვებს. საშინელ შინაგანსა და გარეგან ტკივილებს აყენებენ მათ. თანაც მამაკაცებს ხელს უშლიან დედაკაცთა განაყოფიერების საქმეში, არ უშვებენ ერთი მგორესთან ქალებსა და კაცებს რათა მათ, ურთიერთი განამრავლონ და გაანაყოფიერონ“. და სხვ.

საშუალო საუკუნის ცრუმორწმუნოების უდიდეს დოკუმენტად ითვლება ფრიად გავრცელებული შავი მაგიის წიგნი: Malleus maleficarum ანუ „კინკების გრდემლი“. ეს წიგნი მრავალჯის დაიბეჭდა— (სხვათა შორის მან უდიდესი ზედგავლენა მოახდინა უფრო გვიან ალბრეხტ დაჟურერზე). ხსენებულ კინკების კოდექსში აღვიაჩნებულა შავი მაგიის ხელოვნება, შავი მაგიის წიგნი ეშმაკეულით შეპყრობილებს ორ კატეგორიად ანაწილებს: Incubi და Succubi. Incubi დემონები ხორციელად უკავშირდებიან ქალებსა და კაცებს (ზედმწოლნი), ხოლო Succubi (ქვემწოლნი) ვითომდაც დიაცის როლს ასრულებენ.

კათოლიკური ეკლესიისა და პაპის მიერ აკრძალული იყო იმის მტკიცება, რომ ინკუბი და სუკუბი დემონებისაგან აღამიანები არ წარმოიშვებიანო.

შავი მაგიის წიგნში ნაქადაგებია ყოვლად ბარბაროსული ანტიფემინიზმი: „რა არის ქალი, თუ არ მეგობრობის სამარე, აუცილებელი ამ ქვეყნიური სასჯელი, აუცილებელი ბოროტება, ბუნებრივი ცთუნება, სანატრელი უბედურება, შინაური, საფრთხე, ლამაზი ფერებით მოკაზმული ბუნების მიერ მოვლენილი სიავე“ (დასაბუთება ამგვარია: Femina—ქალი. fe—fides—რწმენა; minus—ნაკლები.). ასე სწერია შავი მაგიის წიგნში, ამას ჰქადაგებდა თავად წ. პეტრეს მოსაყდრე, და საესებით ბუნებრივია ასეთ საუკუნოში ბეატრიჩეს საკრალური მიჯნურობის ქადაგებაც ანტიკლერიკალური ფაქტი უნდა ყოფილიყო.

ამ ფრიად კუროზული ტრაქტატის მე-IX მუხლში ასეთი პიკანტური საკითხიც ირჩევა: „შეუძლიათ თუ არა კინკებს მამაკაცის



სხეულს მოაცილონ მამაკაცის სარცხვინელი? ბიბლიური ლოტის მარილის სვეტად გადაქცევის მაგალითით ამტკიცებენ, რომ ეს შესაძლებელია. აქვე დადასტურებულია, რომ ჭინკებს თურმე ისიც შესძლებიათ, რომ ადამიანი ცხოველად აქციონ და შავი მაგიით აღქურვილი ბებია ქალები დედის მუცელშივე ჰკლავენ ჩვილებს, ან არა და ახლად შობილებს ეშმაკებს უმსხვერპლებენ. ამ გაუგონარ სისულელებთან ერთად მოხსენებულია ასეთი რამ: ერთერთ პაპის მიერ წარგზავნილ ინკვიზიტორს გაუგია: ერთ კრებაზე ჭინკებმა ბავშვი შესჭამესო და სამაგიეროდ 41 ჭინკა დაუწვავთო. დანტეს „ჯოჯოხეთშიაც“ ნახსენებია ეშმაკულთა იერარქია, უფროსი ეშმაკეული, უმცროსი და სხვ. ზემოდხსენებულ შავი მაგიის წიგნში ჭინკები განსაზღვრულ კატეგორიებად არიან დაყოფილი. ერთნი სეტყვას გამოიწვევენ, ხანაც ავდარს, ხან ქარიშხალს. ზოგნი ცხოველებსა და ადამიანებს აბერწებენ, ბავშვებს მსხვერპლად სწირავენ ეშმას. ყველანი ესენი ეშმაკის საყვარლებად ითვლებიან.

ჭინკები უნათლავ ბალღებს ემტერებიან, ხორცისა და ძვლებისაგან მალამოს ამზადებენ, ხოლო სისხლისაგან სასმელს. ვინც ამას დალევს, იგი ეშმას ხელოვნების ოსტატი გახდება.

მე-V ნაკვეთში განმარტებულია, თუ რა ბოროტად იყენებენ ჭინკები ეკლესიის საკრამენტებს. მე-VI-ში, თუ როგორ თრგუნავენ ადამიანის განაყოფიერების უნარს, მე-VII-ში, თუ როგორ იტაცებენ ჭინკები მამაკაცის ასოს. აქვე მოყვანილია ასეთი ცნობაც: ერთ ახალგაზრდას თურმე ასო დაჰკარგოდა. მან ერთ ვორმსელ ჭინკაზე მიიტანა ეჭვი და კიდევაც „იპოვნა“ თურმე. მე-VIII ნაკვეთში კიდევ ამგვარი კურიოზია მოთხრობილი: „ერთმა ფრიად სათნო კაცმა, ღვთის შთაგონებით შეიცნო რომ ეშმაკს მღვდლის ანაფორა გადაეცვა და ჰქადაგებდა“. შემდეგ ნაკვეთებში განმარტებულია, თუ როგორ ჩაუსახლდება ეშმაკი ადამიანს გვაშში, თუ როგორ აჯადოებენ ადამიანს სანთლის, ან ღინდგელის გამოხატულების საშუალებით.

ჩვენი თანადროულობისათვის ამ წიგნის შინაარსი სასაცილოა და აბსურდული, მაგრამ საშუალო საუკუნოების განმავლობაში იგი ინკვიზიციის სახარებად და უცილო ცნობარად ითვლებოდა.

კათოლიკური სამღვდლოება მეთაურობდა მრავალ ათასს პროცესს ჭინკებისას საუკუნოების მანძილზე და ვინ მოსთვლის რამდენი უმართებულო ადამიანი შეუგდიათ ცეცხლის კოკონზე¹.

¹. ჭინკების პროცესები და ეშმაკეულის გამოდევნა მართოდენ საშუალო საუკუნოებში როდი ყოფილა, 1855 წ. გერმანიაში, ბადენის გენერალურ სინოდში დიდი კამათი იყო ეშმაკეულის გამოდევნის გამო. მხოლოდ 1879 წ. საბოლოოდ აიკრძალა ასეთი ხასიათის პროცესების აღძვრა.

დაახლოვებით ასეთი ატმოსფერო უძლოდა წინ აღრე რენესანსის ეპოქას იტალიაში. ასეთი ბნელი საუკუნოებდს მემკვიდრეობით იყო დატვირთული ის დრო, რომლის ფონზედაც ალიგვიერი დანტეს ნათელი ფიგურა უნდა გამოესახათ. გარდა მისტიურ-რელიგიურ და ესქატოლოგიურ იდეებისა, დანტეს კომედიაში მოცემულია მძაფრი პამფლეტები, როგორც დიდი პოლიტიკის ერისკაცთა, ისე ზნეობრივად დაცემულ სასულიერო პირების მიმართ. დანტეს ეპოქაში გაძლიერებული ტემპით იწყებოდა ევროპული ფეოდალური წყობილების დეგრადაცია, ვაჭრობის და მრეწველობის განვითარება ახალი კლასის, ბურჟუაზიის დაბადებას უწყობდა ხელს. უფრო მეტის სიმძაფრით იხრწნებოდა კლერიკალური ნაწილი. იტალიის არისტოკრატიისა და სწორედ ეს არისტოკრატი პაპები, ქორეპისკოპოსები და კარდინალები მოათავსა დანტემ თავის ჯოჯოხეთში. ამ მხრივ დანტეს კომედია ერთგვარი „გედის სიმღერა“ იყო რელიგიურ ფეოდალური კულტურისა.

III. თარიღები

დანტეს ბიოგრაფიული თარიღებიც ძლიერ მოგვაგონებს რუსთველისა და შექსპირისას. მკვლევარები, ბიოგრაფები აქაც მეტწილად ბნელში აფათურებენ ხელს. დანტე-მკვლევარებშიაც მოიპოვებიან ისეთი გულუბრყვილონი, რომელთაც ჰგონიათ: დიდკაცს უთუოდ დიდი წინაპრები უნდა ჰყავდესო, ე. ი. დიდი გვარისა.

თავისი შთამომავლობისა და ცხოვრების უმთავრესს ფაქტებს თავად გვაუწყებს დანტე.

„სამოთხეში“ დანტე ასახელებს თავის წინაპარს კაჩია გვიდას, რომელსაც შერქმეული ჰქონია გვარი ალდიგვიერი. იგი 1147 წ. იმპერატორს კონრადს რაინდად გაუხდია და ჯვაროსნულ ომში ხლებია თურმე.

კაჩია გვიდას ერთერთი ვაჟი ბელლო იხსენიება 1255 წ. როგორც საბჭოს (Consiglio)-ს წევრი. მეორე ვაჟს ალიგვიერი I-ის ოთხი ვაჟი ჰყოლია, მათ შორის ალიგვიერი II დანტეს მამა იყო. ამ უკანასკნელის შესახებ დანამდევილებით ცნობილია, რომ იგი ორჯერ დაქორწილებულა. დანტეს დედას ბელლა რქმეგია, დედის გენეალოგია გამოურკვეველია, დადგენილია მისი სიკვდილის წელი—1332.

პრობლემატიურია დანტეს აზნაურობის ამბავიც. ცხადია, ის ბიოგრაფები, რომელთაც ჰგონიათ, დიდი კაცი უთუოდ დიდი აზნაური უნდა ყოფილიყო, ყოველნაირად სცდილობენ როგორმე

გააზნაურონ პოეტი (მაგ. ბოკაჩიო, ფილიპპო ვივანი და სხვ.). ჯიოვანი ვილანი უარყოფს დანტეს აზნაურობას. თავად პოეტი „ჯოჯოხეთში“ (ქ. 10.) ირონიულად იხსენიებს „იმ ადამიანებს, რომელნიც მცირე აზნაურობის ქადილით აროდეს დაშვრებიან“. სერიოზული მკვლევარების მიერ უარყოფილია ისიც, თითქოს დანტე ფრანჯიპანის რომაელ აზნაურთა მოდგმისა ყოფილიყოს.

არსებობს კიდევაც გერბი ალიგვიერების გვარისა. ამ გერბის აუტენტიურობა ემყარებოდა ზრთ სიგელს, რომელიც თავის დროზე საფრანგეთს წაუღიათ. გემი სიგელიანად დაღუპულა გზაზე. გვარი ალიგვიერი სხვადასხვა დროს სხვადასხვა მართლწერით გვხვდება. ალლეგვიერი (1472 წ.), ხანაც ალლეგიერი, ალიგვიერი. ხოლო დანტეს ვენეციური გამოცემა 1521-ით დათარიღებული იხსენიებს ალიგვიერის. ზოგიერთ საბუთებში ფრანც ქსავერ კრაუსის მიხედვით სჭარბობს ალლაგვიერი, ალეგვიერი, ალლაგვიერუს, ხანაც ალპეგვიერი.


გერმანელ დანტე-მკვლევარებს გვარი ალდიგვიერიუს უფრო მოსწონთ, რადგან მათ უნდათ ძველ გერმან. აზნაურთა მოდგმას დაუკავშირონ დანტე (აღარებენ გერმანულ გვარებს: ადალგერ—Adalger (ძველ გერმანული), Altger, Altspeer, აქედან ჩვეულებრივი ფილოლოგიური ხერხებით განმარტავენ კიდევ ამ გვარს (ძველ გერმ. Alt=ჟამი, დრო, ger — სატყორცნი რამ. სხვანი ფორმა ალდიგვიერს განმარტავენ, როგორც საუკუნის ბრწყინვალებას).

გაურკვეველია წარმოშობა იმ ქალისა, რომელმაც პოეტის წინაპარის გვარს ალიგვიერი მიუმატა. ზოგი მკვლევარის აზრით, ეს გვარი ვერონადან ყოფილა გამოსული, ზოგიც პარმას ასახელებს და სხვ.

დაბადებულა დანტე ფლორენციაში, რასაც თავად პოეტი გვაუწყებს მრავალგზის, მაგრამ დანტეს უდიდესი კომენტატორი სკარტაციანი მცირე იჭვს გამოსთქვამს ამ შემახვევაში.

დანტეს დაბადების წელიც მრავალგზისი-კამათის საგნად არის ქცეული. ერთნი ჰფიქრობდნენ: 1265 წ. დაიბადაო, ხოლო სხვანი: 1260. ახალ მკვლევართა შორისაც უთანხმოებაა დაბადების თარიღის გამო. ზოგი 1267 წ. ასახელებს, ზოგიც 1268-ს, უმეტესნი — 1265-ს. დანტეს დაბადების დღედ ტრადიციულად მიჩნეულია 14 მაისი.

„დანტე“ იგივე Durante-ეს შემოკლებაა (დაფურანტე=დანტე). დანტეს სახლს ფლორენციაში დღესაც უჩვენებენ მოგზაურებს. იგი ამჟამად მუზეუმადაა ქცეული. რა თქმა უნდა, აქ გადმოცემამ გაიმარჯვა. დანტეს ავტობიოგრაფიის სახისაგან მნიშვნებიდან არაფერი ვიცით, თუ რა უნდა იქნებოდეს არსებობდა მისი მოცემა და პოეტს



შორის. ფრანც ქსავერ კრაუსი ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში პოეტის დუმილი იმის მომასწავებელია, რომ ისინი მაინც და მაინც დიდად, საქებარი არ უნდა ყოფილიყვნენო.

ცხადია, ეს ვერაა საბუთი. დანტე და რუსთაველი ისეთ არეულ დროს სტოვრობდნენ, რომ ჩვენ არ ვიცით: მთელმა მათმა დანატოვარმა მოაღწია თუ არა ჩვენამდის? თუნდაც რომ ყველაფერს ჩვენამდის მიეღწიოს, რაც დანტეს დაუწერია, განა ეს იმის მომასწავებელია, რომ დანტეს შშობლები საქებარი არ ყოფილიყვნენ? დანტეს ერთი და და ერთიც ძმა ჰყოლია. და ფლორენციელს ლეონე პოჯჯის წაჰყოლია და მრავალი შვილი დარჩენია კიდევაც ამ ქორწინებისაგან. დანტეს ძმას ფრანჩესკო ჰქმევია, დადგენილია: დანტეს მშობლები შეძლებული ყოფილან. შენახულია საბუთები, სადაც მრავალი სახლი და მამულია აღნუსხული, ეს ყოველივე ჩამოერთვა ბოლოს სამშობლოდან გაძევებულ პოეტს.

ცნობილია: დანტე ფლორენციის პრიორების საბჭოს წევრი ყოფილა და ამ ხანებში მას შეწერილი ჰქონია 100 ლირის ოდენობის სახელმწიფო გადასახადი.

საერთოდ, დანტეს ბიოგრაფიაში მრავალი გამოგონილი, შეთხზული, ლეგენდარული ურთიერთშია არეული. სწორი და საეგებო ფაქტები ცოტაა, ყოველი მათგანის გამოც უამრავი მეღანია დაღვრილი.

გადმოცემით, დანტეს მასწავლებლად ასახელებენ ბრუნეტო ლატინის. ამ უკანასკნელს თავადაც იხსენიებს პოეტი „ჯოჯოხეთის“ მე-XV ქებაში. ეს არის მხოლოდ: გამორკვეული არაა: ბ. ლატინი მისი სკოლის მასწავლებელი იყო, თუ საერთოდ მეგობარი, განსწავლისას შთამგონებელი.

როგორც რუსთაველის მიერ ათინაში სწავლის მიღება, ისევე პრობლემატიურად მიჩნეულია ის ფაქტი, თითქოს დანტეს ბოლონისა და პადუაში მიეღოს განსწავლა; ისიც საეჭვოა, რომ თითქოს დანტეს პარიზში განეგრძოს სწავლა. კომედიის სხვადასხვა ქებაში მოყვანილი ციტატებიდანაც სჩანს, რომ დანტეს გარდა ლათინურისა, ცოცხალი ევროპული ენებიც სცოდნია. „ჯოჯოხეთში“ მოყვანილი აქვს მას ერთი ძველი ებრაული ციტატა (Pape Satan, pape Satan alleppe); ზოგიერთი მკვლევარის აზრით, მას ებრაულიც უნდა სცოდნოდა, თუმცა, უნდა ითქვას, აქ არც ჰო ითქმის და არც უარე. „კომედიიდანვე“ სჩანს, რომ მას რიტორიკა და ფილოსოფია, კლასიკური მითოლოგია ჩინებულად სცოდნია.

ერთ ადგილას დანტე აგვიწერს მეაფთიაქეთა ამქარს. ამ ამბავში საბაბი მისცა ზოგიერთ მკვლევარს იგი თავად მეაფთიაქეთ გამოცხადებით¹.

აეტორსა და გმირს შორის ზღვარის დადება ხშირად სერიოზულ მკვლევარებსაც არ ემარჯვებათ. დანტე მეზღვაურებსაც იხსენიებს ალაგ-ალაგ, მაგრამ ეს არ კმარა იმის საბუთად, რომ იგიც მეზღვაური ყოფილიყოს.

საერთოდ დანტელოგია ისე გაიზარდა ევროპასა და ამერიკაში ამ უკანასკნელ საუკუნოებში, რომ ზოგიერთი მკვლევარი უამრავ კურიოზებს აქვეყნებს. მაგალითად დიდი პოლემიკაა: იცოდა თუ არა დანტემ ჭადრაკი? და სხვ.

საერთოდ დანტე-ბიოგრაფები ამტკიცებენ დანტეს 1289 წელს კამპალდინის ბრძოლაში უნდა მიეღო მონაწილეობა (ფლორენციელების გალაშქრება არეცცოს წინააღმდეგ).

„ჯოჯოხეთში“ პოეტი აგვიწერს იმავე ფლორენციელების მიერ, იმავე წელს კაპრონის აღებას („ჯოჯოხეთი“ ქ. 21.).

დანტეს ოჯახური ცხოვრების ფაქტების გამოც არ არსებობს ერთობლივობა დანტე-მკვლევარებს შორის. დადგენილია: მე-XIII საუკ. ოთხმოცდაათიან წლებში მას შეურთავს გემმა ღონატი, აზნაურის ქალი (ეს ფაქტი მომეტებულ საბაბს აძლევს იმ მკვლევარებს, რომელნიც დაჟინებით ამტკიცებენ დანტეს აზნაურობას). ღონა გემმისაგან ყოლია მას 4 ბავშვი. ამტკიცებენ: დანტეს ცოლი ფრიად ავი ქალი უნდა ყოფილიყოსო, ხშირად ქსანტიპას უწოდებენ მას. ამ ფაქტს პირადად კრაუსიც ადასტურებს: ესაო და რაკი დანტე კომედიაში ღონატის გვარს ცუდად ახსენებს, ზემოდხსენებული ამბავი სინამდვილეს უნდა წარმოადგენდესო.

არამც თუ საშუალო საუკუნოში, ჩვენს დროშიაც ხომ მრავალი ისეთი შემთხვევა, როცა კაცს თავისი ცოლი ფრიად უყვარს, ზოლო ცოლის სახლისკაცებს აძაგებს. ხომ დასაშვებია: რომ დანტე აზნაური არ ყოფილიყო, შესაძლოა ხშირად ჰქირდავდნენ მას კიდევაც ცოლის ნათესავები, ან არა და ღონა გემმა მშობლების უკითხვად შეერთო და სხვ. და ამიტომაც იხსენიებდეს იგი ღონატის გვარს ეგზომ აუგად.

არც დანტეს შთამომავლობის ამბავია ზუსტად დადგენილი. ბრუნე გადმოგვცემს: დანტეს „მრავალი შვილი დარჩაო“. ბოკაჩიო

1. ფლორენციაში დანტე ჩაწერილი იყო ფარმაცევტების ამქარში, მაგრამ შესაძლოა აქ ებრალო მიწერის ამბავი იყოს. კ. გ.

სდუმს. ფილელფო ოთხ შვილს ასახელებს: პეტრუმ, იაკობუმ, ალიგერუმ და ელიზეუმ. პელლი: პიეტრო, ჯაკობო, გაბრილო, ალიგერო, ელიზეო, ბერნარდო და ბეატრიჩე.

დანამდვილებითი ცნობები მოდწეულია დანტეს ორი ვაჟის: პიეტროს და ჯაკობოს შესახებ. პიეტროს სახელით დარჩენილია რამოდენიმე ლექსი, რომელიც ამტკიცებს: იგი დიდი პოეტის პატარა ეპიგონი რომ ყოფილა. პიეტროდან ორი ხაზით წამოსულა ალიგვიერების გვარი. ერთი ხაზის წარმომადგენელი იყო გრაფ პიეტრო ალიგვიერი, რომელიც 1849 წ. ვენეციაში გადმოსულა და აქ დასახლებულა. იგი გარდაცვლილა 1895 წელს. მეორე ხაზით გამოსული შთამომავალი 1549 წელს უძეოდ გარდასულან. მეორე ვაჟი ჯაკობო ფლორენციაში დასახლებულა. 1342 წელს მას ხელახლა უნდა დაებრუნებინოს დანტესათვის კონფისკაციით ჩამორთმეული ქონება. მას მიაწერენ კომედის ლათინურ კომენტარიებს, ერთიც იტალიური „ჯოჯოხეთისა“ მასვე უნდა დაეწეროს. ჯაკობოს შთამომავალი 1430 წ. გადაგებულან.

* * *

ვიდრემდის დანტეს საზოგადოებრივ ასპარეზზე მუშაობას შევხებოდეთ, მცირე რამ ისტორიიდან უნდა გავიხსენოთ და იმ დროინდელი საზოგადოების კლასური ურთიერთობა განვმარტოთ. ფლორენცია, დანტეს სამშობლო ქალაქი, მეწინავე იყო იტალიის ქალაქებს შორის თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ფლორენციამ ყველაზე უწინ შესძლო არისტოკრატიული წყობილებიდან რესპუბლიკურში გადასვლა. მე-13 საუკუნის მიწურულში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გველფების და გიბელინების პარტია ებრძოდა ურთიერთს. 1260 წ. არისტოკრატია ილო მართებლობის საჭე. ფლორენციელები სასტიკად დამარცხდნენ ამავე წელს, მონტაპერტის მახლობლად. სამი წლის შემდეგ პაპმა ურბან მე-IV-ემ შარლ ანჟუ, საფრანგეთის მეფე, მოიწვია. გველფებმა გიბელინები სასტიკად დაამარცხეს და ფლორენციაში გაბატონდნენ. 1268 წელს თავი მოსჭრეს გერმანელ ჰოჰენშტაუფენების დინასტიის უკანასკნელ მეფეს კონრადინს. ასე რომ, გერმანელების ნაცვლად ფრანგები დაეპატრონენ იტალიას. ამ ისტორიულმა ამბებმა ხელი შეუწყვეს ხალხის (Popolo) თვითმომქმედებას. ეს „პოპოლო“ ამქრებად იყო დაყოფილი. ასე თუ ისე ორგანიზირებული მასსა არააზნაურ მოქალაქეებისა, არისტოკრატის დაუპირდაპირდა. ქალაქების სამმართველოში ასეთი წესი იყო: ხალხის

სათავეში იდგა კაპიტანო, ხოლო აზნაურობას არჩეული ჰყავდა პოდესტა. ეს ორი ინსტიტუტი დაუცხრომელად ებრძოდა ურთიერთს. როგორც პოდესტას, ისე კაპიტანოს თითო ორ-ორი საბჭო—Consigli ჰყავდა მიჩენილი, ერთი დიდი, ერთიც მცირე. სახალხო პარტია იდგა კაპიტანოს უკან. ამ პარტიაში აზნაურს არ ლებულობდნენ.

სხვადასხვა დროს რომის პაპები ეპოტინებოდნენ როგორც პოდესტას, ისე კაპიტანოს დანიშვნის უფლებას. ხალხი სრულ დამოუკიდებლობას მოითხოვდა. იგი თანაბარის გულმოდგინებით ეწინააღმდეგებოდა როგორც რომის პაპს, ისე გერმანიის იმპერატორს და საფრანგეთის მეფეებს ანჟუს დინასტიიდან. ფლორენციელები გააფთრებული ებრძოდნენ იმპერატორის პარტიას — გიბელინებისას, ამავე დროს არც საკუთარ არისტოკრატისა — გრანდებად წოდებულს — ზოგავდნენ. 1282 წ. კიდევაც გაიმარჯვა პოპოლომ და ხელისუფლება ჩააბარა პრიორების (უფროსსა ჰქვია) საბჭოს. პრიორების კოლლეგიას ორი თვით ირჩევდნენ.

ევროპის ხმელზე ბურჟუაზია ყველაზე ადრე იტალიაში ჩაისახა. ქალაქის ბურჟუაზია ბუნებრივად ებრძოდა არისტოკრატის, დიდებულებს (გრანდი). დიდმა გვარებმა ტიტულები მიჩქმალეს, ღათა ქალაქების მართველობაში ხმა არ დაჰკარგოდათ. გიბელინების დევნა დაიწყო. სამაგიეროდ გიბელინებმა არეცოდან გააგდეს გველფები. ამას მოჰყვა ფლორენციელების გალაშქრება გიბელინურ არეცოს წინააღმდეგ (1289 წ. კამპალდინოსთან ბრძოლა.) ამავე წელს დილეგში კვდება გრაფ უგოლინო, რომლის სიკვდილი უბედლოდ აწერილი აქვს დანტეს „ჯოჯოხეთში“. ფლორენციაში ხალხმა აღკვეცა პოდესტას უფლებები. არისტოკრატის თავის სორო გაუხდა სანატრელი. იტალიური არისტოკრატია საკუთარი ძალით ვერ უმკლავდებოდა ხალხს და ძალაუნებურად იგი რომის პაპს მოიშველიებდა, ხან საფრანგეთის მეფეს, ხან გერმანიის იმპერატორს.

ასეთი განწყობილებების ფონზე გარდაიშალა 1293 წლის ბურჟუაზიული რევილაციონი.

ამ რევილაციონის მონაპოვარი იყო სწორედ „სეკონდო პოპოლო“ (წმინდა დემოკრატის) გაძლიერება და დიდებულების განადგურება.

სწორედ ამ ხანებში გამოდის დანტე საზოგადოებრივ ასპარეზზე. უფლებამოსილი მოსახლეობა ფლორენციისა ახალი ცხოვრების გეგმებს ადგენდა. აშენებდნენ ახალსა და ახალ შენობებს, აგანიერებდნენ მოედნებს, აგებდნენ ხიდებს და სხვ. ქალაქური კულტურის გაძლიერებამ მეცნიერნი და მსწავლულნი გამოიწვია საასპარეზოდ.

მწერლობა გაიზარდა, ხუროთმოძღვრება და მხატვრობა უფრო მეტად დაწინაურდა. ამ ეპოქამ წარმოშვა სწორედ: ბრუნეტო ლატინი, ჯიოვანი ვილანი, დინო კომპანი, გვილო კავალკანტი და თავად დანტეც.

ჩვენ დრომდის მოღწეულ საბუთებიდან სჩანს: 1295 წ. დანტე პრიორების არჩევნებში ღებულობს მონაწილეობას. ამავე წელს იგი „ასი კაცის საბჭოს“ წევრია და საბჭოსაგან განდევნილ დიდებულების უკან დაბრუნებას ხმას აძლევს, უკეთუ ისინი რომელიმე საამქროს მიემხრობიან. 1299 წ. დანტე (ზოგიერთი ბიოგრაფის აზრით) ფლორენციის ელჩად ითვლება. ხოლო ერთი წლის შემდეგ დანტეს პრიორად ირჩევენ.

დანტე „ჯოჯოხეთში“ იხსენიებს „შავებს და თეთრებს“. ესენი იყვნენ ისევედასევე გველფები და გიბელინები. ეს სახელწოდებანი წარმოიშვა პისტოიაში. კანწელიერების გვარში განხეთქილება მოხდა. ამ გვარის ერთი შტო მოდიოდა ბიანკადან და ამიტომ ამ შტომ გვარისამ თეთრები დაირქვეს, ხოლო მეორემ „შავები“. პისტოიაში ატყდა გაუგონარი სისხლის ღვრა. ფლორენციელებმა ორივე პარტიის მეთაურები დააბატიმრეს და ქალაქში დაამწყვდიეს. სამოქალაქო ომის ტალღა ფლორენციასაც გადასწვდა. აქაც გაჩნდნენ „თეთრები“ და „შავები“. ცნობილია: საშუალო საუკუნოში პარტიულობას მთელი გვარეულობა აპყვებოდა ხოლმე. პაპი ბონიფაციუს მე-VIII თავის „ქვეშევრდომებად“ სთვლიდა როგორც. ფლორენციელებს, ისე პისტოიელებსაც. თავად იგი უძლური იყო და ამიტომაც საფრანგეთის მემკვიდრე პრინცს შარლ დე ვალუას მოუწოდა ბოლო მოეღო სისხლის ღვრისათვის. „თეთრების“ პარტიამ, რომელსაც დანტე ეკუთვნოდა, სასტიკად გაილაშქრა პაპის დიპლომატიურ დემარშების წინააღმდეგ. შენახულია ის დოკუმენტიც, საიდანაც სჩანს, რომ დანტეს კენჭის ყრაში მონაწილეობა მიუღია და ხმა მიუცია პაპის წინააღმდეგ. 1296-97 წლებში შარლ დე ვალუა სიცილიის წინააღმდეგ ომით იყო გართული. ქალაქ ფლორენციას მან სესხი სთხოვა. დანტე კარგად ჰხედავდა, რომ საფრანგეთი სიცილიის შემდეგ ფლორენციასაც გადანთქავდა, ამიტომაც „ასი კაცის საბჭოში“ მან შარლ დე ვალუას წინააღმდეგაც გაილაშქრა.

1301 წ. პრინც შარლ უიარალო ამაღის ამარა შემოვიდა ფლორენციაში; სანტა მარია ნოველაში წარმოსთქვა სიტყვა; ზავის ჩამოგდება მოსთხოვა ფლორენციის მთავრობას. ამის თქმა მოასწრო პრინცმა, და მისმა ამაღამ იარაღი აისხა მყის. ქალაქის ბჭეებთან მომდგარი კორზო დონატის ლაშქარი ფლორენციაში შემოიჭრა და



ცეცხლითა და მახვილით აიღო ქალაქი. პრიორების საბჭო შეიპყრეს. „შავებმა“ გაიმარჯვეს და სისხლში ამოახრჩვეს „თეთრები“.

როგორც სვაევი ნამკვდრევეს, ისე უთვალთვალებდა ამ ამბავს პაპი. მან ლეგატი წარმოგზავნა და „ქრისტიანული მოვალეობა“ მოაგონა „თეთრებს და შავებს“. ამგვარად დამარცხდა რესპუბლიკის მთავრობა. გათამამებულმა რეაქციამ შური იძია მოწინააღმდეგეებზე. დასჯილთა და დატუქსულთა შორის აღმოჩნდა დანტეც. 1302 წლის იანვრის 27-ს, დანტეს და მისი ამხანაგების საშობლოდან გაძევების დეკრეტი გამოქვეყნდა. ყოველი დროის ტირანიას ასე სჩვევოდა: მოპირდაპირის დასამარხავად უმართებულო ბრალდებულის წამოყენება, და ფლორენციის უდიდეს ძეს „მატყუარობა, მექრთამეობა, უკანონო გზით ქონების მითვისება“ შესწამეს. (occasione barattariorum, iniquarum extorsionum et illicitorum lucorum condemnati). გაძევების დეკრეტი განმეორდა 1302 წლის მარტში. ამ დეკრეტების ძალით პოეტს სამუდამოდ აღეკვეთა საშობლო ქალაქში მობრუნება.

ცხადია, ამ გზით რეაქციას ეწადა ხალხის თვალში დაემციობინა პოეტის ავტორიტეტი. პაპმა და შარლ დე-ვალუამ შური იძიეს, რაკი დანტე და მისი თანამოაზრენი ფლორენციის რესპუბლიკას იცავდნენ და წინააღმდეგობას უწევდნენ როგორც პაპს, ისე საფრანგეთის ინტერვენციას.

გაღმოცემის მიხედვით დანტეს და მის ამხანაგებს ისევ უცდიათ ფედი და იარაღის ძალით მოუნდომებიათ ფლორენციაში დაბრუნება, მაგრამ ეს ამბავი ჯერაც საეგებიოდაა ცნობილი.

საშავიეროდ უფრო ჭკუასთან ახლოსაა იმის მტკიცება, რომ პოლიტიკურ ასპარეზზე დამარცხებულ დანტეს მეცნიერულ მუშაობისათვის მიუყვია ხელი. ამას მოწმობს მისი უდიდესი პოემა „დინა კომედია“, „Vita nuova“ და ტრაქტატი „De Monarchia“.

„სამოთხის“ მე-XVII ქებიდან პოეტი გვაწვდის ავტობიოგრაფიულ ცნობებს: ფლორენციიდან გაძევების შემდეგ იგი ვერონას გამგზავრებულა. სწორედ ვერონაში გაეცნო იგი თავის მფარველს კან გრანდე დელლა სკალას. დაიწყო დანტესთვის ემიგრაციის წლები. ისევ „სამოთხიდან“ ვგებულობთ, თუ „როგორ ემწარა პოეტს სხვისი პურის ჭამა“ და რა ძნელი ყოფილა „სხვის კიბეებზე ასვლა-ჩამოსვლა“ (ქ. XVII), „და არ იცოდე ამ ქვეყნად სად მიიდრიკო თავი თვისი“. გარდმოცემის მიხედვით ვერონიდან პადუას წასულა და აქ გაუცვნია მას ჯიოტო.

დიდი მწერლების ბიოგრაფიის აღდგენა განსაკუთრებით ძნელია, რადგან დიდი მწერალი უსათუოდ იმავე დროს დიდი ადამიანიც არის. ასეთ პიროვნებებს განსაკუთრებით საშუალო საუკუნოებში გვიან შეიცნობდნენ ხოლმე, და ეს ხდებოდა მეტწილად მათი სიკვდილის შემდეგ. შემოქმედების მათის არილი ადგებოდა მერმე ხალხის წარმოდგენაში და ითხზებოდა ახალი და ახალი მითი, მათი პიროვნებისადმი მიკუთვნებული. ასე მოუვიდა დანტესაც. იგი ისე გაზღაპრებულია იტალიაში, როგორც რუსთაველი ჩვენში. ამიტომაც უკვე დანტე-მკვლევარებმაც აღარ იციან: სად თავდება მის ბიოგრაფიაში ნამდვილი ფაქტოლოგია და სად იწყება მითი.

ფრანც ქსავერ კაუზი ამტკიცებს: კომედიის პირველი 7 ქეზის დაკარგვის ამბავი სრულიად უსაფუძვლო გარდმოცემა არისო. არა მარტო ფაქტები, აუარებელი აპოკრიფული წერილები არსებობს დანტეს სახელით. ცნობილია: საშუალო საუკუნოების მწერლები და გადამწერლები ფრიად დახელოვნებულნი იყვნენ ასეთ საქმიანობაში.

დანტეს ემიგრანტობის ეპოქიდან არსებობს ერთი დამახასიათებელი ლეგენდა: ვითომდა დანტე ალპებს გადაღმა, საფრანგეთში მგზავრობის დროს ერთ მონასტერს მიაღდა. ბერმა ფრა ილარიომ გამოჰხედა და ჰკითხავდა მწირს: რა გნებაესო? — მშვიდობის მეტი არაფერიო, — მიუგო დანტემ. მერმე ვითომდა ფოლიანტი ამოულია ჯიბიდან, გადაუცია და თანაც უთქვამს: აი ეს გამცნობთ; თუ ვინა ვარ მეო.

ასევე უარყოფილია ცნობილ დანტე-მკვლევარის სკარტაცინის მიერ ის ამბავიც, თითქოს დანტეს ფორლში მცირე ხანი ეცხოვროს და აქ სკარპეტტა ორდალაფის მდივანი ყოფილიყოს.

უძველესი ბიოგრაფები: ჯიოვანი ვილანი, ბოკაკაჩიო, ასე გადმოგვცემენ: იტალიიდან ევროპის ჩრდილო დასავლეთში მოხეტიალე პოეტს პარიზში რამდენიმე წელი დაუყვია და პარიზის უნივერსიტეტში მეცნიერებას დასწავდებოდა.

ვერც ეს ამბავი უძლებს მაინცდამაინც ზედმიწევნითს კრიტიკას, მაგრამ „ჯოჯოხეთის“ ის ადგილი, სადაც პოეტი რონას აგვიწერს არლესთან ჩამავალს, საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ პოეტი საფრანგეთში უნდა იყოს ნამყოფი. ამ აზრს შესაწყნარებლად სთვლის სკარტაცინიც. ინგლისელი დანტე-მკვლევარები: ბერლოკი, ტეფფი, პლემპტ, ვერნონ — დაბეჯითებით ამტკიცებენ: დანტეს ამ ხანებში ინგლისი და ფლანდრია უნდა მოეარნოსო. ინგლისელები მეტწილად კომედიას ემყარებიან. მაგრამ კომედიაში მართლაც აფრიკასაც ახსენებს პოეტი, მაგრამ მერმე რა?...

მოკლედ: დანტელოგიას საკმარისი ცნობები არ მოეპოვება, თუ სად და როგორ გაატარა პოეტმა რამდენიმე წელი სამშობლოდან გაქევის შემდეგ? აქაც ჰიპოტეზები, საეგებო ამბები და ლეგენდები სჭარბობენ საბუთებს.

* *

დავუბრუნდეთ ახლა იტალიის პოლიტიკურ ვითარებას. 1309 წ. აახენში დაავგირგვენეს ჰაინრიხ მე-VII. როგორც ვიცით, რომაელთა იმპერია გერმანული ნაციისა ფრიდრიხ მე-II-ეს თან ჩაჰყვა სამარეში. ჰაინრიხ მე-VII-მ მოინდომა ამ ძველი „მიცვალებულის“ გამოცოცხლება — ე. ი. იმპერიის აღდგენა მოინდომა. მუისვე იტილიას მიაშურა და 1311 წელს მილანოში იმპერატორის გვირგვინი დაიდგა თავზე. ამვე წელს დანტეს წერილობით მიუმართავს იმპერატორისათვის.

პლემპტი გვარწმუნებს: დანტეს პიროვნული ურთიერთობა უნდა ჰქონოდა ჰაინრიხ მე-VII-სთან. ესენი პარიზის უნივერსიტეტში შეხვედრიან ურთიერთს, აქავე ყოფილა ჰაინრიხის ძმა ბალდევინი. ხსენებული მეცნიერი მნიშვნელობას აძლევს იმასაც, რომ ჰაინრიხის დედას ბეატრიჩე ერქვა (წინასწარ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ბიოგრაფი საესებით უარყოფს არა მარტო დანტეს და ჰაინრიხის მეგობრობის ფაქტს, არამედ დანტეს წერილების აუტენტიურობაშიაც დაეჭვებულია). პოეტი მილანოში ხლებია იმპერატორს, მაგრამ, როცა ეს უკანასკნელი ფლორენციისაკენ გაეშურა თავისი ჯარით, პოეტი პატრიოტი გაეცალა იმპერატორს, რათა საკუთარი სამშობლოს დაპყრობაში წილი არ დაედო.

ჰაინრიხის ინტერვენციით დამფრთხალმა ფლორენციამ 1311 წელს ორი ამნისტია გამოაქვეყნა ზედისზედ, მაგრამ დანტეს არცერთი არ შეჰხებია.

რომის პაპიც ფრიად შეაშფოთა ჰაინრიხ მე-VII-ის იტალიაში შესვლამ, მაგრამ იგი კარგად ჰხედავდა, გერმანელი იმპერატორი ნეაპოლის წინააღმდეგ ილესავდა მახვილს. იმავე წლის აგვისტოში ჰაინრიხ მე-VII მოსწამლეს და გერმანელების ინტერვენციასაც ბოლო მოელო.

დანტე ჰაინრიხ მე-VII-ში უნივერსალური მონარქიის სულის ჩამდგმელს ჰხედავდა, ასე რომ ცხადია, იმპერატორის მოულოდნელი სიკვდილი მის პოლიტიკურ იმედებსაც ფრთებს შეაკვეცდა.

1313-16 წლებში დაუწყია დანტეს თავისი „დივინა კომედია“-ს წერა. იტალიის მრავალი ქალაქი თავის თავს მიაწერს

განდევნილი ჰოეტის მფარველობას და მასპინძლობას, მაგრამ აქაც ლეგენდა და სინამდვილე ძნიად გასარჩევია ურთიერთისაგან.

საფუძვლიანად დადგენილია: 1314 წელს იგი ქალაქ ლუკაში ყოფილა და ვინმე გენტუკასთან ჰქონია რომანიული ურთიერთობა, მაგრამ არც იცის, ვინ უნდა ყოფილიყო ეს გენტუკა? ორ ქალს ასახელებენ: გენტუკა დეა ფატინელი, რომელიც ერთერთი ბიოგრაფის აზრით დანტეს საყვარელი უნდა ყოფილიყო, ხოლო მეორე — გენტუკა მორლა. სკარტაცინი საესეებით უმართებულად ამტკიცებს: ესაო და დანტე ამ ხანებში 49 წლის იყო და არ შეიძლება რომელიმე ამ ქალთაგანი მისი საყვარელი ყოფსლიყოსო.

1315 წლით დათარიღებულია ერთი აქტი, რობერტ ნეაპოლის მეფის მიერ ხელმოწერილი, რომელშიაც სხვათა შორის დანტე და მისი შვილები შეჩვენებულია „ვითარცა გიბელინები და ყაჩაღები“. მათ აკრძალული ჰქონდათ ფლორენციის სანახებში გამოჩენა. ამ ედიქტით ჰოეტი და მისი შვილები კანონს გარეშე ცხადდებიან. საესეებით გაუგებარია — დანტეს ვაჟები რატომ მოხვდნენ გაძევებულთა სიაში? ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს: ისინი ჰაინრიჰ მე-VII-ის ლაშქარში მამასთან ერთად უნდა ყოფილიყვნენო.

1316 წელს დანტეს და მის ამხანაგებს შეეხო ფლორენციის მიერ გამოქვეყნებული ამნისტია, მაგრამ ამ წყალობის ედიქტით ისინი მძარცველებს და ყაჩაღებს უნდა გათანასწორობოდნენ. მართებლობის წინაშე უნდა გამოცხადებულიყვნენ, მცირე ხანი დილეგში დაეყოთ, შემდეგ ამისა, ძველი ჩვეულებისამებრ ტაკიმასხარის ჩაჩს თავზე წამოაკობდნენ, ხელში ანთებულ სანთლებს მისცემდნენ, რომელიმე ხატს მიჰგვრიდნენ და მრავალი ქირდვისა და ღრეჰის მოსმენის შემდეგ გაათავისუფლებდნენ. ბოკკაჩიო გვიამბობს: დანტეს დანარჩენმა ამხანაგებმა მიიღეს ამგვარი ძალმანური წყალობა, ხოლო დანტე ისე ამაყი და სულგრძელი იყო, ემიგრაციაში შიმშილობა და გაჭირვება არჩიაო¹.

დაახლ. 1316-17 წლებში რავენას მპრობელს გვიდო დაპოლენტას შესცოდებია მთელს იტალიაში უსახლკაროდ მოხეტიალე ჰოეტი და ამ მთავარს თავშესაფარი მიუცია მისთვის.

1. დანტეს ბიოგრაფიული თარიღების მიმოხილვისას ავტორი უმთავრესად სარგებლობდა შემდეგი შრომებით: F. X. Kraus. Dante. Berlin., P. Pochhammer. Dantes Göttliche Komödie. ლაიპციგი. 1913. Eduard Schuré. Les Prophètes de la Renaissance. Paris. 1920 წ.

P. d. Nolhac. Petrarque et Humanisme. Paris 1907.



საშუალო საუკუნოს ადამიანობისა და პირადად დანტეს პიროვნების დასახასიათებლად მოვიყვან ერთ კუროზულ ფაქტს, რომელიც დადგენილია 1895 წელს გამოქვეყნებული, ვატიკანის არქივიდან ამოღებული, საბუთის მიხედვით. მილანელი ტირანი მატტეო ვისკონტი მოწადინებული იყო როგორმე იღუმალ მოეკლა პაპი იოჰან მე-XXII. ჯადოსანმა ვინმემ დომინუს სკოტუსმა მას მოართვა პაპის შიშველი ფიგურა ვეცხლისგან ნაქანდაკევი.

ამ სტატუსს შუბლზე ეწერა: Jacobus papa Johannes, ხოლო მკერდზე: Amaymon.

საშუალო საუკუნოებში სჯეროდათ, როცა რომელიმე ადამიანის ქანდაკებას მოაჯადოებდნენ და იმავე პირს გაუგზავნიდნენ, ეს უკანასკნელი უთუოდ გაითვალებოდა და მოკვდებოდა. მატტეო ვისკონტი შეუდგა ჯადოქარის ძებნას, ვინმე ბარტოლომეო მოიხმო და დიდძალი ფული დაპირდა უკეთუ იგი პაპის ქანდაკებას მოაჯადოებდა. ბარტოლომეომ უარი სთქვა, რადგან მას ეს „ხელოვნება“ არა სცოდნია. მატტეომ ვერ შესძლო ამ გზით პაპის მოკვლა და მისი ვაჟი გალუაცუო ვისკონტი შეუდგა საქმეს. ამ მიზნით მან ვინმე კანსოლატი იხმო და იმას დაავალა ქანდაკების მოჯადოება. თანაც დასძინა: ამ საქმისათვის დანტე დავიბარე, რადგან იგი ბუნებისმეტყველებისა და მრავალ იღუმალ ხელოვნებათა მცოდნეა, მაგრამ მიუხედავად იმისა რომ იგი პაპის მტერია, პაპის მოკვლაში მონაწილეობის მიღებაზე უარი სთქვაო. ამავე აქტიდან დასტურდება, რომ დანტეს, როგორც თავის დროს პეტრარკას, „ჯადოსანის“ სახელი ჰქონია გავარდნილი. საგულისხმოა ისიც, რომ თვით ტირანს ვისკონტის ეკრძალებოდა პოეტის ზნეობრივ სისპეტაკის შებღალვისა, რადგან, ცხადია, ვისკონტის იოლად შეეძლო დილეგში ჩაეგდო დანტე მარტოოდენ ამგვარი პასუხის მიცემისათვის.

დანამდვილებით არაა ცნობილი: 1316-21 წლების მანძილზე დანტე გამუდმებით რავენაში ყოფილა თუ არა. ჩეკო დ'ასკოლი, ბოლონიის უნივერსიტეტში ასტროლოგიას ასწავლიდა. მისი ნაწერებიდან მტკიცდება: დანტეს ამ ასტროლოგთან ურთიერთობა და მიწერმოწერა ჰქონია თურმე. დ'ასკოლი დიდაქტიურ ლექსში Acerba — ეკამათება და დასცინის კიდევაც დანტეს. დ'ასკოლის ჰერეტიკოსობა შესწამა შავმა სამღვდელოებამ და 1324 წელს დასწევს კიდევაც იგი.

რას აკეთებდა სამშობლოდან გაძევებული პოეტი რავენაში?

ბოკაკაჩიო და სკარტაცკინი ამტკიცებენ: დანტე რავენაში იტალიურ პოეზიას და რიტორიკას ასწავლიდაო (Lettore di retorica volgare).

რავენაში ამჟამად არსებობს კიდეც დანტეს ქუჩა — via Dante — სადაც ერთერთი სახლი მიჩნეულია დანტეს სახლად.

დადგენილია: მეუღლე გემმა დონატი ფლორენციაში დარჩენილა დანტეს გაძევების შემდეგ. ჯაკოპოს და პიეტროს მამასთან უცხოვრიათ. დანტეს ქალი ბეატრიჩე მოგვიანებით ჩასულა მამასთან და მისი სიკვდილის შემდეგ მონაზნად აღკვეცილაო, ამტკიცებს ბოკაჩიო.

დანტე გარდაცვლილა 1322 წლის ჯვართამაღლების დღეს. სიკვდილის წელი ურყევია, ხოლო გარდაცვალების დღე — აზრთა-სხვაობას იწვევს.

დანტეს ზოგიერთ თანამედროვეს გადმოცემით პოეტი ისეთის ზათქით დაუკრძალავთ, როგორც ცეზარების მეტს არვის ღირსე-ბიაო. ბოკაჩიოს თხრობით, როცა დანტე მე-56 წელში გარდა-მდგარა უმსხვერპლია კიდეც მას. იგივე ბოკაჩიო გვიამბობს: გვიდო ნოველლოს გრძელი და პათეტიური სიტყვა წარმოუთქვამსო დანტეს დაკრძალვის დღეს.

1658-76 წლებში დანტეს მავზოლეუმის რესტავრაცია მო-მხდარა.

მე-XVII საუკ. მანძილზე დანტეს სამარე თითქმის მივიწყებული იყო¹. თავის დროზე არიოსტოს, ტასოს და მაკიაველის მოუნა-ხულები იგი. ახალ საუკუნოებში ლორდ ბაირონი ჩავიდა რავენ-ნაში და თავისი ლექსების კრებული დასტოვა სამარხში. ვარიბალ-დიც ყოვილა რავენაში დანტესთვის პატივისცემის დასამოწმებლად. საქსონიის მეფე იოჰან ეახლა პოეტის ნეშოს, ამ მეფის თარგმანი კო-მედიისა (ფილალეტეს ფსევდონიმით) ჯერაც უშესანიშნავესია დანტე-ლიტერატურაში.

მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნოში დაავიწყდათ პაპებს დანტეს მიერ მიყენებული შეურაცყოფა. 1897 წელს დანტეს სამარე ინახულა პაპმა პიუს მეცხრემ.

საოცარი ბედი ეწვია დანტეს ნეშოსაც (სხვათა შორის ამ მხრითაც გვაგონებს იგი რუსთაველს).

არცერთ ევროპელ დიდ მწერალს იმდენი დევნა არ გა-ნუცდია, რამდენიც დანტემ თავის სიცოცხლეში განიცადა. — ასევე იდევნებოდა მისი ნაწერებიც. 1324 წელს პაპის კარდი-ნალ ლეგატის ბერტრან დელ პოლჯეტოს ბრძანებით დასწვეს

¹ არსებობს ფრანცისკანელი ბერების ორდენის წინამძღოლის ბრძანება: არც ერთი ბერთაგანი ახლას არ გაჰკარებოდა პოეტის საფლავს.

დანტეს პოლიტიკური ტრაქტატი „Monarchia“. ამავე კარდინალს ეწადა პოეტის ნეშთი დაეწვა, მაგრამ, ბოკაჩიოს სიტყვით, ფლორენციელის პინოდელლა ტოსკას და სხვა გონიერთა ჩარევის წყალობით პოეტის ნეშთი გადარჩენილა.

ახლა სხვაგვარი საფრთხე მოელოდა პოეტის დანაცრებულ — ძვლებს. როცა „დივინა კომედია“ გამოქვეყნდა და ფლორენციელებმა გაიგეს თუ ვინ გაუძევებიათ სამშობლოდან, როგორც „მავნე და ყა-ჩალი“, ქალაქი ფლორენცია საგონებელში ჩავარდა. ამიტომაც მე-XIV საუკ. ვიდრე მე-XIX-მდის იგი ედავებოდა რავენას დანტეს ნეშთის გამო.

მთელი საუკუნოს განმავლობაში გრძელდებოდა მიწერ-მოწერა, ბოლოს მე-XVI საუკ. პაპა ლეო მე-X ჩაერია საქმეში და ფლორენ-ციელებს ნება დართო დანტეს ცხედარი ფლორენციაში გადმოესვენ-ნებინათ. გახსნეს სამარხი და დაფნის გვირგვინების მეტი ვერაფერი ნახეს. არც სამარეში მოასვენა პოეტი ბედისწერამ. დაიწყო რავენა-შივე დანტეს ნეშთის ძებნა. 1865 წელს დანტეს სარკოფაგის მახლობ-ლად გათხრა მოახდინეს და იპოვნეს ხის კუბო და წარწერა: Dantis Ossa Anno 1677, VII octobris (დანტეს ნეშთი. 1677 წ. 7, X).

მეცნიერი ანატომები გამოკვლევას შეუდგნენ ქვემო ყბა და კბილები 760 გრამი აღმოჩნდა. თავის ქალა მიცვალებული პოეტის ნიღაბს შეადარეს (ერთ-ერთმა მეცნიერმა იქვი გამოსთქვა: ვაჟ თუ დანტეს თავის ქალა არ იყოსო).

შესაძლოა დანტეს ნეშთი დაკარგული იყოს კიდეც, მაგრამ კაცობრიობა აროდეს დაჰკარგავს მის უტკნობ ქმნილებას და პოეტის ქმნილება ყოველთვის უფრო შეუმუსგრელია, ვიდრე ძვლები.

IV. დანტე და რენესანსი

რა არის რენესანსი? პირველადი მისი მნიშვნელობა: ხელახლად-შობაა. რენესანსის პრობლემა თანაბარის გულმოდგინებით აქვთ და-მუშავებული როგორც თავად იტალიელებს, ისე ფრანგებს, გერმა-ნელებსა და ინგლისელებს. ეს სიტყვა თავად, მე ვიტყოდი, ეს ცნე-ბაც, ფრანგული წარმოშობისაა. ჟულ მიშლე (Jules Michelet,) ასხენებს მას პირველად თავის ისტორიაში¹.

მიშლე განმარტავს რენესანსს, როგორც La renovation des études de l'antiquité. — განახლება სიძველეთა (ანტიურობის) შესწავლისა

¹ Jules Michelet. Histoire de France au sizième siècle. Renaissance. VII.

ან la decouverte du monde, la decouverte de l'homme. (აღმოჩენა ქვეყნისა, აღმოჩენა ადამიანისა). არსებითად „რენესანსის“ აღმომჩენლად ისტორიულ ლიტერატურაში გერმანელი ისტორიკოსი იაკობ ბურკჰარტი ითვლება. თუმცა ბურკჰარტის კონცეპციები ნაწილობრივად გადალახეს ახალმა რენესანსისტებმა, ბურდახმა, ნოიმანმა, გოცცმა, ბრანდიმ, ფესტერმა, ჰერმელინგმა და სხვ.

მიზღეს განმარტებით რენესანსის დროის ადამიანმა თავი თვისი იპოვნა *L'homme s'y est retrouvé lui-meme*. მიზღემდის, სხვათა შორის, მონტესკიოც ახსენებს: *renaissance de notre droit français*¹.

მიზღეზე ადრე სულ სხვა მნიშვნელობით იტალიელი ხელოვნებათა ისტორიკოსი ვასარი ახსენებს *rinascita*². აქ გულისხმობს იგი ჯიოტოს მიერ მე-XIII საუკ. ბერძნული სულის შემოტანას ხელოვნებაში. ცნობილია: ჯიოტომ მკვდარი ბიზანტიური სიმშრალე და დოგმატიურობა უკუაგდო და სისადავესა და ბუნებრივობაში გაეჯიბრა ბერძენ ოსტატებს. მიუხედავად ამისა, ევროპელი რენესანსისტები ამ მოძრაობაში სპეციფიურ იტალიურ მოძრაობას როდი გულისხმობენ, არამედ ზოგად ევროპულ კულტურულ მოძრაობას.

ევროპელი ისტორიკოსები ნაკლებად იცნობენ ევროპის გარეშე მდებარე ქვეყნების ხელოვნებათა ისტორიას, თორემ ისინი უთუოდ უფრო გააფართოვებდნენ რენესანსის მოძრაობის სარბიელს, ვინაიდან რენესანსი მარტოოდნენ ხმელთაშუა ზღვის კულტურების ნიშანდობლივი მოძრაობა როდი იყო, არამედ შავი ზღვის კიდევების ქრისტიანული კულტურებისა (თუნდაც სომხეთისა და საქართველოს ძველი პოეზია და საეკლესიო მხატვრობაც იკმარებდა ამის ნათელსაყოფად).

რენესანსის მოძრაობას ანტიური პოეზიისა, ხელოვნებათა და ფილოსოფიის აღორძინების გარდა შემდეგი მომენტებიც ახასიათებს: პიროვნების გააზრებისაკენ ლტოლვა, პიროვნულ გრძნობების კულტი, ქალის კულტი, ბუნებრივობისაკენ გეზის მიმართვა მწერლის თუ მხატვრის მანერაში.

„რინასჩიმენტო“ მაკიაველმაც იხმარა რომის პოლიტიკური ძლიერების აღორძინების გამოსახატავად.

ადრერენესანსის იტალიელ მისტიკოსთა შორის ბონავენტურა ითვლება მისტიური რენესანსის აღორძინების მახარობლად.

¹ „ჩვენი, ფრანგული უფლების ხელახლად შობა.“

² „ხელახლად შობა“.

თომას და ჩელანო (Thomas da Celano) მრავალგზის ახსენებს „renovare, restavrare, reformare“-ს¹.

ჯაკოპონო და ტოდი რეფორმირებულ, აღორძინებულ ეკლესიას და სულობას უმღერის.

ქრისტიანული დოგმატიურობა დეგრადაციის გზას ადგა, მისტიკოსები, რელიგიური რეფორმატორები ამ ეკლესიას აღორძინებისაკენ მოუწოდებდნენ. ხელოვნებაში ჯიოტო ჰქადაგებდა ანტიური სულობის, ანტიური ხელოვნების, ბუნებრივობის. მობრუნებას, „აღორძინებას, რენესანსს“².

* * *

პოეზიაში დანტე ითვლება ადრე რენესანსის უდიდეს აღამდარად. მე-XII საუკ. იტალიურ პოეზიაში გაბატონებული იყო ლათინური ფორმა პოეტური მეტყველებისა, მეტწილად მკვდარი კლასიკური ჰექზამეტრებისა და პენტამეტრების სახით. ასეთივე ბრმა მიბაძვით ილექებოდა ძველ რომაული მითოლოგიიდან აღებული საუქეტები³.

შიწიერობის სურნელებით გაჟღერებული დანტეს „Vita nuova“-ში გამჟღავნებული ვნებიანი სიყვარული ახალი ადამიანობისა, ახალი მიწიერებისა. თავის კანცონების კრებულში იგი ბონავენტურას და სუსსონებური პათეთიზმით მოუწოდებს. *Incipit vita nuova*. დანტემდისაც სწერდნენ იტალიურ პროზას *dodici conti morali* (12 მორალური მოთხრობანი)⁴, ადრევე იტალიურად ითარგმნა მრავალი ლიტერატურული ავტორი და *Tresor*, ეზოპის არაკები. დამოუკიდებელ პროზაიკოსებში საყურადღებოა გვიტონო დ'არეცო, რომელიც ხშირად პროზაული თხრობის დარბაისლობას ურითმო შაირის ტემპით ამძაფრებდა. მე-XIII საუკუნის ნახევარში ბონავენტურა თავის სიქველეთა სწავლას (*Introduzione alle Virtú*) პროზაულ, მოგზაურულ მემუარების სახით აქვეყნებს. იწყება იტალიური ნოველისტიკაც. იწერება ტოსკანური „ოცი რაინდის მოთხრობა“.

შუა იტალიაში (1255—300 წ.) არსდებდა *dolce still nuovo* — ახალი ტკბილი სტილის პოეტური სკოლა, გვიდო კავალკანტის

¹ განახლება, აღდგენა, გადაკეთება, აღორძინება.

² შეიქ. Konrad Burdach, *Reformation, Renaissance, Humanismus*. Berlin. Paetel. 1918.

³ შეიქ. იაკობ ბურკჰარტი *Die Kultur d. Renaissance in Italien I*, ტ. 83-150—161.

⁴ შეიქ. Dr. Karl Vossler. *italienische Literaturgeschichte* Sam. Göschen.

შეთაურობით. კავალკანტი ითვლება საკრალური ეროტიკის პირველ მგონად. ქვემო იტალიაში ამ მოძრაობას მიეკედლა რამოდენიმე პოეტი.

იოაკიმ დელ ფიორეს, ფრანჩესკო დ' ასიზის და ბონავენტურა-სთან ერთად დანტე დარწმუნებულია, რომ ადამიანური სულობის განახლება, აღორძინება არ დაიგვიანებს. როგორც კომედიის სამივე წიგნში, ისე პროზაულ „Vita nuova“-ში დანტე ჰქადაგებს reformatio interioris hominis — (ადამიანის შინაგან ბუნების რეფორმაციას) და ამასთან ერთად ეკლესიის რეფორმაციას, და ამას მოახდენს მისი აზრით „პაპი ანგელოსი“ (papa angelicus), ზოგიერთ კომენტატორს სწორედ ამ „ანგელოს პაპის“ სახით ნაგულისხმევი აქვს „ჯოჯობე-თის“ მწვეარი — Veltro. (იხ. ჯ. ქება I). დანტეს კომედია უსასტი-კესი კრიტიკაა დანტეს თანადროული იტალიის პოლიტიკური ვითარებისა. იგი ამავე დროს ერთგვარი ესქატოლოგიური წინასწარჭვრეტაა ზოგად ადამიანური ბედისა, კაცობრიობის მომავლისა და საყუ-ტაა ზოგად ადამიანური ბედისა, კაცობრიობის მომავლისა და საყუ-ტადღებოა, რომ თანამედროვე რადიკალურად მოაზროვნე მწერლები დანტეს „მწვეარში“ ხედავენ რევოლუციურ სულობას, სოციალურ რევოლუციას¹ და სხვ. დანტე ყველაზე უკეთ განმარტავს თავისი კომედიის იდუმალ ტენდენციას: Finis totius est partis est, remove-re viventes in hac vita de statu miseriae et parducere ad statum felicitatis² (ქართულად: „როგორც მთელი (კომედის) ისე ნაწილის უმთავრესი მიზანი ეს არის: ცოცხალნი ამ ცხოვრების უბადრუკო-ბის წიაღიდან გამოიყვანოს და ბედნიერ ყოფას აზიაროს...“)

როგორც დანტეს, ისე მთლიანად აღრეგრენესანის შთაგონე-ბის წყარო უნდა ვეძიოთ არა მარტო აპოკალიპსში და იტალიურ მის-ტიკაში, არამედ წარპართულმა რომაულმა და არაბულმა მისტიკამ და ფილოსოფიამ დიდი წილი დაიდევს ამ შემთხვევაში.

უმთავრესი შთაგონების წყარო იყო ოვიდის „მეტამორფოზები“. ოვიდი ძველი რომის რუსსო იყო; იგი მოუწოდებდა ადამი-ანობას მიწიერებისაკენ დაბრუნებას, ჰიმნებს უგალობდა მიწის მარად-ჟამულ ნაყოფიერებას, ერთგვარ რეზინიაციას, ბედთან შერიგებას უქ დაგებდა ადამიანის მოქანცულ სულს, „ოქროს საუკუნის“ უკუ-მოქცევის სასოებას უმღეროდა.

მსოფლიო ისტორიაში ახალი და ახალი ეპის მოქცევის სიმ-ბოლოდ არჩეული ჰყავდა ოვიდიუსს ფენიქსი, რომელიც ყოველ

1. შეად. Haroux. დანტე როგორც სოციალისტი, რევოლუციონერი. იხ. 1 ქე-ბის შენიშვნებში.

2. დანტეს ოქსფორდელი გამოცემა. Ep. 10. 14 83. 417.

ხუთას წელს ხელმეორედ უნდა შობილიყო. ეს მარადჟამული განახლების (რინასჩიმენტოს) იდეა დაკავშირებული იყო ბარბაროსებისა-გან მრავალგზის შემუსრულ რომის განახლებასა და აღორძინებასთან.

ტროა, სპარტა, მიქენა, თებე¹ შეიმუსრა, მაგრამ მარადჟამული რომა (eterna Roma) მუდამ იქნებაო. იულიუს ცეზარი ჰყავდა რომაულ პოეზიას განმაახლებელისა და აღმაშენებელის სინონიმად წარმოდგენილი.

პლინიუსი გვარწმუნებს: ერთგვარი ნაყოფიერი პალმის ჯიში არსებობს syagri, რომელიც ფენიქსის სახელს ატარებსო. ამ ჯიშის პალ-მასთან ერთად მომკვდარა ფენიქსი და ხელახლად შობილაო (Cum phoenice ave putatur intermori ac renasceit ipsa). ეს ხე, რომელიც დანტეს ვიზიონერულ ხილვაშია ც ფენიქსისებურად აღორძინდება, სამოთხის ხეა.

„სალხინებელის“ Dux — დუქს, იგივე კვლავ აღორძინებული მესსიაა.

როგორც იტალიელი პოლიტიკური მოღვაწეები, ისე პოეტე-ბიც აღრეგრენესანისა და რენესანსისა სწორედ ამ ხელახლად აღორძინებულ ახალ რომის იმპერიას Imperium Romanum-ს უმღე-როდენ. დანტე, კოლა დე რიენცო, პეტრარკა, ბოკაჩიო და სხვ.

ადამიანობის განახლების, აღორძინების, უდიდესი ქადაგია დანტე.

Rifratto si comme piante novelle

Rinovellate die novella fronda

Puro e dispasso a Salire alle Stelle.

„წმინდა ტალიდან გამოსული, ხელახლადქმნილი,

როგორც ყვავილი ზეცის ცრემლით პირგაბანილი

შევტრფი შეფრთხინვით, მსურს ვეწიო ზეცის ვარსკვლავებს“.

(„სალხინებელი“, ჩემივე თარგმანი, ქ. 153 — 145).

V. დანტე და რუსთაველი

ამ პატარა გამოკვლევაში მე ვცდილობდი პარალელი გამეტა-რებინა რუსთაველისა და დანტეს შორის. ვგონებ ეს არ უნდა ეუს-ხოვოს მკითხველს, რადგან თვით რუსთაველის ეპოქა, მისი პიროვ-ნება და შემოქმედება იძლევა საამისო საბაბს. გარდა ამისა, რუს-თაველი ჯერაც არ გვყავს მსოფლიო პოეზიის მასშტაბით გაშუქე-ბული.

1. იგულისხმება ეგვიპტის ქალაქი თებე ან თებაა.

თავდაპირველად, ფორმის მხრივ, რუსთაველი პირველი პოეტია საშუალო საუკუნის ქრისტიანულ ქვეყნებში, რომელმაც ხალხური, სადა და არა სუპერპათეთიური ტონი აირჩია მეტყველებისა.

როგორც სხვა მრავალი პრობლემა ქართულ პოეზიასთან დაკავშირებული, ქართული ლექსის ისტორიაც საესებით გამოურკვეველია. მიუხედავად ამისა, ჩვენთვის ცხადი უნდა იყოს, რომ რუსთაველის შაირის ტიპი ქართული ხალხური პოეზიიდანაა აღებული (ფორმის მხრივ). დანტეს ამ ხალხურის „ვოლგარეს“ აპოლოგეტი (ფორმის მხრივ). დანტეს ამ ხალხურის „ვოლგარეს“ აპოლოგეტი იყო. ცხადია რომაულ და ბერძნულ ჰეჰამეტრების გატონობის ეპოქაში ეს დიდ ნოვატორობად ჩათვლებოდა.


ასე რომ, ქრისტიანულ კულტურების ნაშიერ დიდ პოეტთა შორის რუსთაველი პირველია, რომელმაც ულტრაპათეთიურ ფორმის ნაცვლად გამარტივებული ფორმა იხმარა პოეზიაში. ჰყავდა თუ არა მას წინამორბედი, ან ქართული ბოლორიტმოვანი შაირი რუსთაველამდის თუ არსებობდა? ეს ყოველივე ჯერ მრავალგზის შესწავლას მოითხოვს. თავისთავად ცხადია, ერთი ადამიანის, თუნდაც გენიალურ პოეტის ხელითაც, ქართული პოეტური მეტყველება ასეთ დიდ ნახტომს ვერ შესძლებდა.

უმთავრესი, რაც დანტეს „ცოჯოხეთს“ და „ვეფხის ტყაოსანს“ აკავშირებს ეს არის „ჯოჯოხეთის“ მაგისტრალური იდეა¹. სახელდობრ ცოცხალი ადამიანის ჯოჯოხეთად, ქვეყნულად შთასვლა. იგი როგორც ვიციტ მარტოოდენ ქრისტიანული კონცეპცია არაა. ეს იდეა უძველეს სარჩულად ლურსმულ წარწერებიდან ამოწმებული აღმოსავლურ ეპოსს გილგამეშიანას. უფრო გვიან ცნობილია ბიბლიური მითი ქრისტეს ჯოჯოხეთად შთასვლისა, შემდეგ ჰომეროსის ოდისეუსის ჰადესად ჩასვლა. უფრო გვიან ენეას ჩადის ჩრდილების სამყაროში.

გილგამეში ქვეყნულს მიემგზავრება მეგობრის თვისის ენკიდუსს საქებნელად. დანტე თავად ბეატრიჩეს სულს ეძებს ქვედასამყაროში. ოდისეუსს და მისი მხლებელნი (იხ. ქება მეთერთმეტე) გემით მიემგზავრებიან.

„ასე მივალწიეთ ბოლოს ოკეანის შორეულ ძვიდეს,
აქაა ქვეყანა ქალაქი კიმერიელ ვაკეცთა მყარი,
ესენი ამგვარად დადიან მოცულნი ნისლით და ღამით,

1. ეს ნარკვევი დასრულებული მქონდა, როცა შემთხვევით ხელში ჩამივარდა ზ. ავალიშვილის „ვეფხის ტყაოსანის საკითხები“. პარიზი, 1931. ავტორი ასტროლოგიურ პარალელებს ატარებს დანტეს კომედიასა და ვეფხის ტყაოსანს შორის.



აროდეს უცქერის მათ ჰელიოსის ნათელი თვალი.

ამრიგად მარადი ღამე გარს არტყია ამ ბედშავ ხალხს.

მყისვე შემოკრბნენ გარშემო, ერებოსით მოსულნი სულნი¹.
ვინ იყო ერებოსი (Erebus, Erebos)? ღმერთი სიბნელისა, ქაოსის ძე და ძმაჲ ღამისა (შეად. Heyses Fremdwörterbuch.)
დანტეს ოსტატი თვისი ვირგილიუსი თან ახლავს. ოდისეუსს.
მეზღვაურნი.

ხოლო ტარიელი მეგობრების თვისის ფრიდონისა და ავთან-
დილის თანხლებით მიემგზავრება ქაჯეთს.

ჩვენ ვიცით, რომ ყველა, რუსთაველის მიერ ხსენებული ქვეყანა
ცნობილია. ხატაეთი ფირდოუსსაც ჰქონია ნახმარი. რა უნდა იყოს
ქაჯეთი?

საბა ორბელიანი სიტყვა „ქაჯს“ ასე განმარტავს: „ქაჯი მაც-
დურ რასმეს იტყვიან, საეშმაკოთა, ჰინკათა, ალთა, კორვიანტთა და
ირონთა“ (იხ. საბა ორბელიანი).

ქართულ ხალხურ პოეზიაში ყოველგან ეშმაკის ბადალადაა ქა-
ჯი მიჩნეული.

„ჯაჭვი რა უყავ თორღვაო,
ქაჯების ნაჩუქარიო?“².

იქვე, ხალხურ „ვეფხისტყაოსანში“:

„გითხრა ჩემი სიცრუეჲ
არ მოგცემდი მაგარ ცხენსა,
მაგარ ცხენსა მათეულსა
ქაჯნი ვერ მოასწვრენ კარსა“.

„გიორგი კაკმატის ჯვარი ქაჯებს აქვს აკიდებული
„ქაჯუეთს რად იარები, გიორგიე ქარის ფერაო?“

(აკაკი შანიძე—ქართ. ხალხური პოეზია. ხევსურული I. გვ. 228).

„თამარ დედოფალი ვიყავ
სახელი დიდი გავიგდე,
ზღვაში ჩავეარე სამნები
კმელეთი ხელში ჩავიგდე,

1. თარგმანი ჩემია.

2. იხ. ვ. კოტეტიშვილის მიერ შედგენილი „ქართული პოეტური ფოლკლო-
რი“ წ. I. ავტორის თავაზიანი ნებართვით უკანასკნელ კორექტურიდან ამოვიწერე
ეს ადგილები.

ხეზ-
აქი-
ი(ც.)
ინდ

ანი
თ,
ად
უს

5
”

ქაჯებსა დავედრე იჯარა
 ისპანს ხარჯიც ავიღე,
 იმდენი საქმის მომქმედმა
 ცხრა ადლი ტილო წავიღე“
 (ქართლშია ჩანაწერი).

ასევე ესმით ქაჯი საქართველოს დანარჩენ პროვინციებშიაც. (შეად. ნ. ჯანაშია. „აბზახთა კულტი და ყოფა“. ქობალა: „მიათური კოლხიდა“).

ქართველი ხალხის კოსმოსოფიაში ქაჯი მიჩენილია. გერმანული D. Teufel-ის, ფრ. Le diable-ის, ინგლის. the devil-ის ბადალად. ფშურ თქმულებაში ყამარის მამა „ქაჯბ ბატონად“ ითვლებოდა. მას ჰყავდა ძლიერი ზეცური მხედრობა „ქაჯ-ეშმაკებისაგან“ შემდგარი¹.

ევროპულ ენებში ქაჯის, ეშმაკის შესატყვისი ლათინურ diabolus-იდანაა გადასული. „დიაბოლუს“, „დიაბოლო“ — d. Teufel-Diablerie — Teufel, auch Hexerei. (იხ. Heyses Fremdwörterbuch. ეშმაკი, ჰინკა. ეშმა ზოროასტრის რელიგიაში მრისხანების და შურისგების სულია.

ფრანგული diable, demon, esprit malin — „დემონი, ბოროტი სული“ (იხ. ფრანგ. ენციკლოპ. ლარუსს.)

დასავლეთის ცრუმორწმუნე ქრისტიანობას ეშმაკი შავად ჰქონდა წარმოდგენილი. შავად ხატავდა მას როგორც საშუალო საუკუნოს საეკლესიო მხატვრობა, ისე დემონოლოგია (შეად. დანტეს და ვირგილუსის შეხვედრა ეშმაკებთან.)

ახლა ვიკითხოთ ეშმაკეული ხორციელად, ჰყავდა წარმოდგენილი დემონოლოგიის თუ არა.

პაპმა გრეგორ მე-IX საგანგებო ბულა (Bulle Vux) გამოაქვეყნა 1233 წ. ამ ბულაში სიკვდილით ემუქრება პაპი იმათ, ვინც „გომბეშოებისა და კატების სახით არსებულ, თონეს ოდენა ეშმაკებთან სქესობრივ კავშირს დაიჭერს“².

დემონოლოგიის სახარებაში Malleus maleficarum-ში ამ დემონებს ორ კატეგორიად ჰყოფენ: incubi და succubi — (ზედმწოლნი და ქვემწოლნი).

¹ იხ. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია I. გვ. 144. სხვათა შორის „ქაჯი“ — სომხებსაც ისევე აქვთ წარმოდგენილი როგორც ეშმაკი.

² შეად. M. Kemmerich. Die geschichte d. menschlichen Dummheit. მუხნ-ხენი 1920 წ.

ვეფხის ტყაოსანში ნესტანი სწერს ფატმანს ქაჯების შესახებ: „თუმცა თუ ფერად ბედისა ჩემისა მზგავსად შევინა“¹. (იხ. კ. ტიქინაძის მიერ გამოცემული „ვეფხის ტყაოსანი“. ფედერაციის გამოც.) ტაეპი 154—1339) იქვე: „რა ქაჯეთს შეკდა ქმნილ იყო ოდენ ბინდ ბანდი ბნელისა“.

იქვე:

ფატმან თქვა: ღმერთსა დიდება საქმენი მომხვდეს მორანი, ღლეს რომე მესმნეს ამბავენი, უკვდავებისა სწორანი. მოგვარა მონა გრძნეული, შავი მართ ვითა ყორანი, უბძანა: „ქაჯეთს გაგზავნი, წა გზანი გისხენ შორანი“.

საყურადღებოა, რომ ქაჯეთს გასაგზავნ შიკრიკად ფატმანი გრძნეულ მონას ირჩევს, ისიც შავს.

კიდევ ერთი მომენტი აქ საგულისხმო. გილგამეშ რბენით, ჩადის ქვესკნელს, დანტე ძილ ფხიზლობის დროს („ანაზდეულად გამოფხიზლდი გზადაკარგული“ — „ჯოჯობეთი“ 1 ქება.), ოდისეუს გემით, ხოლო ფატმანის შიკრიკი ფრენით.

„ფატმან მისცა დაწერილი მას გრძნეულსა ხელოვანსა,
 „ესე წიგნი მთართვიო ქალსა მზისა დასავანსა,
 „მან გრძნეულმან მოლი რამე წამოისხა ზემო ტანსა,
 „მასვე წამსა დაიკარგა, გადაფრინდა ბანის ბანსა.

(ტ. 1339.)

ფატმანს განაგონი აქვს, რომ „ქაჯნი ყველა უხორცოა, რამან შექმნა ხორციელად?“ (ტ. 1308) და იქვე: „მაგრამ ქაჯნი უხორცონი რას აქნევენ მიკვირს ქალსა?“.

ფრიად საყურადღებოა რუსთველისავე ინტერპრეტაცია ქაჯის რაობისა. ეს განმარტება სავსებით ემთხვევა ქართულ ფოლკლორის ქაჯობის ცნებას.

„ყოველთა კაცთა მავნენი, იგი არვისგან ვნებულნი“.

იქვე:

„ქართა აღძვრენ საშინელთა, ნავს ზღვა ზღუა დაამზობენ,
 „ვითა კმელსა გაირბენენ, წყალსა წმინდად დააშრობენ,
 „სწადდეს ღლესა ბნელად იქმნენ, სწადდეს ბნელსა ანათობენ“

(ტ. 1311)

როგორც ენკიდუ, ისე ოდისეუს, ფატმანის შიკრიკი სულეთს წასულნი „იკარგებიან“, ე. ი. ხილული სამყაროს მიჯნას გადავლიან

¹ დანტე: „ისე შეგბრუნდი, შეგტრიალდი და დაეინახე, როგორ ამოძვრა, კლდის ქონგურზე ეშმაკი შავი“. „ჯოჯობეთი“ XXI. ლ. 30—31.

როგორც დანტე იტყვის: „რომლის ბადალი კაცს ხორციელს არ გადულახავს“.

დანტე როგორც ქრისტიანი პოეტი, ქრისტიანული მისტიური გარინდების ეპოს გადადის სულეთში. „გამოფხიზლებამდის“ არამც და არამც ფიზიკური ძილი არ უნდა წარმოვიდგინოთ.

თავად ბერძნული Mystikus — ნიშნავს იდეალს. მაჟესის — Myesis — ლათ. თვალის მოხუჭვას ნიშნავს¹.

რუსთაველი მოუღალავი წარმართი გენიაა, მისთვის უცხოა დანტესებური მისტიური გარინდება და მაჟესის. მისი გმირები იარაღის ძალით გადალახავენ ხილულობის, ხმელის სამანს და იარაღითავე იკაფავენ გზას ქაჯეთს მიმავალს. ეს ალბად მაჰმადიანური რაინდობის კულტის ზედგავლენაა.

ზემოდ ნათქვამისაგან ცხადია, რომ რუსთაველის დიალოგში ხსენებული უხორცობა ქაჯებისა აქ მოსატანი არაა, რადგან თავად ის ფაქტი, რომ ნესტანს როსანის საცოლედ ინახავენ საეგვიპტო არამოწმებს ქაჯების ადამიანობას. ქაჯებს, როგორც ქრისტიანულ დემონებს და „დიაბლებს“ ხორციელობის, სქესობრივობის ატრიბუტებსაც მიაწერდა, როგორც დემონოლოგია, ისე საშუალო საუკუნის პოეზია.

სამწუხაროდ ჩვენ არ ვიცით რა იდეური ფლუიდების ზედგავლენით შეუდგენია თავისი კონცეპცია რუსთაველს ამ შემთხვევაში, მაგრამ ცხადია, როგორც დანტეს პოემაში, ისე „ვეფხისტყაოსანშიც“, ქვესკენლად შთასვლის იდეაა მოცემული².

თამამ გამოთქმებითაც ძლიერ ჰგვანან ურთიერთს დანტე და რუსთაველი. ცნობილია, რუსთაველის „შე ბოზო, ბოზო დიაცო“.

„პირბოზო, ჩემი მორეენა რა დია დაგიქადნია“ (ტ. 1681. კ. ჭიჭინაძის გამოც.). ასეთივე ეპიტეტით იხსენიებს დანტე ლუციფერს (ქ. 24). მრავალგზის ახსენებს მამაკაცის სარცხვინელს და „საკუარს“ საესებით მოურიდებლად.

1. შეა. „Schulz. Deutsche Mystiker“ K. Wolf Verl. Leipzig. აგრეთვე Heyses Fremdwörterbuch და რუდოლფ აისლერის Handwörterbuch der Philosophie. ბერლინი, 1913 წ.

2. სხვა დროს და სხვა გარემოში მე ვეცდები უფრო დეტალურად შევეხო ამ საკითხს და საერთოდ „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ ლაიტმოტივების ანალოგიები მოვსძებნო როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის პოეზიაში. მე აქ მხედველობაში მაქვს: მაჰაბარათას ეპიკა, გილგამეშისა, ჰომერო, პლატონის სწავლა, ნეობლატონიზმი და ადრე რენესანსის მისტიკა და არაბული ფილოსოფია.



საერთოდ საშუალო საუკუნის პოეტებსაც ისევე უყვარდათ უბოდიშო და მძაფრი გამოთქმები, როგორც იმ დროინდელ თავაშეებულსა და გაზულუქებულ ფეოდალებს. შექსპირიცა და გოეტეც არ ღალატობენ ამ ფეოდალურ ტრადიციებს.

VI. ძმნილზანი

S. Canzoniere

რენესანსის დროს პოეტები თავად შეარჩევდნენ ხოლმე თავიანთ ლექსების კრებულებს. ასე მაგალითად პეტრარკა. დანტეს პირადი ცხოვრება იმნაირ არეულ დროს მოხვდა, რომ ასეთ რაიმესათვის პოეტს არ მოუცლია. არსებობს მისი სიჭაბუკის ლექსების კრებული, პოეტის სიკვდილის შემდეგ მოგროვილი, „კანცონიერედ“ წოდებული. ამ ლექსებში ზოგიერთს ყალბისმქნელებს მიაწერენ ხოლმე.

ბიოგრაფების სიტყვით დანტეს ადრიან სიურმეში დაუწყია ლექსების წერა, მაგრამ სახელდობრ რომელ წელს, ცნობილი არაა. ამ კრებულში იგულისხმება 20 კანცონი, 3 სესტინი, 10 ბალადა, 44 სონეტი და 1 სტანცი.

აუტობიოგრაფიულ შრომაში „Vita nuova“ („ახალი ცხოვრება“) დანტე თავად აღვიარებს, რომ მან შემოიღო იტალიურ პოეზიაში „dolce stil nuovo“ („ახალი, ტკბილი სტილი“). ცხადია, იტალიური პოეზია დანტემდისაც არსებობდა. რუსთაველის არ იყოს, ყოვლად წარმოუდგენელია ენას ერთი ადამიანის თაოსნობით ისეთ განსაცვიფრებელ მიჯნებამდის მიეღწია, როგორსაც იტალიურმა პოეზიამ დანტეს სახით.

უცხო ზედგავლენათა შორის საგულისხმოა უწინარეს ყოვლისა ძველი რომაული კლასიკური პოეზია, მეტწილად ვირგილიუსი. როგორც რენესანსის, ისე აღრერენესანსის პოეზია ევროპის დასავლეთში ძველი ფრანგული და პროვანსალური პოეზიის ზედგავლენის ქვეშ იმყოფებოდა. მე-XII საუკ. იტალიის მეფეების და ბარონების კარზე ხშირად სცხოვრობდნენ პროვანსელი ტრუბადურები. მე-XIII საუკუნოში იტალიაში იწყება დიდი მოძრაობა თავად იტალიურის ე. წ. Volgare — ხალხურის სასარგებლოდ.

სწორედ ამ „ვოლგარეზე“ მეტყველი იტალიელი ტრუბადურებიც გამოჩნდნენ, ისინი თავდაპირველად ფრანგ ტრუბადურებს ჰბაძავდნენ (რამბერტინო ბუვალელო, ალბერტო მალასპინა, სორდელო და მანტუა და სხვ.). აქვე უნდა ვახსენოთ ფრანჩესკო დ'ასიზის „ფიორეტი“. ფრანჩესკო დ'ასიზი უბრწყინვალესი პიროვნებაა და

ექსტატიური პათოსით შეპყრობილი ადამიანი, მას ფრიად დიდი ზედ-გავლენა ჰქონდა, როგორც ადრე რენესანსის, ისე გვიანი რენესანსის პოეზიაზედაც¹. ეს არის მხოლოდ, მას პოეზიისათვის არ შეუწირავს თავი დანტეს და პეტრარკას დაზად, რელიგიით გატაცებულმა დამონაზმა და ქადაგმა პოეტი მოჰკლა მასში. იტალიურ პოეზიაში დანტეს წინ უძღოდენ ჯიაკომო და ვერონა, ფრა ჯიაკომონე და ტოლი, ტომაზო და ჩელანო. როგორც ვიცით, ფრიდრიჰ მე-II და მისი ვაჟი მანფერდო მფარველობას უწევდნენ მოშაირე რაინდებს, როგორც პროვანსელ, ისე იტალიელ კარის პოეტებს. მთელს ევროპაში კარის პოეტები თავს აფარებდნენ მხოლოდ და მხოლოდ მეფეების და ჰერცოგების სასახლეებს, ამ მხრით თავად სისხლისმსმელ ატილასაც პოეზია ჰყვარებია. გადმოცემა გვიამბობს, რომ იგი გერმანელ გმირული ეპოსის პოეტებს მფარველობას უწევდა და თავის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ, ისიც ლექსის გაგონებაზე დასცდენია გულწრფელი ცრემლი².

ასე დახეტილობდნენ ტრუბადურები მთელს ევროპაში ისლანდიდან დაწყებული ვიდრე სიცილიის ნაპირებამდის. ფრანგული ტრუბადურული პოეზიის ზედგავლენით წარმოიშვა როგორც გერმანული, ისე იტალიურიც. მალე ფრანგი კარისპოეტები თავიანთ პოზიციებს ჰკარგავენ უცხოეთში, რადგან თავად რენესანსი, როგორც შემდეგ დავინახავთ, არ იყო მარტოოდენ არტისტიული ე. ი. ხელოვნებითი მოძრაობა, არამედ ამავე დროც პოლიტიკური საპირვე ჰქონდა მას. სწორედ რენესანსის კვირბაღში იწყებოდა ნაციონალურ კულტურათა ზოგან გამოცოცხლება, ზოგანაც აღმოცენება. და ის ინდივიდუაცია ცალკეულ ერებისა, რომლის პროცესი ჯერაც არ არის სავესებით მოთავეებული ევროპაში, სწორედ რენესანსის — აღორძინების ეპოქაშია დაწყებული. ესლა ვიკითხოთ, რა უშლიდა ხელს ევროპის ერების ნაციონალურ განახლებას? პაპის კურია, რომელიც იმთავიდანვე ლათინურ კულტურას, ლათინურ ენას ემყარებოდა, იგივე პაპიზმი უდავო უპირატესობას ანიჭებდა ლათინურ ენას. უახლესი ენათმეცნიერული კვლევანი დაბეჯითებით გვარწმუნებენ, რომ ეს „ვოლგარე“ — ხალხური, ამ შემთხვევაში იტალიური, არც ისე ახალი ენაა. იგი ლათინური ენის ჩრდელში იზრდებოდა. ლათინური, ეს უაღრესად ძლიერი, დახვეწილი, ჩამოკვეთილი და ჩამოყალიბებული ენა, რომელიც როგორც პაპის კურიას, ისე საიმპერიო კანცელარიას

¹ შეად. Die Mystische Hochzeit d. h. Franziskus et von Hementy. ბერლინი, 1920 წ.

² შეად. Handbuch d. Litteratur Wissenschaft ნაკვეთი: Die Altgermanische Dichtung V. A. Häusler.

სახელმწიფო ენად ჰქონდა გამოცხადებული, გასაქანს არ აძლევდა იტალიურს. მასთან შედარებით იტალიური ითვლებოდა „გლესურ“, „რუსტიკანულ“ ენად.

ჰოპენშტაუფენების პალერმოელ კარის პოეტებში სიცილიელებიც ერიენ. ესენი სწორედ ამ „ვოლგარეზე“ სწერდნენ, მაგრამ მათ შემოქმედებას უსუსური ეპიგონობის დამლა აროდეს მოსცილებია¹. (მაგ. გვიტონე დ, არეცო, დანტე და მაჯიანო და სხვ.).

დანტე „სალხინებელში“ იხსენიებს ბოლონიელ პოეტს გვიდო გვინიჩელის. სწორედ ამ გვინიჩელის დიდი ზედგავლენა მოუხდენია დანტეზე. იგი ჩაითვლება ამ ახალი და ტკბილი სტილის წინაპრად. ცნობილია, იტალიურში, ისევე როგორც ქართულში, მრავალი ენაკავი არსებობს. მე-XIII სსსკუნ. ტოსკანური დიალექტი იმარჯვებს, რადგან სწორედ ამ დიალექტზე დაიწეს წერა დანტემ და მისმა წინამორბედებმა იტალიურ პოეზიაში. როგორც ჩვენ თვალწინ ხვესურული ენაკავი ერთის დაკვრით გააკეთილშობილა და შეგვაყვარა ჩვენმა მარადის დაუფიწყარმა ვაჟამ, ისე დანტემაც ეს „რუსტიკანული“ (გლესური) ტოსკანური ენაკავი დააწინაურა და უმაღლესი რანგის პოეზიის ინსტრუმენტად აქცია.

გვიდო გვინიჩელი, როგორც სჩანს, მთელი სკოლის მეთაური ყოფილა. ამ პოეტურ სკოლას გვინიჩელის შემდეგ გვიდო კავალკანტი მეთაურობდა. დასასრულ დანტე ხდება ამ სკოლის იდეოლოგი და ლიდერი.

როგორც ვიცით, ევროპის საშუალო საუკუნოს პოეზიას სამი ძირეული პრინციპი ასულდგმულვდა: რაინდული, მისტურ-რელიგიური და დოქტრინალური.

რაინდულ პოეზიას მუდამ თან ახლდა მრჯნურული ელემენტები. ხომ ეგზომ იზოლირებული იყო სხვადასხვა ერის კულტურული ოჯახი საშუალო საუკუნოში? კაცობრიობას არ გააჩნდა არც გუტენბერგის გენიალური გამოგონება, არც რადიო, არც პრესა, არც ტელეგრაფი. მაგრამ, როცა საშუალო საუკუნოს ევროპელ პოეტებს სწავლობ, რწმუნდები: საოცრად ჰგვანან გერმანელები ფრანგებს, ფრანგები იტალიელებს და ყოველი მათგანი თუნდაც რუსთაველს. მაგ. გერმანელ რაინდული მიჯნურობის აპოლოგეტს ვალტერ ფონ ფოგელვაიდეს მთელი სტროფები მოეპოვება ისეთი, გეგონებათ რუსთაველი წაუკითხავსო. ასევე დანტეს „ვიტა ნუოვაში“ მოცემული ზენარი სიყვარულის ხოტბა, უნებლიედ გაგონებთ მიჯნურობის აპოლოგიას რუსთაველისას.

¹ შეად. Franz Xaver Kraus. Dante. Berlin.

* * *

უმთავრესი, რაც დანტეს „ვიტა ნუოვა“ მიჯნურობის აპოლოგიას რუსთაველისაგან ანსხვავებს, ეს არის დანტეს უაღრესი რელიგიურობა. „Vita nuova“-ს მეორე ნაწილში ეს რელიგიურობა, რომლის მცირედი სუნთქვა რუსთაველის სტროფებსაც გადაჰკრავს, დანტეს პოეზიაში მრუმე მისტიციზმში გადადის.

მიჯნურობის მისის ობიექტი—ბეატრიჩე უკვე ზეციურ სფეროებშია აღვლენილი, „სად ანგელოსნი იცავენ ცათა შინა მშვიდობას, სად მიწიერი გნისაო და ვნებათა ღელვა აღკვეთილია“.

ერთ რამეშიაც უცილოდ ჰგვანან ურთიერთს რუსთაველი და დანტე. ორივეს პოეზიის პირველადი სტიმულია მარად ქალური ელემენტი (L'eternel Feminin). ეს არის მხოლოდ, რუსთაველი უფრო ფხიზელია, ასე ვთქვათ უფრო პოზიტიური, დანტეს ტრფიალი ამ მარად ქალურისადმი უკვე რელიგიურ ექსტატიურობაში გადადის. ამიტომაც დანტეს პოეზია მეტწილად ვიზიონერულია, რუსთაველისა მეტწილად რეალისტური. ფრანჩესკა და რიმინის და მისი მიჯნურის პაოლოს მოკვლის კონგენიალური სურათია ფატმანის და ავთანდილის შეხვედრა და იქვეული ქმრის განრისხება. უთუოდ დიდი გამბედავობა სჭიროდათ ალბად დანტეს და რუსთაველს, საშუალო საუკუნოში ასეთი მძაფრი ეროტიზმის გამჟღავნებისათვის.

* * *

9 წლის დანტე გაიცნობს ერთ ღლეობაზე ფოლკო პორტინარის 9 წლის გოგონას ბეატრიჩეს¹.

დანტე თავის „Vita Nuova“-ში აგვიწერს ამ შეხვედრას:

„დაბადების ჩემის დღიდან მეცხრეჯერ შეესრულებინათ ზეცის მთიებს რევოლუტია თვისის მოქცევისა, როცა ფიქრთა ჩემთა ბრწყინვალე დედოფალი პირველჯერ მოველინა ხედვასა ჩემსა (ტექსტში „თვალეებს“). ჩემი სულის კუნძულში მიჩქმალული ცხოვრების ძალა (L'Esprit de vie) აჩქროლდა, აჩგერდა ისე ძლიერად, რომ გრძნობანი ჩემნი აღაშფოთა და აამღვრია და ღონემიხილმა ხმამ ეს სიტყვები წარმოსთქვა მყისვე: Ecce deus fortior me, qui veniens.

¹. შესაძლოა, ეს თარიღი 9 საკრალური რიცხვი იყოს გარდმომცემის მიერ შეთხზული.

dominabitur mihi („აჰა უფალი ჩემზე უფრო ძალოვანი, ჩემშივე დავანებული“). ამ დღიდან ჩემზე სიყვარულმან მოიპოვა ისეთი ძალა, რომ უნებლიედ ნებისყოფას მისსას გავუხდი მონად“¹.

რამოდენიმე წლის განმავლობაში დანტე ხვდებოდა ბეატრიჩეს, მაგრამ ყოველთვის შორიდან, და ბეატრიჩეს ხსოვნა აროდეს წაშლილა დანტეს გონებაში.

პირველი შეხვედრის გამო თავის „ვიტა ნუოვაში“ იგი გვამცნობს ახალი ცხოვრების დასაწყისს. incipit vita nuova. მეორე შეხვედრა კიდევ ცხრა წლის შემდეგ უნდა მომხდარიყოს (ეს შემდგომი განმეორება რიცხვისა ცხრა, უთუოდ გვაფიქრებინებს, რომ თავად დანტესაც ნაგულისხმევი აქვს იგი საკრალურ რიცხვად).

პოეტი ფლორენციის ერთ-ერთ ქუჩაზე მიდიოდა. თეთრად მორთული ბეატრიჩე ორ ხნიერ ქალს ახლდა. ბეატრიჩეს თვალეები უხმოდ მიესალმა პოეტს, ასე რომ იგი „უაღრესს ბედნიერებას ეწია“. შემდეგ, როგორც თავად გვამცნობს დანტე, იგი ჩაიკეტა თავის ოთახში და ხანგრძლივ „მედიტაციას“ მიეცა. ამგვარი ინტენსიური ჰერეტის დროს მას ჩასძინებოდა და: „აჰა ავსილიყო ოთახი ჩემი წითელი ცეცხლის მინაგვარი ღრუბლების ქულით“, ამ ღრუბლებში ვანეცხადა მას ვილაც კაცის ფიგურა და ესმის მძინარე პოეტს: „Ego dominus tuus“ (მე ვარ უფალი შენი). ხელთ ეპყრა ამ მოჩვენებას წითელ სამოსში გამოხვეული სხეული რამ. დააკვირდა პოეტი და იცნო „ღედოფალი სვებედნიერი“. მოჩვენებას ხელთ ეპყრა რაღაც ნივთი აღმოდებული და კვლავ მოესმა პოეტს: Vide cor tuum (აჰა, გული შენი). შემდეგ ამისა მოჩვენებამ გააღვიძა მძინარე ქალი და აიძულა აღმოდებული გული შეეჭამა. უეცარი ღხენა უეცარ მწუხარებად გარდაექცა დანტეს. მოჩვენებამ ხელი მოავლო უცხო მშვენებას და ცად აამაღლა.

როგორც ვიცით, ბეატრიჩე გათხოვდა, სიმონ ბარდიმ შეირთო იგი. დანტე ამ ფაქტს არ აღუშფოთებია, მაგრამ მის გულში ეს სიყვარული მაინც ენთო.

ეს შორით ბნედა, რუსთაველისებური შორეული მიჯნურობა იყო სწორედ დანტეს შემოქმედების პირველი სათავე. ბეატრიჩეთი იწყება მისი ლირიკის პირველი რკალი, ბეატრიჩე ხდება „დივინა კომედიას“ შთამგონებელი. რუსთაველსაც ასეთი მიუწვდომელ სიმაღლეზე მდგარი პიროვნება ჰყავდა შემოქმედების თვისის მუხად მიჩნეული.

². შეად. E. Schuré. Les Prophètes de la Renaissance. პარიზი. 1920 წ.

ცნობილია: იტალიური რენესანსი ადამიანის პიროვნების გაზატებისთვის ბრძოლასაც გულისხმობდა. განსაკუთრებით საგულისხმოა ქალის გათანასწოების იდეალი. ჯერ ადრე რენესანსის იტალიაში წარჩინებული ოჯახის ქალებსაც „ასწავლიან მეცნიერებას და ხელოვნებებს“. ზოგიერთი ქალი, მაგ. იზოტა ნოგაროლა ოჯახს გაექცა, რათა მეცნიერებას შესწიროს თავი¹. „ფლორენციელი ქალები სცდილობენ რიტორობისა და საქმიანობის საშუალებით დაწინაურდნენ, რათა მამაკაცებმა იოლად ვერ მოატყუონ ისინი“.

უთუოდ რენესანსი მართოდ იტალიური მოვლენა როდი იყო, არამედ იგი ერთგვარი რეაქცია იყო ქრისტიანული კულტურის მიმართ და ამ მოძრაობას გასაქანი მიეცა სწორედ იმ ქვეყნებში, რომელთაც ქრისტიანობამდის ძვ. ბერძნული კულტურის ფლუიდები სწვდებოდა. ქართულ ხელნაწერების მუზეუმში არსებობს ერთი მე-VIII-ს. ფსალმუნი, რომელსაც არაბულად აწერია სახელწოდება. ცხადია, ბერძნული კულტურის შემდეგ, არაბულმა მოახდინა უდიდესი ზედგავლენა ქართულ კულტურაზე, ასე რომ სავსებით ბუნებრივად რენესანსური მსოფლიო გაგება უთუოდ იტალიაზე ადრე საქართველოში დაიწყებოდა². ამ რენესანსური იდეების ასპექტში სავსებით გასაგებია თამარის მეფედ არჩევა, და რუსთაველის „ლეკვი ლომისა სწორია“, თუნდაც ის ფაქტი, რომ დანტეცა და რუსთაველიც ქრისტიანიზმის ტრიუმფის საუკუნოში ქალის დეფიციაციას რომ ბედავენ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს კულტი ქალისა, არც რუსთაველის „ლეკვი ლომისა სწორია“ არ უნდა გავიგოთ, როგორც თანადროული ქალთა ემანსიპაცია, როგორც ეს უცდიათ მრავალჯის ჩვენს ქრისტიანულ სხვადასხვა დროს.

1298 წელს მეფე რობერტის მეუღლე ომში მიყვება ქმარს და ლაშქრობის შემდეგ მტერთან მოლაპარაკებას აწარმოებს. გაცილებით უფრო ადრე თამარი ლაშქრობებს მეთაურობდა და ომებს აცხადებდა.

უფრო გვიან გრაფის ცოლი და მირანდულა პაპს იულიუს მე-II შეება და სხვ.

ამავე კონტექსტში საგულისხმოა თამარის ქალის რუსუდანის ფიგურაც.

1. შვად. Die Kultur der Renaissance im Italien, von Jacob Burckhardt, I-II. Leipzig, 1919.

2. შვად. მარი. Два груз. одописца.

იტალიელი ქალები მხოლოდ მე-XIV მე-XV საუკუნოში იჩენენ შიმეტებულ აქტივობას როგორც პოლიტიკურ საქმიანობაში, ისე ლიტერატურაში¹.

* * *

ბ. De Vulgari Eloquentia

დანტე მართოდ ლექსის ოსტატი როდი იყო, არამედ ძალიან პოლიტიკოსი და პოეზიის დიდი თეორეტიკოსი. ახალ საუკუნოებში ამ მხრით შილლერი წააგავს მას. დანტემ საფუძველი ჩაუყარა იტალიურს, უკეთ ვთქვამთ, რომანულ ენათმეცნიერებას. თავის „ნადიმში“ (Convivio) დანტე ლათინურს მარადიულ ენას უწოდებს, ხოლო „ვოლგარეს“ (ხალხურს) ცვალებადს. აშკარაა, ლათინური მკვდარი ენაა, უკვე სავსებით დასრულებული, ჩამოყალიბებული. თავის ენათმეცნიერულ იდეებს დანტე ამჟღავნებს შრომაში: De Vulgari Eloquentia. შესავალში პოეტი გვიმჟღავნებს რომ მას „ღვთის შემწეობით“ განუზრახავს ამ წიგნის დაწერა. გარდა ენათმეცნიერულ მოსაზრებებისა, ამ ტრაქტატში პოეტი იძლევა თავის პოეტიკას, პოეზიის ფორმისა და სტილის საკითხებს ეხება.

ცხადია, დანტეს ენათმეცნიერული მოსაზრებანი ჩვენს დროში ფრიად გულუბრყვილოდ მოეჩვენება მკითხველს. ენის წარმოშობის თეორიას დანტე უკავშირებს ბიბლიურ ზღაპრებს. ბაბილონის გოდოლის ამბებს იგონებს და სერიოზულად არკვევს „აღამა უფრო ადრე დაიწყო მეტყველება თუ ევამ“.

ევროპის ხმელზე მოსახლე ხალხების ენებს რამდენიმე კატეგორიად ჰყოფს დანტე (შვად. „ჯოჯოხეთი“). დანტეს აზრით გერმანელები და სლავიანელები ერთ ენობრივ ოჯახს წარმოადგენენ, რადგან ისინი ჰოს სათქმელად „ქრ“-ს ხმარობენ (!), ესპანური, ფრანგული და ლათინური ენით მეტყველნი, იც, oil და si-ს იტყვიანო და სხვ.

ცხადია, თანადროული ენათმეცნიერების თვალსაზრისით, დანტეს თეორია კრიტიკას ვერ გაუძლებს. დღევანდელი იტალიური გაგრძელებაა ჯერ კიდევ რომაული იმპერიის დროს არსებული „ლინგვა რუსტიკასი“ — (გლეხური ენისა). ხოლო ლათინური საერთო სათავეა როგორც იტალიურის, ისე ფრანგულის, ესპანურის, რუმინულის და სხვ.

1. შვად. L. V. Ranke. Hist. biographische Studien. Leipzig, 1878.

De Vulgari Eloquentia-ში დანტე პოეტის საკითხებს ეხება სამგვარ სტილს არჩევს: ტრაგიულს, კომიურს და ელეგიურს. ვოლგარე - ხალხურით წერისას თუ ტრაგიულ სტილს მიმართავს პოეტი — ეს იქნება „ვოლგარე ილლუსტრე“ (ბრწყინვალე), ეს იქნება კანცონებისთვის ზედგამოჭრილი ენა, ხოლო სონეტისა და ბალადებისათვის საჭიროა Vulgare mediocre (საშუალო).

საერთოდ ამ წიგნის ტენდენცია ეს არის: პოეტს სწადია მეცნიერულად დაგვიმტკიცოს, რომ ხალხური, ამ შემთხვევაში იტალიური, „კეთილშობილი“ ენაა და ამ ენაზე შესაძლოა „მიჯნურობისა“, „საქველისა“, „სიმდიდრისა“ და „ვაჟაკობის“ ამბები დაიწეროს.

ასეთის დიდის გულმოდგინებით ილწვოდა დანტე იტალიურ ენის დაწინაურებისათვის, ამ მხრით მას მართებულად უწოდებს ლიტერატურის ისტორია იტალიური ენის დამფუძნებელს.

გ. Convivio („ნადიმი“)

უნდა აღინიშნოს, დანტეს ზოგიერთი მკვლევარი ამ შრომას აპოკრიფულადა სთვლის. „კონვივიო“ ანუ ნადიმი ბერძნული ლიტერატურული ძეგლების, კერძოდ პლატონის „სიმფოზიონის“ მიბაძვაა. ძველი ბერძნების დარად, რენესანსის ადამიანებს სჩვევოდათ ლხინის დროს ბერძნული ბაასის გამართვა. ძველ საბერძნეთში სიტყვადაპყვებოდა ირგვლივ მაგალ, ღვინისავსე თასს. „კონვივიო“ დაწერილი აქვს დანტეს იტალიურად, ამ შრომაში მოცემულია პოეტის ფილოსოფიური შეხედულებანი. ალაგ-ალაგ იგი უკვე ცნობილ ბერძნულ სენტენციებს იმეორებს. ეს სენტენციები შეეხება: სიბრძნეს, სიყვარულს და მეგობრობას. სხვათაშორის ტალეირანის ცნობილი სენტენცია დანტეს ადრევე გამოუთქვამს: „სიტყვები იმისთვისაა მოცემული, რომ ადამიანმა ის გამოსთქვას რაც არ იცის, ან არა დარისი თქმაც არ უნდა“.

მრავალი გონებამახვილი სენტენცია და პარადოქსი მოიპოვება ამ წიგნში: „სიცილი სულის ტაროსია“. „თვალეები აივანია იმ ქალისა, რომელიც ჩვენი სხეულის შენობაში სცხოვრობს, სახელდობრ სულისა“.

„ბუნებრივი სიკვდილი სასურველი ნავთსადგურია ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ“, და სხვ.

დ. De Monarchia („მონარქიისათვის“).

„მონარქიისათვის“ დანტეს პოლიტიკური ტრაქტატია. პოეტი ეხება უმთავრესად სამ საკითხს: პირველია: საერო მონარქიის



აუცილებლობა, შემდეგ: აქვს თუ არა რომის ხალხს ამ ძალაუფლების მითვისების უფლება, ხოლო მესამე წმინდა თეოლოგიური საკითხია: მონარქიის ინსტიტუტი ღმერთის უშუალო განრიგების ნაყოფია, თუ უფლის მოსაყდრის განაწესი?

ცხადია, დანტე, როგორც გიბელინი, დადებითად უყურებს მონარქიის ინსტიტუტს; მონარქია დანტეს აზრით „უზენაესი საშუალებაა, საერთაშორისო ზავის დასამყარებელი. (Patet quod genus humanum in quiete sive tranquillitate pacisetur). ამ ტრაქტატით უარესად გააჩინა დანტემ პაპის კურია. ზოგიერთი ბიოგრაფის აზრით De Monarchia დაწერილი აქვს დანტეს თავის მეგობრის ჰაინრიხ მე-VII-ის იტალიაში შემოსვლის შემდეგ. კარდინალ დელ პოჯეტომ ბრძანა ეს წიგნი დაეწვათ, ხოლო პაპმა იოჰანეს მე-XXII თავის ხელქვეით მსწავლულებს მოსთხოვა „მეცნიერულად დასაბუთებული შრომებით“ შებრძოლებოდნენ „დე მონარქიას“.

2. „ეკლოგები“

ეკლოგებიც, როგორც „დე მონარქია“, ლათინურადაა დაწერილი. ამ სათაურით ცნობილია ორი, ჰექზამეტრით დაწერილი ლექსი.

3. დანტეს ბარათები

დანტე-მკვლევარებისთვის საინტერესო მასალაა მისი წერილები, ასე ვთქვათ, ეპისტოლური ლიტერატურა. დანტეს წერილები თავის თანამედროვე პოლიტიკურ პიროვნებებისადმი. ნაწილი წერილებისა მიმართულია კან გრანდე დელლა სკალასადმი, „იტალიის თავადებისა და ხალხებისადმი“, ობერტო და გვიდა და რავენასადმი, ზოგიც მეგობრებისადმი და სხვ.

4. „ღივინა კომედია“

„ღვთაებრივი კომედია“ სამი ნაწილისაგან შედგება: ინფერო (ჯოჯოხეთი), პურგატორიო (სალხინებელი), პარადიზო (სამოთხე). ყოველ მათგანს თავად დანტე კანტიკეს ან კანცონეს უწოდებს. ჯოჯოხეთი 34 ქებას შეიცავს, ხოლო ორი დანარჩენი 33-ს, ჯოჯოხეთშია 33 ქება ითვლება, ხოლო პირველი შესავალად. სამი და ოცდაცამეტი პოეტის მიერ საკრალურ რიტმებადაა მიჩნეული. ჯოჯოხეთში 4.720 ლექსია, სალხინებელში 4.755, ხოლო სამოთხეში 4.758.

I. ჯოჯოხეთი¹. ჯოჯოხეთის შინაარსი დაახლოებით ასეთია: ადამიანის ცხოვრების ნახევარ გზაზე (იგულისხმება აეტორის 35 წ.) პოეტი გამოფხიზლდება უსიერ ტევრში. მან არ უწყის, თუ როგორ დაჰკარგა გზა მართალი, ან როგორ მოხვდა აქ. პოეტი ცდილობს ამ ბნელ ტევრს თავი დააღწიოს, და, აჰა, მიაღდება გორაკს. ხედავს ამ გორაკის ზეთავი მზის სხივებს მოუსვენებლად.

უეცრად პოეტს გზას გადაუჭრის სამი მხეცი: ქრულ ბეწვიანი შაბრი, ანუ ჯიქი, (*Lonza di pel maculato*), შემდეგ პირდაღრენილი ლომი, დასასრულ ძუმგელი (*lupa*). პოეტს ძრწოლა შეიპყრობს და უკუიქცევა, მაგრამ იჩქითად იგი თვალს შეასწორებს ადამიანის მღუმარე ლანდს. იგი შეესიტყვება ამ ლანდს და ეს უკანასკნელი აღმოჩნდება ვირგილიუსის — მისი მასწავლებლისა და ოსტატის სული.

დანტე სთხოვს ვირგილიუსს მწედ ექნეს ამ უებრო გასაქირში. ვირგილიუსი ანუგეშებს მას და არწმუნებს, რომ ამ მხეცებს იგი სულ სხვა გზით უნდა გადაურჩეს. მისი სიტყვით ქვეყანას მოველინება მხსნელი მწვეარი (*veltro*), რომელიც ამ ძუმგელს მოერევა და ჯოჯოხეთში ჩააგდებს. სამაგიეროდ დანტემ უნდა გაიაროს ვირგილის თანხლებით სამი ნაწილი ჯოჯოხეთისა, შემდეგ სალხინებელი, ხოლო გზაში მასზე (ე. ი. ვირგილიუსზე) უფრო ღირსეული სული შეეგებება დანტეს და შეიყვანს მას მიწიერ სამოთხეში (აქ იგულისხმება ბეატრიჩე, დანტეს პირველი სატრფო და მუზა). დანტე მადლობას უძღვნის ვირგილიუსს; ხოლო რომაელი პოეტი ახსენებს ბეატრიჩეს, რომელმაც დაავალა პოეტს უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილ დანტესთვის შეგზურობა გაეწია. პოეტები განაგრძობენ გზას და მიაღწევენ სულების საუფლოსთან. აქ ჯოჯოხეთის ბჭეებს მიაღგებიან, რომლის გადაღმაც იმყოფება ქალაქი ვარამისა და უცვლელი

¹ „ჯოჯოხეთი“-ს ქართული თარგმანისა და ნაწილობრივ კომენტარიების შედგენისას შემდეგა წყაროებით ვსარგებლობდი:

ა) იტალიური Dante Alighieri *La Divina Commedia, commentata da G. A. Scartazzini*. მილანო, 1914.

ბ) იტალიური: Dante Alighieri. *La Divina Commedia* (ლუქსუს გამოცემა). პროფ. რ. ფორნაციოს წინასიტყვით.

გ) ფრანგული პროზაული, სიტყვა სიტყვითი თარგმანი: *La Divine Comedie De dante Alighieri, traduction nouvelle, accompagnée de notes par P. A. Fiorentino*. პარიზი. 1874.

დ) გერმ. Dantes Goetliche Comoedie. Hoele. ფილალეტესის მიერ თარგმნილი. დრეზდენი 1833 წ.

ე) გერმ. Dantes Göttliche Komödie in deutschen Stanzen frei bearbeitet von P. Pochhammer. ლაიპცი. ბერლ. 1913.

ვ) დანტეს ჯოჯოხეთი. კრიაგარის თარგ. ვ. მოხეს გამოცემა ბერლინი.

ტანჯვისა. ჯოჯოხეთის ტალანში პოეტები გაიგონებენ საშინელ ღრიანცელსა და ურვას. ხედავენ, თუ როგორ ჰკბენენ შიშველ ადამიანებს ბუზები და კრაზანები. აქ არიან ისეთნი, რომელთაც ქვეყნად უსირცხვილოდ და უსახელოდ უცხოვრნიათ.

აქ შეიცნობს დანტე რომის პაპს ცელესტინ მე-V-ს. მოგზაურები მიაღებებიან ჯოჯოხეთის მდინარის აქერონის ნაპირს; ამ მდინარეზე ნავით გადაჰყავს მიცვალებულთა სულები მენავე ქარონს, რომელიც უარს ამბობს ცოცხალი დანტეს გაღმა გადაყვანაზე, რაკი იგი ფრიად მძიმე იქნება, როგორც არა მიცვალებული. ერთბაშად დანტე გრძობას დაჰკარგავს და ამ იღუმალ ძილში იგი გადავა აქერონს გადაღმა და ცოდვილების საშინელი ყვირილი შეაერთობს ძილგამკრთალ პოეტს. ვირგილიუსი განუმარტავს პოეტს, რომ აქ ბინადრობენ ისინი, ვინც ქრისტემდის დაბადებულა, თუმცა მათ არაფერი შეუტოდავთ; მაგრამ მაიც ჯოჯოხეთს ჩააგდეს, რაკი საუბედუროდ ქრისტეზე აღრე დაბადებულან.

...„ეს უნებლიედ დავაშავეთ აღრე, რომ გავჩნდით, და ამიტომაც დაღუპვისკენ გვიქცეის პირი“.

ჯოჯ. ქება მე-IV, ლექსი 39—40
თარგმანი კ. გ—სი.

ამ სტრიქონებში მქლავნდება დანტეს ირონიული დამოკიდებულება ქრისტეანული მსოფლიო გაგებისადმი. თავდაპირველად პოეტებს შეეყრება ოთხი მალალი ლანდი: ჰომერისა, ოვიდისა, ჰორაციუსისა და ლუკანის, ასე რომ ექვსი გენიოსი შეხვდებიან აქ ურთიერთს, რაკი დანტეს თანატოლად აღიარებენ.

შემდეგ პოეტები შვიდ ბჭეს გაივლიან და მათ შეხვდებიან ისტორიული გმირები: ელექტრა, ჰექტორი, ენეას, ცეზარი, კამილა, პენტესილეა, ლატინუს, ლავინი, ბრუტუს, ლუკრეცია, მარცა, კორნელია და სხვ.

ხოლო შემდეგ ფილოსოფოსები და მეცნიერები, რომელთაც აქ, ჯოჯოხეთშიაც პატივისცემით ექცევიან, რადგან მათი სახელი აქაც შეუწყნარებიათ.

ესენი არიან: პლატონი, სოკრატეს, ანაქსაგორეს, არისტოტელეს, დიოგენეს, დემოკრიტ, ზენონ, ჰერაკლიტ, ემპედოკლეს, დიოსკორიდეს, ორფეუს, სენეკა, ლივიუს, ციცერონი, ეუკლიდი, პტოლომეოს, ჰიპოკრატეს, გალენი, არაბნი: ავიცენი და ავეროაზს.

მეორე გარსში (Cerchio) იწყება ნამდვილი წამება. აქ უკვე ტახტზე ზის ქვესკნელის მსაჯული მინოსი, რომელიც განრისხებული

უთვალთვალეებს ახლადმოსულ სულეებს, და მისი კუდი იმდენჯერვე დაიკლავება, მერამდენე გარსშიაც უნდა ჩააგდონ ესათუის სული.

ამ მეორე გარსში იტანჯებიან ავხორცნი (Lussoriosi): სემირამის, დიდო, კლეოპატრა, ჰელენე, პარის, ტრისტანი. დანტე აქვე ჰხედავს, რომ ქარს მოაქვს ორი სული: ფრანჩესკა და რიმინი გვილო პოლენტას ქალიშვილი და მისი მიჯნური პაოლო.

მესამე გარსში პოეტებს დაუხვდებათ ლოთები და მოქიფეები. ამ ადამიანების მსგავს არაერთა შორის დანტე შეიცნობს თავის თანამემამულეს — ფლორენტინელ ჩიაკოს (იტალ. ლორს ჰქვია).

მეოთხე გარსში მიაღწევენ პოეტები და ნახავენ ძუნწებს (Avari) და მფლანგველებს. აქვეა სიმდიდრის ღმერთი პლუტუს. ძლიერ დამახასიათებელია დანტეს დამოკიდებულება საერთოდ მდიდრებისა და სიმდიდრის კერპის — მიმართ, მან აქვე მოათავსა მაღალი თანამდებობის სასულიერო პირები: პაპები და კარდინალები. უკვე მეორე დღეა, რაც პოეტები გზაში არიან. ისინი მიაღებენ სტიქსს, რომლის გადაღმა მათ გადაიყვანს ნავით ფლეგიას.

აჰა, ჯოჯოხეთის ქალაქი დის, ანუ დიტე, რომლის შესავალი დაუგმანავთ ეშმაკეულთ, დემონებს. ციდან შიკრიკს გამოგზავნიან დიგი გაულებს მათ დიტეს დაგმანულ კარებს.

მათ თვალწინ გადაიშლება ურიცხვი საფლავებით დასერილი ველი. აქ არიან მწვალებელნი და მათნი მიმდევარნი.

ამგვარად პოეტები შეიცნობენ ქვედა ჯოჯოხეთს, სადაც გულღვარძლიანები ისჯებიან, ხოლო ზედა გარსებში იმყოფებიან. თავაშვებულობისათვის დასჯილნი. აქვე შეეყრებიან დანტეს ეპიკური და მისი მოწაფეები, გარდა ამისა მისი თანამემამულენი. დანტე გამოიცნობს გიბელინების ბელადს — ფარინატა დეგლი უბერტის და თავისი მეგობრის გვიდოს მამას გველფს კავალკანტეს. აქვეა თავის დროში თავისუფალ მოაზროვნედ ცნობილი იმპერატორი ფრიდრიხ მე-III და კარდინალი ოტავიანო უბალდინი.

ვიდრე მეშვიდე გარსამდის მიაღწევდენ, პოეტები ჰხედავენ „ქრისტეს სიკვდილის ჟამს“ მომხდარ მიწისძვრისაგან განადგურებულ დაღეწილ მთებს.

პოეტებს შეეხვებათ კენტავრები, რომელთა წინამძღოლი ხარონი ისრით განგმირვას დაუპირებს მათ, მაგრამ, როცა დარწმუნდება, რომ დანტე ცოცხალია, გაატანს მათ მეგზურად კენტავრს ნესუსს; ნესუსი მიიყვანს მათ იმ ადგილამდის, სადაც სასჯელს იხდიან ტირანები და დესპოტები: ალესანდრო და ფეა, ეცილინო,

ობიცო და ფერარა, გვილო და მინფორტე, ფირიუს, სექსტუს პომპეუს და სხვ.

მეორე წრეში იხილავენ ისინი ქაობიან გარემოს, სადაც ტყეს შავი ფოთლები ასხია და ჰარპები ჰკორტნიან ამ ფოთლებს.

ირკვევა, რომ აქ ჩირგვებად და ხეებად ქცეულა თვითმკვლელების სულები.

მეშვიდე გარსის მესამე წრეში დანტე გვიხატავს ლიბოს უდაბნოს მაგვარ გარემოს. აქ არიან ღვთისმგმობნი, მაგალ. კაპანუს. აქვე არიან არა ბუნებრივ ტკობისათვის დასჯილნი. დანტე შეიცნობს თავის მასწავლებელს მწიგნობარს ბრუხუკო ლატინის, ფრანჩესკო დ'აკორზოს, ებსკოპოსს და ვიჩენცას, ანდრია და მოცის და სხვ.

მეშვიდედან მერვე გარსში გადასვლისას პოეტები მიაღებენ ფლეგეტონს, ქვესკნელის მდინარეს, რომლის გადაღმა გადაიყვანს მათ გერიონ, უშველებელი ურჩხული.

მერვე გარსის პირველ ჯურღმულში მოთავსებული არიან მაქანკლები და შემცდენელნი: ვენედიკო კაჩიამინიკო, რომელმაც თავისი და გაურიგა ერთ იტალიელ აზნაურს, იაზონი არგონაუტების ბელადი. მეორე ჯურღმულში ლაფში ამოუსვრიათ ფარისეველნი: ალესიო ინტერმინეა, თაის და სხვ.

მესამე ჯურღმულში იმყოფებიან: სიმონისტები, ის სამღვდლო პირნი, რომელნიც ფულზე ჰყიდდენ თანამდებობას. ესენი ხერელებში პირქვე გაჩხირულნი ჰყენესიან. აქ არის პაპი ნიკოლაუს მე-III, აქვე მოსვლას უწინასწარმეტყველებს. პოეტი ჯერაც ცოცხალ პაპს ბონიფაციუს მე VIII-ს. მეოთხე ჯურღმულში არიან: მარჩიელნი და ჯალოსანნი: ტირეზიას, ამფიარეოს, მიხაელ სკოტუს და სხვ.

მეხუთე ჯურღმულში საზოგ. სამსახურის გამყიდველნი იტანჯებიან. მათ საოცარი აღნაგობის ეშმაკები იცავენ.

მექვესე ჯურღმულში მოთავსებული არიან პირმოთენნი.

მეშვიდე ჯურღმულში: ქურდები; მერვეში: მრუდე მოთათბირენი; მეცხრე ჯურღმულში: მწვალებელნი, გამოიშველნი და სხვ. აქ არიან მაჰმადი, ალი, ფრა დოლჩინო, პიერ და მელიჩინა, კურიო მოსკა და სხვ. მეათე გარსში ყალბისმქნელებს სტანჯავენ, ნახსენები არიან: გრიფოლინო დ'არეკო, ალქიმისტი კაპოჩიო, აქვე არიან ყალბი ფულის მქრელნი: ადამ და ბრესცია და რატომღაც სინონ ტროაელი, რომელმაც ტროაში ხის ცხენი შეიტანა.

მეცხრე ჯურღმულს იცავენ „კოშკით ცად ალანძული გიგანტები“; ნებროთი გაუგებარ ენაზე მეტყველი, პელიონ და ანთეუს, რომელიც მათ მეცხრე ჯურღმულში ჩაიყვანს.

ამ ძაბრისმაგვარი ჯურღმულის უღრმესი ადგილი წარმოადგენს დედამიწის შუაგულს, რომელიც პტოლომეუსის აზრით მსოფლიოს ცენტრო უნდა ყოფილიყო. კოციტუსის ყინვა სუფევს ამ მარადიული სიცივის გარემოში. აქ ისჯებიან მოლალატენი: ძმის მოლალატე კაენი, სამშობლოს მოლალატე — ანტენორა, აქვე იტანჯებიან როგორც გიბელინები, ისე გველფებიც. მაგ. გრაფ დელა გერადესკა, ქორეპის-კოპოსი ზუბალდინი და სხვ.

ჯურღმულის უკიდურეს სიღრმეში ტახტზე ზის 1500 ფუტის სიმაღლე ლუციფერი, რომელსაც სამი უდიდესი მოლალატე გახირება ხახაში: იუდა, ბრუტუსი და კასიუსი.

იწყება ღამე, მგზავრები ზევით აყვებიან ლუციფერის უზარმაზარ ფეხებს და ორ საათში ზედასამყაროში ამოცოცდებიან და ზეცის ვარსკვლავებს მოჰკარავენ თვალს.

II. სალხინებელი¹. სალხინებელის დასაწყისში პოეტი შესთხოვს მუზებს მწედ ექნენ თავის ქმნილების დასრულების საქმეში. პოეტებს მიუღწევიათ განწმენდის მთის ფერხთან. ჯერ კიდევ ღამეა და საფირონის ფერ ცაზე კიანთობს ერმი — ვარსკვლავი სიყვარულისა, ხოლო სამხრეთით ოთხიციტომილი — სიმბოლონი ძირითად სიქველეთა.

ეს მთა სალხინებელისა კუნძულივით აღმართულია ლელიან გავაკეზაზე. თავად მთას შვიდი ჰორიზონტალური წრე, ან გარსი აქვს. ეს გარსებიც ჯოჯოხეთიდან გამოსულ სულთა გასაველეია. ცოდვილნი ქვედა წრეში იმყოფებიან ვიდრემდის სალხინებელის გუშავნი ანგელოზნი შიგ შესვლის ნებას არ დართავენ მათ. ამ საუფლოს მთავარი მცველია კატო-და უტიკა.

ახლოვდება ჟამი, როცა იერუსალიმზე გადამავალი მერიდიანი სალხინებელის ჰორიზონტსაც მიჯნავს. აჰა, მიფრინავს ზეციერი შიკრიკი უსწრაფესად სხივისა და „რჩეული სულები“ მიჰყავს განსაწმენდად — რადგანაც ისინი გაქცევიან მიწიერ „ჭალაკს ვარამისას“. დანტე შეიცნობს სწორედ 1300 წლის წინად მიცვალბულს მგოსანს კასელას.

აქვე ამჩნევს დანტე, რომ მზვარეში მიმავალ ვირგილიუსს საკუთარი ლანდი თან არ ახლავს.

¹ ამ ნაწილს ჯოჯოხეთისას იტალიურად Purgatorio — ჰქვია, ფრანგები — Le purgatoire-ს უწოდებენ, ხოლო გერმანელები — Berg der Läuterung-ს, ზოგი მთარგმნელიც Fegefeuer-ს (მაგ. ვ. კრიაგარ). ქართულად მე ვარჩიე: სალხინებელი, საბა ორბელიანი გვასწავლის: „მას შიგნით (ე. ი. ჯოჯოხეთს შიგნით) სფერო სალხინებელი ჯოჯოხეთი“. იხ. რ. ერისთავის გამოცემა, გვ. 408.

უკვე შუადღეა და ისინი შედიან სალხინებელის ფრიალ ვიწრო ხეობაში. მეორე ხევი შესვლისას პოეტები შეეყარნენ ისეთ ცოდვილებს, რომელნიც იმ სოფელში ძალით მოკვდინების მსხვერპლნი გამხდარან: იაკობო დელ კასსერო, ბუნონკინტო დი მონტეფელტრო და სხვ. სალამოს ვირგილიუსი შეჰხვდება თავის თანამემამულეს მანტუელტრუბადურს სორდელოს. აქ პოეტი გულნადვლიანი ახსენებს თავის იტალიას, რომელსაც იგი მხედრის დამკარგველ ჰუნეს ადარებს. ტრუბადური სორდელი მათ შეიყვანს ერთ ყვავილოვან წალკოტში. აქ შეხვედრილ ლანდებს შორის დანტე შეიცნობს მეფეებს და იმპერატორებს: რუდოლფ ფონ ჰაბსბურგს, ალფონს არაგონელს, შარლ ანჟუს და სხვ.

ამ ღამეს იხილავს პოეტი სამ ცთომილს, რწმენის, სასოების და სიყვარულის ემბლემას. სალამოს მეცხრე საათია და დანტეს ძილი დაეფულება. პოეტი ძილში გარიჟრაჟს იხილავს და მერცხლის საამო ჭიკჭიკი მოესმის. გამოფხიზლებულ პოეტს ზეციური ასული სალხინებელის შესავალთან მოიყვანს. სამი საფეხური დახვდება პოეტს: მარმარილოსი, ერთი უხეში და გაურანდავი, ერთიც ძოწეულის, სისხლის ფერი. მცველი ანგელოსი მახვილით შვიდჯერ დააწერს შუბლზე დანტეს P-ს, აქ ნაგულისხმევია 7 გარსი სალხინებლისა.

შემდეგ იგი შეუშვებს პოეტს სალხინებლის კარიბჭეში. აქ საამო სიმღერისა და მუსიკის ხმები მოესმის პოეტს. კლდეთა გაღავნებს შორის სულები პირველ გარსზე გადადიან (გარსი სიამაყისა). აქ იხილავს იგი მრავალ წარჩინებულ პირებს: ოზერისი და გუბაბიოს, ფრანკო და ჰოლონიას და სხვ.

მაღე ვირგილიუსს აჩვენებს დანტეს სურათებს, რომელზედაც გამოხატულია ლუციფერის, ნებროთის, ნიობის და სხვ. დამხობას. შუადღე ახლოვდება და პოეტები უკვე მეორე გარსში გადადიან. მეორე გარსი გოგირდის ფერია (ე. ი. სიხარბისა), აქ აჩვენებენ სიხარბის მოწინააღმდეგე სიქველის ნიმუშებს. აქ დასჯილი მონანიებულნი ტკბილად გალობენ.

ამ გარსიდან პოეტები გადადიან ძუნწების გარსში. ძუნწებში უწინარეს ყოვლისა დანტემ ჰაპის ადრიან მე-V-ის სული შეიცნო. აქ დახვდებათ პოეტებს პირველად ტყეში შეხვედრილი გაუმაძღარი ძუმგელი. ერთბაშად საშინელი მიწისძვრა შეაკრთობს პოეტს. მონანიებული სულები „Gevria in excelsis“-ს გალობენ.

დანტე შეხვდება რომაელ პოეტს სტაციუსს. იგი გამოუტყდება დანტეს, რომ მას იმ სოფლად ოქროს სიყვარული გულს უღრღნიდა.

თურმე 400 წელი მას ზარმაცების წრეში დაუყვია, 500 წ. ხარბებთან, დანარჩენი სხვა რეგიონებში.

სტაციუსი პოეტებს შეუერთდება და სამივე მილწევნ მებქვეს გარსამდის. აქ მოქიფეებს შიმშილის საშუალებით სჯიან. ისინი საშინლად გაძვალტყავებული გამოიყურებიან.

მათ შორის დანტე შეიცნობს თავის მეგობარს ფორეზე დონატის. უკვე ნაშუადღევს 2 საათია და პოეტები შედიან მეშვიდე გარსში. აქ ავხორცნი ცეცხლში მიმოდინ და ასე ინანიებენ ცოდვებს.

სალამო ჟამს შეეყრება დანტეს პროვანსალელი ტრუბადურის არნოლდ დანიელი, რომელიც პროვანსალურად შეესიტყვება მას. მზის ჩასვლისას პოეტები მიადგებიან ცეცხლოვან ზღუდეს.

დანტე იღლება და სულიერ სიმხნევეს ჰკარავს, მაგრამ ვირგილიუსი მას ანუგეშებს, რომ იგი მალე ბეატრიჩეს იხილავს, როგორც კი ამ ზღუდეს გადალახავს. დანტე გადალახავს ამ ცეცხლის ზღუდესაც, მაგრამ მზე უკვე ჩასულა და მგზავრები „თხების მსგავსად“ კლდის ნაპრალში შეძვრებიან. დანტეს ესიზზრება ახალგაზრდა და მშვენიერი ასული ყვავილოვან წალკოტზე მიმავალი.

ნამძინარევი დანტე წამოდგება, და ორივე რომაელი პოეტი მიაცილებენ მას შიწიერი სამოთხის მიჯნამდის და ვირგილიუსი გამოემშვიდობება დანტეს.

III. სამოთხე. მესამე ნაწილის, სამოთხის დაწყებისას პოეტი ქრისტეანულ ღმერთს რიდი უხმობს (შეად. რუსთველის „ჰე ღმერთო ერთო“ და სხვ.) არამედ ფებუს აპოლონს. „კეთილო ფებუს, მომანიჭე წყალობა შენი“ და სხვ. ბეატრიჩეს თვალში მზის სხივი არიალდება და ჰხედავს პოეტი აღმობრწყინებულ მზეს, შემდეგ კვლავ ბეატრიჩეს შეაცქერდება და შემოხედვისაგან პოეტი ყოველივე ადამიანურს გადასცდება, თავად აღარ იცის ეს „სხეულში ხდება თუ სულში“. პოეტი მოწყურებულა გაიგოს, თუ როგორ მოხდა მასში ასეთი ზენარული აღტყინება. ბეატრიჩე აუხსნის და განუმარტავს მას ყოველივეს.

პოეტი შედის პირველ ცაში, ე. ი. მთვარის სფეროში. აქ დაინახავს დანტე ფერგამკრთალ ლანდებს. ესენი არიან სულნი მათნი, ვისაც ზღესლაც აღთქმა ვერ აუსრულებიათ, ამიტომაც უფრო ზევით ვერ აწეულან. ამათ შორის პოეტი შეიცნობს თავისი სიყრმის მეგობრის ფორეზეს ასულს, კონსტანცას — სიცილიის მეფის როჯერის ქალიშვილს, და მშვენიერს პიკარდას. პიკარდა მოეჩვენება და Ave Maria-ს გალობით გაუჩინარდება, „როგორც ზღვაში დანთქმული მკვრივი საგანი“. დანტე დიდხანს გასცქერის ნისლში მიმალულ პიკარდას ჩვენებას და კვლავ ბეატრიჩეს მიუბრუნდება. აქ ბეატრიჩე

აუხსნის მას პლატონიური და ქრისტეანული სწავლის მხედვით, თუ რად იმყოფებიან პიკარდას და კონსტანცას სულელები მთვარის სფეროში. დიდხანს ესაუბრება აღთქმის მნიშვნელობის შესახებ და სხვ. მთვარის სფეროდან დანტე და ბეატრიჩე გადადიან მეორე ცაში — მერკურში. აქ დახვედრილი სულელები თავაზიანად ეგებებიან პოეტსა და მის მუზას. დანტეს გამოელაპარაკება იმპერატორის იუსტინიანე დიდის სული.

იმპერატორი ესაუბრება რომაული არწივის ე. ი. იმპერიის ისტორიის შესახებ. ამ საუბარში იგი აფრთხილებს გველფების ლიდერს შარლ ანჟუს. არც გველფებსა და არც გიბელინებს არ დაკლებიათ მისგან გაკიცხვა. იუსტინიანის ლანდი Osanna sanctus deus Sabaoth — (ოსანა უფალსა წმიდას საბაოთს) მომღერალ სულელების გუნდს თან გაჰყვება. აქ ბეატრიჩე ესაუბრება დანტეს ქრისტეს ჯვარცმის საკითხების შესახებ. მესამე ზეცა ვენერის სახელს ატარებს. აქ დაუხვდებიან დანტეს და ბეატრიჩეს სულნი შეყვარებულნი — spiriti amanti. დანტე თჳალს მოჰკრავს შარლ ანჟუს ვაჟს — კარლო მარტელოს — რუდოლფ ფონ ჰაბსბურგის სიძეს, ტრუბადურს ფოლკოს, რომელმაც გარყვნილი ცხოვრება დააგდო და სიკვდილის წინ ბერად აღიკვეცა. პოეტი მოუწოდებს მკითხველს გონების ძალით მეოთხე ცაში გადაჰყვეს მას.

მეოთხე ცაში განისვენებენ თეოლოგები: თომას აქვინელი, ალბერტ დიდი, კანონისტი გრაციანო, პეტრუს ლომბარდუსი, დიონისიუს არეოპაგიტა და სხვანი. დანტეს მოხიბლავს ამ სულელების ციური გალობა. როცა „ტკბილი ლირის“ წკრიალი შესწყდება, აღტაცებულ პოეტს გამოესაუბრება მისი პაპის პაპის პაპის პაპა — კაჩიაგვიდა. ეს უკანასკნელი უამბობს პოეტს თავისი თანადროული ფლორენციის ყოფა-ცხოვრების შესახებ. არწმუნებს დანტეს, რომ ოდესლაც ფლორენციაში ფრიად სათნო ხალხი სცხოვრობდაო და სხვ. პოეტი თავის მხრით უამბობს, თუ როგორ უმართებულად განდევნა იგი მშობლიურმა ქალაქმა და რა დიდი მწუხარება შეხვდა მას, სამშობლოდან გაძევებულს. კაჩიაგვიდა მოთმინებას ურჩევს პოეტს და სულის მხნეობის შენარჩუნებას. კაჩიაგვიდას ლანდი დანტეს მოაგონებს, რომ ამ სფეროში იმყოფებიან იოსუას, მაკაბეის, კარლოს დიდის, როლანდის, გოტფრიდ დე ბუჟონის და სხვ. წარჩინებულ პირთა ლანდები.

მეექვსე ცაში (ე. ი. იუპიტერ) არწივის მაგვარი ლანდები შეეყრებიან პოეტს. ამ არწივებს (სამართლიანობისა და ძლევამოსილობის სიმბოლოებს) შესჩივლებს დანტე, რომ ჰვენახი უფლისაა — ეკლესია

შეწერილმანეებსა და ანგარებით საესე მწყემსებს მიუკერძოებიათ. (აქ იგულისხმება პაპი იოჰანნ მე-XXII და მისი კარდინალები, პაპის სასახლის გარყვნილება, მექრთამეობა და სხვ.).

მეშვიდე ცაში (სატურნ) გადადინან დანტე და ბეატრიჩე. ეს სფერო ლომის ნიშანისაა. იგია უკანასკნელი სიმაღლე საიქიოსი. სამოთხისებური გალობა მოისმის ამ სფეროში და სმენას ველარ სწვდება ხმაური სხვაგვარი. პეტრუს დამიანის შეესიტყვება დანტე, ბეატრიჩეს ნებართვით, ამ საუბარშიაც გაჰკიცხავს პოეტი რომის კარდინალებს და ეკლესიის გახრწნის შესახებ ჩამოაგდებს სიტყვას. ბეატრიჩე მოუწოდებს პოეტს ძირს დარჩენილ ქვეყნისაკენ გაიხედოს ერთხელ კიდევ, პოეტი ქვემოთკენ გადაიხედავს და გაეცინება, როცა დარწმუნდება, რომ შვიდი სფეროს ქვეშ მდებარე სამყარო ასე „პატარაა და საცოდავი“.

მერვე ცაში ბეატრიჩე აჩვენებს პოეტს „ქრისტეს ტრიუმფალურ სვლას“. ქრისტე გამოეცხადება პოეტს მზის-დარად. ამ მზეს სინათლის ჭაღები არტყია გარს, აქვეა მარიამ და წმ. მოციქულები. დანტეს ესაუბრება ბეატრიჩე ქრისტეანული მისტიკის სხვადასხვა ბნელი საკითხების შესახებ. დანტე მიწას დააკვირდება და ახლა ამჩნევს, რომ მერვე ცაში 6 საათი დაუყვიათ. აღმოსავლეთის ქვეყნებს ჯერაც ბნელი ღამის შავი ნაბადი ფარავს.

მეცხრე ცისკენ მიისწრაფიან პოეტი და მისი სატრფო, ამ სფეროს „კრისტალის ზეცა“ ეწოდება, ანუ primum mobile, ამ ზეცას ემყარება Empyreum. ემპირეუმს ვარსკვლავები არ გააჩნია, ეს მე-IX ზეცა ანუ „პრიმუმ მობილე“ მიწიერი წესრიგის საფუძველია. ამ კრისტალის ზეცის საკვირველებანი ბეატრიჩეს თვალეში შეიცნო პოეტმა და ამის შემდეგ თავად სჭვრეტს და ხედავს: 9 გარსს ამავე ზეცისას.

აქ ბეატრიჩე ესაუბრება პოეტს ანგელოსთა გუნდების შესახებ, თანაც მრავალ თეოლოგიურ და მეტაფიზიკურ საკითხებს უხსნის პოეტს [ანგელოსების ციური იერარქიის საკითხები ნასესხებია დანტეს „ნადიმდიან“ (Convivio)]. დილის რიჟრაჟი იცრიცება, ანგელოსების დასები ჰქრებიან და პოეტი სჭვრეტს მხოლოდ და მხოლოდ ბეატრიჩეს სახეს („ღვთაების ნათელით მოსილს“). ნეტარება და მშვენება მისი მყის წარხოცავს ყოველივეს, მის მიერ ნახულს, და პოეტის ხსოვნაში აღიბეჭდება ღიმილი ნეტარი (Dolce riso). ბეატრიჩე და დანტე სპეტაკ ნათლის ზეცაში ამაღლდებიან, „ღვთიურობის სხივმოსილი არილი“ ციმციმებს ირგვლივ, ამ სხივოსან ზღვაში რონირობს „სამყოფელი ნეტართა და ანგელოსთა“ — მეცხრე ზეცა.



გარშემო სინათლის ლივლივია და ციალი სხივთა, აღმართულია ცაში ათასაფეხურიანი ამფითეატრი, ეს ყოველივე უშველებელი ვარდის სახით განეცხადება პოეტს. უკანასკნელად განახვანა ბაგენი ნეტარმა ბეატრიჩემ და აღუთქვამს პოეტს რომ იმპერატორი ჰაინრიხ მე-VII „სამშობლოს მხსნელად მოველინება“. დასასრულ პოეტი „ღმერთს იხილავს“. სამოთხის დასასრულში პოეტი ხოტბას ასხამს სიყვარულს, „რომელიც ძალას აძლევს მშესა და ვარსკვლავებს“.

„ვარსკვლავებით“ ათავებს პოეტი სამივე ნაწილს თავის „ღვთაებრივ კომედიისას“.

...E quindi uscimmo a riveder le stelle“ (ჯოჯობ. უკანასკნელი ლექსი).

...და გამოვედით რომ გვეხილა კვლავ ვარსკვლავები.

...Puro e disposto a salire alle stelle“. („სალხინებელი“.)

... განმზადებულნი, რომ გვეხილა ცის ვარსკვლავები.

...L'Amor che muove il sole e l'atre stelle“.

...სიყვარულისაგან, ვინაც აღძრა მზე და ვარსკვლავნი, („სამოთხე“).

* * *

დანტეს პოემის სამივე ნაწილს თავად ავტორის მიერ შერქმეული აქვს „კომედიის“ (ჯოჯ. ქებანი: 16, 128, 21,2.), ხოლო სამოთხეში იხსენიებს როგორც *Sacrato paema*-ს „წმინდა პოემას“ („სამოთხე“ 23, 62,) *divina*—ღვთაებრივი სხვათა მიერ შერქმეულია. პირველად ბოკაჩიო ახსენებს დანტეს პოემას, როგორც „ღივინა კომედიას“. ცნობილია: ანტიური ტრაგედიები სამხიარულოთი იწყებოდნენ და სამწუხარო ფინალს ლებულობდნენ, ხოლო დანტეს მიერ შექმნილი ადამიანის სულის მოგზაურობა სამ სამყაროს წილში, სამხიარულო დასასრულს ლებულობს. ანტიური ლექსალური ფორმა ჰექზამეტრი ევროპულ ლიტერატურაში იხმარებოდა უკანასკნელ საუკუნოებამდის. ბოლო-რიტმოვანი ლექსი დანტეზე ადრე შემოვიდა როგორც იტალიურ, ისე ფრანგულსა და გერმანულ პოეზიაში. ქრისტიანული კულტურის ქვეყნებში ყველაზე ადრე რუსთაველმა იხმარა ბოლორიტმიანი ფორმა დიდი ქმნილებისათვის¹.

ჰექზამეტრი პირწმინდა ანტიური ფორმა იყო, რენესანსის დაწყებამ მარტივ და ბუნებრივ ფორმების ძიება დაჰბადა პოეზიაში. ბოლორიტმიან ტერცინებს დანტეზე ადრე ხმარობდნენ იტალიაში.

რუსთაველის ნეოპლატონიზმი, არაბული კულტურის ფლიუდები, საერთოდ ხელახლად აღორძინებული ანტიური განწყობილებანი მისი პოეზიისა ეს ყოველდღე გვაფიქრებინებს, რომ ქრისტიანულ ქვეყნების პოეზიაში რუსთაველი იყო პირველი ნათლისმცემელი რქენესანსური სულობისა და კულტურისა.

რუსთაველის შემდეგ დანტემ თითქმის ერთი საუკუნით გვიან მიმართა ბოლორითმას (ცხადია, კაპიტალური ქმნილების კომპოზიციისათვის). როგორც თავისი იდეური შინაარსით, ისე ფორმით დანტე სდგას ბნელი, საშუალო საუკუნისა და ახალი რენესანსის მიჯნაზე, როგორც განმცხადებელი და მაცნე ახალი ევროპული კულტურისა.

უკანახტარი

1919 წ. მე მომიხდა ფლორენციაში ცხოვრება. სწორედ იქ განვიზრახე პირველად მეთარგმნა ქართულად დანტეს კომედია. ფლორენციაშივე გადავთარგმნე პროზად „ჯოჯოხეთის“ შესავალი. ამ ხანებში მე ჯერ განსწავლისა და მგზავრობის პურიოდი მოთავებული არა მქონდა. გარდა ამისა, წინასწარ ვიცოდი ამ საქმეს დიდი ჯაფის გარდა, დიდი მატერიალური რესურსები დასჭირდებოდა. იმჟამად კი გამომცემლობის საქმე ჯერაც მოხალისე კერძო პირების ხელში იყო, ასე რომ ეს განზრახვა განზრახვად დარჩა. 1930 წელს საქ. სახ. პედინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის კათედრამ მომანდო მსოფლიო პოეზიის მნიშვნელოვანი ქმნილებების ნიმუშები მეთარგმნა დასავლეთის ლიტერატურათა ქრესტომატიისათვის. ცხადია, დანტეს კომედიის ადგილებიც უნდა მეთარგმნა. ამ საქმეში გავიამხანაგე ჩემი მეგობარი, პოეტი კონსტანტინე ჭიჭინაძე. ჩვენ დაგვანტერესა და გავვიტაცა ამ დიდმა საქმემ და ერთგვარი მეგობრული შეჯიბრი გაემართეთ დანტესა და რუსთაველის დროინდელ ტრუბადურების დარად.

ნიმუშების თარგმნას მთელი „ჯოჯოხეთის“ გადათარგმნა მოჰყვა.

აქ რამოდენიმე სიტყვა უნდა ითქვას თარგმანში შერჩეულ ფორმის შესახებაც.

საერთოდ ევროპელი პოეტები ბოლორითიან დიდ ქმნილებების ასევე თარგმნას გაურბიან. არა მარტო ლექსის, არამედ უბრალო

1. სამწუხაროა, რომ ჩვენ ჯერაც არ ვიცით, თუ რომელ საუკუნოში შემოვიდა თავდაპირველად ქართულ პოეზიაში ბოლორითიანი ლექსი.

პროზის თარგმნის დროს მუდამ მარად ძველი და მარად ახალი პრობლემა წამოიჭრება ხოლმე მთარგმნელის წინაშე: ან ტექსტის შიშართ უნდა ჩაიდინო მცირეოდენი შეცოდებანი, ან იმ ენის მიმართ, რომელსაც თარგმნის ინსტრუმენტად ირჩევ. აქ სხვა გზა არ არსებობს, რადგან არც ერთი ენის შესაძლებლობანი მათემატიკურის სიზუსტით არ ემთხვევიან მეორე ენის შესაძლებლობათ.

ამ შემთხვევაში იოტის ოდენა განსხვავება მუდამ თამაშობს ორ ენის მიჯნებს შორის. მე ვფიქრობ, საკუთარი ენის მოყვარული პოეტი, მუდამ ფიზილად უნდა იცავდეს საკუთარ ენას. ამის გარეშე თარგმანი უაზრობაა და პოეზიის და ენის წარყვანა. ლექსის თარგმნის დროს ეს ამბავი ათეცად რთულია, ამიტომაც ფრანგები, გერმანელები და ინგლისელები დიდ პრემებსა და გალექსილ ტრავედიებს მეტწილად პროზად სთარგმნიან. შექსპირი და ჰომერი გერმანელებმა და ფრანგებმა პირველად პროზით სთარგმნეს. მე კარგად ვიცნობ ევროპულ ენებზე არსებულ დანტე-ლიტერატურას და უნდა აღვნიშნო, რომ ბოლორითიანი თარგმანები მუდამ უხეშად ლალატობენ ტექსტს, რადგან ერთი ენის სინტაქსი და რიტმიძომენონ — რიტმიული მასალა — კარდინალურად განსხვავდებიან ურთიერთისაგან. ნუ დაგვაფიწყდება, რომ ევროპული ენები (იგულისხმე რომანულ-გერმანული ენათა ოჯახებისა) ასე თუ ისე მონათესავენი არიან. ქართული კულტურის უდიდესი ტრავედია (შესაძლოა ბედნიერებაც ზოგიერთ შემთხვევაში) ისიც არის, რომ ქართული ენა ძალიან შორსაა ხსენებულ ენებისაგან, როგორც სინტაქსით, ისე რიტმიული ინსტრუმენტიცა.

საერთოდ ყოველი დიდი ქმნილება ისე ღრმად შესულია საკუთარი ენის უსიერ ტევრში, რომ მისი უადრესის სიზუსტით გადმოღება და მეორე ენაზე გადატანა ყოველად შეუძლებელია.

საერთოდ, თარგმნის დროს დიდი ქმნილება მუდამ აგებს, თუნდაც კონგენიალური პოეტის ხელშიაც, ხოლო უნიჭოება მუდამ იგებს. ქართული ენის სიმარტოვისა და განდგომილების ბრალიცაა, რომ ჯერ რუსთაველი ვერც ერთ ენაზე ვერ გადაითარგმნა. ასევეა ვაჟას და გურამიშვილის თარგმნის საკითხიც. ზომ დიდის სიყვარულით უთარგმნია „ვეფხის ტყაოსანი“ ინგლისურად (პროზად) ჩვენთვის მარადის დაუფიწყარ მისს მარჯორი უორდროპს, მაგრამ მე შემეცოდა რუსთაველი, როცა ამ თარგმანს გავეცანი.

ძლიერ ახლოა ფრანგული ენა იტალიურთან, უნდა ითქვას, რომ ფიორენტინოს სიტყვა სიტყვითი პროზაული თარგმანი, რომელმაც დიდი სამსახური გაიწვია, საუკეთესოა და უზუსტესი. გერმანელებს მრავალგზის უცდათ დანტეს „გაგერმანელება“. ალაგალაგ ვიშველიებდი კრიაგარის და პოხჰამერის ბოლორითმიან თარგმანებს, მაგრამ, როგორც დანტეს ტექსტების, ისე ფიორენტინოს თარგმანის შემწეობით მე ვამჩნევდი, რომ ისინი მრავალგზის ღალატობდნენ ტექსტს ბოლორითმის ძებნის გამო.

დიდი სამსახური გაიწვია საქსონიის მეფის („ფილალეტეს“) იოჰანეს 14 მარცვლოვან გაურითმავი ლექსით თარგმნილმა „ჯოჯოხეთმა“. ეს უკანასკნელი ერთი საუკეთესო თარგმანთაგანა ევროპულ დანტე-ლიტერატურაში.

კომედიის ბოლორითმიან ლექსით თარგმნას ერთი პოეტის უხანგრძლივესი სიცოცხლეც არ ეყოფა. უდიდესმა გერმ. ლირიკოსმა სტეფან გეორგემ ორიოდე ქება სთარგმნა ბოლორითმიანი ლექსით. უნდა ითქვას, გეორგეს თარგმანი უბრწყინვალესია, მაგრამ ფრაგმენტული¹. ვიდრე ქართულად თარგმნას დავიწყებდით, ჩვენ ბევრი ვითათბირეთ და ის იყო 14 მარცვლოვანი ლექსი ავირჩიეთ.

ქართულ პოეზიაში, რუსთველის შაირის შემდეგ, საერთოდ 14 მარცვლოვანი ლექსია ყველაზე მეტად გამარჯვებული. იგი საუკეთესო ინსტრუმენტი მალალ პათეთიური, დარბაისლური მეტყველებისათვის.

დიდი სიყვარულისა და ჯაფის გაღება დაგვეკირდა დანტეს „გაქართველებისათვის“, მაგრამ აქვე მადლობის ღირსია საქ. საბჭოთა ხელისუფლებას, რომელმაც ამ დიდი კულტურული საქმისთვის საძირკვლის ჩაყრა შეგვადგინა.

დასასრულ, მართლწერისათვის მინდოდა ორიოდე სიტყვა მომეხსენებინა მკითხველისათვის. „ჯოჯოხეთის“ ტექსტის თარგმნისას შეძლებისამებრ ოდნავ არქაიზირებულ მართლწერას ვიცავდით. მე პირადად ამ მოსაზრებით ჩემს ჩვეულებრივ მართლწერას ვღალატობდი ალაგ-ალაგ. „შვენიერის“ ნაცვლად „შენიერი“, ნაცვლად „მტრედისა“ „ტრედი“, „ვერცხლის“ ნაცვლად „ვეცხლი“, გაფურბოდი ყოველგვარ პროვინციულ სიტყვას, შეგნებულად ვიხმარე „მე“-ს ნაცვლად „მენა“, რაკი ეს სიტყვა ჩემამდის სხვა ქართველ პოეტებსაც მრავალგზის უხმარიათ, გარდა ამისა, იგი ქართლის პროვინციის რამდენიმე კუთხეში იხმარება.



¹ შედ. Deutsche Dichter in neuer Zeit, von Fr. v. d. Leyen. იენა, 1922 წ.

აქვე საჭიროდ ვთვლი მადლობა ვუძღვნა პატივცემულ პროფ. ივ. ჯავახიშვილს, რომელთანაც მრავალჯგონის მითათბირნია სხვადასხვა საკითხის გამო. მანვე მომაწოდა დავით აღმაშენებლის შესახებ სქოლიოში მოყვანილი ცნობა, თავის ჯერ გამოუქვეყნებელ შრომიდან ამოღებული. აგრეთვე მადლობით უნდა მოვიხსენიო ჩემი მეგობრები: ხარიტონ ვარდოშვილი, ალ. ლორდელი და სოლომონ იორდანიშვილი, რომელნიც განსაკუთრებულის გულსყურით მშველოდნენ კორექტურულ მუშაობისას.

დაიწერა ტფილისში
1932 — 33 წლებში.

ጸ ጢ ጸ ጢ ህ ገ ወ ነ

ქება პირველი

უსიერ ტევრში, ამ ცხოვრების ნახევარგზაზე
ანაზღეულად გამოვფხიზლდი გზა დაკარგული.
ენა ვერ იტყვის, თუ რამდენად იყო ტყე იგი

- 4 უკაცრიელი, უდაბური და გაუვალი.
თვით მოგონებაც წამიერი ერთხელ ხილულის
საშინელია ამჟამადაც და შემზარავი.
- 7 ეს მოგონება თვით სიკვდილზე უმწარესია,
მაგრამ მე მინდა ჯერ მოგიტხოთ სულ სხვა საგნებზე.
იმათ ხილვათა მისაწვდომად, განსაცხადებლად.
- 10 ველარ გიამბობთ ვით დავკარგე მე გზა მართალი,
თურმე ჩემს თვალებს მორეოდა ეგზომად რული.
ჯერაც ჭალაკი საშინელი არ გამეარა,
- 13 ბეჭობი რამე მეყვსეულად შემომეხეჩა,
ზე ავიხედე, დავინახე: ცთომილის სხივებს
ზეთავი მთისა შეემოსათ უცხო არილით.
- 16 აჰა დაოკდნენ გულის ჩემის ტბისა ზვირთები,
წარსული ლამის სიმძიმელი გამომინელდა,
და ვით მენავე ზღვაურისგან გამორიყული
- 19 თვალს რომ შეავლებს ამბოხებულ ზღვის მღელვარებას,
ასევე ჩემი მწუხარებით ვნებული გული
უკუ მოიქცა და გასცქერის მიჯნას გადავლილს,

შენი შვნი: 1. Nel mezzo del cammin ecc. „ჩენი ცხოვრების ნახევარ
გზაზე“... იგულისხმება 35 წელი, რადგან საშუალო საუკუნ. ადამიანის სიცოცხლის
ხანგრძლივობის მიჯნად გულისხმობდნენ: 70 წ. 1265 წ. დაბად. დანტე 1300 წ.—
25 მარტს, იმ დროს, როცა პაპმა ბონიფაც მე-VIII-ემ პირველი ქრისტ. იუბილეა
დანიშნა. იქვე: უსიერი ტევრი. დანტე: „Selva oscura... ალეგორიულად, უსიერ,
ბნელ ტყეს დანტე უწოდებს ადამიანურ ცხოვრებას, resp. იმ დროინდელ არეულ
და უზნეო საზოგადოებას.

14. ცთომილის მთიებს ე. ი. მზის სხივებს.

19. აქ იგულისხმება ხილულ, რეალურ სამყაროსა და ზებუნებრივ სამყა-
როს შორის არსებული მზღვარი.

ჯ ა ჯ ა ბ ე თ ი

- 22 რომლის ბადალი კაცს ხორციელს არ გადულახავს. ოდნავი შვება მოეუპოვე ჩემს ნაგვემ სხეულს, ამოვისუნთქე, მოვიკრიფე ისევე ღონე.
- 25 მივეყვ უდაბნოს მცირე ბილიკს ზემოდ მიმავალს, და როცა კალთას გორმახისას შევადგი ფეხი, შემომეფეთა მე უეცრად ფეხმარდი ბაბრი,
- 28 ფორეჯებიან, ქრელი ბეწვით გარემოსილი, შემომცქეროდა, მომწესხველი, ჯიქური მზერით მითვალთვალებდა, არც ლამობდა აქცევას გზისას.
- 31 ისე ბეჯითად გადამიჭრა გზა გასავლელი შევსდექ მრავალგზის, შევეყოყმანდი და განვიზრახე: შემობრუნება, გზის დათმობა და უკუქცევა.
- 34 ეს იყო ჟამი მიწურული გარიჟრაჟისა, როს მზე ისწრაფვის კაბადონზე ამოსასვლელად მკრთალ ვარსკვლავების ასაბიით გარემოცული,
- 37 როს სიყვარული ღვთაებრივი ანიჭებს ძალას და ამოძრავებს ამ შვენიერ ციურ ცთომილებს, სხივთა ირაო გაიელვებს ლურჯ ცადაქნილზე.
- 40 უცხოდ ნაქარგი ბაბრის ტყავი და განთიადი ჩემს სულს დაქანცულს ესალბუნა, შემესხა ფრთენი და აღორძინდა კვლავ იმედის ნიჭი ჩემს გულში,
- 43 მაგრამ იჩქითად შემომენტო შიშისა ზარი: გამომეცხადა დაღრენილი, მძვინვარე ლომი; თავაწეული იგი ჩემსკენ მოისწრაფოდა.
- 46 მოძუნძულებდა დამშეული, პირქუში მხეცი, ტორების ჩქამზე ცახცახებდა თავად ჰაერიც. შემდეგ ვიხილე მომავალი ჩემსკენ ძუმგელი.

27. დანტე: Lonza, პანტერ, ბაბრი, ჯიქი (საბა ორბელ.) იტალ. L'ussuria სიმბოლო-ფუფუნებისა, ავბორცობისა, ზნეობრივი თავაშვებულებისა.

44. დანტე: Leone — ლომი, სიმბოლო ძლევამოსილების, გულამაყოობის, პოლიტიკური მძლეობისა.

არსებობს აგრეთვე პოლიტიკური სარჩულით ახსნა ამ სამი სიმბოლიური ცხოველებისა: ბაბრი — ფლორენცია, ლომი — საფრანგეთი, ძუ მგელი — რომის ეკლესია.

48. დანტე: Una lupa. È simbolo dell'avaricia ecc.

ძუ მგელი: სიმბოლო სიხარბისა, სიძუნწისა, ქონების მოხვეჭით აღტყინებული ადამიანობისა, resp. პაპის ეკლესიის პოლიტიკური სიხარბისა და გამდიდრების ჟინით აღტყინებულ სამღვდელთაობისა.

- 49 გამხდარი იყო, ეტყობოდა ვნება ყოველი ხორცისმიერი, ბიწიერი მას დაკისროდა. თვალთავან მისთა მონაბერმან საშინელებამ
- 52 მწვერვალზე ასვლის იმედები გამინიავა. როგორც მავანი კაცი ბედით გალაღებული, გახარებული ხელმარჯვობით, განძის მოხვეჭით,
- 55 ერთ უზიავ დღეს გაკოტრდება და დამწუხრდება, მეც ისე შევკრთი ამ ტყიერის შემოხვდომისას, და მივაშურე იმ მიდამოს, სადაც დილის მზე
- 58 სხივდაფანჩული ბნელ ორწოხებს შეხიზნებოდა. შეველ ტაფობში, შემეყარა აქ კაცი ვინმე, რომლის ძახილი მომესმოდა ჟამგამოშვებით.
- 61 გავეხმაურე ამ მარტომყოფს ვრცელ უდაბნოში, ვუყვილე, ვარქვი: „შემიბრალე, მოიღე სიტყვა „ვინაც არ იყვე, გინა კაცი და გინა ლანდი“.
- 64 შემომესიტყვა: „არ ვარ კაცი, ოდესღაც ვიყავ, „მშობელნი ჩემნი ლომბარდიის ყოფილან მკვიდრნი, „იქ მანტუაში დარწეულა მათი აკვანი.
- 67 „მე დავიბადე იულიუს კეისრის ჟამსა, „რომში ვცხოვრობდი, როს ავგუსტუს მეფობდა ქველი „და მატყუარა, ცრუ ღმერთები დათარეშობდნენ.
- 70 „პოეტი ვიყავ და ანქიზეს ვაჟს ვუმღეროდი „მძლე ილიონის დაწვის შემდეგ რომში ჩამოსულს. „მაგრამ შენ საით მიისწრაფი უკუქცეული,
- 73 „ამ სევდის ბაღნარს ფერდამკრთალმა რად მიაშურე? „რად აღარა გსურს იმ განცხრომის მთაზე ახვიდე, „რომელიც თავად სიხარულის სათავე არის?“
- 76 „შენ ვირგილიუს უნდა იყვე, — ვარქვი დარცხვენით, — „დაუშრეტელი დასაბამი ენაშეობის. „სხვა პოეტების ნათლის სვეტო და სიამაყევე,

65. ლომბარდია — ჩრდილო იტალიის უდიდესი პროვინცია.

67. იულიუს — იგულისხმება იულიუს ცეზარ. არსებითად უნდა იგულისხმებოდეს ცეზარის ეპოქა, ვინაიდან ვირგილიუს დაიბადა 70 წ. ქრისტემდის; ცეზარი მოკლულ იქნა 44 წ.

76. ვირგილიო მარონე, რომაელი პოეტი, ამ შემთხვევაში სიმბოლო ადამიანური გონებისა. მთელი რენესანსის ლიტერატურაში ვირგილიუსი იხსენიება როგორც ადამიანური გონების — Ragione-ის სიმბოლოდ. დანტე ხედავს ვირგილიუსში თავის წინამორბედს Civiltà antica, simbolo della ragione, della filosofia dell'imperio-ს მომღერლად და ვეტერანად.

- 79 „მეც შენ აღმიძარ ო, მგოსანო ნდომა სწავლისა,
„მეც სიყვარულით მიძებნია შენი წიგნები,
„შენის-წყალობით მეც სახელი მომიხვეჭნია.
- 82 „ამ მწითურ ნადირს ხომ კი ხედავ, ოსტატო ჩემო,
„ბრძენო მისანო, მომეშველე და დამიფარე,
„ხედავ, შიშისგან მიცახცახებს სხეული სრული?“
- 85 „სხვა გზას მიჰყევი, — მიპასუხა მაშინ მგოსანმა,
რა დამინახა მდულარება ჩამომდიოდა, —
„მხოლოდ ამრიგად გადურჩები საშიშროებას.
- 88 „ვინადგან მხეცი, რომლის შიშით ესდენ ცახცახებ
„არ გაატარებს ამ შარაზე არვის ხორციელს.
„თუ გაუძალდი, არ აგცდება მისგან სიკვდილი.
- 91 „იგი ბუნებით ბოროტია და ბიწიერი,
„გაუმაძღრობით, ღორმუცლობით სახელგანთქმული,
„თუნდაც რომ სჭამოს დღედაღამე დაუცხრომელად:
- 94 „მით უფრო მეტად უმძაფრდება შიშშილის გრძობა.
„მრავალ ცხოველთან მოუხდება მას შეუღლება
„მაგრამ ვიდრემდის მოვიდოდეს ერთხელ მწევარი,

96. E sua nazione sarà tra feltro e Eeltro-ეს სტრიქონი თარგმ.წში გამოფუჭვი და მხოლოდ შენიშვნაში ავლნიშნე, სიტყვა-სიტყვიზ: „მისი დაბადების ადგილი იქნება ფელტრესა და ფელტროს შორის“. ამ ადგილას უნდა დაიბადოს მწევარი—Veltro, ზოგი კომენტატორი ფიქრობს: ცასა და ცას შორის (ფელტრე მცირე ასოთი დაწყებული feltre — ნიშნავს: ფელტრს). Feltre მეორე მხრით: Feltre იტალ. პროვინც. ბელუნიოში ქალაქია, Feltro os, მონტე ფელტრო — პროვინცია იტალიაშივე. Veltro მწევარი, ნაგულისხმევი როგორც ძლევეამოსილობის სიმბოლო, ახალი ცეზარი, მესია — რომელსაც უნდა აღედგინა imperium romanorum — რომის იმპერია, ან ახალი იტალია. ზოგიერთი კომენტატორების აზრით სწორედ ეს მესია (veltro) უნდა დაიბადოს ქალაქ ფელტრესა და მონტეფელტროს შორის ე. ი. ზემო იტალიაში.

უნდა აღინიშნოს რომ აქაც იგივე დაუსრულებელი კამათია დანტეს კომენტატორებს შორის, როგორც ბეატრიჩეს მნიშვნელობის შესახებ. ოტიმოს აზრით დანტეს veltro-ს—მწევარის სახით წარმოდგენილი უნდა ჰქონოდა იმ დროინდელი გარყვნილი კათოლიკური ეკლესიისა და მთელი საშუალო საუკუნის განმანათლებელი მესია. ზოგის აზრითაც დანტეს სახეში ჰყავდა იმპერატორი ჰაინრიხ მე-VII, სხვანი სან გრანდე დელლა სკალას ასახელებენ. ერთნი ჰფიქრობენ—დანტეს მწევარის სახით ნაგულისხმევი ჰქონდა დიდი რეფორმატორი, სხვათა აზრით დანტეს საერთოდ კაცობრიობის ცივილიზაციის პროგრესის უნდა ჰქონოდა ნაგულისხმევი.

უკანასკნელ საუკუნოში უფრო თამამი აზრები გამოითქვა დანტეს გარშემო შექმნილ აურაცხელ ლიტერატურაში. მათ შორის რადიკალურად მოაზროვნენ ასახელებენ „კაცობრიობის რევოლუციურ გენიას“, ხოლო კონსერვატორები: ვიქტორ ემანუელს, გარიბალდის, იმპერატორ ვილჰელმ პირველს, ნაპოლეონ მე-III-ს და სხვ.

- 97 „არ მიეცემა დასასრული მის გამარჯვებას.
„არც კვებას მიწა, არცა ოქრო თურმე იმ მწევარს;
„სიბრძნე, სიქველე, სიყვარული საზრდოა მისი.
- 100 „მოველინება იგი მხსნელად ჩვენს იტალიას,
„რომლისათვისაც თავი დასდევს ტურნუს, ნიზუსმა,
„სიკვდილი ერგო ვერიალეს, ქალწულს კამილლას.
- 103 „და ეგ მწევარი წინ გაიგდებს მყისვე იმ ძუმგელს,
„არ მოეშვება, სანამ მგელი მისგან დეენილი
„არ ჩაეფლობა ჯოჯოხეთის ბნელ ორწოხებში,
- 106 „სადაც მზაკვრობას ურწევია აკვანი მისი,
„და საიდანაც მოველინა იგი სამყაროს.
„ახლა მომყევი, მე გაგიწევ წინამძღოლობას.
- 109 „გირჩევ მომენდო და იარო ჩემს ნატერფალზე,
„მარადუამობის მიდამოებს როცა მივალწევთ,
„შემოგესმება უსასოო გოდების ხმები.
- 112 „ნახავ ანტიკის მალალ სულებს გაწამებულებს,
„საშინელის ხმით რომ უხმობენ მეორედ სიკვდილს.
„აქვე ძხილავ ისეთებსაც, ვინც ამ გენიას
- 115 „შეგუებიან სასოებით და იმედი აქვთ
„ოდესმე თავად შეუერთდნენ გაწმენდილ სულებს.
„შემდეგ, თუ შენაც მოგიხდება ეახლო იმათ,
- 118 „უფრო ღირსეულ სულს მიენდე, ის გიწინამძღვრებს,
„მასთან დაგტოვებ და ხელახლა გამოვბრუნდები,
„რადგან ცეზარი, საზენაოს ხელისუფალი,
- 121 „რომლისა მიმართ მემამოხედ ვითვლები მენა,
„თავის ქალაქში არ შემისვებს, არ დამავანებს.
„ხმელი და მყარი, საზენაო და სააქაო,
- 124 „არსთა სულობა, გარესკნელი თვალშეუღვამი,
„მას აბარია და ეთერის ცადაქნილები,
„მისი ტახტია და მალალი სასუფეველი,

102 — 103. კამილლა და სხვ. ნასესხებია ვირგილიუსის ენეიდას პერსონაჟი-დან...

115. La porta di san Pietro — პეტრე წმინდის კარიბჭეები — იგულისხმება paradiso-ს — სამოთხის კარიბჭეები.

118. Anima fia — უფროვე ღირსეულ სულად იგულისხმება ბეატრიჩეს სული (+1290 წ.)

- 127 „და ნეტარება მისგან რჩეულს, მისგან ხელდასხმულს,
„რომელსაც იგი შეივრდომებს და შეიფარებს“.
ვარქვი: „მგოსანო აწ გაფიცებ იმ ღმერთის სახელს,
- 130 „რომელიც შენთვის ეგზომ უცხო ყოფილა თურმე,
„თუ გსურს ამ საფრთხეს განმარიდო და სხვა მრავალი.
„მე განსაცდელი ამაცილო და მიწინამძღვრო,
- 133 „თან წარმიტანე, რომ ვიხილო — ის საბრალონი,
„რომელნიც წელან საუბარში შენვე ახსენე,
„და პეტრე წმინდის კურთხეული კარიბჭეები“.
- 136 ის გზას გაუდგა, მეც კვალდაკვალ მივეყვი მგოსანს.

ქაბა მართა

- დღე მიიწურა; დედამიწა სალამოს მწუხრმა
ბინდით შემოსა და დალილინი მუშაკნი მიწის
განსასვენებლად განაშადა. მე მარტოდენ
- 4 მელოდა შრომა დაქანცველი: სავალი მძიმე
და შებრძოლება სიბრალულის გრძობასთან ჩემში.
ყველაფერს ამას ხსოვნა ჩემი გაუწყებთ სწორი.
- 7 შევლას გენუკვით ო, მუზებო, გენიავ დიდო!
ხოლო შენ, სწორო მატთანვე ჩემგან ხილულის,
მეხსიერებავე, ახლა უნდა იჩინო თავი!
- 10 „მგოსანო, ჩემო წინამძღოლო, — მივმართე ოსტატს, —
„საქმე დიდია მეტიმეტად, რომელსაც მანდობ,
„და ჯერ განსაჯე, შესრულება თუ ძალმიძს მისი.
- 13 „შენ აღგვიწერე, სილვიუსის მშობელმა ერთხელ,
„მაშინ ჯერ კიდევ ხორციელმა, რომ ინახულა
„მხარე მარადი და უვნებლად დაბრუნდა უკან.
- 16 „მაგრამ თუ მტერმან ყოველივე ბოროტისამან
„ის დაიფარა, სჩანს მიზეზი ამისი იყო
„მისი სახელი და დიადი დანიშნულება.
- 19 „გასაგებია ეს კაცთათვის: ჯერ კიდევ მაშინ
„ცათამყრობელმა მას უწოდა შემქმნელი რომის
„და რომაელთა უდიდესი იმპერიისა.
- 22 „ხოლო ამ რომს და იმპერიას იმ თავითავე
„გარდმოველინა მაღლი ცისა: იკურთხოს მიწა,
„სად დასჯდებიან წმიდა პეტრეს მოადგილენი!
- 25 „შენგან ქებულმა ენეოსმა ჯოჯოხეთს შთასვლით
„ბევრი შეიცნო, რამაც ძლევა მას მიანიჭა
„და პაპთა შემდგომ განდიდებას დაუღო ფუძე.

13. ს ი ლ ვ ი უ ს — ენეას ვაჟი.

24. იგულისხმებიან რომის პაპნი, გადმოცემით ისინი უნდა ყოფილიყვნენ ქრისტეს მოადგილენი ამ ქვეყნად.

* *) კონსტანტინე ჰიქსინაძის მიერ თარგმნილი.

- 28 „შემდეგში პავლე — ეს ლარნაკი არჩევანისა —
„ცათა სამყოფელს ალიტაცეს; დეე ჩვენს რწმენას
„მაღლით ახალი მოუვლინოს მან დასაყრდენი.
- 31 „მე კი ვით მოგყვე, ან ვინ მომცემს წამოსვლის ნებას?
„არცა ენეოს, არცა პავლე არა ვარ, თვით მე
„თავს უღირსად ვთვლი, — და სხვა ვინლა მიმიჩნევს ღირსად?
- 34 „ახლა ხომ ხედავ გამოყოლა რისთვის მაშინებს,
„მთელი ეს საქმე მე სიგიჟედ მომჩვენებია.
„მაგრამ ბრძენი ხარ და შენ უფრო სისწორით განსჯი“.
- 37 რაც ემართება ადამიანს, რომელიც ჰკარგავს
თვის ნებისყოფას, რომელშიაც ახალი აზრი
შესცვლის ძველ აზრებს და ჩაახრჩობს ქმედების ძალას,
- 40 მეც ის შემემთხვა ამ წყვილიდით მოცულ მხარეში:
გამბედაობა ღვაწლისათვის, რომელიც ესდენ
წარმიტაცებდა, მე ზრახვებმა დამიღპო გულში.
- 43 „თუ შესაფერად გავარკვიე სიტყვები შენი, —
ლანდმა დიადმა მიპასუხა, — სჩანს შენი სული
„მდაბალი შიშის ზეგავლენით მერყეობს აგრე;
- 46 „ხშირად მაგგვარი შიშის გამო ადამიანი
„მაღალ საქმეთა შესრულებას განერიდება:
„ასევე ლანდი მხეცს აშინებს ჩვენებით მტკნარით.
- 49 „და რომ გავფანტო შენი შიში, გაიმბობ მე შენ,
„რისთვის მოველ და თანაგრძნობა შენმა ბედშავმა
„მდგომარეობამ რა მიზეზით აღმიძრა გულში.
- 52 „ვიყავ მათ შორის, ჯერაც კიდევ რომელთა ბედი
„არ გარდამწყდარა, და უეცრად ქალწულმა წმიდამ
„მიხმო, — ბრძანებას სიხარულით დავენებდი მისას.
- 55 „თვალნი იმისნი ელვარებდნენ უმეტეს, ვიდრე
„ცის ვარსკვლავები; უნაზესი და უტკბილესი
„ანგელოსური ხმა იმისი მომესმა ნელი:
- 58 «ო, შენ, მანტუის სულგრძელო და მაღალო მკვიდრო,
„ვისიც დიდება არსებობს და იქნება ქვეყნად,
„ვიდრე მიწაზე იარსებებს სიცოცხლე, — წაღი!

25, 32. ენეოს ანუ ენეას, — იგულისხმება ვირგილიუსის პოემის „ენეიდის“ გმირი — ენეა.

58. როგორც პირველი ქებიდანაც სჩანს, ვირგილიუსი მანტუის მკვიდრი ყოფილა.

- 61 «იქ იმ უდაბურ მთის ფერდობზე მეგობარს ჩემსას,
„მაგრამ ბედისგან მივიწყებულს, დაბრკოლებანი
„გარდულახავნი და სასტიკნი შეჭყრიან გზაზე.
- 64 «მაკრობს ის, რამაც მოაღწია ჩემდამი ზეცად:
„ვავი, თუ უკვე დაილუპა აქამდე იგი,
„ვავი, თუ უკვე დახმარებას დააგვიანდა!
- 67 «წადი, უშველოს დეე შენმა ბრწყინვალე სიტყვამ.
„არავითარი არ დაზოგო ღონისძიება,
„რომ იხსნა იგი და მით გული მეც დამიმშვიდო.
- 70 «ბეატრიჩე ვარ; ჩამოვსულვარ ქვეყნიდან, სადაც
„მწყურის მხურვალედ კვლავ მიქცევა; მე სიყვარულმა
„გზად დამაყენა და ამის თქმაც მასწავლა მანვე.
- 73 «მაღე მე ისევ წარვუდგები წინაშე უფალს
„და სახელს შენსას განვადიდებ იმის წინაშე.»
„იგი დადუმდა, — მე პასუხით მივმართე შემდეგ:
- 76 «ო, ქალბატონო სიკეთისა! შენ აგყავს მხოლოდ
„წუთისოფლური სიხარული იმ სიმაღლემდე,
„რომ მას უსაზღვრო ცის სიხარულს უთანასწორობ.
- 79 «ისე მწყურიან გემსახურო, რომ შენი ნება
„თუნდ სისრულეშიც მომეყვანა, ვგონებდი მაინც
„რომ დავაყოვნე. მე გავიგე სურვილი შენი;

76. ამ ქებაში ნაგულისხმევი სამი მანდილოსანი: tre donne — უნდა იყვნენ: ლუჩია — სირაკუზელი წამებულო, კარდინალ ოტავიანო უბალდინის და — ლუჩია ყოფილა თურმე თვალების პატრონესსა, დანტეს მუხამ თვალის ტკივილი აწუხებდა და ჯოჯოხეთის პირველ ქებაში იგი სინათლეს ეძებდა ბნელ ტყეში; მეორე მარია — იესოს დედა (დანტე მას არ ახსენებს, რადგან იმ დროს წარმოუდგენელი იყო ქრისტეან პოეტს, თუნდაც თავის დროში თავისუფლად მოაზროვნეს, ჯოჯოხეთში ეხსენებინა იგი), ხოლო მესამე — ბეატრიჩე დანტეს კონცეპციაში „ცაზია, რახლის გვერდით“.

ზოგიერთი კომენტატორი ბეატრიჩეს პოეტური გვერტის სიმბოლოდა სთვლის. ცხადია, ყოველი პოეტური ნაწარმოები თავისუფალ ასპარეზს იძლევა ალფეორიულ განმარტებისათვის. საუკუნოთა მანძილზე ყოველი კომენტატორი თავისებურ განმარტებას იძლეოდა. მაგ. ჯ. დანტის — ბეატრიჩეს „სამღვთო წერილის გამოცხადებად“ სთვლიდა, ოტიმო — „თეოლოგიისას“, ბოკაჩიო — „წმ. თეოლოგიისა“ „sacra theologia“, როსეტი — „ღვთიური სიბრძნისა“, ფილაღეტუს — „წმინდა პოეზიისა“ — „sacra poesia“, ვიტტე — რწმენისა, დელფი — ბეატრიჩეში ჰხედავს „ზეციურ იერუსალემს“, ზოგიც საერთო იდეას სიმბოლოდ სთვლის ბეატრიჩეს.

- 82 «მაგრამ მანამდე გთხოვ მაუწყო: რად არ გაშინებს ამიწის ქვესკნელში ჩამოშვება ვრცელ სამყაროდან, «სადაც სურვილი შენ მხურვალე მიგიხმობს ისევ».
- 85 «თუ კი გწადიან შენ ამისი გაგება,— მითხრა,— მე შემძლია რამდენიმე სიტყვით აგიხსნა, «ამ უფსკრულში თუ რად ჩამოველ ასე უშიშრად.
- 88 «საშიშროებას წარმოადგენს ის მარტოოდენ, «რაც მოყვასისთვის ბოროტების წარმომშობია; «დანარჩენი კი საშიშარი არ არის ჩვენთვის!
- 91 «ღმერთმა სიმტკიცე მომანიჭა ყოვლად კეთილმა «და ჩემ წინაშე უძლურია ეს სატანჯველი; «მე თვით აღმური ცეცხლისანი არ მეკიდება.
- 94 «ცაში ქალწული გულმოწყალე მთლად განიმსჭვალა «ღრმა სიბრალულით იმისადმი, ვინც უნდა იხსნა, «და შეაჩერა მოქმედება განაჩენისა.
- 97 «იგი ლუჩიას შეევედრა მხურვალე გულით: «შენს ერთგულ მორჩილს დახმარება სჭირდება შენი, «და მე გენუკვი, არ მოაკლო ეს დახმარება».
- 100 «მაშინ ლუჩიაც, ყოველგვარი სიმკაცრის მტერი, «შემწყალელებელი ყოველისა, გაჩნდა იქ, სადაც «ღრმად მოხუცებულ რახილთან მე ბაასი მქონდა.
- 103 «სთქვა: «ბეატრიჩე, შენ, ნამდვილო საუნჯევე ღვთისა! «რად არ ისწრაფი მიეშველო, ვისაც ესოდენ «ძლიერ უყვარდი, რომ ბრბოს იგი ასცილდა შენთვის?
- 106 «ნუ თუ არ გესმის შესაბრალო იმისი კვნესა? «ვერ ხედავ, როგორ ებრძვის იგი სიკვდილის ღელეს, «რომლის სიმძაფრე ოკეანის ქარიშხალს უდრის?»
- 109 «არვინ საშოვარს ისე მკვირცხლად არ სდევდა არსად, «არვინ განსაცდელს იმ სისწრაფით არ გაჰქცევია, «როგორც ლუჩიას სიტყვის გამო ვილტოდი აქეთ.

94. ტექსტში: donna, იგულისხმება ღვთისმშობელი მარიამი, tre donne benedetto del cielo... აქ სამი გრაცია „უსიერი ტყის სამი მხეცის“ ანტითეზა.
 97. ლუჩია — სირაკუზელი წამებული.
 100. რახილი — პატრიარქი იაკობის ცოლი.

- 112 «დავთმე ციური სამყოფელი და შევეუთავსე «მთელი იმედი შენს ბრწყინვალე მჭევრმეტყველებას, «რამაც დიდება მოგიხვეჭა შე უესოდენი».
- 115 «სთქვა ეს სიტყვები ბეატრიჩემ და შეაჩერა «ჩემზე სინათლით და ცრემლებით გაესილნი თვალნი, «და მეც სასწრაფოდ გამოვსწიე შენს დასახსნელად.
- 118 «აჰა, მოველი მე მორჩილი მისის ნებისა, «და აგარიღე მხეცს საშინელს, რომელმაც შენ აქ «უმშვენიერეს მჭევრვალისკენ გზა გადაგიჭრა.
- 121 «უკვე გაუწყე ყველაფერი, რადლა აყოვნებ? «შიში შენს გულში ესოდენი რამ მოათავსა? «გამბედაობა და მხნეობა სად გაჰქრა შენი,
- 124 «მაშინ, როდესაც კურთხეული სამი ქალწული «შენთვის ზეციურ სამყოფელში ზრუნავენ ამდენს «და ოდეს ჩემგან დაპირება ამდენი გესმა?»
- 127 როგორც ყვაილნი დათრთვილულნი ღამის სიცივით თავებს დახრიან, მაგრამ დილით მზის ცხოველ შუქზე გასწორდებიან ღეროებზე ლამაზად ისევ,
- 130 ასე გავეწორდი მოდრეკილი სულიერ დაღლით, და განმმტკიცდა მე იმგვარი მხნეობით გული, რომ გაბედულად და თამამად მივუგე ოსტატს:
- 133 «კურთხეულ იყოს თანაგრძნობა იმ ქალწულისა, «ვინაც მშველელი მომივლინა! იკურთხე შენაც, «ეგზომ სასწრაფოდ მისი ნება რომ აღასრულე!
- 136 «შენი სიტყვების გაგონებამ აღმიძრა გულში «უმხურვალესი წყურვილი, რომ გამოგყვე უკან «და გაეაგრძელო შენთან ერთად მე გზა ვმირული.
- 139 «წინ გაემართე; ნებისყოფა დეე საერთო «სუფედეს ჩვენში. შენ იქნები, მგოსანო, ჩემი «მასწავლებელი, მბრძანებელი და წინამძღოლი».
- 142 ვარქვი და უკან გზით ველურით გავყევი მას მე.

ძება მისამე

- „ჩემს უკან სუფევს ტანჯვისა და ცრემლთა ქალაქი,
 „ჩემს უკან სუფევს უნაპირო, უსაზღვრო სევდა,
 „ჩემს უკან შავი სამყაროა სულთ წაწყმედილთა.“
- 4 „მართლმსაჯულება ფუძედ ჰქონდა ჩემს ღიად შემქმნელს,
 „მე ვარ ნაყოფი ღვთაებრივი ძალმორქმულების,
 „უმადლეს სიბრძნის და პირველი სიყვარულისა.“
- 7 „ჩემს გაჩენამდე წარმავალი არ არსებობდა,
 „მარადიული ყოფნა არის ჩემივე ხედარი.
 „თქვენ, აქ მოსულნო, იმედები დასტოვეთ ყველა!“
- 10 „ჯოჯობეთის ბჭეს ეს სიტყვები ეწერა შავად;
 ჩვენ იქ ვიდექით; წავიკითხე, მივმართე მგოსანს:
 „ოსტატო, მაკრობს მნიშვნელობა ამ წარწერისა“.
- 13 მან მიპასუხა ისე, როგორც შეპფერის ბრძენსა:
 „შენ აქ უთუოდ უნდა დასთმო ყოველი შიში,
 „არ უნდა ექმნეს აქ ადგილი სრულიად ყოყმანს.“
- 16 „ჩვენ მივალწიეთ იმ სამყოფელს, სადაც იხილავ
 „ნალველითა და მწუხარებით აღსავსე სულებს,
 „რომელნიც ქვეყნად დაისაჯნენ სიგიჟის სენით“.
- 19 სთქვა ეს და ხელზე მან ღიმილით დამადო ხელი,
 მე ამ ღიმილმა მომიპოვა გამბედაობა.
 შემდეგ გამრია მან მისტიურ აჩრდილთა შორის.
- 22 იქ, უვარსკვლავო სივრცეებში, კილით კიდემდე
 ისმოდა გმინვა შემზარავი, ტირილი მწარე.
 მე ვერ გავუძელ თავდაპირველ და ავქეთიინდი.
- 25 მიუახლოვდით, შემოგვესმა: მრავალ ენაზე
 ტლანქი გინება, ღრიანცელი, დრტვინვა, ღმუილი,
 გაშმაგებული ყვირილი და ტლაშუნი ხელთა.

- 28 და ეს ყოველი, ერთ საშინელ გუგუნად შლილი,
 იკლაკნებოდა ისე, როგორც გრიგალის ფრთებ ქვეშ
 დაიკლაკნება ქვიშიანი უდაბნო ხოლმე.
- 31 თავბრუდასხმულმა უმეცრებით შევძახე ოსტატს:
 „ეს რა ხმებია? ვინ არიან აქ ეს სულები,
 „რომელთაც ტანჯვა ესოდენი რგებიათ წილად?“
- 34 „აქ, — მიპასუხა, — ისჯებიან იმათნი სულნი,
 „მოკვდავთა შორის უბადრუტნი ვინც იყვნენ; ვინაც
 „ვერ გახდა ღირსი იქ ვერც ქების, ვერც გინებისა.“
- 37 „ბინა მიეცა მათ იმ უღირსთ ანგელოზთ შორის,
 „რომლებიც უფლის არც ერთგული, არც მოღალატე
 „არა ყოფილან, — თავისათვის ზრუნავდნენ მხოლოდ.“
- 40 „ზეცამ დაიცვა სისპეტაკე თავისი მათგან,
 „თვით ჯოჯობეთიც არ განიხენა იმათ წინაშე,
 „არარაობას ბოროტებამ შეხედა ზიზლით“.
- 43 „ოსტატო, — ვარქვი, — რას შეიცავს სასჯელი ესე,
 „რაა მიზეზი შემზარავი მათი დრტვინვისა?“
 მომიგო: „გამცნობ ყოველივეს ორიოდ სიტყვით.“
- 46 „მათთვის იმედი არ არსებობს გარდაცვალების;
 „აწმყო კი ესდენ მდაბალი აქვსთ და საზიზლარი,
 „რომ ეხარბებათ უმეტესი სიმძიმე ხვედრისი.“
- 49 „ქვეყნის პირიდან მთლად აღვვილა მათი ხსენება,
 „გულმოწყალება და სასჯელი ივიწყებს იმათ.
 „ჩვენც ნურას ვიტყვით, — გადავხედოთ და გავიაროთ“.
- 52 მაშინ შევხედე: ელვასავით მოჰქროდა დროშა,
 თითქოს ქარტეხილს წარეტაცნა, თითქოს არასფერს
 არ შესძლებიყო შეჩერება იმისი არსად.
- 55 მას უკან სდევდა აჩრდილების ურიცხვი დასი.
 მეძნელებოდა დაჯერება: სიკვდილმა ქვეყნად
 ნუ თუ ოდესმე ესოდენი მსხვერპლი მოიმკო?
- 58 შემეცნაურა იქ ერთერთი აჩრდილთაგანი.
 ღრმად დავაკვირდი და ვიცანი ის, ვინაც თავზე
 ლაფი დაისხა უდიდესი უარისყოფით.

1 — 4. დანტეს ჯოჯობეთის სამი განყოფილება აქვს: Citta Dite (ქალაქი-ღიტი), Citta del fuoco (ცეცხლის ქალაქი), citta roggia (ქალაქი კოცონებისა).

59. იგულისხმება პაპი ცელესტინ მე-V, რომელმაც უარი სთქვა პაპის ტახტზე, არჩევიდან მეცხრე თვის შემდეგ.

- 61 მაშინ შევიგნე და დავრწმუნდი, რომ ეს ბრბოები უღირს სულთაგან შესდგებოდნენ, და რომ ისინი უარუყვია როგორც უფალს, ისე მის მტრებსა.
- 64 ოდნავ ლაფავდნენ სიცოცხლეში უბადრუკ სულებს, აქაც, ბედშავნი ქმნილებანი, ტანგაძარცულნი, ფართოსან მწერთაგან დაკბენილნი დაძრწიან მარად.
- 67 ბზიკებისა და ბუზებისგან დაღრღნილ სახეებს სდიოდათ სისხლის ნაკადული ცრემლებთან ერთად, და მას მატლები საზიზლარი სწუწნიდნენ დაბლა.
- 70 პირი ვიბრუნე და აჩრდილთა მეორე ურდოს ფართო მდინარის ნაპირებზე შევაველე თვალი.
„ოსტატო, — მყისვე შევეკითხე, — მაუწყე ახლა:
- 73 „ვინდა არიან ეს სულები, ან მოუთმენლად მდინარის ფონთან რად შეყრილან, თუ თვალთახედვა „არა მლაღატობს ამ საეჭვო სინათლის გამო?“
- 76 „ამას ყველაფერს, — მიპასუხა ვირგილიუსმა, — „მე შენ გაამბობ მაშინ, ოდეს ნაბიჯი ჩვენი „მიგვაახლოვებს აქერონის ნაღვლიან ნაპირს“.
- 79 მე წამოვწითლდი და თვალები დავხარე დაბლა; რათა ზედმეტი საუბარით არ შემეწყინა, აღარ დამიძრავს მდინარესთან მისვლამდე ენა.
- 82 და აი, ვხედავთ თეთრთმიანი მოხუცი ნავით მოუახლოვდა მდინარის პირს და დაიყვია:
„ვაი თქვენ, სულნო, ო, ვაი თქვენ, გარყვნილნო სულნო!
- 85 „ველარ იხილოთ თქვენ ცის თალი ამიერიდან!
„მე მისთვისა ვარ, იმ ნაპირზე რომ გადაგზიდოთ,
„სადაც მარადი წყვილია, ცეცხლი და ყინვა.
- 88 „შენ რალა გინდა ამათ შორის, ცოცხალი სულო?
„შორს განერიდე მკვდართა ბანაკს“. — მაგრამ რა ნახა, რომ მის ბრძანებას არ ვასრულებ, განაგრძო ისევ:

71... Fiume — იგულისხმება აქერონი — მდინარე ვარამისა — ქვესკნელის ღლე. თავდაპირველად მდინარეს ერქვა ეპირში, შემდეგ რომაულ და ბერძნულ მითოლოგიაში ქვესკნელის მდინარეს შეერქვა.
82. ქარონ — ერებოსისა და ნიქსის შვილი — ქვესკნელის მენავე, რომელსაც აქერონზე გადაჰყავდა სულები.

- 91 „სხვა გზით, სხვა ფონით შეგიძლია შენ მიაღწიო მეორე ნაპირს, — ხოლო ეს გზა დასტოვე მყისვე.
„შენს გადაყვანას დასჭირდება მსუბუქი ნავი“.
- 94 „დააცხრე, ქარონ, შენი რისხვა, — სთქვა წინამძღოლმა; „განკარგულდება ასეთია იქ, სადაც ნება „არის კანონი უმტკიცესი. ნულარ ჰკითხულობ!“
- 97 თითქოს უზომოდ განრისხებულ მენავის თვალებს შემოსალტოდნენ ცეცხლოვანი რკალები ირგვლივ, მაგრამ ამ სიტყვამ ბანჯგვლიანი მოუღბო სახე.
- 100 სამაგიეროდ ტანგაძარცულ, დაქანცულ ლანდებს, მკაცრი მოხუცის უკმეხ სიტყვებს რომ მოჰკრეს ყური, დაუმახინჯდათ სახეები, და კბილთა ღრქენით
- 103 იწყეს უფალის შეგინება, სწყევლიდნენ მამებს, თავიანთ შვილებს, შვილიშვილებს, კაცთა ჯილაგსა და ბოლოს თავის დაბადების დროსა და ადგილს.
- 106 შემდეგ მოთქმით და ღრიანცულით შემადრწუნებელ ფონს მიაშურეს — ვერ ასცდება ვერც ერთი სული ამ ფონს, თუ იგი არ სცხოვრობდა უფალის შიშ ქვეშ.
- 109 იქ მათ თვალების ადველფილი გადმოცეცხლებით დემონი ქარონ აგროვებდა, აწვლიდა ნიშანს და ჩამორჩენილთ ნიჩბის ცემით მირეკდა წყალთან.
- 112 და ისე, როგორც შემოდგომით ფოთლები ხისა თანდათანობით მოცვივიან, ვიდრე რტოები თავის სამოსელს დედამიწას არ დაუბრუნებს,
- 115 ეს აჩრდილებიც — ეს ადამის ბოროტი თესლი, — მენავის ხმაზე სათითოდ ნავში ხლტებოდნენ, ვით მონადირის დაძახილზე ნავეში ქორი.
- 118 აჰა, ისინი მიაჩრდნენ ამღვრულ ტალღებს. და ვიდრე ნაპირს მიაღწევდნენ მოპირდაპირეს, აქ ბრბო ახალი იკლანება, ჰკენესის და ჰბორავს.
- 121 „იცოდე, შვილო, — წინამძღოლმა კეთილმა მითხრა, — „იცოდე, სულნი გარდაცვლილნი ღვთის რისხვის ქამსა „თავს აქ იყრიან დედამიწის ყოველ ნივთსა

13982/53

2 ღვთაებრივი კომედია



- 124 „გამოდევნილნი უზენაეს მართლმსაჯულებით,
„მიესწრაფიან გაშმაგებით ნაპირს მეორეს;
„თვით შიშის ზარი მათში იღებს სურვილის სახეს.
- 127 „არასდროს ამ გზით სულს უმწიკვლოს არ გაუვლია,
„და თუ ქარონმა არ ისურვა მიღება შენი,
„თვითონ მიხვდები, მისი რისხვა რას მოასწავებს“.
- 130 როს დაასრულა ეს სიტყვები, პირქუშმა სივრცემ
ისე საშინლად დაიხუვლა კიდით კიდემდე,
რომ მოგონებაც კი ამისი მათრთოლებს ხოლმე.
- 133 კენესა აღმოხდა ბედშავთ ბანაკს შემზარავ ქარ ქვეშ,
ელვის ზოლივით გაანათა წითელმა შუქმა,
და შიშის ზარით გულწასული ძირს ჩავიკეცე
- 136 მე, ვით ღრმა რულში ჩაძირული ადამიანი.

ქება ჩეოტხე

- დაიგრუხუნა, დაიჭეკა და გამოფხიზლდი,
ჩემი სხეული აიტანა ელდის ცახცახმა,
გზაარეული ვაწყდებოდი მე აქეთ-იქით,
- 4 ვით კაცი ვინმე უეცარად ძილგაკრთობილი.
ვაკვირდებოდი არემარეს ჩემთვის შეუცნობს,
აშკარა იყო მივდგომოდი ვარამის ჭალაკს.
- 7 უფსკრულის პირად მომესმოდა მე ღრიანცელი,
მოჰქროდა ჩემსკენ უფსკრულების ბნელი არაფი
და ხმაურობის საშინელი კორიანტელი.
- 10 პირლია ხერელში უშედეგოდ ვიხედებოდი.
„ჩავიდეთ,— მითხრა, მყის მგოსანმა გაფითრებულმა,—
„უპირველესად მე ჩავდივარ, მერმე მომყევი“.
- 13 და თვალი ვკიდე: ვით ეცვალა წინამძღოლს ფერი.
ვარკვი: — „ვით მოგყევი, როცა გხედავ ესდენ ფერგამკრთალს,
„მას ვინც მფარველად და მეგზურად მეგულეობდი“.
- 16 „არ მიიჩნო დაშინებად ფერნამკრთალობა, —
მითხრა, — ეგ არის თანაგრძნობის არილი მხოლოდ,
„ვიჩქაროთ, მომყევი,— შენესიტყვა, წამავლო ხელი,—
- 19 „გვიცდის მანძილი დია ძნელად გადასათელი“.
დაწინაურდა, მეც მივყევი. აჰა ორთავემ
პირველი გარსის მიდამოში შევადგით ფეხი.
- 22 გარს ევლებოდა იგი უფსკრულს ჩვენს წინ აღმართულს.
მივაპყარ ყური: არ ისმოდა იქიდან ურვა,
არცა ტირილი ხმამალალი არ მოგვწვდენია,
- 25 მხოლოდ ეთერი ცახცახებდა მარადყამული,
მძიმე კენესისგან შენარხევი და შენაძრწოლი.
და ბრბო უშქარი: კაცი, ქალი, დიდი და მცირე

* * კონსტანტინე გამსახურდიას მიერ თარგმნილი.

28. მიჯარულიყო ერთ ადგილას სასომიხდილი,
და ქედმოდრეკით მისცემოდენ უდრტვინველ ვარამს.
ქველი ოსტატი მეუბნება: — „შენ არა მკითხავ

31. „ამ ვნებულ სულთა ვინაობას, სადაურობას,
„მაგრამ მე მინდა შენ იცოდე, ვიდრე ამ არეს
„ჩვენ დავაგდებდეთ სანახავად სხვათა მრავალთა.

34. „ამ ბედკრულ სულებს არ მიუძღვით ცოდვა სხვაგვარი,
„ეგ არის მათი შეცოდება დია ბედითი,
„რომ ნათლისღება ამ ბედშავებს არ ღირსებათ.

37. „მათ უცხოვრიათ ქვეყანაზე ქრისტეზე აღრე,
„და მეც აქა ვარ ბედის მათის თანაზიარი.
„ეს უნებლიედ დავაშავეთ, აღრე რომ გაეჩნდით,

40. „და ამიტომაც დაღუპვისკენ გვიქციეს პირი.
„აწ მოგველენია ერთადერთი მძიმე სასჯელი:
„ვიცხოვროთ ასე და მარადეჟამს გულს გვიღარავდეს

43. „ნდომა, რომელსაც სასოება არა ხლებია“.
გულზე ვარამი შემომენტო ამის გამგონეს,
ვინაღდან ესცანი ამ ქვესკნელში დავანებულთა

46. მე ვინაობა და ღირსება ხარისხოვანი.
ვარქვი: — „ოსტატო და ძვირფასო, დიდო ბატონო,
„თქვენს შორის ვინმე თუ ოდესმე გამორეულა,

49. „რომელიც თავის წარჩინების გამოისობით
„ამ მიდამოდან გაეყვანოთ, რათა შემდეგში
„ნეტართა შორის ღირსებოდა ის დავანებას“.

52. და იგი მისწვდა ჩემგან თქმულის ზრახვას იღუმალს.
მითხრა: — „ჯერ კიდევ ამ არეში ახლად მოსულმა
„მე თავად ვნახე ძალოვანი გვირგვინოსანი,

55. „ვით ჩამოვიდა და შემდგომად მან წაიყვანა
„აღამის ლანდი და ძე მისი — თავად აბელი,
„ნოე და მოსე ებრაელთა რჯულისმდებელი,

58. „მამა აბრამი, ჰურიათა მეფე დავითი
„და ისრაელი დედა წულით და მამიანად,
„არცა რახილი დავიწყნია და სხვა მრავალი,

61. „ყველას უთუოდ ზედ დაადგა უფლისა თვალი.
„ამის გარეშე არ მომხდარა, არც გაგონილა
„ამ ქვესკნელისგან ვინმეს თავი რომ დაეღწიოს“.

64. ვიდოდით, თანაც საუბარსაც არ ვეშვებოდით,
სულების ტევრი უთვალავი გზაზე გვხვდებოდა.
ჯერაც ტალანი უფსკრულისა არ გაგვეარა,

67. გამოჩნდა შორით მოლაპლაპე ცეცხლის კოცონი,
ჩრდილდანთხეული ჰემისფერით გარემოცული.
დავწინაურდით და დავაგდეთ მანძილი მკირე,

70. და მეცნაურა სულნი ფრიად წარჩინებულთა.
ვკადრე: — „ოსტატო, შენ ხომ კრძალვით ახსენებ მუდამ
„მეცნიერების, ხელოვნების მაღალ სარანგებს,

73. „მასწავლე, მარქვი ვინ არიან ეს სულმნათები,
„სხვათა კიდევან რომ დამდგარან განკურობებით“.
„მათი სახელი გაეარდნილი თქვენს სამყაროში, —

76. მითხრა მგოსანმა — „ზეცაშიაც არს შენაწყნარი,
„ამიტომ აქაც არ აკლებენ მათ წარჩინებას“.
მყის შემომესმა ხმა უცნობი და უცნაური:

79. „დიდება მგოსანს ვირგილიუსს და მის მაღალ ლანდს,
ჩვენგან წარვლენილს და ხელახლა შემობრუნებულს“.
მოსწყდა ხმა იგი, და ვიხილე მოგვიახლოვდა

82. ჩვენ ოთხი ლანდი, ოთხივ დიდად წარჩინებული.
მითხრა ოსტატმა: — „მომავალი სამთა წინაშე
„ვითა მამფალი, მამაცურად ხრმალშემართული,

85. „გახლავს ჰომერი, პოეტების ზესთა-ზენარი,
„მას რომ მოჰყვება — ჰორაციუს სატირიკოსი,
„შემდეგ ოვიდი და მეოთხე გახლავთ ლუკანი.

68. ჰემისფერო — ზეცის, ან მიწის სფეროს ნახევარი.
85. ჰომერი, ჰომეროს — ძველი საბერძნეთის უდიდესი მგოსანი. მისი ბიო-
გრაფია ფრიად ლეგენდარულია. მკვლევართა ვარაუდით იგი ცხოვრობდა დაახლ.
მე-9 საუკ. ქრისტემდის. მეონის ვაჟი — სიჭარმაგეშივე დაბრმავებულს, დაუწვრია
თურმე თავისი პოემები „ილიადა“ და „ოდისეა“ და იოსში გარდაცვლილა.

86. ჰორაციუს — რომაელი პოეტი.
87. ოვიდი პუბლიუს ოვიდიუს ნაზო, — რომაელი პოეტი, დაიბ. 43 წ. ქრის-
ტემდის. „მეტამორფოზების“ და სხვა მრავალ წარჩინებულ ქმნილებათა ავტორი.
იქვე: ლუკანი — ბერძენი მწერალი.

- 88 „ერთად გვითხზავდა ჩვენ ხუთივეს დიდების გვირგვინს,
„ერის გულისხმა ერთობლივად გამჟღავნებული,
„და ამიტომაც შენ თავადაც ხომ კარგად ხედავ
 - 91 „ესდენი კრძალვით ოთხივენი მესალმებიან“.
ამ დარბაისელ ოსტატების სათნო კრებული
ჩემს წინ გალობდა საგალობელს ტკბილხმოვანს ფრიად,
 - 94 და ხმა მათი ძალოვანი, ომახიანი,
დაგვფარფატებდა ვით არწივის გაშლილი ფრთენი.
მცირე უბნობა მათ გამართეს ურთიერთშორის,
 - 97 შემდეგ ოთხივე მომიბრუნდა, მომცეს სალამი,
და დამიმოწმეს ფრიად დიდი პატივისცემა,
რაკი მიკადრეს და მიმიღეს თავიანთ წრეში,
 - 100 ამ გზით შეექვსედ მალიარეს გენიოსთ შორის.
ასე ვიარეთ ვიდრე ბნელი არ გაგვეყარა
და შემოგვადგა მოლიცლიცე სინათლის შუქი.
 - 103 და ვსაუბრობდით ჩვენ ხანდაზმით ისეთ საგნებზე,
რის გამჟღავნებას შე აქ ვარჩევ ისევე ღუმლის
აღმართულიყო ჩვენს წინაშე დიადი კოშკი,
 - 106 შეიღკეცი, მტკიცე გალავანით შემოგარსული,
და რუ მცირედი, მოლიკლიკე, ლაყვარდოვანი
გარს ეხვევოდა ამ მიდამოს და იფარავდა.
 - 109 რუ მტკიცე იყო გადასვლისას, ვით მყარი მიწა.
შვიდივე გალავნის ჩვენ შვიდივე განვლეთ კარიბჭე,
შემოგარენი შეგვეყარა მწვანით ნაქარგი.
 - 112 ბრძენთა ლანდები ბაასობდენ დარბაისლორად,
სიღინჯე ახლდა მათ მოქცევას და გამოხედვას,
საამო სილბო—მეტყველებას, ენაშხეობას.
 - 115 ჩვენ მივაღქვით მწვანე გორაკს შუქით მოფენილს,
სჩანდა აქედან მოლიანი შემოგარენი.
ამ გორაკიდან მე მაჩვენეს სულნი დიადნი,
 - 118 რომელთა ხილვაც საამაყოდ მიმიჩნევიან.
ენახე ელექტრა შემორტყმული დიდის ამალით,
მხლებელთა შორის გამოვიცან მყისვე ჰექტორი,
119. ელექტრა — ავამენონის და კლიტემესტრას ქალი, იფიგენიას და ორესტის და.
120. ჰექტორი — ტროას მეფის პრიამის ვაჟი, ტროას ომის დროს მოჰკლა პატროკლეს, აქილევის მეგობარი, რის შემდეგაც აქილევმა სამაგიერო გადაუხადა: მოჰკლა იგი.

- 121 არ მეუცხოვა, რა თქმა უნდა, აღარც ენეას.
იდგა ცეზარი, დაჯავშნული, ჩაფხუტიანი,
ქორული მზერით თვალს ავლებდა გარე მიდამოს.
 - 124 ენახე კამილა, შვიციანი პენტესილეა,
მეფე ლატინუს, სეფეწული მისი ლავინა,
აქ იყო ბრუტუს (გააძევა ვინაც ტარქვინი),
 - 127 ლუკრეც, მარსია, იულია და კორნელია.
განზე გამდგარი სალადინის მოსჩანდა ლანდი,
და როცა ოდნავ უფრო ზევით მე ავიხედე,
 - 130 ენახე ოსტატნი სიბრძნისანი და მეცნიერნი,
ვისაც ქვეყანა იხსენიებს დიდის პატივით:
ბრძენი სოკრატეს, მის მხარმარჯვნივ, ყველაზე ახლოს,
 - 133 იდგა სიბრძნისა ოქროპირი დიდი პლატონი,
აქ იყო იგიც, ვინც სამყარო დაუზარებლად
არგო შემთხვევის განუკითხავ აღმოცენებას,
 - 136 იგულისხმება აქ მისანი, ბრძენი დემოკრიტი.
შემდეგ თვალს მოხვდა დიოგენი, ანაქსაგორეს,
ემპედოკლესი, ჰერაკლიტეს, ზენონ და თალეს;
 - 139 ღრმად განმჭვრეტელი თვისობრივი თეორიისა —
დიოსკორიდე და მის გვერდით იდგა ორფეოს,
ტულაუს, ლინუს, იქ სენეკა ზნეობის მსაჯი,
121. ენეას — ვირგილიუსის პოემის „ენეიდას“ გმირი.
122. ცეზარი — იულიუს ცეზარ, რომის იმპერატორი.
124. პენტესილეა — არესის ქალიშვილი, ამორძალების დედუფალი, ტროას ომში აქილევის მიერ მოკლული.
125. ლაციუმის (Lacium) მეფე; ლავინა — ენეას მეუღლე.
128. ბრუტუს — იგულისხმება ლუციუს-იუნუს — რომის ერთერთი პირველ კონსულთაგანი.
127. ლუკრეცია — ლუკრეცია კოლატინოს მეუღლე; მარსია ან მარცია — კატონის მეუღლე; იულია — იულიუს კეისარის სეფეწული.
125. სალადინი — ეგვიპტისა და სირიის ხონთქარი, ეჯიპტიელების დინასტიის დამამკვიდრებელი, 1171-93 წლ. ჯვაროსნული ომების დროს მედგრად ებრძოდა ევროპელ ჯვაროსნებს და განსაკუთრებით რიჩარდ ლომგულოვანს.
132 — 136. სოკრატეს, პლატონი, დემოკრიტი — ძველი საბერძნეთის ბრძენი. დიოგენეს — ცნობილი სინაპელი ცინიკი.
138. ემპედოკლესი, ჰერაკლიტეს, ზენონ და თალეს ძვ. საბერძნ. ბრძენი.
140. დიოსკორიდე — ბერძენი აქიმი, ორფეოს ბერძ. მუსიკოსი და პოეტი.
141. ტულაუს ციცერო, ანუ ციცერონი; ლინუს, (ანუ ლინო) ბერძ. პოეტი.

- 142 გეომეტრიის მებალაგრე — ბრძენი ევკლიდეს, ისტორიკოსი — პტოლომეოს და ჰიპოკრატეს, ავიცენესი, გალიენო, ავეროასი,
- 145 სახელგანთქმული მწიგნობარი, კომენტატორი. არ ძალმიძს ყველას სათითოდ დასახელება, სიტყვა არ მყოფნის მანდ განცდილის გადმოსაცემად.
- 148 ოთხნი დაგვიკიდნენ, და მეგზურმა ჩემმა მალაჲმა მე შემაყენა სულ სხვა გზაზე, ვიარეთ ასე, და მივალწიეთ დამაშვრალთა ისეთ ადგილას,
- 151 სადაც სინათლის ნატამალი არსით გვიჩანდა.

ქება მახუთა

პირველი გარსი გავიარეთ, ხოლო შემდეგი იყო შემცველი მცირე სივრცის, — წუხილის დიდის ისმოდა კენესა და კივილი გულისწამლები.

- 4 ტახტზედ ზის მინოს საშიშარი და აღრენილი, ახალ მოსულებს აკვირდება და ახარისხებს; მისგან ელიან აქ განკითხვას, მსჯავრის დადებას,
- 7 უკეთ რომა ვთქვა: როცა სული ცოდვილიანი მას წარუდგება და გაანდობს სრულს აღსარებას, შემდეგ მინოსი მას მიუჩენს ქვესკნელში ადგილს,
- 10 და მისი კუდიც იმდენჯერვე დაიკლაკნება, რამდენი გარსიც ჯოჯობეთის მან უნდა განვლოს. უშთი ბრბოები ზიშინებენ მინოსის ტახტთან,
- 13 უმზერენ, კრთიან და ელიან ელდის ცახცახით მისგან განკითხვას და შემდგომად ქვესკნელს ჩაგდებას. „ჰოა ამ ტანჯვის სავანეში ახლად მოსულო“, —
- 16 მარქვა მინოსმა და შესწყვიტა მღვდელმსახურება, როგორც კი თვალი შემომავლო და შემამჩნია, — „გმართებს სიფრთხილე ამ არეში ჩამოხეტებულს.
- 19 „ვინ გიწინამძღვრა, ამ ქვესკნელში ვით მოალწიე, „ხომ არ გატყუებს სიგანივრე კარიბჭეების?“ ჩემმა მეგზურმა მიაძახა: — „რად ჰყვირი მინოს?
- 22 „საბედისწერო გზაზე შემდგარს ხელს ნუ შეუშლი, „ასე სწადიან ეს იმასაც, ვინც ყოველივეს „ისე წარმართავს, როგორც თვითონ ეპრიანება“.
- 25 აჰა, მოგვესმა ჩვენ ორივეს კენესა და გმინვა, და მივალწიეთ ისეთ ადგილს, სად საშინელი ქვითინი, ურვა და ყიჟინი სმენას აწყდება.

142. პტოლომეოს — ცნობილი გეოგრაფი და ასტრონომი.
 143. ჰიპოკრატეს — ძვ. საბერძ. აქიმი.
 144. ავიცენა (ანუ ავიცენესი) — არაბთა აქიმი მე 11 საუკ.; იქვე: ავეროასი — არაბთა ფილოსოფოსი და სახელგანთქმული მწიგნობარი, არისტოტელესის კომენტატორი.

4. მინოსი, Minose — მითიური მსაჯული; ძვესისა და ევროპის შვილი, სიკვდილის შემდეგ ქვესკნელის მრისხანე მსაჯული და განმკითხველი.

- 28 იყო ადგილი სინათლისგან მთლად განძარცული, სადაც ისეთი ღრვიანცელი შემოგვესმოდა, რომლის მაგვარი ზღვას სჩვევია ზამთრის ღამეში,
- 31 ორპირ გრიგალით აზვავებულს, აბობოქრებულს. დაჰქრის არავი ჯოჯოხეთის დაუცხრომელი, და ქროლვა იგი თან იტაცებს ამ ბედშავ სულებს,
- 34 აფორიაქებს, აბურთავებს და ათამაშებს. და, როცა სულნი მიაღწევენ უფსკრულის კიდეს, ისმის ზიზზიმი, ყრიამული, ვაჟ და ვიში,
- 37 გმობა ღმერთისა, ყოველივე ღვთიურ სიქველის. გავიგე: თურმე ამ საშინელ აურზაურში სჯიდენ ხორციელ ცოდვებისგან დამძიმებულებს,
- 40 ვინაც სურვილებს ანაცვალა გონების ნიჭი. ვით დასუსხული შოშიები ფრთების ფარფატით გუნდათ შეყრილნი, ქარისაგან წარტაცებულნი,
- 43 სულნიც ასევე აეშალა ძალოვან გრიგალს, აღმა და დაღმა უთავბოლოდ დააქროლებდა. და ნიშანწყალიც არსით ჩანდა, რომ ამ ვაებას,
- 46 და უნუგეშო მწუხარებას თუ ჰქონდა ბოლო. როგორც წეროთა გაწყაპული ქარავანები, ყიაგ-ყიაგით რომ დაჰქრიან შორეთის მგზავრნი,
- 49 სწორედ ასევე აჩრდილები განაწამები მოთქმით და ვიშით დაჰქროლავდენ, დარიალებდენ. ვუყვივლე ოსტატს: — „რა ხროვაა, შავი გრიგალი,
- 52 ასე რომ სწეწავს და აწამებს დაუცხრომელად?“ „უპირველესი, — მიპასუხა ჩემმა მეგზურმა, — „ამ სულთა შორის განაგებდა ოდესღაც მხარეს,
- 55 „მრავალენიან ნათესავთა სამკვიდრებელსა; „იგი იმდენად წარიტაცა ბიწიერებამ, „რომ თვით კანონმა დაადგინა მის სამეფოში
- 58 „თავაშვებული ავხორცობის ურცხვი თარეში. „სწორედ ეგ არის სემირამის სახელგანთქმული, „ნინუსის ცოლი და მისივე ტახტის მემკვიდრე.

59. სემირამის, ანუ სემირამიდე — ბაბილონის დედოფალი, ნინოს (ანუ ნინუსის) ქვრივი.

- 61 „მას ეკუთვნოდა ის ქვეყანა, რომელიც ხონთქარს, „ამიერიდან გაუხდია თავის საუფლოდ. „ხოლო მეორე სიყვარულის გახდა ზვარაკი.
- 64 „თავი მოიკლა, უღალატა სარწმუნობას“, „სიშეეს ფერფლი დაიფიცა ამო ფიცით, „მესამე თავად კლეოპატრა გულარძნილია.
- 67 ენახე ჰელენე, რომლისთვისაც წელი მრავალი სისხლის წვიმები დააყენეს ტროაას გმირებმა. აქ აქილევსი, ვინც ამურთან უკანასკნელად
- 70 ცხარე ბრძოლაში დამარცხება იგემა მწარე; იქ კი პარისი და ტრისტანი და სხვა მრავალი ჩემმა მეგზურმა დამანახა, თითოთ მაჩვენა.
- 73 ამ გმირთა ლანდებს სიყვარულმან საბედისწეროდ დაათმობინა სხედასხვა დროს წუთისოფელი. როცა ოსტატმა სათითოოდ ჩამომითვალა
- 76 ანტიკის ქალნი და მათივე მიჯნურთა წყება, შემძყრო წამსვე. თანაგრძობამ და დამაღონა. „პოეტო, — ვარქვი, — ამ ორ აჩრდილს შევესიტყვები
- 79 „ასე სუბუქად მოჰარფატეთ, ჩვენსკენ მომავალთ“. მან მიპასუხა: — დააცალე მოახლოვება, „ღმერთი ამური დააფიცე, აქ გაჩნდებიან“.
- 82 მოაქროლებდა ჩვენსკენ ლანდებს სუბუქი ქარი და მე შეესძახე: — „ჰოა სულნო, მოგვიანლოვდით, თუ შესაძლოა, რომ გიხილოთ და შეგესიტყვოთ“.
- 85 ვით წყვილი ტრედი მომფრინავი რძისფერ ეთერში, ერთობლივ სურვილს აყოლილნი ანაზღუდულად, გამოეთიშნენ ორივენი სულების ხროვას,

61. იფულისხმება ბაბილონისა და ეგვიპტის მკვრობელი ხონთქარი.
 65. იფულისხმება დიდო (დიდონი) სიშეეს ქვრივი, კართაგენის დედოფალი.
 66. კლეოპატრა, ეგვიპტის დედოფალი იულიუს კეისრისა და შემდეგ ანტონიოსის ხასა.
 67. ჰელენე — იფულისხმება მენელაოსის მეუღლე, რომლის მოტაცებამ ტროაას ომი გამოიწვია.
 69. აქილევსი, — ახილევსი (ახილეს), უმამაცესი გმირი ტროაას ომებში. პელეუსის და ზღვის ღმერთის „ვეცხლის ფეხოსან“ თეტისის ვაჟი, პარისმა მოჰკლა ომის დროს.

- 88 სადაც დიდონი სხვებთან ერთად იმყოფებოდა.
„არსო მწყაზარო, ვინც რონინობ თალხ სინათლეში,
„მოგვიახლოვდი ჩვენ ბინადართ სისხლიან ქვეყნის,
- 91 „სამყაროს უფალს რომ ნდომოდა შენდობა ჩვენი
„გამოვიტხოვდით მისგან სულის შენის შენდობას“.
„რადგან ჩვენს ტანჯვას სიბრაალული აღუძრავს შენში,
- 94 „თუ ქარი ჩადგა, ჩვენც მზადა ვართ, რომ მოგისმინოთ,
„და ჩვენც გაუწყოთ სათქმელი და საუწყებელი.
„ჩემი სამშობლო იმყოფება სწორედ იმ ადგილს,
- 97 „სადაც მდინარე პო შეერთვის უფსკრულებს ზღვისას.
„ტრფობა ადვილად ეკიდება გულს კეთილშობილს,
„და ჩემი გული ადვისილია აწ განძარცული
- 100 „ჩემი სხეულის უკურნებელ სიყვარულითა —
„არ ინდობს არცერთ შეყვარებულს თურმე ამური,
„და მეც დამათრო სიყვარულმა ისე უწყალოდ,
- 103 „ისე მომხიბლა მე მიჯნურის ბედნიერებამ,
„რომ შენც კი ხედავ, განუყრელად შევრჩით ერთმანეთს.
„და გაგვიტაცა სიყვარულმა ჩვენ ორივენი,
- 106 „და თანაბარი სიკვდილითა მოგვიღო ბოლო.
„კაენის გარსი ელოდება მას, ვინც სიცოცხლეს
„ასე უწყალოთ მოგვაშორა, გამოგვასალმა“.
- 109 როცა ვისმინე მე ჩივილი დაკოდელ სულთა,
თავი ჩაეკინდრე და შემიპყრო მყის სიმძიმეილმა.
მითხრა ოსტატმა:— „ვისთვის ფიქრობ დაღონებულნი?“
- 112 ვარქვი:— „ვაჰმე, გამიღვიძა მათ აღსასრულმა
მე ტკბილი ფიქრი, სურვილები მივიწყებულნი“.
შემდეგ ამისა მიეუბრუნდი იმ ვნებულ სულებს,

88. დ ი დ ო ნ ი, ანუ დიდო — გადმოცემის მიხედვით, კართაგენის დამაარსებელი, ტირიის მეფის მუტოს ქალიშვილი, პიგმალიონის და.
106. კ ა ე ნ ი ს გ ა რ ს ი, როგორც „ჯოჯოხეთის“ დასასრულში დაინახავს. მკითხველი, კაენის გარსში ისჯებოდნენ ნათესავთა თვისთა მომავდინებელნი.

- 115 ვუთხარ:— „ფრანჩესკა, შენმა ტანჯვამ და მწუხარებამ
„მე უსასოო მდულარებით ამივსო თვალნი,
„მითხარ, ამ ტკბილი მოგონების და ოხვრის ჟამსა
- 118 „რა რიგად გამცნოთ სიყვარულმა ზრახვა ფარული?“
მან მიპასუხა: „კარგად იცის შენმა ოსტატმა,
„რომ მოგონება გადასული ბედნიერების
- 121 „უბედობის ჟამს უდიდესი სატკივარია.
„რაკი ეგ საქმე გულთან ახლო მიგიტანია,
„გეტყვი რა იყო სიყვარულის ჩვენის სათავე.
- 124 „ერთხელ ვისხედით ორივენი და ვკითხულობდით
„ჩვენ გასართობად ლანკილოტოს გამიჯნურებას,
„მრავალგზის ფერი შეგვიცვალა ამ წიგნის კითხვამ,
- 127 „თვალი თვალს მოხვდა, აგვიძგერდა ორთავეს გული
„და ერთმა გვერდმა ბედისწერის განასკვა კვანძი.
„ვისხედით ერთად, ვკითხულობდით სწორედ იმ ამბავს,
- 130 „ნაზმა მიჯნურმა ვით აკოცა მომლიმარ მიჯნურს,
„საყვარლის ღმერთ მონუსხულმა, აღტაცებულმა
„იგი, ვინც დღესაც განუყრელად გადამჰდობია,
- 133 „ვისთანაც ჟამიც ველარ გამყრის მე უმუხთლესი,
„ანაზდეულად მკერდს მომეკრა ათროლოებული
„და აღგზნებულმა მითავაზა ტკბილი ამბორი.
- 136 „და წიგნი იგი სამიჯნურო და სალალბო
„იქცა გალეოდ მიჯნურობის ჩვენის საქმეში.
„არც ერთი ბჭკარი არ გვიკითხავს ჩვენ ამის შემდეგ“.—
- 139 როცა ერთერთი მიაშობდა მიჯნურთაგანი,
მეორეს ცრემლის მდულარება სდიოდა ლაწვზე.
მე დავიშრიტე ამ ამბავის გამგონებელი
- 142 და წავიქეცი, ვით უღონო, უსულო გვამი.

115. ფ რ ა ნ ჩ ე ს კ ა. კოკლმა და მახინჯმა თავადმა ლანკიოტო და რიმინიმ ცოლად შეირთო რავენას ბატონის გვიდო და პოლენტას ქალი ფრანჩესკა. ამ უკანასკნელს გათხოვებამდის ჰყვარებია თურმე ლანკიოტოს უმცროსი ძმა, უწარჩინებულესი და უმამაცესი რაინდი იმ დროინდელ იტალიაში. კოკლმა კმარამა შეუსწრო შეყვარებულებს სწორედ ისეთ დროს, როცა ისინი ლანკელტის გამიჯნურების ამბავს ჰკითხულობდნენ იდუმალ, და ორივენი მოჰკლა.
125. ლ ა ნ კ ი ლ ო ტ ი, ზღაპრული მეფის არტუსის შესახებ შეთხზულ თქმულებების გმირი.

ქება მებაჟსა

ოდეს დაბნედილს დამიბრუნდა ისევე ცნობა,
ორი ბედშავის სიბრალულმა რომ დამიკარგა,
რომელთა ხვედრმა ღრმა ნალველით აღმივსო სული,

- 4 ისევ ახალნი წამებანი და წამებულნი,
ჩემს გარეშემო თავმოყრილნი, დამდევდნენ ყველგან,
სითკენც არ უნდა მიმეხედნა, ან წავსულიყავ.
- 7 ვიმყოფებოდი მე იმ უამად მესამე გარსში,
სადაც მსუსხავი, დაწყველილი, ცივი და მძაფრი
გადაუღებლად, განუწყვეტლად იღვრება წვიმა;
- 10 სად მსხვილი სეტყვა, თოვლნარევი ბინძური სითხე
ჰაერს ამძიმებს პირმოქუშულს და, ძირს დასული,
თვით დედამიწას საშინელი სიმყრალით სწამლავს;
- 13 სადაც ცერბერი — საზიზლარი, სასტიკი მხეცი,
სამზახიანი, სისხლისმსმელი, — ყეფით და ღრენით,
გაშმაგებული ეტეგება ცოდვილებს ბედშავს.
- 16 თვალდასისხლული, შავწვევრება, ვეება მუცლით,
იგი დასჯილებს ბრჭყალმაგარი თათებით ჰკაწრავს,
აგლეჯავს კანებს, ჰფატრავსა და ჰფლეთს ნაწილებად.
- 19 წვიმით გვემულნი, ძალღებვიით ღმუიან მუდამ,
იფარვენ ერთს და უშიშვლდებათ მეორე წყლული,
ან განუწყვეტელ მიმოსვლაში ეძებენ ხსნასა.
- 22 რა წამს ცერბერმა — ამ ვეება ქვეწარმავალმა —
თვალი შეგვაგლო, დააფჩინა სამმაგი ხახა,
დაჰკრიჭა კბილნი და ტორტმანი დაიწყო ტანის.
- 25 მაშინვე ჩემმან წინამძღოლმან ორივე ხელი
დაბლა დაიღო, აღიტაცა პეშვი მიწისა,
და შეაყარა გაუმადლარ ხახაში ნადირს.

13. ცერბერი — ქვესკნელის შესავლის გუშაგი, მრავალთავიანი და გველის
ფაფრიანი ძალი ბერძნულ მითოლოგიაში.

* * * კონსტანტინე ჭიჭინაძის მიერ თარგმნილი.

- 28 როგორც ლუკმისთვის აღრენილი მშიერი ძალი
მყის დამშვიდდება, როდესაც კი მიიღებს იმას,
რისთვისაც იგი იბრძოლებდა ცოფმორეული,
- 31 ისე შეიკრა ხარბი ყბები მყრალ დემონისა,
რომლის ღრიალი აყრუებდა იმდენად ყურებს,
რომ ცოდვილები ნატრულობდნენ დახშობათ სმენა.
- 34 ჩვენ მივდიოდით და, დასეტყვილთ სასტიკის წვიმით,
ფეხით ვთელავდით უსხეულო აჩრდილებს, რომელთ
მხოლოდ ლანდური შერჩენოდათ კაცთაგან სახე.
- 37 ყველანი ერთად განრთხმულები ეყარნენ დაბლა;
და მხოლოდ ერთმა იმათგანმა ასწია თავი,
იქვე მახლობლად მიმავალნი რომ დაგვიანახა.
- 40 „ო, შენ ჯოჯოხეთს შთამოსულო, — მომმართა ლანდმა, —
„აბა, თუ ძალგძს, შემიცანი! შენ დაიბადე
უმალ, ვიდრე მე დამეუფლა სიკვდილის გახრწნა“.
- 43 „სჩანს, — ვუპასუხე, — ამ ღუბჭირი წამებით სახე
„შენ ისე ძლიერ გამოგცვლია, რომ ვერ ვიგონებ,
„თუ ჩვენ ოდესმე შევხვედრივართ ერთმანეთს სადმე.
- 46 „მაუწყე ვინ ხარ, ამ სევდიან ადგილთა შორის
„წამებისათვის განწირულო? ეს შენი ტანჯვა
„შესაზარია მეტისმეტად და საზიზლარი“.
- 49 მომიგო ლანდმა: — „გაჟღენთილი შურით და მტრობით,
„შენი მშობელი ქალაქია სამშობლო ჩემი,
„იქ ვატარებდი ბედნიერად ცხოვრების დღეებს.
- 52 „თქვენ მე ჩიაკოს მიწოდებდით, მოქალაქენი;
„მე, ლორმუცელას, ამ ბინძური ზნისათვის ახლა,
„ხედავ, რა რიგად მათახსირებს სასტიკი ზესხმა.
- 56 „არა მარტო მე დამტეხია თავს ეს სასჯელი,
„სხვებსაც იმავე ცოდვისათვის იგივე ტანჯვა
„რგებიანთ წილად“.— ეს მითხრა და დადუმდა ლანდი.

52. ჩიაკო, შერქმეული სახელია, ახალ. იტალიურით ღორს ნიშნავს, ბოკა-
ჩიოც ახსენებს ერთ ფლორენციელ მუქთახორას, გვარად ჩიაკოს.

- 58 ისევ მივმართე:— „ო, ჩიაკო, წამება შენი
„მე გულს მიღონებს და ცრემლებით მისველებს თვალებს;
„მაგრამ, თუ უწყი, მეც მაუწყე, სანამდე მივლენ
- 61 „დაუდგრომელი, დამთხვეული ქალაქის მკვიდრნი?
„არის თუ არა ღვთისნიერი იმათში ერთი?
„შუღლი და მტრობა რამ დაჰბადა იქ ესოდენი?“
- 64 მან მიპასუხა:— „ხანდაზმული აღრევის შემდეგ
„იქ სისხლს დაღვრიან და პარტია ტყიურებისა
„გარეკს მეორეს უმკაცრესი ძალდატანებით.
- 67 „მაგრამ სამი მზის ტრიუმფალურ შემოვლის შემდგომ
„დაემზობიან ტყიური და ნაცვლად მეორე,
„ვინმე მოსულის დახმარებით, აღსდგება ისევ.
- 70 „და ის მრავალ ჟამს იხელმწიფებს და დამარცხებულთ
„დაადგამს იგი უსასტიკეს მონობის უღელს,
„მიუხედავად მათი სევდის და სირცხვილისა.
- 73 „ორი ღვთის კაცი დარჩენილა ქალაქში კიდევ;
„მათ არ უსმენენ. სიამაყე, სიძუნწე, შური —
„ამ სამს ნაპერწკალს აღუნთია მათი გულები“.
- 76 ასე დასრულდა სამწუხარო იმისი სიტყვა,
მაგრამ მივმართე: — „მე მსურს რჩევა მივიღო შენგან,
„და გთხოვ შემდეგი საუბარი კიდევ მაჩუქო.
- 79 „მითხარ: რა იქმნენ ფარინატა და ტეგიაჯო,
„კაცნი ღიადნი? სად არიან არიგო, მოსკა
„და ჯიაკოპო რუსტიკუჩი — ესოდენ ქველნი?
- 82 „სად ბინადრობენ, ვით შევიძლო შეცნობა მათი?
„მწყურის ვიცოდე: სიტკობებს ზენაარულსა,
„თუ ჯოჯოხეთის შხამსა სმიან ისინი ახლა?
- 85 მითხრა:— „გარიეს აღმატებით ბნელ სულთა შორის;
„მრავალ უზნეო საქმისათვის ჩაჰყარეს დაბლა,
„და, თუ ჩაჰყვები შავს უფსკრულსა, იქ დაგხვდებიან.

65. დანტე ახსენებს აქ: la parte selvaggia-ს — ტყიურების პარტია, რომელიც ცნობილია 1300 წლის ფლორენც. სამოქალაქო ომებში.

68. მეორედ იგულისხმება la parte dei Neri.

79. ფარინატა და ტეგიაჯო — ფლორენციელი დიდებულები იყვნენ.

- 88 „მაგრამ, როდესაც ტკბილ სამყაროს დაუბრუნდები,
„გვედრი აუწყო ადამიანთ ამბავი ჩემი.
„მეტი არ ძალმიძს არც პასუხი, არც საუბარი“.
- 91 ეს რომ წარმოსთქვა, გადუბრუნდნენ ჩიაკოს თვალნი,
კვლავ შემომხედა, დამძიმებით თავი დალუნა
და სხვებთან ერთად პირუკულმა განერთხო მიწას.
- 94 აქ მომბრუნდა წინამძღოლი:— „არ გაიღვიძებს,
„ვიდრე დაფდაფი არ გაისმის ანგელოზისა,
„ვიდრე ცოდვათა შემშუსვრელნი არ მოვლენ ძალნი.
- 97 „მაშინ ბნელ საფლავს შთავა ისევ ლანდი ყოველი,
„კვლავ ხორცშესხმული წინანდებურს მიიღებს სახეს
„და მსჯავრს მოისმენს აგრგვინებულს კილით კიდემდე!“
- 100 ნელის ნაბიჯით გავიარეთ ადგილი სავსე,
აჩრდილებისა და თოვლქუჩაპის ბინძურ ნარევით,
თან საიქიო ცხოვრებაზე გავაბით სიტყვა.
- 103 ვკითხე:— „ოსტატო! საშინელი სამსჯავროს შემდეგ
„გამწვავდებიან, დასცხრებიან ეს ტკივილები,
„თუ იმათთაგან ასეთივე დარჩება ტანჯვა?“
- 106 მითხრა:— „რას ამბობს, მოიგონე მეცნიერება:
„რამდენად უფრო სრულყოფასთან ახლოა არსი,
„მით უკეთა ჰგრძნობს ბოროტებას და სიკეთესა.
- 109 „თუმც ვერასოდეს ეს უმსგავსო ხალხის ჯილაგი
„ნამდვილ სრულყოფას ვერ მიაღწევს, მაინც ელიან,
„რომ ღლე სამსჯავრო მათ რაიმეს მოუტანს კეთილს“.
- 112 ასე ვილოდით წრის გარშემო ნელი ბაასით,
და აქ არ ვამბობ, რაოდენი გამოვთქვით აზრი.
ბოლოს ჩასავალს მივაღეჭით, სადაც ვიხილეთ
- 115 პლუტუსი, მტერი უდიდესი კაცთა მოდგმისა.

115. იგულისხმება ძველ ბერძენთა სიმდიდრის ღმერთი — პლუტუსი, რომელიც პლასტიურ ხელოვნებაში ჩვეულებრივად წარმოდგენილია, როგორც რქიანი ვაჟი.

ჰეპა მუზვილე

„Pape Satan, pape Satan aleppe“.

დაიღრიალა ველურის ხმით პლუტუსმა. მაშინ წარჩინებულმან, ყოვლის მცოდნე ოსტატმან ჩემმან

- 4 გასამხნევებლად შემომძახა:— „ნუ შეშინდები, მთელი იმისი ძლიერება არ კმარა მისთვის, რომ ალგეკვეთოს ჯოჯოხეთის ჯურღმულში ჩასვლა“.
- 7 ის მიუბრუნდა ამის შემდეგ მედიდურ დემონს და შეუძახა:— „ხმა გაკმინდე, წყეულო მგელო, ბრაზით დამხვალმა დაიგლიჯე შენივე ტანი.“
- 10 „ჩასვლა უფსკრულსა უმიზეზოთ არ ხდება მისი: მთას, სადაც მიქელ ანგელოზმა გააზადგურა მედიდურობის ამბოხება, — ებრძანა ასე“.
- 13 ვით იალქანი ქარისაგან გამობერილი დატრიალდება და ეცემა დამსხვრეულ ანძით, ასე ცხოველი საზარელი პირქვე დაემხო.
- 16 და ჩვენც ჩავეშვით ამის შემდეგ მეოთხე თხრილში. თანდათანობით მივარღვევდით ტანჯვის ჯურღმულებს, სადაც შთანთქმულა ბოროტება მთელ სამყაროსი.
- 19 ღვთის სამართალო! ვინ შეიცნოს ახალი ტანჯვა და ის წამება, თვალთახედვა რომ დამისეტყვა! ან ჩვენს ბნელ ცოდვებს რად მიეყავართ ჩვენ აქამომდე!
- 22 როგორც ტალღანი ხარიბდისა მიჰქუხან მუღამ, და სხვა ტალღებზე შეხეთქილნი სცვივიან უფსკრულს, ასე ერთმანეთს აწყდებიან აქ ცოდვილები.

1. Pape Satan, pape Satan, aleppe—ზოგიერთი კომენტატორი განმარტავს óla, Satana óla Satana re, ჰეი, სატანა, ჰეი, სატანა მეფე!
 22. იგულისხმება სიცილიის გასწვრივ მდებარე ზღვის ყელის უფსკრული, სადაც ძლიერი ღელვა იცის, ამ ადგილს ვირგილიუსიც ახსენებს „ენეიდაში“.

- 25 არსად ისინი არ შეყრილან ესოდენ მრავლად: გათვისებულნი ორ ბანაკად, ავი ზრიალით ვეებერთელა სიმძიმეებს სტყორცნიან ერთუროს.
- 28 და რა დაჰკოდვენ ერთმანეთსა, მყის დაიხვევენ მყარალის ლანძღვის და საყვედურის ზღუქუნით უკან: „შენ რად ისროლე? შენ რას უცდი, რისთვის არ ისვრი?“
- 31 უკუქცეულნი მიილტვიან შავბნელი გარსით, და, რა წამსაც კი მიღწევენ მეორე კიდურს, ბრძოლის ყიჟინა და ზახილი ატყდება ისევ.
- 34 შემდეგ ხელახლა იმავე გზას მოსდევენ რბენით, და ძველ ადგილზე გაჩაღდება ბრძოლა ახალი. მე მათ შემყურეს სიბრალუღლით მითრთოდა გული.
- 37 ვკითხე:— „ოსტატო, ვინ არიან აქ ეს სულები? ნუ თუ მარცხენა ბრბოს ლანდები ალკვეცის ნიშნით „სასულიერო ხარისხისა ყოფილან ყველა?“
- 40 და მე ოსტატმა მიპასუხა:— „გონება მათი ესდენ ხშულ იყო მიწიერი ცხოვრების ჟამსა, რომ ვერ გაეგოთ მათ საზღვარი მფლანგველობისა.“
- 43 „ამას ამჟღავნებს საბრძოლველი მათი ყიჟინა, აღმონთხეული ნახევარი გარსის საზღვარზე, რომლის გადაღმა სავანეა სულ სხვა ცოდვისა.“
- 46 „ხოლო ისინი, თავტიტველნი, სამღვდლო პირნი, მათში აქა-იქ პაპები და კარდინალები, ცნობილნი იყვნენ უსაზომო სიძუნწის სენით“.
- 49 „ოსტატო, — ვარქვი, — ამ ხარისხის ცოდვილთა შორის უნდა შემეცნო მე უთუოდ პირი მრავალი, ვისი სახელიც შებილწულა ამგვარი ცოდვით“.
- 52 „ამაო არის ეგ იმედი, — მომიგო, — ტანჯვას ისე საშინლად შეუშლია მათნი სახენი, რომ შენ არ ძალგეძს იმათ შორის ვისიმეს ცნობა.“
- 55 „უნდა მარადის ასკდებოდნენ ერთმანეთს ასე, „ხოლო აღდგომის ჟამსა შინა, ზე აღსდგებიან ზოგნი უთმონი და ზოგნი კი ხელდამუჭვილნი.“

- 58 „ველური ფლანგვის და ველური სიძუნწის გამო
„სიტკბო დაჰკარგეს მათ ნათელი სამყოფელისა,
„და აღიჩინეს აქ მუღმივი ბრძოლისთვის ბინა.
- 61 „ახლა მიხვდები, შვილო ჩემო, რამდენად ფუჭი
„არის ფორტუნის მოწყალება, რისთვისაც ასე
„დაუსრულებლად ბობოქარობს ადამის მოდგმა.
- 64 „ცათა ქვეშეთის მთელი ოქრო, სიმდიდრე მთელი,
„რაც კი ოდესღაც ხელში ეპყრათ ამ ტანჯულ სულებს,
„ვერ შეისყიდის დასვენებას წუთიერს მათთვის“.
- 67 „ოსტატო, — ესთხოვე, — განმიმარტე შემდეგი კიდევ:
„ვინ უნდა იყოს ის ფორტუნა, შენ რომ ახსენე,
„ვინც სიკეთენი მიწისანი ხელთ იპყრა სრულად?“
- 70 „ჰოჲ, შეშლილნო ქმნილებანო, — აღმოხდა ოსტატს, —
„ვით აგრევიათ გზა და კვალი! მომაპყარ სმენა,
„და დაიხსომე ჩემგან თქმული ქეშმარიტება.
- 73 „შეჰქმნა თუ არა ყოვლად ბრძენმა ხმელეთი ცათა,
„მყის მბრძანებელი მიუჩინა, — დეე მწყემსობდეს
„კანონი შუქთა თანასწორი განაწილების
- 76 „კილით-კიდედღე სამყაროში; ამგვარადავე
„დაუმორჩილა სიკეთენი მან მიწისანი
„ერთს უზენაესს მსაჯულსა და მბრძანებელს ყოვლადს.
- 79 „დეე გადასცეს მან ქონება ფუჭწარმავალი
„ერთი ხელიდან ხელს მეორეს, რასიდან რასას;
„მის მოქმედებას ვერ აღკვეთენ კაცთა ზრახვანი.
- 82 „ბატონობს ერთი, ნადგურდება მეორე რასა,
„თანახმად მისი მსჯავრდადების, თუმცა ეს მსჯავრი
„დაფარულია, ვით ბალახში შემძვრალი გველი.
- 85 „მას ხელს ვერ უშლის თქვენი სიბრძნე: თავის ფარგლებში
„ითვალისწინებს, განსჯისა და განაგებს იგი,
„ვით დანარჩენი ღვთაებანი თავიანთ წრეში.

62. ფ ო რ ტ უ ნ ა — რომაული — ბედნიერების, საერთოდ სვის ღმერთქალი.

- 88 „ცვალებადობას დასასრული არა აქვს მისას,
„მიექანება, მისწრაფვის წინ გამალებით,
„როგორც საჩუქრის მომხვეჭელი. აი ფორტუნა, —
- 91 „ჯვარზე აკრავენ მას ხშირ-ხშირად და უსაფუძვლო
„ცილისწამებით და გინებით უტეხენ სახელს
„ისინი, ვინაც მას დიდებით უნდა ჰმოსავდენ.
- 94 „ის ყურს არ უგდებს, ნეტარებას ეძლევა უღრმეს
„თავდაპირველად წარმოშობილ ქმნილებათ შორის,
„და თავის სფეროს ატრიალებს განცხრომით იგი.
- 97 „აწ კი ჩავეშვათ აღმატებულ წამების გარსში.
„უკვე ჩადიან ვარსკვლავები, ჩვენი შეყრის ჟამს
„ზე აღმავალნი, — დაყოვნების არა გვაქვს ნება“.
- 100 ჩვენ გადაკვეთეთ გარსი იგი და გავიარეთ,
და მივალწიეთ აღქაფებულს, მღულარე ნაკადს, —
იგი ხმაურით ეშვებოდა წყლით გაჭრილ ხრამში.
- 103 იყო უფერულ ღელე იგი და ამღვრეული;
ვაკვირდებოდით ჩვენ ჭალარა ტალღების დენას,
და მივიღოდით წინ ბილიკით უსწორმასწოროთ.
- 106 ძირს გაშლილყო საზიზლარი, პირქუში ქალა,
და იქ შემდგარი ნაღვლიანი ეს ნაკადული,
ქაობს შმორიანს წარმოშობდა სტიქსად წოდებულს.
- 106 იქ მე გულდასმით ვადევნებდი თვალს ყოველივეს,
და შევამჩნიე — ამ ჭაობში ბინძურნი ბრბონი
გააფთრებული სახისანი და ტანშიშველნი.
- 112 ეს აქ ცოდვილებს გაემართათ სასტიკი ბრძოლა,
არა ხელებით მარტოოდენ, არამედ თავით,
მკერდით, ფეხებით, — ხორცს აგლეჯდენ კბილებით ერთურთს.
- 115 „ეს, შვილო ჩემო, — მომიბრუნდა ოსტატი ტკბილი, —
„რასაც უცქერი სულგებია იმათი, ვინაც
„გული გაულო განრისხებას. დეე უწყიდე,
- 118 „რომ წყლის ქვემოდაც ბევრნი ჰყრიან; უმძიმეს ოხვრით
„ამოუბურთავსთ ზედაპირი მათ ჭაობისა,
„შენს თვალთახედვას ყოველის მხრივ რომ გადაშლია.

- 121 „დალექილ ლაფში ჩაძირულნი მწარედ მოსთქვამენ:
«ვეცხოვრობდით ნათელ ქვეყანაში ბოროტის გულით,
«და ედებოდა იქ ჩვენს სულებს თანდათან ჭვარტლი.
- 124 «ლაფში ჩაყრილნი ვიტანჯებით ამისთვის ახლა».
„აი ეს ჰიმნი ხრინწიანობს მათ ყანყრატოში,
„რადგან გამოთქმა გარკვეულად არ ძალუძთ მისი“.
- 127 შემოვეუარეთ ნაპირ-ნაპირ ჭაობის დიდ წილს,
ხმელეთისა და წყალთა შუა, თან განუწყვეტლივ
თვალს ვადევნებდით ლაფში ჩაყრილ ცოდვილთა ურდოს,
- 130 და ჩვენ დასასრულ ერთი ციხის ძირს მივადექით.

ძეგა მერვე

- მივსდევდი ოსტატს, და სანამდის მივადგებოდი
კოშკის სანახებს, თვალი ვჰკიდეთ ციხის ქონგურებს,
შეგნიშნეთ ორი მორიალე თვალწვრილი შუქი,
- 4 რომელთაც ერთიც შორეთიდან ესიტყვებოდა.
მივმართე ისევ ვირგილიუსს—ამ ზღვას ცოდნისას,
ვარქვი:—„რას ნიშნავს ამ სამკეცი შუქის რიალი,
- 7 „ესეც მასწავე, ვინ აანთო ეგ კელაპტრები?“
მან მიპასუხა:—„შეგიძლია უკვე შენიშნო
„მღვრივე წყლის პირზე, რაც მოგველის, თუ რომ ჭაობზე
- 10 „ამგვარი ორთქლის საფარველმა არ დაგაბრკოლა“.
არასდროს ლარით ჯერ ისარი არ უტყორცნიათ
ეგზომ სისწრაფით გამპობელი შორი ეთერის,
- 13 როგორც ამ წამში მოქროლავდა წყლის ზედაპირზე
პატარა ნავი შურდულივით ჩვენსკენ მავალი.
მართავდა ამ ნავს ერთად-ერთი მენიჩზე ვინმე,
- 16 და მოჰყვივოდა:—„შენც მოსულხარ, სულო მძვინვარე“.
„ამაოდ ჰყვირი შენ ჩვენს მიმართ, ჰოჲ, ფლეგიას!“—
გაბრაზებულმა უპასუხა ოსტატმა ჩემმა,—
- 19 „ჩვენ შეველა შენგან დაგვკირდება გაღმა გასვლამდის“.
ვით უშველემბელ სიცრუისა გამგონი კაცი,
გამწარებული განაგონით და შენასმენით,
- 22 ასე ფლეგიას აიტანა იმ წუთში ბოლმამ.
ჩემმა შეგზურმა ფეხი ჩასდგა ჩამომდგარ ნავში,
და მეც მანიშნა ამის შემდეგ შიგ ჩავმჯდარიყავ.

11. ლარი — მშვილდზე გაბმული ბაგირი, თოკი.

17. ფლეგიას — მითიური პიროვნება, დანტეს ჯოჯოხეთში „დიტეს ქალა-
ქის“ უფალი.

* * კონსტანტინე გამსახურდიას მიერ თარგმნილი.

- 25 ჩავსხედით ორნივე ძველებურად ანაგებ ნაფში, და გაემართა იგი სწრაფად, თანაც გზადაგზა ზედაპირს წყლისას აჩნდა კვალი უშველებელი
- 28 როცა მოვჭქროდით ამ მკვდარ წყლებზე გამალებული, გადმოდგა სული ამოსვრილი ერთავად ლაფში, და მომაძახა:—„მარქვი, სულო, ვინა ხარ შენა“
- 31 „აქ რომ მოსულხარ დადგენილის ქამის უადრეს?“ მე ვუპასუხე:—„თუ მოვსულვარ, მე აქ არ ვრჩები, „მაგრამ შენ ვინ ხარ, სულო, ესდენ ზიზღის მომგვრელი?“
- 34 მომიგო სულმა:—„მე გახლავარ ერთი მათგანი, „ვინაც მარადქვამს ზედ დასტირის თავის მწარე სვეს“. ვარქვი:—„მაშ დარჩი ცრემლების და გლოვის ანაბრად,“
- 37 „სულო წყეულო, შეგიცანი ვინაც არ იყვე, „ლაფში გასვრილი, შეთხუპნული და გაზინთული“. ორივე ხელით მოეჭიდა ის ნავის ძგიდეს,
- 40 მაგრამ ოსტატმა მას ხელი ჰკრა და მიაძახა: „წა, გამეცალე და გაჰყევი სხვას შენებრ ძაღლებს“. შემდეგ ოსტატი შემომეჭლო და გადამოცნა,
- 43 და მითხრა ასე:—„კურთხეული იყოს დიაცი, „ვინც შენ წარმოგშვა, გაგაჩინა, ამაყო სულო. „ქვეყნად ეგ სული თავკერძობით იყო ცნობილი,
- 46 „არც თუ სიქველეს შეუმკია ხსოვნა ამ კაცის, „და ამიტომაც ამ ბნელეთში, ამ ჯოჯოხეთშიც უმწეოდ დაძრწის იგი ეგზომ გაცოფებული.
- 49 „იცი რამდენ კაცს საიქიოს მოჰქონდა თავი „ქვეყნიერების გამგებელად, უებრო მეფედ, „ზედავ ქვესკნელში ის სულები პატივახილი,
- 52 „გოჭების მსგავსად ვით დაყრილან ლაფში მოსვრილი. „აწ საზიზღარი მოგონება შეთენილა მათგან“. ვარქვი:—„ოსტატო, საამურად დამირჩებოდა,
- 55 „ვიდრე ამ ტბიდან ორივენი ამოვიდოდეთ, „ვნახო ის სული იმ ტლაპოში ვით ჩაიფლებოდა. „მან მიპასუხა:—„ვიდრე გალმა ნახავდე მიწას,

- 58 „ეგ საწადელი უეჭველად შენ აგისდება. „ქარგადაც მესმის რად გახარებს ამგვარი ნდომა“. მცირე ხნის შემდეგ ვნახე მართლაც, თუ ვით სწეწავდენ
- 61 მას სხვა სულები, ამოსვრილი აგრეთვე ლაფში. ასე რომ დღესაც მე მიუძღვნი უფალს მადლობას. ჰყვიროდა ყველა:—„ეგ შენა ხარ ფილიპ არჯენტი?“
- 64 გაცოფებული, გულამაყი ფლორენტინელი კბილით იგლეჯდა, იკაწრავდა საკუთარ სხეულს. დაესტოვეთ იგი, მასზე სიტყვას არ გავაგრძელებ.
- 67 ანაზღეულად შემომესმა გოდების ხმები. შევჩქვიფდი, შევკრთი, მივაჩერდი ნაპირს შორეულს. მითხრა ოსტატმა:—„შვილო ჩემო, ამერიიდან
- 70 „ვუახლოვდებით ჩვენ იმ ქალაქს დიტედ წოდებულს, „და მანდ ბინადრობს უთვალავი, ბნელი ლაშქარი“. „ოსტატო,— ვარქვი,— მე შევსცქერი შორეულ ველზე
- 73 „წითელ მიზითებს უშველებელს ცაში ალანძულს, „გამოხურვებულ რვალის მსგავსად მოლაპლაპეთა“. მან მიპასუხა:—„ეგ ცეცხლია მარადქამული,
- 76 „მანდ სივრცეებში მომწყვდეული და მოვარვარე — „ეს აჩენს წითლად ამ შენობებს ქვესკნელის კიდეს“. ჩვენ მივადექით თვალშეუვლებ, უძირო ჯურღმულს,
- 79 რომელიც ქალაქს გარს უვლიდა ქამარის მსგავსად გეგონებოდათ გალავანი მტკიცე რვალისა. გამოხდა ქამი, ზედწავაწყდით ჩვენ ისეთ ადგილს,
- 82 სადაც მენავემ დაიყვირა ძალოვანის ხმით: „ჩამოდით ახლა და დაგხვდებათ იქ შესავალი“. მე ვნახე მაშინ კარიბჭესთან უშქარი სული,
- 85 რომელთაც ცაში შეუცოდავთ, და ამიტომაც ჩამოუყრიათ ამ ქვესკნელში და აქ ღნაოდენ: „ეს ვინ არიან ამ სიკვდილის სასუფეველში

63. ფილიპ არჯენტი — ფლორენციელი არისტოკრატი, დანტეს თანამედროვე.

70. დიტე, ანუ დის — პლუტონის ქალაქია ქვესკნელში. დანტემდის ვირგილიუსი ანსენებს მას ენეიდაში. მეორე მნიშვნელობა: სატანა, ლუციფერი.

- 88 „ჟამის მოსვლამდის ბნელ ქვესკნელში რომ ჩამოსულან?“
ბრძენმა ოსტატმა მათ ანიშნა და განუმარტა,
მათთან უბნობა რომ ეწადა გაავებინა.
- 91 როცა სიცოფე დაურჩქალდათ, მათ უპასუხეს:
„ჩამოდი მარტო, ხოლო კაცი იგი ფრთოსანი,
„ვინც თავებდურად შემოჭრილა ჩვენს საუფლოში,
- 94 „თუ შეუძლია, მარტოხელა გაუდგეს გზასა,
„შენ კი, ბნელეთში ვინც უწევდი მას მეგზურობას,
„დასტოვე იგი, დაბინავდი ამ სავანეში“.
- 97 იცი მკითხველო, თუ რა რიგად დამამწუხრებდა
ამ შეჩვენებულ საუბარის თავად მოსმენა,
რადგანაც უკან მობრუნების წამერთო სასო.
- 100 და ვარქვი ოსტატს:—„ო, ძვირფასო, ჩემო მეგზურო,
„შენ ბარე შვიდგზის დამიფარე განსაცდელისგან,
„ნულარ დამტოვებ და უკეთუ გვეკრძალვის წინსვლა,
- 103 „უკუ მოვიქცეთ ორივენი გამოვლილ გზითა“.
ჩემმა მეგზურმა, მბრძანებელმა მომიგო ასე:
„ნუ გეშინია, ჩვენ ვერავინ ვერ დაგვაბრკოლებს,
- 106 „ყოვლისა შემძლემ რაკი დაგვართო ერთხელვე ნება.
„აქ მომიცადე, გაიმხნევი გული იმედით,
„მე არ დაგტოვებ ამ ქვესკნელში არასდროს მარტო“.
- 109 მითხრა, დამტოვა იქვენული მამამ მზრუნველმან,
და „ჰო“ თუ „არა“ წამდაუწუმ იბრძოდა გულში.
იგი მცირე ხანს ჩურჩულებდა იმ დემონებთან,
- 112 და ჩვენმა მტრებმა გაიხურეს კარები მაგრად.
გარედ დასტოვეს მყის ოსტატი გახვევებული.
იგი მობრუნდა, წამოვიდა ნელი ნაბიჯით,
- 115 თავჩაქინდრული დედამიწას დასჩერებოდა,
და სიამაყის ნატამალიც არ უჩნდა შუბლზე,
ამოიოხრა, დარდიანად წაიბუტბუტა:
- 118 „ვინ დამიკეტა მე ნეტავი ასე იჩქითად
„ვარამის სახლის შეუვალი კარიბჭეები?“
შემდეგ ამისა მომიბრუნდა და მეუბნება:
- 121 „შენ ნუ გაფიქრებს მღელვარება ესოდენ ცხადად,
„გამულავნებელი ჩემს სახეზე და ჩემსავე ხმაში.
„განსაცდელისგან მე გამოვალ გამარჯვებული

- 124 „კარიბჭეების დამგმანველი ვინაც არ იყვეს.
„არ ახალია თავხედობა მათი ამგვარი,
„მათ სხვა კარიბჭეც დაუგმანავთ ძალით გრძნეულით,
- 127 „მაგრამ ისინიც უმოქმედოდ დარჩენილია.
„მათზე ხომ ნახე წინასწარი სიკვდილის მიერ;
„აჰა, ის ლანდი უმეგზუროდ ძირს რომ ჩამოდის
- 130 „გაგვიღებს ჩვენაც შეუვალი ციხის კარიბჭეს“.

130. აქ იგულისხმება ქრისტე, ან ერთ-ერთი ებრაელი პატრიარქი.

ჰეზა მესხე

გამიკრთა ფერი, როს ვიხილე უკუქცეული,
ჩემი მეგზური მომავალი პირისპირ ჩემსკენ.
ბრძენმა ოსტატმა დაიოკა მყის მღელვარება.

- 4 სულგანაბული დამდგარიყო, რადგან ზრქელ ნისლში
თვალი ვერასფერს შეამჩნევდა დიდ მანძილებზე.
„ხამს გამარჯვება წილად გვერგოს... და ვინძლო არა...“
- 7 „მაგრამ ჩვენ გვწყალობს დიდი ძალა... მე ვინატრებდი
„რომ მოგვევლინოს დროზე მაინც უკვე აღთქმული“...
კარგად ვამჩნევდი ვით მიჩქმალა პირველ სიტყვათა
- 10 მან მნიშვნელობა, მაგრამ შემდეგ წართქმული აზრი
სულ სხვანაირად შევისმინე და შევიგენი.
მაინც შემპართო ამ უბნობამ უსრულოდ თქმულმა,
- 13 რომელსაც მეტი მნიშვნელობა მე მივანიჭე,
ვიდრე წარმომთქმელს ჰქონდა თავად გამოხომილი.
„მინდა ვიცოდე ამ მწუხარე ქვესკნელში ჩასვლა
- 16 „თუ შეუძლიათ ბინადართა პირველი გარსის,
„მათ ვინც უებარ მქმუნვარებით შეპყრობილია?“
ეს შევეკითხე მე ჩემს ოსტატს და მან მომიგო:
- 19 „ჯერ იშვიათად თუ მომხდარა, რომ გზა იგივე,
„რომელსაც მივსდევ მე ამჟამად, ვინმეს ოდესმე
„რომ გაეთელოს და დაეგდოს ამ გარემოში.
- 22 „თუმცა მომხდარა, რომ მე აქვე ჩამოვსულიყავ
„სასტიკ ერიკტოს შელოცვებით წაქეზებული,
„(რომელიც სულელებს უბრუნებდა მიწიერ სხეულს),

23. ე რ ი კ ტ ო ს, ე რ ე ბ ტ ე ო ს, ე რ ე ბ თ ო ნ ი ო ს—ატისის მითური მეფე
(დანტე, ერიტონე) ლუკანი ახსენებს ჯადოსან ერიტონეს — მომავლის წინასწარ-
მეტყველს.

- 25 „მცირე ხნით ადრე ქვრივი იყო ჩემი სხეული,
„რადგან არ ახლდა მას იმჟამად ეგ ჩემი სული,
„როცა ერიკტომ მაიძულა მე აქ ჩამოსვლა,
- 28 „რათა იუდას ნათესავის ერთერთი სული
„მას გამოეხმო, — განაგრძობდა ოსტატი ჩემი,—
„და გარსი ესე უღრმესია ყველა სხვა გარსზე,
- 31 „ყველაზე ბნელი და მტვევადი განსაკუთრებით,
„მაღალ ზეცისგან მოშორებით არის მდებარე,
„მე კარგად ვიცნობ აქაურ გზებს, დამშვიდდი შენაც.
- 34 „ქაობი ესე სიბინძურით და შმორით სავსე
„ირგვლივ არტყია ქალაქს იმავ ნაღვლის სავანეს,
„რომელშიც ჯერაც უბრძოლველად ველარ შევსულვართ“.
- 37 აქ მან დასძინა კიდევ სიტყვა რამოდენინე,
რომელიც ახლა უკვე ველარ მომიგონია,
რადგანაც მზერა თვალთა ჩემთა სწორედ იმ ჟამად
- 40 მიქცეულიყო აღმოდებულ მწვერვალისაკენ,
სადაც ვიხილე ინფერნალი სამი ფურია,
სისხლში მოსვრილი და ქალური აღნაგობისა.
- 43 წელზე ეხვიათ მათ სამთავეს მწვანე ურჩხულნი,
და თმების ნაცვლად დახვევდათ ასპიტნი თავზე,
ნაწნავებივით შემობსკნილი ზედ საფეთქლებზე.
- 46 მომმართა იმან, ვინც იცნობდა ამ ასაბიებს
მარადიული მწუხარების, ცრემლის დედოფლის:
„ხედავ,—მითხრობდა,— შენ მანდ სასტიკ ერინიებსა,
- 49 „ერთი მხარ მარცხნით მდგომარეა თავად მეგერა,
„ხოლო მხარ მარჯვნივ ცრემლს რომ აფრქვევს, ის ალექტოა,
და იმეთ შორის რომ ჩამდგარა—თვით თიზიფონე“.

46—47. ასეთ ასაბიებად იგულისხმებიან პროზერპინას—ან პერსეფონეს—ძე-
ვისისა და დემეტრეს ქალის მხლებლები—ფურიები—ავი სულელები.
48. ე რ ი ნ ი ე ბ ი — შურისგების ღმერთ-ქალები ძვ. ბერძნ. მითოლოგიაში—
ბოროტი სულელები—ფურიები; სხვადასხვა დროს ბერძნ. და რომ. პოეტები ასახელებ-
დნენ სამს ფურიას: თიზიფონეს, მეგერას, (Megaira), ალექტოს.

- 52 ეს მითხრა შემდეგ და დადუმდა ოსტატი ჩემი.
შუბლს იღადრავდენ სამივენი ბასრი ბრჩხილებით,
თავში იცემდენ, ხორცს იგლეჯდენ, ისე წივოდენ,
- 55 რომ მე შიშისგან მივეკარი მყისვე ჩემს ოსტატს.
„მოდი მედღუზა, ჩვენ ქვად ვაქცევთ იმას ამ წუთში“.
ასე ჰყვიროდენ, თანაც ქვევით იხედებოდნენ.
- 58 „ჩვენ ცუდი ვქენით, რომ თეზეოს შურისაგებას
„ვერ მოვიყვანეთ სისრულეში, დაუყონებლივ
„გამოტრიალდი, დაიფარე ამ წამსვე სახე,
- 61 „თორემ გორგონემ თუ შეგნიშნა და დაგინახა,
„ზევით ამოსვლის იმედს უნდა გამოეთხოვო“,—
მითხრა ოსტატმა, შემდეგ თავად შემომამბრუნა,
- 64 არ ენდო იგი ჩემსავე ზელებს და საკუთარი
მყის მომაფარა მან თვალეზზე და მთელ სახეზე.
ჰოჲ, თქვენ ვისაც გაგაჩნიათ სალი გონება,
- 67 ხამს რომ შეიცნოთ იდუმალი, ეგ შეგონება
აწ ამ უცნაურ სტრიქონებში საცნაურქმნილი.
უკვე აზვავდენ, აგრიალდენ ირგვლივ ზვირთები,
- 70 და მათი გრგვინვა შემზარავი და აბორგება
აზანზარებდა შიშის ზარით ორივე ნაპირს.
ეს მიაგავდა ამოვარდნას ქარიშხალისას,
- 73 რომელიც თავზე დაატყდებოდა ტყეს უეცარად:
დალეწავს შტოებს, წარიტაცებს ყვავილს და ფოთოლს,
მიჰქრის გრიალით გულამაყი, თავაწყვეტილი,
- 76 და წინ გაიგდებს ბულს მტვერისას, მწყემსებს და ჯოგებს.
ოსტატმა ჩემმა წამს შეუშვა ხელი ჩემს თვალებს,
მითხრა:—„აწ გამართებს დაძაბული მიმართო მზერა,

56. მე დ უ ზ ა — იხილე ქვემოთ შენიშვნაში: „გორგო, გორგონე“.

58. თ ე ზ ე ა ს — ატიკის ეროვნული გმირია, რომელმაც მინოტავრი მოაკვდინა.

61. გ ო რ გ ო ნ ე, გორგო — ჰომეროს მიხედვით დედალი ვეშაპი, ჰესიოდისაზრით: ფორკის მესამე ასული;—სტენო და ეურილოე, მისი დები, უკვდავნი იყვნენ, ხოლო გორგონე — მოკვდავი.— პლასტიურ ხელოვნებაში გორგო ან მედღუზა წარმოადგენილია, როგორც ქალისთავიანი ფანტასტიური არსება.

- 79 „იქითკენ, სადაც მოსჩანს ქაფი, ორთქლი და კვამლი“.
ვით ბაყაყები, გველისაგან დაშინებულნი,
წყალს გაირბენენ ტყაპატყუპით და მოკურცხლავენ,
- 82 მიაშურებენ თავშესაფარს, ლეყებს, ან ბეჩოს,
ვნახე ასევე უამრავი სულეების ხროვა,
ვით გაურბოდა ერთ ვილაცას შეძრწუნებული,
- 85 რომელიც სტიქსზე უშიშარად გადმოდიოდა,
თანაც ფეხები არც კი ჰქონდა დასველებული,
მარჯვენა ხელით იცილებდა კვამლს მოზღვავებულს,
- 88 ხოლო მარცხენა გაეშვირა თავის წინაშე.
მივხვდი, ის უნდა ყოფილიყო ცით მონავლენი
და მივუბრუნდი ვირგილიუსს, რომელმაც წამსვე
- 91 მამცნო ღუმილით მომავლისთვის მეცა თავყვანი,
ჰოჲ, რა რიგად იყო იგი აღშფოთებული!
მიუახლოვდა მყის კარიბჭეს, შემოჰქრა წნელი,
- 94 გაიღო კარი, არ უქნია ძალდატანება.
„ჰოჲ, ზეციდან უღმობელად გადმოორეკილნო,
„თქვენ ნათესავენო განდევნილნო და საზიზღარნო,—
- 97 შესძახა მყისვე იმ საშინელ ზღურბლთან მისულმა,—
„საიდან მოდის თქვენი ეგ ზომ გულგოროზობა,
„როგორა ჰბედავთ ამბოხებას იმ ძალის მიმართ,
- 100 „რომელიც მიზანს ჯერ არასდროს არ ასცდენია,
„ან ტანჯვას თქვენსას აორკეცებს და ამახვილებს.
„გახსოვთ ცერბერი აღრენილი, გაათურებული,
- 103 „კისერ გაბცქენილი და ნიკაპი შემოლადრული“...
შემდეგ მიიქცა ტალახიან გზისაკენ იგი,
არ შეგვამჩნია აღარც ჩვენ და არც სხვა მრავალი,
- 106 და ჩვენც გავწიეთ იმ მიწისკენ წმინდა სიტყვებით
გამხნეებულნი და იმედით გულმოცემულნი.
შევედით ისე, შებრძოლებაც არ მოგვხდომია,

85. ს ტ ი ქ ს — ქვესკნელის მდინარე, ან ტბა, რომელზედაც მიცვალებულთა სულები ნავით გადაჰყავდა ზარონს, ამ სტიქსის წყალს იფიცავდნენ ძველი საბერძნეთის ღმერთები, როცა ისინი წმინდა ფიცს სდებდნენ.

102. ც ე რ ბ ე რ ი — ჯოჯოხეთის, ქვედა სამყაროს ძალდი.

- 109 და მეც მეწადა დამენახა, თუ ამ ციხეში ვინ დაემწყვდიათ იმ დაგმანულ კარებს გადაღმა. შესვლის უმაღლესე მიმოვავლე თვალი გარემოს,
 - 112 და ვნახე ირგვლივ გადაშლილი ჭალაკი ღიდი სავსე წამებით და საშინელ მწუხარებითა. როგორც არლესთან, სადაც რონის მდორდება წყალი,
 - 115 როგორც პოლასთან ან მდინარე ქვარნაროს ახლოს, სად იტალიას ჰკეტავს იგი, და მიჯნებს მისას ულოკავს კალთებს, ეხუტება და ეტმასნება,
 - 118 ასევე ირგვლივ საფლავები ღარავდენ მიწას უსწორმასწოროდ, საშინელად მიმოქცეულნი. საფლავებს შორის ლიცლიცებდენ ცეცხლის ენები.
 - 121 როგორც გველები დაკლაკნილი და დაგრეხილი, ისე სასტიკად მოდებოდა ცეცხლი ლუსკუმებს, რომ ზედ თამამად გააღღებოდა რკინას მჭედელი.
 - 124 ლუსკუმებისთვის გადაეძროთ მუნ სარკველები, იდგა ისეთი სიმძიმისი, მწარე გოდება, რომ ცხადი იყო მოისმოდა წამებულ სულთა
 - 127 ყივილი, ვაჟ და ღნავილი გულშემღონები. მიემართე ოსტატს: — „ვინ არიან ბედშავნი სულნი, „ამ ლუსკუმებში დასუდრულნი რომ ხმას გვაწვდიან,
 - 130 „გვასმენენ ეგზომ უსასოო, მწუხარე კენესას“. და მან მომიგო: — „აქ არიან ჰერეზიარქნი, „კერპთა ქურუმნი, მწვალელებელთა მამამთავარნი,
 - 133 „მათი ამყოლი, ასაბია და მიმღევარი. „ვინც სწავლას მათსას ემხრობა და თანმიმდევნებით „მსგავსი მსგავსთან წევს და ლუსკუმებს სხვადასხვაგვარი
 - 136 „ცეცხლი უნთია ყოველის მხრივ შემოგზნებული“. მიჰყვა მხარმარჯვნივ და დავაგდეთ წამების არე, და გადავლახეთ ვალავანი ამალღებულნი.
114. — ქალაქია იტალიაში, აქ არის რომაელთა დროებიდან დაშთენილი სამარხები.
 114. ა რ ლ ე — ქალაქია საფრანგეთში, ბუშდჟუ რონის პროვინც.
 115. პ ო ლ ა — ქალაქია ისტრიაში; ქვარნარო (Quarnaro) დაღმაციაში მდებარეობს.
 129. ლ უ ს კ უ მ ი — ძვ. ქართული: ქვის კუმბო.
 131. ჰ ე რ ე ზ ი ა რ ქ ნ ი — წარმართნი, მწვალელებლნი.

ძეგა მათე

- ქალაქის კედელთ და დასჯილთა საფლავებს შორის ვიწრო ბილიკით მიდიოდა ჩემი მეგზური, და მეც კვალდაკვალ მას მივსდევდი. მიემართე ოსტატს:
- 4 „დიდო გენიავ! ვინაც ჩემი მსვლელობის კვალი, „შენი მაღალი ნებისამებრ, უწმინდურობის „ერთი ბუდიდან მეორეში წარმართე, — გვედრი
 - 7 „დამიშოშმინო სურვილი და საცნაურ მიყო, „ძალგვიძს ვიხილოთ მდებარენი ამ საფლავებში? „ახდელ ლუსკუმებს დარაჯიც კი არ ახლავს ერთი“.
 - 10 მან მიპასუხა: — „ეს საფლავნი დაიხშობიან, „იოსაფატის ჭალიდან რომ მოვლიან სულნი, „იქ დატოვებულ სხეულებით განკაცებულნი.
 - 13 „აქეთ გაშლილან სამარხები ეპიკურისა, „და ამ მოძღვარის მიმღევართა, ვინც ლაღადებდნენ „შესახებ სულის სიკვდილისა სხეულთან ერთად.
 - 16 „აქ შევეცდები ვიპასუხო შენს შეკითხვაზე, „და შეგისრულო სათხოვარი მეორე კიდეც, „რომლის შესახებ არას ამბობ“. შევკადრე ოსტატს:
 - 19 „ჩემო კეთილო წინამძღოლო! გულის გაღება „მე შენს წინაშე არ ვისურვე იმისთვის მხოლოდ, „თავი ზედმეტი საუბრით რომ არ შეგაწყინო“.
 - 22 „ო, ტოსკანელო! ხორციელად რომ სტუმრებიხარ „ამ ცეცხლმოდებულ სამყოფელსა, სადაც გაისმის „სათნოდ მეტყველნი შენნი ხმანი, შესდევქი ერთს წუთს!

11. იოსაფატის ჭალა მდებარეობდა იერუსალიმის მახლობლად, სადაც იუდეელთა მეფე იოსაფატი ხალხს ასამართლებდა, აწესებდა, ვითომდაც „ლეთის განაჩენს“. გვიან „იოსაფატის ჭალა“ იყო უნივერსალური მართლგანკითხვის სიმბოლოდ.
 13. ე პ ი კ უ რ ი — ათენელი ცნობილი ფილოსოფოსი — მატერიალისტი.
 * * კონსტანტინე ჰიჭინაძის მიერ თარგმნილი.

- 25 „მე ტკბილი ენა გარკვეულად ამჟღავნებს, რომ შენ
„იმ კეთილშობილ ქვეყნის ძე ხარ, რომლისათვისაც
„მე შეიძლება მავნებელი ვიყავი მეტად“.
 - 28 მოულოდნელად შემომესმა სიტყვები ესე
ერთი პირლია საფლავიდან; შეშინებული
მე უფრო ახლოს მივეკარი ჩემს წინამძღოლსა.
 - 31 მითხრა ოსტატმა:—„მიიხედე რა გემართება?
„ფეხზე დამდგარა ფარინატა საფლავის თხრილში,—
„თავით წელამდე შეგიძლია მისი დანახვა“.
 - 34 და ჩემი თვალი ფარინატას თვალს შეეყარა,
იგი ამაყად აღმართავდა შუბლსა და მკერდსა,
თითქოს წამება ზიზღსა ჰგვრიდა მას მარტოოდენ.
 - 37 ხელის საჩქარო და ძლიერი ამოძრავებით
მიმაახლოვა ფარინატას საფლავს ოსტატმა,
და მითხრა თანაც:—„საუბარი მოსჭერით მოკლედ“.
 - 40 შევდევ უსიტყვოდ საფლავის წინ, და ფარინატაც
ჩუმიდ მიძწერდა ამაყად და ზვიადად ერთს ხანს;
შემდეგ მომმართა:—„წინაპარნი ვინ იყვნენ შენნი?“
 - 43 მე მოვიწოდებე შესრულება მისი ნებისა,
და ჩემს პასუხში ყველაფერი გულახდით ვამცნე.
მაშინ თვალები ზე აღმართა ფლორენციელმა
 - 46 და მითხრა:—„შენი წინაპრები,—ჩემი და ჩემთა
„ნათესავთა და მიმღევართა მოსისხლე მტრები,—
„ორჯერ განვდევნე სამშობლოდან!“ „ჰო“,— ვუპასუხე,
 - 49 „ისინი მართლაც განიდევნენ, მაგრამ უკანვე
„შესძლეს ხელახლა დაბრუნება, როგორც პირველად,
„ისე შეორედ; თქვენებმა კი ეს ვერ ისწავლეს.“
 - 52 მაშინ სამარხის თავსახურის უკანა მხრიდან
მოულოდნელად სხვა ცოდვილმა თავი ამოჰყო.
ფეიქრობ, მუხლებზე დაჩოქილი თუ იყო იგი.
32. იგულისხმება ფარინატა დეგლი უბერტი—გიბელინების პარტიის ბელადი; მან 1248 წელს სასტიკად დაამარცხა გველფები. აქ დანტეს ესაუბრება იგი როგორც გველფს.
53. ფარინატასთან ერთად ჩაფლული იყო კავალკანტი კავალკანტი; დანტეს მეგობრის გვიდოს მამა, აქვეა ფრიდრიჰ მეორე იმპ. ფრიდრიჰ ბარბაროსასს ვაჟი, აგრეთვე ოტავიო დი უბალინი (კარდინალი), ომელსაც ასეთი სკეპტიკური ფრანზა წამოსცდა: „მე რომ სული მქონდეს, გიბელინებს შევსწირავდიო“.
- გვიდო კავალკანტი ფრიად საინტერესო პიროვნებაა ადრე რენესანსის პოეტების გალოფრეში (1259—1300), ხალხი მასში ჰხედავდა ღმერთის არსებობისადმი ფრიად სკეპტიკურად განწყობილ პიროვნებას.

- 55 მიმოიხედა ჩემს გარშემო იმგვარად, თითქოს
სურდა, რომ გვერდით დაენახა სხვა ვინმე კიდევ,
მაგრამ, როდესაც დაიფერფლა მისი იმედი,
- 58 წარმოსთქვა მოთქმით:—„ამ ბედშავს და ბნელ საპატიმროს
„თუ შენ სწვევიხარ საკუთარის გენიის ძალით,
„მაშინ რა მოხდა, რომ შენს გვერდით ვერ ვხედავ ჩემს შეილს?“
- 61 ვუთხარ:—„არა ვარ საკუთარის ძალით მოსული;
„აი, ავერ იქ მელოდება მომყვანი ჩემი:
„ეგებ ნაკლებად აფასებდა მას შენი გვიდო“.
- 64 მისმა სიტყვებმა და სასჯელის ხარისხმა უკვე
ჩემთვის ნათელჰყო ვინაობა იმ ცოდვილისა;
აი, პასუხი პირდაპირი რად იყო ჩემი.
- 67 ზე წამოიჭრა ის უეცრად და შემომძახა:
„აფასებდაო? ნუთუ იგი მკვდარია უკვე?
„ნუთუ მის თვალებს აღარ ჰმოსავს ნათელი ტკბილი?“
- 70 და რა შემნიშნა, რომ მე პასუხს ვაგვიანებდი,
ცოდვილი მყისვე გადაბრუნდა საფლავსა შიგან,
და იმის შემდეგ არ უხილავს ჩემს თვალებს იგი.
- 73 სამაგიეროდ მას, ვისთვისაც შევიჩრდი მე იქ,
ჩემგან ნათქვამით არ შეცვლია სრულიად სახე,—
იდგა უძრავად კვლავ ზვიადი და უღრეკელი.
- 76 იგი ხელახლა დაუბრუნდა შეწყვეტილ ბაასს:
„თუ სამშობლოში ვერ დაბრუნდენ ჩემი იანები,
„ამ სარეცელზე უმეტესად მაწუხებს ეს მე.“
- 79 „მაგრამ აღვზნებას ვერ მოასწრებს ორმოცდაათჯერ
„სახე აქაურ ღვთაებისა, რომ შენ იხილავ,
„თუ რა სამძიმო შეიქმნება ეს დაბრუნება.“
- 82 „გაფიცებ ნათელ სამყაროში მიქცევის იმედს,
„შემატყობინო, თუ რად სტანჯავს ეს ხალხი ასე
„ჩემებს თავისი საშინელი კანონმდებლობით“.

- 85 მე ვუპასუხე ამის გამო:—„სისხლის ღვრა დიდი,
„რომელმაც ზვირთნი არაბიის წითლად შეღება;
„იწვევს გულიდან ჩვენს ტაძარში ამნაირ ლოცვებს“.
- 88 ამოიოხრა, გააქნია თავი და მითხრა:—
„მარტო არ ვიყავ ამ საქმეში და ჭეშმარიტად,
„მე სხვებთან ერთად უმიზეზოდ არ ვმოქმედობდი.
- 91 „სამაგიეროდ მე ვიყავი ერთი იქ, სადაც
„ერთხმად გადასწყდა დედამიწის პირიდან ალგვა
„ფლორენციისა, და შევსძელი დამეცვა იგი“.
- 94 „დეე მშვიდობა დაუმკვიდრდეს ამიერიდან
„შენს მოდგმას! მაგრამ ეგებ ჩემი ფიქრების ხლართი
„გახსნა როგორმე, — მუეუბრუნდი ამგვარის თხოვნით:
- 97 „მე ვფიქრობ, თუ კი არა ვსცდები, რომ მომავალი
„მთელი იმისი შედეგებით ხსნილია თქვენთვის,
„თუმცა კი ნაცვლად თქვენს წინაშე დახშულა აწმყო“.
- 100 „ვით დასუსტებულ თვალთახედვის მქონენი, ისე
„ჩვენ უკეთ ვარჩევთ, — მიპასუხა, — შორეულ საგნებს;
„მეუფემ ესდენ გაგვანათლა უზენაესმა.
- 103 „მაგრამ, როდესაც მოვლენანი ახლოვდებიან,
„ჩვენი შორსხედვა ამაოა, და, თუ არ გვამცნეს,
„ვერ ვიგებთ თქვენი მიწიერი ცხოვრების ამბავს.
- 106 „აი, აქედან შეგიძლია მიხედვ, რომ ჩვენი
„წინასწარ ხედვის ნიჭი მყისვე მოჰკვდება, როგორც
„მომავლის ბჭენი სამუდამოდ დაიხშობიან“.
- 109 მაშინ, ვსცანი რა საკუთარი დანაშაული,
„ვუთხარ:— „აუწყე შენს მეზობლად წაქცეულ ცოდვილს,
„რომ მისი შვილი ცოცხალია ამჟამად კიდევ.
- 112 „და თუ მე ნაცვლად პასუხისა ხმა არ დავსძარი,
„ეს მოხდა მხოლოდ იმ ფიქრებში გართვის მიზეზით,
„რომელიც ახლა გამირკვია შენს მიერ თქმულმა“.

- 115 ოსტატი უკვე მიმიხმობდა. ამის მიზეზით
„მე დავაჩქარე ცოდვილისთვის მიმეცა კითხვა,
„თუ მასთან ერთად პატიმარი ვინ ისხდნენ კიდევ.
- 118 მითხრა:—„ჩემს გვერდით აქ დაყრილან ათასზე მეტი.
„მათ შორის ფრიდრიჰ მეორეა და კარდინალი;
„ხოლო შესახებ დანარჩენთა მე არას ვიტყვი“.
- 121 ის დაიმალა ამის შემდეგ; მეც გავემართე
„მგონისკენ, თანაც მაფიქრებდა სიტყვები თქმული
„ფარინატასგან, ჩემის აზრით, მუქარით საესე.
- 124 კვლავ გზას გაუღდა წინამძლოლი და მკითხა თანვე:
„რაა მიზეზი, ასე ძლიერ რომ მოიწყინე?“
„და მეც პასუხი მოვახსენე ამ შეკითხვაზე.
- 127 „დეე ხსოვნაში ღრმად ჩაგეჭრას, — მიბრძანა ბრძენმა, —
„შენს წინააღმდეგ დამუქრების შემცველი სიტყვა;
„მაგრამ მისმინე! — და მან თითი შემართა მაღლა, —
- 130 „როს წარუდგები შენ იმ ქალის უნათლეს სახეს,
„ვისი ბრწყინვალე თვალთახედვა სჭერეტს ყოველივეს,
„შენი ცხოვრების მომავალ გზას გაუწყებს იგი“.
- 133 სთქვა ეს და მარცხნით გადუხვია. ჩვენ მოვიტოვეთ
„უკან ქალაქის გალავანი და ამ ქალაქის
„ცენტრს მივაშურეთ ქალისაკენ დაშვებულ გზითა.
- 136 ქალიდგან გახრწნის ოხშივარი აღწევდა უკვე.

ძება მეთერთმეტე

უზარმაზარი, ნაპრალებით ტანდარღვეული, კლდეების პირით მიმავალნი, თავს წავადექით კიდევ უმეტეს სატანჯველით დასჯილთა კრებულს.

- 4 რა ვერ გავუძლეთ საშინელი უფსკრულის სიღრმით აღმონათხევი ოზშივარის საზიზღარ სუნსა, ვებებრთელა საფლავის ქვას ამოვეფარეთ;
- 7 და იქ ვიხილე მე შემდეგი ეპიტაფია:
„ჩემს შიგან პაპი ანასტასე დამკვიდრდა ბინად, „ვისაც ფოტინმა დაუბნია გზა სიმართლისა“.
- 10 „ჩვენ აქ ნელინელ მოგვიხდება დავშვება დაბლა, „თანისთანობით ამ სიმყრალეს რომ შევეჩვიოთ; „ხოლო შემდეგში ის საგრძნობი იქნება ნაკლებ“.
- 13 ვკადრე პასუხად მე ოსტატსა: — „გთხოვ მოიგონო „ისეთი რამე, რომ ამოდ დრო არ ვიდოდეს“.
მომიგო: — „ვფიქრობ მე ამაზე, ხომ ხედავ თვითონ.
- 16 „ამ კლდეთა შორის, შვილო ჩემო, — განაგრძო შემდეგ, — „სამ იარუსად დაწყობილან ვეგბა გარსნი, „მსგავსათ მათისა, რომლებშიაც იყავი უკვე;
- 19 „გარსები ესე გავსილია დასჯილ სულებით; „და რომ იკმარო შენ იმათი დანახვა მხოლოდ, „მსურს აქ გაუწყო მიზეზები მათი დასჯისა,
- 22 „მოყვასისათვის მიყენება ზიანის, ვნების „ბოროტ განზრახვის მიზანია, და შესრულება „ხდება ამ მიზნის ტყუილით და ძალდატანებით.

8. პაპი ანასტასიუსი — ტახტზე ავიდა 497 წ. იგი კარდინალებს არას ეკითხებოდა და თავის პოლიტიკას აწარმოებდა თავისი მარჯვენა ხელის დიაკონის ფოტინის დახმარებით. ფილალეტუსი ფიქრობს, რომ დანტემ განზრახ მოათავსა პაპი ანასტასიუსი ჯოჯოხეთში, რათა პაპის ერთგულთათვის დაემტკიცებინა, რომ შესაძლოა პაპიც ერეტიკოსი და მწვალებელი იყოს.

- 25 „ტყუილი — ეს ხომ მანკი არის კაცთა ბუნების, „იგი ისჯება უმკაცრესად. აქ მატყუარნი, „ღვთისგან უმეტეს შერისხულნი, ძირს ჰყრიან უფრო.
- 28 „გარსი პირველი სავანეა მოძალადეთა, „და, ვით ზიანი ძალადობით ხდება სამგვარი, „ამიტომ იგი დაუყვიათ სამ გარსად კიდევ.
- 31 „ძალდატანება შესაძლოა ღმერთზე, მოყვასზე „და თავის თავზე; დაატყდება პირს ან მის ღოვლათს „იგი, ამაში დაგარწმუნებ ახლავე ნათლად:
- 34 „კაცის მკვლელობა, დაშავება, სხვისი ქონების „განადგურება, გატაცება, აკლება, დაწვა — „ძალდატანებად ჩაითვლება მოყვასის მიმართ;
- 37 „ამიტომ მკვლელნი, დამკოდველნი სამძიმოდ, ცეცხლის „წამკიდებელნი და მძარცველნი ცალკე ბრბოებად „პირველ ქვეგარსში მისცემიან წამებას — მისჯილს.
- 40 „კაცს შეუძლია მიიტანოს ძალდატანება „საკუთარ თავზე, ქონებაზე; და ამის გამო „მისთვის მეორე ქვეგარსია სასჯელის ბუდედ,
- 43 „ვინც თვითნებურად თავს ანებებს საწუთროს თქვენსას, „ან ვინც წააგებს ან გაჰფლანგავს თავის ქონებას, „და შემდეგ სტირის იქ, სადაც მას ჰმართებდა ღებნა.
- 46 „უფლისა მიმართ ის ილაშქრებს ძალდატანებით, „ვინც თავის გულში უარსა ჰყოფს უწმინდეს სახელს, „და ვინც ღმერთსა ჰგმობს მისგან შექმნილ ბუნების გმობით.
- 49 „აი, ამიტომ მცირე გარსში მოქცეულია, „ვინაც ატარებს დაღს სოდომის და კაპორისას, „და ღმერთი ვისაც ვერ უგრძნობია საკუთარ გულში.
- 52 „კაცს შეუძლია, რომ ყოველი სულის მქენჯნავი „მოტყუილების მსხვერპლად იგიც გახადოს, ვისაც „აქვს დაჯერება და ის, ვინაც არ ხარჯავს რწმენას.

46. კაპორი (Cahors), საშუალო საუკ. ჩარჩი, კაორჩინი ან კავარჩინი. ალბად ეს ჩარჩები მეტწილად კაპორიდან იყვნენ.

47. სოდომის დაღად იგულისხმება ბიბლიური სოდომის ცეცხლის წვიმა, რომელიც ბიბლიური კონცეპციის მიხედვით დადაღავდა მათ სხეულებს.

- 55 „მეორე დარგის მოტყუება ბუნების ძალთა
„მიერ გაბმული სიყვარულის კავშირსა სთიშავს;
„და ამიტომაც მოქცეულა მეორე გარსში:
- 58 „ფარისევლობა, პირფერობა, სიყალბე, ჯადო,
„მაჭანკალობა, მკრეხელობა, მექრთამეობა,
„სიმონია და სხვა ამგვარნი საქმენი ბილწნი.
- 61 „პირველი დარგის მოტყუება ძირფესვიანად
„სპობს ბუნებრივი სიყვარულის ჩანასახს, მასთან
„გრძნობას, რომელიც ჰქმნის შემდეგში ურთიერთ რწმენას.
- 64 „აი, ამიტომ უკანასკნელ უმცირეს გარსში
„მსოფლიოს ცენტრში, სადაც ტახტზე დამჯდარა დიტე,
„მარადისობა მოლაღატეს მუხრუჭებს უჭერს“.
- 67 „ოსტატო,—ვარკვი,—ყოველივე შენს მიერ თქმული
„გასაგებია და იძლევა სწორ წარმოდგენას
„ამ უფსკრულის და შიგ მოქცეულ ცოდვილთა ირგვლივ.
- 70 „მაგრამ მაუწყე: ამ ნისლოვან ჭაობში სულნი
„წვიმიით გვემულნი, ქარის ფრთებზე მოფარფატენი,
„ან ერთმანეთზე მიწეულნი ბინძური ლანძღვით,
- 73 „რად არ დასჯილან აღმოდებულ ქალაქის ცეცხლში,
„თუ კი მათ რისხვა დასტეხიათ თავზე უფლისა?
„ხოლო თუ არა, რისთვისღაა სასჯელი ესე?“
- 76 მან მიპასუხა:— „რა მიზეზით ამბობებულა
„ჩვეულებრივის წანაღმდგ გონება შენი?
„ან თუ რაიმე სხვა საგანზე მიმართე აზრი?

62. დანტეს ტექსტში ერ. ფორნაჩიარის აზრით: დიტე — სატანა, დანტეს მხედვით მსოფლიოს ცენტრია.

ფილალეტუს: დიტე, დის, პლუტო, ლუციფერი—დანტეს ეს მცენებები გაიგივებული აქვს.

78. იგულისხმება არისტოტელეს, რომელიც ასწავლიდა: სამს ვნებას უნდა განერიდოს კაცი: უზომო ტკბობას, გულმხეცობას და „ქანისა“—ცუდ ზნეს, აწ უკანასკნელს იგი უპირისპირებს სიქველეს. არისტოტელეს ითვლება ეთიკის დამფუძნებლად, მან პირველმა დაამყარა ეთიკა, როგორც თავისუფალი დისციპლინა. პსიქოლოგიურ ბაზისზე; იგი არისტოტელესის სწავლით ნაწილია „პრაქტიკული ფილოსოფიისა“, და მას მართოდენ პრაქტიკული ტენდენცია აქვს—ადამიანის კეთილისადმი მიყვანა. არისტოტელესის ეთიკა ეს არის სწავლა სიქველეთა შესახებ.

- 79 „ნუ თუ არ გახსოვს კანონები, რომლითაც სამი
„ადამიანის ცოდვით სავსე მიღრეკილება
„განსაზღვრა შენმა ეთიკოსმა შემდეგი სახით:
- 82 „გულარძნილობა, სიბოროტე და გულმხეცობა.
„გულარძნილობა, შეურაცყოფს ლეთაებას ნაკლებ
„და ამის გამო ნაკლებადაც ისჯება იგი.
- 85 „თუ კარგად გინდა შეიგნო ეს ჭეშმარიტება,
„წარმოიდგინე შენ—გარეშე ამ გარსებისა—
„რაგვარ სულთა აქვსთ მიჩენილი ადგილი ტანჯვის;
- 88 „მაშინ შეიგნებ, თუ ისინი რისთვის არიან
„ქვედა გარსების ცოდვილთაგან გამოყოფილი,
„და მათ ნაკლებად რისთვისა სჯის ღვთის მსაჯულება“.
- 91 „მზეო, მკურნალო დაბნელებულ თვალთა ხედვისა,
„კითხვების ახსნით შენ ესოდენ მახედნიერებ,
„რომ ჩემთვის ეკვი საჭიროა, ვითარცა ცოდნა.
- 94 „გთხოვ ერთხელ კიდევ, დაიხიო ოდნავად უკან
„და მითხრა, თუ ვით შეურაცყოფს მექრთამეობა
„ცის სათნოებას: გამიხსენი ეს კვანძი, გვედრი“.
- 97 „ფილოსოფია, —მიპასუხა,—ბევრ თავის დარგში
„ასწავლის ყველას, ვინც ისურვა ისწავლოს მისნი
„საიდუმლონი, რომ ბუნებას სათავეს აძლევს
- 100 „ღვთის გონება და ხელოვნება; ხოლო თუ კი შენ
„გულმოდგინებით ჩაიხედავ შენს ფიზიკაში,
„ამოიკითხავ თავშიდავე, რომ ხელოვნება
- 103 „თქვენი, რამდენად შეიძლება, ბუნებას ჰბაძავს,
„როგორც შეგირდი თავის ოსტატს, და რომ ღვთისაგან
„ვით პაპისაგან შვილიშვილი, გამოდის იგი.
- 106 „ახლა, თუ კი შენ დასაწყისი შექმნათა წიგნის
„გაგახსენდება, მიხედვები, რომ ეს ორი წყარო
„კაცსა ანიჭებს სიცოცხლეს და ცხოვრების საღასარს.

79. გულმხეცობა, Bestialitate, მხეცური, ადვირახსნილი ვნებების დაწაფება, ღვინის, ქალის და სხვ. მიმართ უზომო ტრფიალი და სხვ.

98. არისტოტელეს თავის ფიზიკაში ამბობს: ხელოვნება — τέχνη ბუნებას ბაძავს. არისტოტელესის ფიზიკა არის „მეცნიერება ზოგადი ბუნებრივობისათვის, Wissenschaft vom Naturhaften überhaupt“ (არისტოტელესის მეტაფ. VI, I.).

- 109 „ხოლო მექრთამე სხვა გზით მიდის; ის უმხედრდება
„ბუნებასა და ხელოვნებას მისგან გამოსულს,
„და თავის იმედს სხვა რამეზე ამყარებს მუდამ.
- 112 „აწ კი მომყევი—მიმიწოდებს სურვილი წინ მე:
„შევე აენტო ჰორიზონტზე თევზის ნიშანი
„და თითქმის ეტლის ზოდიაკო შთავიდა ჩრდილოს.
- 115 „და ეს იქ, სადაც ეშვებიან კლდეებით დაბლა“.

ქება მითოკრება

- ადგილი იგი, რომელთანაც ჩვენ მივალწიეთ,
იყო პიტალო, უფსკრულისკენ დაქანებული.
ასე მეგონა მდგარ ვიყავი მე ტრანტის ხევში,
- 4 ადიჯის პირას, სად მეწყერი და მიწის ძვრები
ლალრავენ მიწას და ფლატეებს აზანზარებენ.
აქ ნიადაგი ზედ საყრდენსაც ველარ ჰპოულობს.
- 7 მთის მწვერვალთან მოშორებულ ველის პირამდის
კლდისა ფერდები ისე ცერად შემართულიყვნენ,
რომ არსაიდან საცალფეხოც არ სჩნდა ბილიკი,
- 10 რომლითაც მგზავრი დიდის ჯაფით მიაღწევს ზეთავს.
იწვა თხემისა ზედაპირზე კრეტას სირცხვილი—
დემონი იგი, ვინც შეიცვენს ერთხელ ყალბ ძროხად.
- 13 როცა შეგვნიშნა წამსვე სხეულს თავის საკუთარს
დაუწყო კბენა ბრაზისაგან გახელებულმა.
შესძახა მაშინ მინოტავროსს ბრძენმა მეგზურმა:
- 16 „ხომ არ გგონია მოსულიყოს აქ შენი მკვლელი,
„ის სეფეწული ათინისა, ვინც იმ სოფელში
„მოგილო ბოლო და ქვესკნელში შთამოგაგზავნა.
- 19 „წა, არაწმინდავ, იგი მოვა მხოლოდ და მხოლოდ
„ნახოს და დასტკბეს აქ ქვესკნელში თქვენის წამებით“.
როგორც მოზვერი, ძასიკვდილო ჭრილობის შემდეგ

1—10. აქ აწერილი ადგილის სადაურობის გამო დანტეს კომენტატორები სხვადასხვა აზრისანი არიან. ერთნი ამბობენ: აქ რივოლის სანახები იგულისხმებაო, სხვანი: ბარტოლომეო დელლა სკალას შემოგარენი უნდა იყოსო (ვერონას სიაზლოეს) და სხვ.

12. აქ იგულისხმება მინოტავროს პასიფეესა და ხარის ურთიერთი სიყვარულის ბუში. მინოტავროს დანტეს კონცეპციაში მხეცური ძლევა მოსილობის სიმბოლოა.

17. არიანეს ვაჟმა თეზეასს მოაკვლევინა მინოტავროს—ათინის მეფის ვგელს სეფეწულს. ისტორიაში ცნობილია ათინის სეფეწული „Duca d'Athens“—სცხოვრობდა 1204 წ. ლათინური იმპერიის დროს.

* * კონსტანტინე გამსახურდიას მიერ თარგმნილი.

- 22 საბელს რომ გასწყვეტს, უშედეგოდ დაიწყებს ხლტომას, ასე ბორგავდა მინოტავროს, მაშინ ოსტატმა გაფრთხილებულმა მომადახა:— „ძირს ჩაირბინე,
- 25 „ვიდრემდის იგი გახელებით ბორგავს, სხმარტალებს“. ჩავეყვით ბილიკს და დაფშენილი ქვების ყორეზე ძლივს ვიმაგრებდი საკუთარი ტანის სიმძიმეს.
- 28 მე ჩავდიოდი თავდაღმართზე ჩაფიქრებული. ოსტატი ჩემი მომბრუნდა და მეუბნება: „აღბად შენ ჰფიქრობ ამ დაღეწილ კლდეთა ნაფშვენზე.“
- 31 „რომელსაც ახლა უთვალთვალეს ის ცოფიანი, „პირველითგანვე, როცა ჩაველ ქვესკნელის ფსკერზე, „ირგვლივ მდებარე თვალუწვედენი სალი კლდეები
- 34 „ჯერაც არ იყვნენ დამსხვრეული და დაღეწილი. „მცირე ხნის წინად, თუ მე ხსოვნა აღარ მღალატობს, „იმის მოსვლამდის, ვინც ქვესკნელში დიტეს წარსტაცა.
- 37 „პირველი გარსის უდიდესი ნაალაფარი. „და ეგ ტაფობი საშინელი, თვალშეუვლები „შეკრთა, შეინძრა, შეზანზარდა გვრილიაშემო,
- 40 „ასე მეგონა ეს სამყარო უშველებელი „ბორგავდა მისის სიყვარულით შეტოკებული, „ვინც არა ერთხელ ეგ ქვეყანა თვალშეუღღამი
- 43 „ხელახლა გაჰქნა ამბოხებულ ქაოსის მტვერში. „ასე ამგვარად, ამ ადგილას აგრეთვე სხვაგან „კლდე ძველთა ძველი ნაფხვენებად გადაქცეულა.

41—45. „ჯოჯოხეთის“ ეს ადგილი ძლიერ ბუნდოვანია. ზოგიერთი კომენტატორი აქ გულისხმობს ემპედოკლეს ზედგაღწეულს დანტეზე. ემპედოკლესის სისტემის მიხედვით სამყარო შესდგება ურთიერთთან მოქიშვე კავშირთაგან. ამ ელემენტების, ამ კავშირთა ურთიერთი დაახლოებას ქაოსი იწვევს. ემპედოკლეს (რომელსაც დანტე აღბად არისტოტელესის პოლემიკიდან თუ იცნობდა) ჰფიქრობდა, რომ მკვდარი სამყაროს ელემენტები ხან მოძრაობის, ხანაც უძრაობის პროცესს განიცდიან.

44—45. აქ ნაგულისხმევია ის წმიწისძვრა, რომელიც სამღვთო წერილის გადმოცემით ნაზარეველის დღეს უნდა მომხდარიყო თითქოს.

- 46 „დაძაბე მზერა, ჩაიხუტე ე მანდ უფსკრულში, „ვინადგან ახლა სისხლის ლელეს ვუახლოვდებით, „იხარშებიან ამ ლელეში სწორედ ისინი,
- 49 „ვინც თავის მოყვასს აყენებდა ძალდატანებას“. ბრმაო სიხარბევე, და სიცოფევე აღვირახსნილო, ეს თქვენ გვაქვებთ ამ სიცოცხლის მოკლე მანძილზე,
- 52 რათა მარადეამს ვიწვებოდეთ სისხლის მორევეში. ვნახე გარშემო შემორტყმოდა ველს დიდი ხარო, ჩემმა მეგზურმა რომ მიამბო სწორედ ისეთი,
- 55 კლდის ნამუსრევეთა და ამ ორმოს ვრცელ ოლეებში დააბოტებდენ კენტავრები მშვილდ-ისრით ხელში, ისევე, როგორც ეს ხჩვეოდა მათ სააქაოს.
- 58 რა დაგვინახეს ამ დაღმართით ჩამომავალნი, შესდგენ და სამი იმათგანი ჯგუფს გამოეყვნენ. მოგვიახლოვდნენ, მშვილდ-ისარიც მყის მოიმარჯვეს.
- 61 და სამთავანმა მოგვაძახა ერთმა კენტავრმა: „რომელ წამების სანახავად მოდიხართ გვარქვით, „ან რომელ მხრიდან წამოსულხართ გვითხარით მალე,
- 64 „თორემ ახლავე დაგეწევით ისარი მალი“. მიუგო მაშინ მას მეგზურმა დარბაისელმა: „ამის შესახებ მოვახსენებთ პასუხს, ჩვენს ხირონს.
- 67 „შენ კი, გულფიცხო, ხომ წინადაც გიცნობდენ ისე, „როგორც მშვილდოსანს სულწასულსა და მოუთმენელს“. მეგზურმა ჩემმა ხელი მკიდა და მეუბნება:
- 70 „ეს არის ნესუს, შვენიერი დეჟანერასთვის „ოდესლაც თავი რომ გასწირა და მოიკვდინა. „შუაში მდგომი არის თავად დიდი ხირონი,
- 73 „რომელიც იყო მამამძუძე აქილევისა, „ხოლო მეორე ფოლუსია გახელებული. „ეს მშვილდოსნები გარს უვლიან ხაროს ათასგზის,

66. ხ ი რ ო ნ ი—სატურნისა და ფერიის ვაფი.
71. ნ ე ს უ ს—ცნობილი კენტავრია.

- 76 „და ვაჟ იმას, ვინც დასტოვებს მიჩენილ ადგილს
„დანაშაულის შესაფერად მუნ მიკუთვნებულს“.
მიუუახლოვდით ჩვენ ორნივე ფეხმარდ კენტავრებს;
 - 79 ხირონმა ხელში მორმარჯვა წამსვე ისარი,
და ისრის წვეტით გაიჩეჩა გრძელი წვერები,
ასე მიმართა თანამგზავრებს გვერდით მდგომარეთ:
 - 82 „თქვენ დააკვირდით იმ მეორეს უკან მომავალს,
„არც ერთი მკვდარი ქვაზე ფეხებს ასე არ ადგამს“,
ჩემი ოსტატი გვერდით უდგა იმ წამში ხირონს,
 - 85 სიმაღლით თვისით მისწვდა იგი კენტავრს მკერდამდის—
სად ცხენის ტანი უერთდება კაცის თავისერს.
ეუბნებოდა:—„ღიახ, იგი ცოცხალი არის,
 - 88 „მე დავიკისრე მას ვაჩვენო ეს ბნელი ველი.
„უცილებლობამ მოიყვანა ის ამ ქვესკნელში,
„არა სურვილმა უმიზეზოდ აჩემებულმა
 - 91 „ერთმა ასულმა ზეციური დასთმო ოსანა,
„რათა მას ჩემთვის დაეკისრა ეს დავალება
„არ არის იგი ავაზაკი, არც მე ვარ მავნე,
 - 94 „გაფიცვებთ სახელს იმ არსისას, ვინც ჩემს ნაბიჯებს
„მართავს ამ გზაზე, წარგვიმძღვარე ერთი თქვენგანი,
„რათა გვიჩვენოს მდინარეზე მეგზურმა ფონი,
 - 97 „და კაცი ესე, ვინც სულსავით ვერ აპობს ჰაერს,
„ზურგზე შეისვას და ამგვარად წამოიყვანოს“.
ხირონი ნესუსს მიუბრუნდა და ეუბნება:
 - 100 „გაბრუნდი უკან, გააცილე და დაიფარე“.
ასე ვიარეთ კენტავრების მფარველობის ქვეშ,
სისხლიან ღელეს მივყვებოდით, და მოგვესმოდა
 - 103 სისხლში ჩაყრილთა სიმძიმელი დია ფრიადი.
ვსკვრეტდი ცოდვილებს—წარბებამდის სწვდებოდათ სისხლი,
დიდი კენტავრი გვეუბნება:—„შეხე ტირანებს
86. კენტავრი — მითიური კაცისთავიანი ცხენი, ან ცხენისტანიანი კაცი. კენტავრი ხანაც თხის ჩლიქებითაც ჰყავდათ ძველ ბერძნებს წარმოდგენილი.
91—92. იგულისხმება ბეტარიჩე.

- 106 „სისხლში, ძარცვაში ვისაც ედოთ მიწაზე წილი.
„ჰა, ალექსანდრე, მანდ სასტიკი, მხეცი დიონის,
„ვინც სიცილიას არა ერთი მოჰგვარა ჭირი;
- 109 „ეგერ ეცელინ შავი თმებით შუბლშებურვილი,
„ხოლო მის გვერდით სდგას მტარვალი, ობიცყო დ' ესტე-
„რომელიც გერმა მოაკვდინა იმ სამყაროში“.
- 112 მე გადავხედე ვირგილიუსს, ის შეუბნება:
„პირველად იგი მიიჩნე, მე კი მეორედ“.
მცირე ხნის შემდეგ დააკვირდა ერთ ბრბოს კენტავრი,
- 115 კისრამდის იყვნენ ცოდვილები სისხლში ჩაფლული.
მანვე გვიჩვენა განზე მდგარი ერთი ცოდვილი,
გვითხრა:—„ამ კაცმა ღეთის ტაძარში მოჰკლა მოყვასი,
- 118 „რომელსაც ახლაც იხსენიებს ინგლისის მხარე“.
შემდეგ ვიხილე მე ლანდები სისხლის ღელეში,
რომელთაც უჩნდათ სისხლის ზემოდ მთელი სხეული.
- 121 და შევიცანი მე მათ შორის რამოდენიმე.
სისხლის მდინარე წვრილდებოდა თანდათანობით,
და იმ ადგილას, სადაც ღელე იყო იმდენად
- 124 მარჩხად გაშლილი, კოჭებაძდის გვწვდებოდა სისხლი,
ჩვენც იქ ვარჩიეთ იმ მდინარის გაღმა გადასვლა.
„შენ როგორც ჰხედავ, ეგ მდინარე კლებულობს გზა-გზა,—
- 127 მითხრა კენტავრმა,—მაგრამ ნახავ მეორე მხარეს,
„უფრო და უფრო გაღრმავდება სისხლისა ხევი,
„იქ კი ტირანებს წარბებამდის ადგება სისხლი.

107. კომენტატორებს ვერა აქვთ გამოჩვენებული: რომელ ალექსანდრეს გულისხმობს აქ დანტე: ალექსანდრე დიდს თუ ალექსანდრეს —თესალიელ ტირანს.
109—110. იგულისხმება: ეცელინო და რომანო—ფრიდრიხ მეორეს სიძე, იტალიელი ტირანი; ობიცყო დ' ესტე—მარკიზი (1288—1289) ფანატიკოსი გველფი, იტალიის ისტორიაში ცნობილი ტირანი.
113. ესე იგი პირველ მეგზურად კენტავრი იგულისხმებდა.
118. იგულისხმება გვიდო და მონფორტე კარლ ანჟუს მოადგილე ტოსკანაში, რომელმაც 1271 წ. ვიტერბოს ეკლესიაში, წირვის დროს მოჰკლა რიჩარდ კორნალის ვაჟი, ჯვაროსნული ომიდან ახლად დაბრუნებული.

- 130 „ეს იმ ადგილას, სად ღვთიური განაჩენისგან
„სისხლის მორევში ჩაუგდიათ მეფე ატილა,
„რომლის სიმკაცრე ღედამიწას აზანზარებდა.
- 133 „იქვე შეამჩნევ შენ ტირანებს პირუს და სექსტუს.
„ნახე მღულარე, აქოთებულ სისხლის მორევში
„მღულარე ცრემლებს რომ აფრქვევენ და სულს ლაფავენ;
- 136 „ერთი მათგანი არის თავად რენე კორნეტო,
„ხოლო მეორე, მის მახლობლად რენე დი პაცცო,
„რომელნიც მგზავრებს თავს ესხმოდენ დიდ თემშარებზე“.
- 139 სთქვა და გაბრუნდა, გადალახა მეორედ ფონი.

131. ა ტ ი ლ ა—იგულისხმება ჭუნების მეფე ატილა.
133—134. პ ი რ უ ს—ეპირის მეფე. ს ე ქ ს ტ უ ს—სექსტუს პომპეუსის ვაჟი, ეს უკანასკნელი სიცილიაში გამაგრდა და ცეზარის სიკვდილის შემდეგ ტრიუმვირატს ებრძოდა.
136—137. რ ე ნ ე და კ ო რ ნ ე ტ ო—კორნეტელი ცნობილი ყაჩაღი, დანტეს თანამედროვე. რ ე ნ ე დ ი პ ა ც ც ო—ცნობილი გაყაჩადებული აზნაური, რომელმაც რომის საეკლესიო ქონება გაიტაცა, სასახლეები გაძარცვა.

ქ ა ზ ა მ ე ც ა ზ ე ბ ა

- ვიდრე ნესუსი გავილოდა მდინარის გაღმა,
ჩვენ ერთ უდაბურ, უბილიკო ტევრში შევედით,
მწვანისა ნაცვლად ტყეს მოსხმოდა შავი ფოთლები,
- 4 ირგვლივ ტოტები კუთხიანი და დაგრებილი.
აქ ნადირები ბინადრობდენ სწორედ იმგვარი,
თავზარს რომ სცემენ კორნეტოს და სეკინას მცხოვრებთ.
 - 7 ბუდეს იგებდენ აქ ჰარპები გულშემზარავი,
სტროფადის მკვიდრი ტროელები რომ გამოიძვინეს,
და მათ აუწყეს მომავალი ბედითი ჟამი.
 - 10 ჰარპებს ზედ ესხათ ტანზე ფრთენი უშველებელი,
და თავ-კისერი ჰქონდათ მხრებზე ადამიანის,
ფეხებზე ესხათ უჩვეულო ბასრი ქანგები,
 - 13 ხოლო მუცელზე ბანჯგვლიანი ემოსათ ბუნტყლი.
ისხდენ ხეებზე და ისმოდა ხანგამოშვებით,
მათი ძახილი საოცარი და ამაზრზენი.
 - 16 და შემესიტყვა მე კეთილი ოსტატი ჩემი:
„ხამს ვიდრე მანძილს შორეულსა შეუღდებოდე,
„იცოდე ახლა დაიწყება გარსი მეორე,
 - 19 „და გარსი ესე დაილევა, როცა მივალწევთ
„დიდამოს მწუხარს, უდაბურსა და ქვიშიანსა.
„დაუკვირდები ყოველივეს და შენ შეამჩნევ

6. კ ო რ ნ ე ტ ო და ს ე კ ი ნ ა, ლივორნოს სამხრეთითაა. ეს უდაბური ადგილები განთქმულია გარეული ტანებითა და გველებით.
7. ჰ ა რ პ ე ბ ი. როცა ენეამ და მისმა ამხანაგებმა სტროფადების მხარეს მოაღწიეს, აქ მათ ჰარპებმა საუზნე დაუყნოსეს და წაუბილწეს, ენეამ სამაგიეროდ იარაღი იხმარა მათ წინააღმდეგ და გარეკა.
ჰ ა რ პ ე ბ ი—Harpyen—იხმარება აგრეთვე სინიდისის ქენჯნის სიმბოლოდ. ჰარპებს ასხენებს სან ბერნარდი... Homo als que gratia ut arbor Silvestris ferens fructum, quibus poni infernales et Harpie pascuntur.

- 22 „სანახაობას საოცარსა და გასაკვირველს,
„ასე რომ მკრთალად გეჩვენება ნათხრობი ჩემი“.
ყოველი მხრიდან მომესმოდა კვნესა, წუხილი,
- 25 მაგრამ მე თვალთ ვერ ვხედავდი თუ ვინ ოხრავდა-
მიტომაც შევსდეგ ნაღვლიანი, ჩაფიქრებული.
მგოსანს ეგონა: მე ვერ მივხვდი თუ რა ხდებოდა,
- 28 ამ ხეებისგან გამომავალ ურვას, გოდებას
ვაწერდი თითქოს უღრან ტყეში დამალულ სულებს.
და მითხრა: — „თუ შენ რომელიმე ხის შტოს მოსტეხავ,
- 31 „ნახავ რა რიგად შეგეცვალოს გულში ნაზრახი“.
გავმართე ხელი, უშველებელ, ეკლიან ხიდან
მოვსდრიკე ტოტი, შევაბრუნე და ჩამოვსტეხე.
- 34 იკვილა წამსვე ტანმა ხისამ: — „რისთვის მომტეხე?“
და შემდეგ, როცა სისხლისაგან სულმთლად გაშავდა:
„ნუ თუ მცირედი სასოებაც არ გაგაჩნია.
- 37 „ოდესღაც ჩენაც ქვეყანაზე კაცნი ვიყავით,
„ახლა შენც ჰხედავ ხის ტანი ვართ გარინდებული.
„ხამს ხელი შენი ყოფილიყო უფრო შემწყალე
- 40 „თუნდ გველის მართვის რომ ჩავსვლოდა სხეულში სული“.
ვით ნორჩი ტოტი ცალმხარეზე აღმოდებული
მეორე მხარეს შექმნის შუშუნს და აცრემლდება,
- 43 ასევე ამ შტოდან თანაბარად გამოჟონავდენ
სისხლი და სიტყვა, ამიტომაც შევუშვი ხელი,
და დავემსგავსე დაშინებულს ანაზღეულად.
- 46 „სულო ვნებულო, — შეესიტყვა ჩემი ოსტატი, —
„რომ შესძლებოდა მას წინდაწინ ერწმუნებინა
„ის, რაც ოდესღაც ჩემს ლექსებში ამოუკითხავს,
- 49 „არამც და არამც არ გახლებდა იგი შენ ხელსა.
„და ეს ყოველი იყო ისე გაუგონარი,
„რომ სამწუხაროდ წავაქეზე ამ საქციელში,

48. როცა ენეამ, ტროაძას დანგრევის შემდეგ, თრაკიაში ტოტი მოსწყვიტა საკურ-
თხვევლის შესამკობად, ბუჩქმა ჩივილი დაიწყო, რადგან იგი ბოლიდორის სული
აღმოჩნდა თურმე.

- 52 „რათა საბაბი ამნაირად მას მისცემოდა
„შენი სახელი საიქიოს ესხენებინა,
„სადაც მას ისევ გაბრუნების ნება აქვს სრული“.
- 55 ხემ უპასუხა: — „ისე მხიბლავ შენი სიტყვებით,
„დუმბილის დაცვა ამიტომაც არ შემიძლია.
„ხელში შეკავა ორი კლიტე ფრიდრიჰის გულის,
- 58 „ისე ხელმარჯვედ ამ იარაღს ვატრიალებდი,
„რომ სულ ყველაზე ავუტრუე ბრძანებელს გული.
„ისეთის დიდის სიბეჯითით, გულმოდგინებით
- 61 „მე ვასრულებდი ჩემს სამსახურს, — ბოლოს და ბოლოს
„დავკარგე ძილი, მოსვენება და კარიერაც.
„და მეძავებმა, ვინც ღლედალამ კეისრის კარებს
- 64 „შესჩერებოდენ, შეაძულეს მას ჩემი თავი.
„ქამმა, სასახლის ინტრიგებმა და გარყვნილებამ
„ააბოზოქრა ჩემს წინაღმდეგ ყოველი კაცი,
- 67 „რომ აუგუსტუს ჩემზე გული ააყრევინეს, —
„პატივისცემა შემეცვალა მყისვე პატიუად —
„ამბოხდა სული, — გადავწყვიტე თვითმოკვდინებით
- 70 „გამოქცევოდი ცხოვრებიდან სასტიკ სიძულვილს,
„და გულმართალმა წაწყმედის გზა ამოვიჩიე.
„უნორჩეს ფესვებს ამა ხისას აწ გეფიცები
- 73 „ბატონისათვის არაოდეს მილალატინია,
„რადგანაც იგი იყო ღირსი პატივისცემის.
„უკეთუ ერთი თქვენთაგანი იქ მიბრუნდება,
- 76 „გთხოვთ ხსოვნა ჩემი მტრების მიერ აწ წაბილწული
„კვლავ აღადგინოთ იმ მიწაზე და გაამართლოთ“.
შესდგა მგოსანი, მერმე ისევ მე მეუბნება: —
- 79 „დროს ნუ დაჰკარგავ, შეეკითხე, როცა დადუმდეს,
„იმის შესახებ, რაც შენ კიდევ გაინტერესებს“.
და ვუპასუხე: — „სჯობს შენ ჰკითხო ჩემს მაგიერად,

55. აქ მოაუბრე „სულია: პეტრო დელლე ვინე—იმპერატორ ფრიდრიჰ
მე-II-ის მდივანი.

57. ორ კლიტედ იგულისხმება სიძულვილი და სიყვარული.

- 82 „რადგანაც გული ამიჩვილდა სიბრალულისგან,
„მიტომაც ენა ვერ დამიძრავს ხმის გასაცემად“.
„ეგ კაცი იტყვის საიჩიოს სიტყვას მართებულს,
- 85 „მაგრამ ეს გვამცნე, სულო, ეგზომ დატყვევებულთ,
„ვით გადასახლდა სული შენი ამ ხის კვირტებში,
„თუ ძალუძს ვისმეს, რომ დაიხსნას იგი აქედან?“
- 88 ჰკითხა ოსტატმა ლმობიერად ხეს გარინდებულს.
ამოიოხრა ძალოვანად მაშინ ამ ხემან,
და ოხვრა იგი გარდაიქცა მყისვე სიტყვებად:
- 91 „მოკლე პასუხი შესაძლოა გაგცეთ ამაზე,
„როდესაც სული თავის ნებით გამოეხსნება,
„თვისთა კავშირთა უკითხავად გააზატდება,
- 94 „იმას მინოსი გადაგზავნის მეშვიდე გარსში.
„ტყეში მოხვდება, არ ექნება აღარსად იმას
„ერთი ადგილი და მუდმივი მუნ სამყოფელი..
- 97 „აღმოცენდება იგი, როგორც თესლი იფქლისა,
„ყლორტად ამოვა და იქცევა ველურ ხის ტანად.
„მოვლენ ჰარპები, მოჰკორტნიან ყლორტებს და ფოთლებს,
- 100 „და გაიხსნება იარები ათასნაირი.
„სხვა სულელებსავით ჩვენც დავიწყებთ გარკანის ძებნას,
„მაგრამ ვერც ერთი ელირსება კვლავ შესამოსელს.
- 103 „რადგანაც ნებსით მიტოვებულს ველარ ვიბრუნებთ.
„წავათრევთ მაშინ ჩვენს ვნებულ სულს ვარამის ტყეში,
„და სათითაოდ ჩამოვჰკიდებთ ცალკეულ ხეზე“.
- 106 ყურს მიუვუდებდით ჯერაც კიდევ იმ ხისა ჩივილს,
ახალ-ახალი სათხრობელის მომლოდინენი,
როცა ერთბაშად შემოგვესმა აურზაური,
- 109 რომლის მინაგვარს გაიგონებს ტახის მარეკი,
უდაბურ ტყეში ჩასაფრული და განაბული,
როცა ატყდება მადევართა, ყეფავანგაში,
- 112 მხმარი ფოთლების და შტოების ლიწინლიწინი.
წამს თვალი ვკვიდეთ — მხარმარცხნიდან — ჩვენსკენ მორბოდა,
აქელებული ორი სული შტოების მსხვრევით.

- 115 ერთმა მათგანმა დაიყვირა: — „მოვედ სიკვდილო,
„რალას აყოვნებ, გვედრები, მოვედ სიკვდილო“.
ხოლო მეორე მოჰკიოდა: — „ო, ჩემო ლანო,
- 118 „ასე ფეხმარდი ყოფილიყავ ტოპპოს ბრძოლაში“.
ეს დაიძახა და ერთ ბუჩქში გაუჩინარდა.
მისდევდა სულელებს შავ ძაღლების ლეგეონები,
- 121 გახელებული მოროკავდენ როგორც მწვერები,
რომელთაც თავი აუშვიათ საბელებიდან.
მისცვივდენ მყისვე სულგანაბულს ჩირგვში მჯდომარეს,
- 124 ბასრი კბილებით დაუღადრეს ბედშავს ფერდები,
დაჰგლიჯეს მერმე და აქციეს ნაკუწ-ნაკუწად,
თან წარიტაცეს მოსხმარტალე მისი სახსრები.
- 127 ჩემმა მეგზურმა ხელი მკიდა და მიმიყვანა
აქვითინებულ ბუჩქის ძირას, და დავინახე —
როგორ სდიოდა სველ იარებს სისხლი და ცრემლი.
- 130 მოსტქვამდა ბუჩქი: — „ჯიაკოპო და სანტ ანდრეა,
„სთქვი, ზედ საყრდენი ჩემ შტოთაგან გაკეთებული,
„რად გამოგადგა, ან რალასთვის გამოიყენე,
- 133 „ან მე ცოდვები შენს მაგივრად რად მომეკითხოს?“
და ჰრქვა ოსტატმა: — „სთქვი ვინა ხარ დაწყულულებული,
„აგრე რომ კენესი ცრემლნარევი სისხლის მნთხვეელი“.
- 136 მიუგო ბუჩქმა ცრემლიანმა და დაკოდილმა:
„ჰეჰ, სულებო, აქ მოსულნო ქვრეტად წამების,
„რომელმაც აგრე შემომავცქენა ფოთოლნი ჩემნი,
- 139 „გვედრით, მწუხარე ბუჩქის ძირას ჩემი ფოთლები
„მიმოფანტული მოაგროვეთ ისევ ერთ ადგილს.
„ეარ ნაშიერი იმ ქალაქის, ნათლისმცემელმა

118. ლანო და სიენას სიცოცხლე მოგებრდა, როცა მტერი თავს დაესხა არეცოს მახლობლად, ტოპპოსთან, მან სიკვდილი არჩია გაქცევას.

132. ჯიაკოპო და სანტ ანდრეა — ცნობილი პადუელი მფლანგველი, რომელიც სასიეროდ ოქროს ფულებს წყალში ჰყრიდა და ერთხელ სტუმრების გასართობად საკუთარ სახლს ცეცხლი წაუკიდა.

- 142 „მის პირველ მფარველს რომ წაართვა და დაიჩემა,
„მიტომაც მისი ხელოვნება ამწუხრებს გულებს,
„და არნოს ხიდზე მარსის ძეგლი რომ არ მდგარიყო,
- 145 „გაწეულ ჯაფას დაჰკარგავდნენ ქალაქის მკვიდრნი,
„რომელთაც იგი ხელმეორედ აალორძინეს
„ატილას მიერ დატოვებულ ნაცარტუტაზე;
- 148 „მაგრამ ვაჟმე, — დაუმატა ვნებულმა სულმა, —
„ჩემივე სახლი სახრჩობელად გამოვიყენე“.

143. აქ იგულისხმება ქალაქი ფლორენცია, რომლის პატრონი, გარდმოცემის სიტყვით, თავდაპირველად იყო ვითომ ომის ღმერთი მარსი — მარხი, ხოლო შემდეგ იოანე ნათლისმცემელი გახდა.

146. მარსის ძეგლის ნაშთი 1337 წლამდის მდგარა ფლორენციაში ვეჩიოს ხიდზე, რომელმაც, გადმოცემის მიხედვით, ქალაქი გადაარჩინა მტრების მიერ დანგრევას და განადგურებას.

149. კომენტატორები ამ აჩრდილში გულისხმობენ ლატტო დეგლი აგლის, რომელმაც საკუთარ სახლში ჩამოიხრჩო თავი.

ჰეზა მეთოთხმეტი

- მშობელი მიწის სიყვარულმა დამიპყრო მთლად მე:
მაშინ ფოთლები მოვაგროვე მიმოფანტული,
და დავებრუნე ხეს, რომელიც დაღუბდა უკვე.
- 4 შემდეგ მიველით ჩვენ იქ, სადაც მეორე ნაწილს
გარსის მესამე ემიჯნება ნაწილი, — სადაც
სჩანს ზენაარსის შემრისხველი მართლმსაჯულება.
- 7 რომ ზედმიწევნით დაგიხატოთ საგნების სახე,
ვიტყვი, რომ ჩვენ ველს მივალწიეთ იმგვარს, რომელიც
თავის წიაღში არ ახარებს რაიმე თესლსა.
- 10 მას ტყე სევდისა სარტყელივით გარს მოვლებია,
ვით იმ ტყეს არხი მწუხარების არტყია ირგვლივ.
აქ, ამ საზღვარზე, შევაჩერეთ მსველლობა ჩვენი.
- 13 ქვიშა გამშრალი და მხურვალე ჰვარვიდა ველსა,
ქვიშა ისეთი, რომლის მაგვარს ოდესღაც ფეხით
სთელავდა კატონ. ო, ღვთიურო შურისძიებაჲ!
- 16 რა საშინელი უნდა იქმნე შენ იმის თვალში,
ვინაც კი ჩემის მხედველობის წინაშე გაშლილ
სანახაობის ამ აღწერას გადაიკითხავს!
- 19 უანგარიშო, უთვალავი ვნახე იქ ურდო
ტანგაშიშველებულ და მოტირალ აჩრდილებისა.
თითქოს სხვადასხვა დასტეზოდან სასჯელი თავზე:
- 22 ზოგნი ეყარნენ გაშოთვილნი, ზოგნიც დამსხდარნი
მოკუნტულიყვნენ საცოდავად, მაშინ როდესაც
ზოგიერთები აქეთ-იქით ვიდოდნენ გაბმით.
- 25 უკანასკნელთა დიდი იყო რაოდენობა,
ხოლო მათი კი, ვინც ძირს იწვა იყო ნაკლები,
მაგრამ დრტვინვა კი უმეტესი ისმოდა მათგან.

15. იგულისხმება ის ისტორიული მომენტი, როცა კატონმა პომპეუსის ჯარის წამუსრველი ლიბის უდაბნოზე გადაატარა და მეფე იუბას მიჰგვარა.

* * — კონსტანტინე კვიზინაძის მიერ თარგმნილი.

- 28 მთელს იმ უდაბნოს დასდიოდა ნელ წვიმად თავზე თოვლი ცეცხლისა, ისე როგორც ალპების მთებში მოცვივის თოვლის ფანტელები უქარო დღითა.
- 31 ვით გახურებულ ინდოეთში ცეცხლის ქულები თავს დასდიოდა ალექსანდრეს მხედრობას ციდან, და ძირს დაყრილნი განაგრძობდნენ მიწაზე წვასა,
- 34 რის გამო გასცა ალექსანდრემ ბრძანება ჯარში, — მიწა ფეხებით მოეთელნათ, რომ ცეცხლის წვიმას ცეცხლის გაჩენა ვერ მოეწსრო და ჩამქრალიყო, —
- 37 ასე უდაბნოს დასდიოდა მარადი ცეცხლი, როგორც აბედი ტალკვესის ქვეშ, ის ინთებოდა, და წამებულებს მით სატანჯველს უორკეცებდა.
- 40 და ამ ტანჯვაში საცოდავი ხელები მათი დაუსვენებლივ აქეთ-იქით დაფათურობდნენ, და შორს ისროდნენ მათ გარშემო დაცემულ ალებს.
- 43 „შენ დაამარცხე ყოველივე და ყველაფერი, — მიემართე ოსტატს, — იმ გულზეიად დემონთა გარდა, „ცეცხლის ქალაქის — დიტეს ბქესთან რომ შეგვეყარნენ.
- 46 „ვინ არის აქ ეს გოლიათი, მაუწყე იგი, „სჩანს არას ფიქრობს ამ საერთო ხანძარის ირგვლივ, „და წევს ამაყად, ცეცხლის დელგმას არ ჰგრძნობდეს თითქოს?“
- 49 ხოლო მიხვდა რა ეს ცოდვილი, რომ მე ჩემს მგზავრთან იმის შესახებ ვლაპარაკობ, წაშოიძახა: „სულ იგივე ვარ მე მკვდარი თუ ცოცხალი მუდამ!
- 52 „იუპიტერმა რომ დასტანჯოს თვისი მქედელი, „ვინაც რისხვის დროს გამოსტაცა პირბასრი ელვა „და მით გულმკერდი გამიგმირა სიკვდილის წუთში;

36. არისტოტელესისადმი გამოგზავნილ ბარათში ალექსანდრე დიდი საოცარ ამბებს მოგვითხრობს. იგი იუწყება, თითქოს ინდოეთში ციდან ჯერ თოვლი და მერმე ცეცხლის წვიმა მოდიოდა. მიწაზე დავარდნილ ცეცხლის ქულებს ჯარისკაცებს აქრობინებდენ ფეხებით.

- 55 „მან სათითოდ რომ დასტანჯოს ყველა მქედელი „თავისი შავი სამქედლოსი — გიბელოს მთისა, „და თან ჰყვიროდეს: — «მომეშველე ერთგულო ვულკან!»
- 58 „როგორაც იგი გაჰყვიროდა ფლეგრიის ომში; „ყველა მეხები რომ დამატყდეს იმისი თავზე, — „ჩემის მოტეხით ის მაშინაც ვერ დასტკბებოდა.“
- 61 აქ ისე ძლიერ ამეტყველდა მეგზური ჩემი, როგორაც უმალ არ მსმენია მისი უბნობა: „ო, კაპანეოს! გოროზობა არ სცხრება შენი,
- 64 „მაგრამ სასჯელი მით უმეტეს გაქვს საშინელი; „შენი უზომო გაცოფება თუ არის მხოლოდ „ემაგ სიგიჟის ღირსეული სანაზღაურო.“
- 67 შემდეგ ამისა მე მომშართა: — „ეს არის ლანდი „შვიდთა მეფეთგან, თებეს ალყა რომ შემოარტყეს, „რომელიც წინეთ ცათამპყრობელს ეუტრჩებოდა
- 70 „და ეუტრჩება აქამომდე, როგორც ემჩნევა; „სამაგიეროდ სიამაყე, შუბლზე რომ უჩანს, „დაიმსახურა მან ისე ვით სანაცვლო ჯილდო.
- 73 „ახლა მომყევი და უფროსილდი, რომ არ შეახო „ფეხი ამ ქვიშას აღმოდებულს; რაც შეიძლება „უნდა ეცადო არ დასცილდე ნაპირებს ტყისას“.
- 76 დადუმებულნი ტყის სიღრმიდან გამომდინარე მცირე ნაკადულს მივადექით; მაჟრჟოლებს ახლაც მეწამულ ფერად შეღებილი ზვირთები მისი.
- 79 ვითარცა წყარო ბულიჯამეს მდულარე წყალი რბის და შემდეგში ცოდვილ ქალებს უნაწილდება, ისე წითელი ნაკადულის რბიოდნენ წყალნი.

56. იგულისხმება მონგიბელო, ე. ი. ეტნა, რომლის წიაღშიც, მითის მიხედვით, ვულკანმა და მისმა ციკლოპებმა, ელვის ისრები გასტყდეს იუპიტერისათვის.

63. კაპანეო (Capaneus) თებეს ერთერთი მოიერიშეთგანი.

69. აქ იგულისხმება იუპიტერი, საოცარია, რომ ქრისტეანი პოეტი იუპიტერის წინააღმდეგ ამბობებს ბიბლიურ ღმერთის წინააღმდეგ ამხედრებასთან ათანაბრებს.

79. ბულიჯამე — თავდაპირველად გოგირდის წყლის გეჯა, ასეთ გეჯას, დანტეს კომენტატორების აზრით, იტალიის საროსკიპოებში ხმარობდნენ როსკიპები“

- 82 ფსკერი მისი და ნაპირები დაფერდებული ქვის კალაპოტად ქცეულიყო; მე მივხვდი მაშინ — ჩვენი გზაწერილი ამ ნაკადულს მიუყვებოდა.
- 85 „მას შემდეგ, რაც ჩვენ მოვიტოვეთ კარები უკან, რომლის გამოვლა აკრძალული არა აქვს არვის, შენთვის ჩემს მიერ ნაჩვენები საგნების რიცხვში
- 88 „შესანიშნავი არ ყოფილა არცერთი ისე, ვით ეს ნაკადი, აღს რომელიც ანელებს ყოველს“, — ასეთი იყო სიტყვა ჩემის წინამძღოლისა.
- 91 მე ამ სიტყვებში ჩამინერგეს გამბედაობა, და ვსთხოვე ოსტატს, რომ დაეთმო ნაწილი ჩემთვის იმ საზრდოისა, რომელმაც მე აღმიძრა მადა.
- 94 მაშინ წარმოსთქვა: — „მდებარეობს შუაგულ ზღვაში დაობლებული მხარე კრიტოს. იჯდა ოდესღაც იქ მეფე, რომლის დროს ქვეყანა უბიწო იყო.
- 97 „იქ ერთი მთაა, ამაყოზა ოდესღაც იგი წყალგარდნილებით და სიმწვანით; ხოლო ამ ჟამად მიგდებულა, ვით საგანი ჟამგარდასული.
- 100 „ერთ დროს ის რეამ აირჩია, ვით საიმედო აკვანი ძისთვის; და ის უკეთ რომ დაემალა, ბრძანა, ყოფინით დაეფარათ ტირილი მისი.

85. აქ იგულისხმება ზედაბჭე ჯოჯოხეთისა, რომელიც ვითომდაც ქრისტეს ცათამაღლების შემდეგ ჩაურახავი დარჩა.

96. როცა კრეტაში სატურნი მეფობდა, ბერძ. გადმოცემით, ოქროს ხანა უნდა ყოფილიყო.

100. აქ დამალა რეამ თავისი ვაჟი იუპიტერი, რათა სატურნს არ შეეკამა იგი. და იმისთვის, რომ სატურნს ბავშვის ღნავილი არ გაეგონა, კორობანტებს განგაში აატეხინა.

100—111. — ეს ადგილი დანტეს ნასესხები უნდა ჰქონდეს ბიბლიიდან, ნაგულისხმევია ნაბუქოდონოსორის ზმანება, აქ იგულისხმება ძველ პოეტების მიერ შექმნილი ოთხი ეპოქა მსოფლიო ისტორიაში: ოქროსი, ვერცხლისა, რვალისა და რკინისა. ამ მოხუცს რომ ზურგი დამიეტესაკენ (ეგვიპტეშია) და პირი რომისაკენა აქვს შექცეული, დანტეს ალფეგორიის მიხედვით იმას მოასწავებს, რომ კაცობრიობამ ვითომდა ზურგი შეაქცია კერპთაყვანებას (ეგვიპტეს) და გამოცხადებისაკენ (რომი) იბრუნა პირი.

ლითონებისაგან გამონაჟონი ცრემლის ნაკადებისაგან სდგება ჯოჯოხეთის 4 მდინარე: სტიქსი, აქერონი, ფლეგეტონი, ლეტე. ოქროს აქ წილი არ უდევს, რადგანაც იგი ოქროს საუკუნოს ამბლებია.

- 103 „მთის შუაგულში სდგას მოხუცი უზარმაზარი; ზურგი იმისი დამიეტას მისჩერებია, ხოლო თვალები — რომს, ისე ვით საკუთარ სარკეს;
- 106 „თავი მას წმინდა ოქროსი აქვს, ხელები, მკერდი — უსპეტაკესი ვერცხლისაგან გამონაქედი, მთელი სხეული ფეხებამდე აქვს სპილენძისა.
- 109 „სხვა დანარჩენი — რკინა არის საუკეთესო. მარჯვენა ფეხი აქვს მას მხოლოდ თიხისგან; ამ ფეხს ის დაპყრდნობია უფრო მეტად, ვიდრე მეორეს.
- 112 ყოველ ნაწილში, ოქროსაგან შემდგარის გარდა, სჩანან ნაპრაღნი, საიდანაც მოსწვეთენ ცრემლნი; ცრემლები ესე თავშეყრილნი გაჰკვეთენ მთასა,
- 115 „და მოილტვიან ამ უფსკრულში, სადაც ჰბადებენ აქერონს, სტიქსსა და ფლეგეტონს, ხოლო დასასრულ აი, ამ ვიწრო გასავალით გადევნებია
- 118 „იქ, სადაც უკვე აღარ არის სავალი მათთვის; მათგან იქმნება იქ კოციტი — ამ ტბის შესახებ მე არას გეტყვი — შენ თვითონვე იხილავ მალე“.
- 121 შეგკითხე მაშინ: — „თუ ეს ღლე სათავეს იღებს ჩვენს ქვეყანაში, განმიმარტე, რაა მიზეზი, რომ ამ ნაპირზე ხდება იგი ხილული მხოლოდ?“
- 124 და წინამძღოლმა მიპასუხა: — „წრისებურია, შენ თვითვე უწყი, ეს ადგილი, თუმც დიდი ხანი ეშვები დაბლა მიმართული სულ მუდამ მარცხნით,
- 127 „მაგრამ ჯერ მაინც ყველა წრეებს ვერ დაუარე; აი, ამიტომ, თუ საგნები ახალი შეგვხვდეს, დეე შენს სახეს მათი ხილვა ნუ განაცვიფრებს“.
- 130 მივმართე კიდევ: — „გთხოვ მაუწყყო, ფლეგეტონი და ლეთე სად არის? არ ახსენებ ამ უკანასკნელს, ხოლო პირველზე სთქვი, რომ იგი ცრემლთაგან სდგება“.

131. ლ ე თ ე — ქვესკნელის მდინარეა. მას დანტე შეხვდება განწმენდის მთის თხემზე; იგი მის წყალში განიბანება, ვიდრე ვარსკვლავებისაკენ გაემართებოდეს.

- 133 მომიგო: — „ჩემთვის საამოა კითხვები შენი.
„მაგრამ, მე ვფიქრობ, ამ წითელი ტალღების გრგვინვამ
„შენ უკვე უნდა გაგირკვიოს ერთერთი კითხვა;
- 136 „ნახავ აგრეთვე შენ მდინარე ლეთესაც, მაგრამ
„არა ამ ადგილს, არამედ იქ, სადაც განბანვა
„მონანიებულ და შენდობილ ცოდვილთა ხდება“.
- 139 შემდეგ დაურთო: — „შეგვიძლია დავსცილდეთ ამ ტყეს;
„ეცადე უკან არ ჩამორჩე; თავისუფალი
„გზა მისდევს ღელეს; ნაპირები გრილია მისი
- 142 „და ჰქრება მათზე ყოველივე ალი ცეცხლისა“.

ქება მისუთმებზე

- აი, მივდივართ ჩვენ ქვადქმნილი ერთი ნაპირით:
ღელეს თავს ადგას ოხშივარი ბურუსის სახით,
და შიგ ზვირთებზე დანათოვი ცეცხლი ინთქება.
- 4 როგორც განდსა და ბრახუგეს შუა ფლამანდელები
ჯებირთ აღმართვენ, რომ ზვირთთაგან დაიცვან თავი
და უკანავე მიაქციონ ზღვის შემოტევა,
- 7 ან როგორც კიდევ პადუელნი ბრენტის ნაპირას
ციხე-ქალაქებს ამაგრებენ მანამდე, ვიდრე
ჩიარენტანას მწვერვალები გალხვება სიციხით,
- 10 ისე აქაურ მშენებელსა, ვინც არის იგი,
ღელის ნაპირზე ჯებირები უშენებია,
თუმცა არც ისე დიდი განის და სიმაღლისა.
- 13 უკან დავტოვეთ ჩვენ ტყიანი ადგილნი უკვე,
და შორს იმდენად, რომ მის მიმართ პირშექცეული
ველარ შევსძლებდი გამერჩია სიღრმეში იგი.
- 16 მაშინ გზადაგზა ღელის კიდით ჩვენსკენ მავალი
შემოგვეყარა ბრბო ცოდვილთა; ყოველი სული
ისე გულდასმით მოგვაჩერდა, ვით საღამოს ჟამს,
- 19 ახალი მთვარის მკრთალ ნათელში გზად შეხვედრილნი
სჭვრეტენ ერთმანეთს მოხუჭვილი თვალებით, როგორც
თერძი მოხუცი, როდესაც ის ძაფს უყრის ნემსში.
- 22 ასე გვიმზერდა ჩვენ ოჯახი წინ შემოყრილი,
და რა შემიცნო, ტანსაცმელის კალთაზე ერთმა
ხელი მავლო და შემომძახა: — „ო, სასწაულო!“.
- 25 და, ვიდრე იგი ხელს აპყრობდა ჩემს მიმართ, თვალი
შევაკლვ იმის დამწვარ სახეს, — თუმც დიდი იყო
დამახინჯება ცეცხლის მიერ, მაინც შევსძელი

- 28 მეხსიერებით აღმედგინა მე იგი ჩემში;
მაშინ, დავხარე რა მე იმის სახისკენ თავი,
კვითხე: — „თქვენა ხართ ეს, ბატონო ბრუნეტო, ნუ თუ?“
- 31 ხოლო მე იმან: — „შვილო ჩემო! ნუ შეგზარდება,
„თუ რომ ბრუნეტო ლატინი შენ ორ-სამ ნაბიჯზე
„თან გამოგყვება და დასცდება ამ სულთა ურდოს“
- 34 მივეც პასუხი: — „გთხოვთ თქვენ ამას დაბეჯითებით,
„და, თუ ისურვებთ, მე დავჯდები თქვენს გვერდით აქვე,
„თუ კი ამაზე დასტურს მომცემს ჩემი მეგზური“.
- 37 „ო, შვილო ჩემო, — მიპასუხა, — ამ კრებულიდან
„ვინმე წამითაც რომ შეჩერდეს, ცეცხლის წვიმის ქვეშ
„გაუძრველად უნდა იწვეს ის ასი წელი.
- 40 „გაუყვე შენს გზას, თან მოგყვები, და შემდეგ ისევ
„შევუერთდები მე ამ ლაშქარს, რომელიც მარად
„მიდის წინ თავის მწარე ბედზე (კრემლთა მფრქვეველი“.
- 43 მე ვერ გავბედე ბილიკიდან გადამეხვია,
რათა მის გვერდით მევლო, მაგრამ თავ დადრეკილი
პატივისცემას ვამელავენებდი და ყურადღებას.

30. ბ რ უ ნ ე ტ ო ლ ა ტ ი ნ ი, დანტეს მასწავლებელი და თავის დროს ფრიად განათლებული კაცი, იგი ფლორენციელებმა ელჩად წარგზავნეს კასტილიის მეფის ალფონს მე-X კარზე, სამშობლოში მობრუნებულს ამბავი დაახვედრეს — გიბელინებმა გველფები არაბისთან დაამარცხესო, და მან მყისვე საფრანგეთს მიაშურა. იგი ცნობილია როგორც ავტორი „Il Tesoretto-სი (საუნჯენი; დიდაქტიური ფორმის იტალიური ლექსები).

ბრუნეტო ლატინი ფლორენციელ გველფების უწარჩინებულესს ლიდერთაგანი იყო (1220—95). Il Tesoretto შვიდმარცვლიანი ლექსითაა ნაწერი, აქ მოთხრობილია ფანტასტიური მგზავრობა პოეტისა ერთერთი ძლევათსილი ღმერთკალის საუფლოში. ეს ღმერთი წარმოდგენილია, როგორც ბუნების ემბლემა. ეს ღვთაება უკითხავს ავტორს ღვთისმეტყველების, ზოლოლოგის, ასტრონომიის და გეოგრაფიის სწავლას, ბრუნეტო ეწვევა ოთხივე უმთავრესს სიკვდილის საუფლოს, აქ გაიმართება ხანგრძლივი საუბარი ზნეობის შესახებ. როცა ავტორი შეგბის ქვეყანაში მიაღწევს, ბრუნეტო ლამის არ იყო სიყვარულის ბადემ შეიპყრო, მაგრამ აქ ოვიდიუსის შეგლის მას და გადაარჩენს. ახლა თავად ავტორიც მზადდა სათნოებას შესწიროს თავი, როცა ბრუნეტო მთა ოლიმპის მწვერვალამდის მიადწევს, იგი უკვე მზადაა ბრძენი პტოლომესა შეგონებანი მოისმინოს, მაგრამ აქ მოულოდნელად პოემა სწყდება. Il Tesoretto-ს ამჟამად მხოლოდ და მხოლოდ კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

- 46 მკითხა: — „რა ბედი ან შემთხვევა იყო მიზეზი,
„შენ, აქ დანიშნულ საათამდე რომ ჩამოსულხარ?
„ან ის ვინ არის, შენ რომელიც გზას მიგასწავლის?“
- 49 „იქ, ამის ზემოთ, — ვუპასუხე, — ნათელ მხარეში,
„მე გზა დამებნა ერთ ქალაში მოულოდნელად,
„ვიდრე მე ჩემი შემისრულდა სიცოცხლის ვადა;
- 52 „გუშინ დილითვე ვაპირებდი უკან დახევას,
„მაგრამ წარმიდგა იგი, ოდეს ვიბრუნე პირი,
„და წარმიმართა ამ ქვესკნელით გზა მსველეობისა“.
- 55 მომიგო: — „მიჰყევ შენს ვარსკვლავსა და არ ასცდები
„ღიად ნავთსადგურს, შენი ბედი თუ ესცანი კარგად,
„როცა სიცოცხლით მშვენიერით საესე ვიყავი.
- 58 „და, თუ კი ჩემი ნაადრევი სიკვდილი არა,
„მე, დამნახველი ზეციური მადლისა შენში,
„შევეცდებოდი შრომისადმი შენს წაქეზებას.
- 61 „მაგრამ დასული თიეზოლეს თხემიდან ხალხი,
„გულბოროტი და უმადური, რომელიც ღღემდე
„სულში ატარებს კვლავ მშობლიურ კლდე-ღრეთა ნიშნებს.
- 64 „მტრობით სიკეთეს გადაგიხდის შენს მიერ მიზღულს.
„ეს ამგვარადაც უნდა მოხდეს, რადგან რა უნდა
„ტკბილ ხილს იქ, სადაც ტყეთ დამღვარა ჯახველი მწარე.
- 67 „ძველთაგანავე ხმა დაყრილა, რომ ტომი იგი
„ბრმა არის, ძუნწი, გულხარბი და ამპარტუვანი:
„შენც არ წაგბილწონ, განერიდე მათ უზნეობას.
- 70 „ბედი გიმზადებს შენ ესოდენ დიდებას შემდგომ,
„რომ შენს მიქცევას მოინატრებს ორივე მხარე,
„მაგრამ საკენკად ვერ დასწვდება ნისკარტი ხორბალს.

61. გადმოცემის მიხედვით, ფლორენციაში თავდაპირველად დასახლებულან რომაელები და ფიზოლოგნი, 1010 წ. ფლორენციელებმა ფიზოლგ დაანგრეს. ზოგიერთი მკვლევარი ფლორენციელების დაუტყრომელ ტემპერამენტის მიზეზებს ჯამრამე წარმოშვებაში ჰხედავს. ცხადია, დანტეს არა ჰქონია კლასური შეხედულება სამოქალაქო ბრძოლების შესახებ, და ამიტომაც ფლორენციაში მომხდარ სამოქალაქო ომებს და პარტიულ-პოლიტიკურ ქიშპს სწორედ ამ რასისულ აღრევას აწერდა, ხოლო ხალხის ბარბაროსულ მიდრეკილებას იგი ხსნის ფიზოლგს მითიანი შემოგარენის ზედგავლენით.

- 73 „დეე პირუტყვთა მინაგვარნი თიეზოლელნი
„თვის მსგავსთა გვამებს სარეცელად იგებდნენ; მაგრამ
„ნუმც შეჰხებიან მცენარესა, — თუ მათ ნაკელზე
- 76 „კიდევ რაიმე აყვავდება, — რომელშიც წმიდა
„თესლი იფეთქებს რომელთა, იქ რომ შეთენილან,
„ოდეს ეს ბუდე გარყვნილების დაარსებულა“.
- 79 „რომ ცას ესმინა ყველა ჩემი ლოცვები, მაშინ, —
„ვარქვი პასუხად, — თქვენ აქამდე არ იქნებოდით
„გაძეგებული მიწიერი სამყოფელიდან.
- 82 „რადგან ხსოვნაში, სევდით საესე, ვინახავ მარად
„სახეს საყვარელს, კეთილსა და მამობრივს თქვენსას,
„ოდეს, ჯერ კიდევ საწუთროში ყოფნის ჟამს, თქვენ მე
- 85 „შემასწავლიდით, უკვდავებას ადამიანი
„თუ რა გზით იხვეჭს; დე ამიტომ, ვიდრე ცოცხალ ვარ,
„ჩემი სიტყვები აღნიშნავდენ მაღლობას თქვენდა.
- 88 „რაც სთქვით თქვენ ჩემი მომავალის შესახებ, ყველას
„დავიწერ მე და დავიხსომებ, დე განმიმარტოს
„იგი ქალწულმა, თუ მეღირსა იმასთან მისვლა.
- 91 „მაგრამ მინდა თქვენ უწყიდეთ, რომ ოლონდ სინდისი
„არა მქეჯნიდეს, და შხადა ვარ მივილო ბედის
„გამოცდილება, როგორიც კი იქნება იგი.
- 94 „წინასწართქმანი მე პირველად არ მესმის მსგავსნი:
„დეე ფორტუნამ ჩარხი თვისი აბრუნოს ვით სურს,
„ხოლო გლეხმა კი ატრიალოს თავისი ბარი“.
- 97 მაშინ მოძღვარმა პირი თვისი მოილო მარჯვნივ,
თვალი შემავლო და წარმოსთქვა: — „კარგად ის უსმენს,
„ვინაც მონასმენს აღიბეჭდავს ხსოვნაში კარგად“.
- 100 ასე ვიდოდი მოსაუბრე ბრუნეტოს გვერდით,
და შევეკითხე, თუ ვინ ჰყვანდნენ ამხანაგები
განსაკუთრებით ცნობილნი და შესანიშნავნი.
- 103 მან მიპასუხა: — „ზოგიერთი ღირსია ცნობის;
„დანარჩენებზე ლაპარაკი არა ღირს, რადგან
„ღრო მცირე დარჩა ხანდაზმული საუბარისთვის.

- 106 „სასულიერო პირებია, იცოდე, ყველა,
„დიდად ცნობილნი და სწავლულნი, მიწაზე იმათ
„ყველას ერთნაირ ცოდვაში აქვს ჩადგმული ფეხი.
- 109 „მიემგზავრება პრისჩიანო მტირალთა ბრბოში,
„იქვე ფრანჩესკო და კორსოა ავრეთვე, ხოლო
„უსაზიზღრესი თუ გინდოდა სანახაობა,
- 112 „შეგეძლო ისიც გეხილა, ვინც მსახურთ მსახურმან
„ღვთისამან არნოს ნაპირიდან ბაჩილიონეს
„ნაპირს გადასვა, სად თვის სხეულს განშორდა იგი.
- 115 „კიდევ შემეძლო ბევრი რამე მემბნა, მაგრამ
„არ მაქვს უფლება მეტი სვლისა და საუბარის,
„რადგან ახალ კვამლს უდაბნოდან ავარდნილს ვებლავ.
- 118 „მოდის იქიდან მეორე ბრბო; იმათთან ერთად
„არ უნდა ვიქმნე. ჩემს საუნჯეს გაბარებ შენა,
„რადგან ამ წიგნში მე კვლავ ვცოცხლობ; სხვას არასა გთხოვ“.
- 121 შემდეგ ის უკან გაეშურა ესოდენ სწრაფად,
როგორც ვერონის შეჯიბრის დროს მიექანება
მწვანე მათდის მომხვეჭელი; სირბილში სჩანდა,
- 124 რომ მას ელოდა გამარჯვება და არა მარცხი.

109. პრისჩიანო (Priscianus) — ცნობილი გრამმატიკოსი, კესარეას მცხოვრები.
110. ფრანჩესკო აკორსიუსი (ან და კორსოა) — რომის უფლების დიდი მცოდნე და მწიგნობარი.
113. იგულისხმება ანდრეა დელმოცი, — ფლორენციის ეპისკოპოსი, ცნობილი თავის გარყვნილებით, რომელიც პაპმა ფლორენციიდან ვიჩენცეში გადაიყვანა.
119. იგულისხმება „Il Tesoro“ — საუნჯე, ლექსების წიწი.
123. ვერონაში ყოველ ვნების კვირეს იმართებოდა შიშველ მამაკაცების შეჯიბრი რბენაში, გამარჯვებული მწვანე მათდის ლებულობდა.

ქება მითაქმსება

მიღწეულ ვიყავ ისეთ მხარეს, სადაც ისმოდა
ფუთკრის ზუზუნის მინაგვარი ხმაური რამე,
ქშუილი წყლისა მოისმოდა შემდეგ გარსიდან,

- 4 როს სამი ლანდი მოსწყდა ადგილს და გამოჰქანდა,
ერთად მორბოდნენ დასეტყვილი ცეცხლის წვიმისგან.
მოგვიახლოვდნენ და გვიყიველეს შემზარავი ხმით:
- 7 „შესდეგ, გეტყობა ტანთსამოსზე ერთი თქვენგანი
„ჩვენი ცოდვილი სამშობლოს ხარ ნაშიერი“.
ვნახე მრავალი ზოგი ძველი, ზოგიც ახალი,
- 10 წყლული მათ ტანზე ცეცხლისაგან ამოთუთქული,
და მოგონება ამ ამბავის ახლაც მაყრყოლებს.
ათხოვა ყური მათ შეძახილს ჩემმა მეგზურმა,
- 13 ჩემსკენ იქცია მეყვსეულად პირი და მითხრა:
„მოიცა ცოტა, ახალმოსულთ მოვექცეთ რიდით.
„ამ გარემოში რომ არ ჰქროდეს ქარი აღისა,
- 16 „მოგიხდებოდა შენ უთუოდ წინ შეგებება“.
რა დაინახეს ჩვენ შევსდექით, წამსვე სულებმა
მორთეს ყვირილი, მოგვძახოდნენ: — „შესდეგ, შესდეგო“.
- 19 რა ახლოს მოდგენ დაირაზმნენ სულნი გარშემო.
ვით მორკინენი საცხებელით რომ ტანს იზელენ,
ვიდრე ერთმანეთს შეებმოდნენ ჯილდოს გულისთვის,
- 22 ისე ლანდებიც გარს გვივლიდნენ ფერხულის მსგავსად;
ჩვენ გარეშემო დაჰქროლავდნენ, დარიალებდნენ,
არ გვაშორებდნენ თანაც სახეს ერთი წუთითაც,
- 25 ხოლო ფეხები გაურბოდნენ პირუკმო მხარეს.
„თუ აღის ქარში ამ უდაბურ და მწირ ადგილას, —
დაიწყო ერთმა იმათგანმა ასე უბნობა; —

*** კონსტანტინე გამსახურდიას მიერ თარგმნილი.

დანტე ალიგვიერი

- 28 „ამ გაშავებულ და გაძარცულ სხეულთა მიმართ
„ზიზღი აღგედრა, არც კი გინდა, რომ შემოგვხედო
„და მოისმინო გულხმიერად ვედრება ჩვენი,
- 31 „მიხედე მაინც ჩვენს სახელებს და წარჩინებას,
„და გვარქვი ვინ ხარ ესოდენის გამბედაობით
„ფეხს რომ აბიჯებ ჯოჯოხეთის ცხელ ნიადაგზე?
- 34 „ერთი ჩვენგანი, მე რომ მივსდეგ ახლა კვალდაკვალ,
„თუმცა უმზავსოდ გაძარცულა და გატყაულა,
„იგი ოდესღაც იყო მეტად წარჩინებული,
- 37 „ვიდრე შენ ახლა შეგედლება წარმოიდგინო,
„ის შვილიშვილი იყო ქველი დიდი გვალდრადოს,
„სახელად ერქვა მას ოდესღაც გვიდო გუერა,
- 40 „იმ ცხოვრებაში აქვს მრავალი დამსახურება,
„შესრულებული ხრძალისა და გონების ძალით.
„ხოლო მეორე ჩემს შემდგომად რომ ტკეპნის ქვიშას,
- 43 „აღდობრანდია ტეგიაჯოდ სახელდებული,
„მისი სახელიც ხამს იმ ქვეყნად ახსენონ კრძალვით.
„მე კი ოდესღაც, მათთან ერთად ჯვარზე გაკრულსა,
- 46 „ჯაკობო მერქვა, რუსტიკუჩი გვარია ჩემი,
„და უმთავრესად დამაქცია წყეულმა ცოლმა“.
ცეცხლის საფარი რომ მქონოდა იმ წუთას ხელში
- 49 მოვეხვეოდი სამთავე სულს და ასე ვფიქრობ
ჩემი ოსტატიც ამის გამო გაჯავრდებოდა.
მაგრამ დაწვისა და გატრუსვის დამძლია შიშმა,
- 52 და ნებისყოფამ გადასძლია აღძრულ სურვილებს.
მე ვუპასუხე: — „სიძულვილი გულს არ მდებია,
„არამედ ვხედავ თქვენს სიმძიმის გულის ტკივილით,
- 55 „და მოგონება ჩემს ხსოვნაში არ წაიშლება,
„ჩემმა ოსტატმაც ძიკარნახა რომ უსათუოდ
„უნდა გხლებოდით და მენახეთ შორიახლოდან.

39. გვიდო გუერა — იტალიელი დიდი არისტოკრატი, გველფების პარტიის ფანატიური მიმდევარი.

43. ფლორენციელი დიდებული, გველფი.

- 58 „თქვენი სამშობლოს ბინადარი გახლავართ მეცა,
„მსმენია ქება არა მცირე საქმეთა თქვენთა.
„მახსოვს, როგორის სიყვარულით გიხსენიებდნენ.
- 61 „დავაგდე მწარე მე ფიალა, ნაყოფთა ტკბილთა
„ვარ მაძებარი, ეს აღმითქვა ოსტატმა ჩემმა,
„მაგრამ ჯერ ცნობით ხამს ჩავიდე ქვესკნელის გულში“.
- 64 „მრავალქამიერ აწ შენს სხეულს უტარებხიარ,
„ნულარ ავცდება ნურც მოხვეჭა სახელის დიდის“.
მკითხავდა სული:—„ჩვენს ქალაქში თუ კიდევ ჰყვავის,
- 67 „სიქველე, სიბრძნე, სიყვარული გმირულ საქმეთა,
„რადგან აქ არის რა ხანია თვით ბორსიერე,
„ჟამიდან ჟამზე ის მოგვითხრობს მწუხარე ამბებს“.
- 70 „ახალმა ხალხმა, გამდიდრების ხარბმა სურვილმა,
„დაშალა შენში, ფლორენციავ დაუვიწყარო,
„ამპარტავნობა, ფუქსავატი სულმოკლეობა.
- 73 „და უკვე ვხედავ სინანულის ცრემლი გწვევია“,—
წამოვიძახე ეს სიტყვები თვალაპყრობილმა.
სამივემ ისე გადახედეს ერთი მეორეს,
- 76 როგორც მართალი სიტყვისაგან ელდანაკრავამ.
„ბედნიერი ხარ თავისუფლად აზრს რომ გამოსთქვამ,
„როდესაც ამ ბნელ ჯურღმულებსაც დააგდებ, წახვალ
- 79 „ვინძლო იხილო მშვენიერი ვარსკვლავის თვალი,
„როცა ახსენო და წამოგცდეს: «იქ ვიყავიო»,
„უამბე კაცთა ჩვენ შესახებ რაც მოიგონო“.

63. აქ იგულისხმება მიწის ცენტრო, საიდანაც დანტე მეორე ჰემისფეროში უნდა ამოსულიყო.

69. ვ ი ლ ჰ ე ლ მ ბ ო რ ს ი ე რ ე — ფრიად გონებამახვილი ფლორენციელი. მის შესახებ ბოკაჩიო მოგვითხრობს თავის დეკამერონში: ბორსიერე მიიპატიჟა თურმე ერთმა ფრიად ძუნწმა მდიდარმა, ვინმე ჰერმინიო გრიმალდიმ და უჩვენა თავისი ბრწყინვალე დარბაზები, საუცხოვოდ მოხატული და მოკაზმული, თანაც შეეკითხა: ეგებ მირჩიო რამე ჯერ არ ნახული, რომ ოსტატებს იგი კედლებზე დაეხატონო. — მე მიინდა გირჩიოთ ისეთი რამ, რაც თქვენ არასდროს გინახავთ, სახელდობრ სიუხვეო, — უპასუხა ბორსიერემ. — კარგიო, მიუგო გრიმალდიმ, — მე ჩავახატე ნებ სიუხვეს, რათა არაკუნ წამომძახოს სიუხვე არასდროს უნახავსო, და ამის შემდეგ იგი ფრიად ხელგაშლილი კაცი გამხდარა.

- 82 შემდეგ ამისა წრე დაშალეს და უკუიქცენ,
ისე მიჰქროდენ თითქოს ტანზე შესხმოდათ ფრთენი,
და ისე სწრაფად ველარ შესძლებთ ამინის თქმასა,
- 85 როგორც ისინი გადიხვეწნენ, გაუჩინარდნენ.
ჩემმა ოსტატმა ვადასწყვიტა გზას ვავდგომოდით,
ვიარეთ ასე, რა დავაგდეთ მანძილი მცირე,
- 88 წყლის ხმაურობა გაძლიერდა მომეტებულად,
ახლა საუბარს ერთმანეთთან ვერ ვახერხებდით.
ვით ის მდინარე ვისოს მთიდან გამომავალი,
- 91 აპენინის მთებს მხარ მარცხნიდან რომ გამოუდის
(ამ მანძილებზე აკვაქვეტა მას ეწოდება)
და შემდეგ ვიდრე გავაკება დაიწყებოდეს,
- 94 დაჰკარგავს სახელს, რა მიალწევს ფორლის მახლობლად,
გადმოეშვება ალპებიდან გრიალგრიალით,
სწორედ იმ ადგილს, მონასტერი სან ბენედეტოს
- 97 სადაც სდგას ახლა, ეს სავანე წმინდა მამათა,
ასევე წყალიც სალი კლდიდან დაქანებული
ისე ძლიერად ჩამოჰქუხდა აზვავებული,
- 100 რომ ყურთა სმენა გამოგვტაცა გრიალმა მისმა.
მე წელზე მქონდა შემობმული საბელი გრძელი,
რომლითაც ბაბრი ტანხატულა მსურდა შემეპყრო.
- 103 ოსტატმა ჩემმა გამომართვა საბელი იგი,
შემდეგ ამისა დავახვიეთ, გორგლად დაეხეშეთ.
მიბრუნდა უცბად მხარმარჯვისკენ ოსტატი ჩემი,
- 106 და ნაპირიდან გადისროლა საბელი ქვესკნელს.
ვიფიქრე: ალბად საოცარი რამე არსება
ამ ახალ ნიშანს ჯურღმულიდან გამოენთება,

90. ეს მთა მდ. პოს სათავეა.

95. პოს ამ ადგილს მონტონე ჰქვია.

104 ძლიერ ბუნდოვანია: რა მნიშვნელობა უნდა მიერწყოს ამ საბელს? ფილალეტეს ჰფიქრობს: შესაძლოა აქ ნაგულისხმევი იყოს ფრანცისკანელ ბერების ორდენის ტანზე შემოსარტყმელი საბელი, რომელიც დანტეს ადრე სიჭაბუკეში უტარებია. მერმე გადაუგდია და სამშობლოში ატენილ პარტიულ აურზაურისათვის თავი მიუხვებიაო. ან არა და, ამ სტრიქონში უნდა იყოს ნაგულისხმევი ჯოჯოხეთათ შთახელის შემდეგ ამ ქვეყნიურ ვნებებისათვის ზურგის შექცევა.

- 109 რაკი ოსტატი თან ადევნებს დაძაბულ მზერას.
ჰოჲ, რამდენი სიბრძნე გმართებთ იმის წინაშე,
ვინც არა მარტო კაცთ საქციელს ამჩნევს და ხედავს,
- 112 არამედ სულის უფსკრულებშიც ჰკითხულობს აზრებს.
ახლა მობრუნდა ისევ ჩემსკენ ბრძენი ოსტატი:
მითხრა—„სულ მალე გამოჩნდება ის, რასაც ველი,
- 115 „რასაც ოცნება შენი მხოლოდ თუ მისწვდებოდა,
„ის ახლა თვალწინ დაგიდგება და გაგაოცებს“.
ხამს კაცმა არც კი გახსნას პირი იმის სათქმელად,
- 118 რაც სიმართლეა, მაგრამ ძნიად დასაჯერები,
რათა შემდეგში არ ჩავარდე თავად სირცხვილში.
მაგრამ ამჟამად აღარ ძალმიძს ღუმილის დაცვა.
- 121 ჰოჲ, მკითხველო, გეფიცები ჩემს კომედიას,
დე, ნუ მოაკლდეს კაცთა შორის მას სიყვარული,
მე თავად ვნახე საოცარი არსებჯ რამე
- 124 ამ ზრქელ ჰაერში, სიბნელეში ვით მოფორთხავდა.
ერთბაშად შიში შეიპყრობდა უმამაცესსაც
და გულზე ელდა უეცარი მოეგზნებოდა.
- 127 როგორც მყვინთავი, მამებარი გემის ღუზისა,
რომელიც ფსკერზე მოსდებია ქვესკნელის ბურღებს
(ან სხვა რამ საგანს უეცარად ზღვაში დანთქმულსა),
- 130 ამოვა ზევით გაწუწული და გაზუზული,
თანაც ხელებს შლის და ფეხებით ჰყარს ებჯინება,
ასე ნელ-ნელა მოდიოდა იგი ზევითკენ
- 133 ეს საოცარი, და საზარი ბნელი არსება.

ქაბა მიაჩიღებთ

- „აჰა ვეშაპი, რომლის ბოლო შხამისმნთხეველი,
„გახერგეს პიტალ კლდეს, გინა კედელს, გინა საკურველს,
„აჰა ურჩხული წამბილწველი სამყაროისა“.
- 4 ასე დაიწყო საუბარი ოსტატმა ჩემმა,
და მან ანიშნა მისულიყო ნაპირთან ახლოს,
ჩვენაც მივჰყევით მარმარილოს შიშველ ნაპირებს.
- 7 ეს მოჩვენება ამაზრზენი და საშინელი
მოგვიახლოვდა, დაგვაცქერდა თავაწეული,
მაგრამ თვით ბოლო წყალში ჰქონდა ჯერაც ჩაფლული.
- 10 სახით და თავით მიაგავდა იგი სათნო კაცს,
ხოლო სხეული დანარჩენი ჰქონდა გველისა,
და ილლიამდის ბანჯგვლიანი ბასრი ჭანგები,
- 13 ზურგი, ფერდები და გულმკერდი ჰრელ ფორეჯებით
ჰქონდა ერთთავად მას მორთული და მოხატული.
არას ღროს თურქებს და არც თათრებს არ მოუქარგავთ
- 16 თვისი ღროშები ფერადებით ნაირ-ნაირით,
არცა არაგნეს თუ ჰქონია ეგზომ ჰრელ-ჰრელად,
მდიდრად ნაქსოვი და ნაქარგი ფარჩეულობა.
- 19 როგორც ნავები ბაგირებით ნაპირს მიბმული
ქვემოთა ტანით სანახევროდ წყალში ტოპავენ,
და ზემო ტანით ნაპირებზე გადმოდგებიან,
- 22 ან გერმანელთა ქვეყანაში ხარბი წავები
დაცუცქედებიან საბრძოლველად მომზადებულნი,
სწორეთ ასევე საზიზლარი იგი ურჩხული,
- 25 შემოდგომოდა აფხორილი კლდოვან ნაპირებს,
მხარეს ქვიშიანს რომ გარს უვლის და ემიჯნება.
და კული მისი ნავარდობდა ლალად სივრცეში

6. იგულისხმება ფლეგეტონის ნაპირები.
17. ტექსტში: Aragne — ბერძნ. მითოლოგიაში სახელგანთქმული მკსოველი.

- 28 გამოუჩანდა ორკოპალი თათის წვეტები,
ვით მორიელის ორი ჭვანგი გესლით გაესილი.
ჩემი ოსტატი მეუბნება:— „ხამს ეგ ბილიკი
- 31 „დავაგდოთ ახლა, დავეწიოთ იმ მაცდურ ცხოველს,
„რადგანაც იგი, როგორც ჰხედავ, ჩვენ გველოდება“.
მაშინ მხარ მარჯვნივ გადაუხვიეთ ათი ნაბიჯით,
- 34 ნაპირის კერძად გავიარეთ, რათა აღის ქარს
და ქვიშის ქარბუქს ჩვენ როგორმე განვრიდებოდით.
როცა მივედით და მანძილი დაგვრჩა მცირელი,
- 37 ვნახე სულელები წამომსხდარნი უფსკრულის კიდეს,
ოსტატი ჩემი მეუბნება:— „თუ გსურს ამ გარსის
„სრული, უზადო, წარიტანო შთაბეჭდილება,
- 40 „წა, დააკვირდი და იხილე წამება მათი.
„ეგ არის მხოლოდ დააყოვნე მანდ ხანი მცირე.
„მე შენ მოსვლამდის ვთხოვ იმ ცხოველს ძლიერი ქედი,
- 43 „სულ მცირე ხნითა, რომ გვათხოვოს ვალმა გასვლამდის“.
მეშიდე გარსის სანაპიროს მიყუევი მაშინ,
სავსებით მარტო გავემართე იმ ადგილისკენ,
- 46 სადაც ის სულნი დაღვრემილნი ჩამომსხდარიყვნენ,
და სიმძიპილი მათ თვალეში იხატებოდა.
იწვდიდნენ ხელებს, იჰარვიდნენ თავსა და სახეს,
- 49 როგორც შეეძლოთ ცეცხლის წვიმას იგერიებდნენ,
ასე ძალები იშორებენ დრუნჩით, თათებით,
პაპანებაში შემოსეულ ბუზებს და რწყილებს.
- 52 როცა თვალეში მიმოვაგლე მაგ საცოდავებს,
რომელთაც ცეცხლის ნიაღვარი თავზე აწვიმდათ,
ვერც ერთი ველარ შევიცანი, მაგრამ შევნიშნე
- 55 ყოველ მათგანის ყელზე ქისა დაკიდებული;
სხვადასხვა ფერად ეს ქისები იყვნენ ნაღებნი.
და გავარჩიე მე მათ შორის ერთი ყვითელი,

56. ამ ადგილას დანტე გაურბის იტალიის გარყვნილი და ჩარჩი არისტო-
კრატების დასახელებას, სამაგიეროჲ ათახსირებს მათ გერბებს. ფლორენციელ
ჯანფილიპის გერბი იყო ლაჟვარდოვანი ლომი, ობრიაჩის — ვერცხლისაგან გაკე-
თებული ბატის ხაზა, პადუელ სკროვინის — დედალი ღორი, ჯიოვანი ბუჯა-
მონტეს — სამი ფრინველის ნისკარტი. ვიტალიანო დელ დენტე (პადუელი) ჩარჩე-
ბის მეფედ ითვლებოდა.

- 58 რომლისა ფორმა მიაგავდა სახეს ლომისას,
მეორე ქისა იყო სისხლის ფერად ნაღები
და ზედ ეხატა ბატი თეთრი, როგორც კარაქი,
- 61 ერთ-ერთ წამებულს ყელზე ჰქონდა მოთეთრო ქისა,
რომელსაც ღორი ამშვენებდა ლაჟვარდის ფერი.
რა დამინახა, მომიბრუნდა და მეუბნება:
- 64 „რას დაყილობ საცოდავო შენ ამ ხაროში.
„რადგანაც ჯერაც ცოცხალი ხარ, იცოდე ეგმც
„ვიტალიანო, მეზობელი ჩემი, ცნობილი,
- 67 „მოვა ოდესმე, მომიჯდება მხარმარცხნივ მენა.
„ამ ფლორენციელთ ხომ კი ჰხედავ, მე ვარ მათ შორის
„აქ ერთად-ერთი შოქალაქე ჩვენის პაღუს.
- 70 „დაუცხრომელად გაჰკივიან ეს ბატონები:
«მოვედ მამფალო რაინდების, რომლის ფარზედაც
«ამოჭრილია გვარის გერბად სამი ნისკარტი».
- 73 შემდეგ ამისა დაიდრიჯა იგი საძაგლად,
გამოჰყო ენა, მიაგავდა ამ წუთში ხვადაგს,
ენით რომ იტლეს ტლანქი დრუნჩის დანერწყვილ ნესტოს.
- 76 მე კი უჩუვდექ, მომეკრძალა იმის რისხვისა,
ვინც დამაბარა მე ხანმოკლე აქ დაყოვნება,
უჩქარე ნაბიჯს და დავაგდე ის წამებულნი.
- 79 ვნახე ოსტატი ამძვრალიყო იმ საშინელი
ცხოველის ზურგზე, მომიბრუნდა და მეუბნება:
„მარჯვით იყავი, არ შეშინდე, გმართებს სიმარდე,
- 82 „შენ წინ მომიჯექ, რომ არ გავნოს ურჩხულის კულმა“.
როგორც ნაციებს უთეთრდება ფრჩხილის ძირები,
როცა ხურეების ახლოვდება ჟამი და ყავლი,
- 85 მთელი სხეული უცახკახებს, რა დაინახავს
ადგილს ნესტიანს, ან სიგრილეს იგრძნობს უეცრად
მეც ასე გავხდი, ეს სიტყვები რომ გავიგონე.
- 88 ამ დამუქრებამ გააღვიძა ჩემში სირცხვილი,
რომელიც მონას გაამხნევეს ოსტატის გვერდით.
მყის შემოვახტი იმ საოცარ ურჩხულს მე ზურგზე,

- 91 მინდოდა მეთქვა: — „მომეშველე, მომხვეი ხელი“, მაგრამ ამაოდ შევეცადე, გამიწყდა სიტყვა, და მხოლოდ მანვე, ვინც მრავალგზის მომშველეს, 94 როგორც კი შევეჯექე, შემომხვია ორივე ხელი და წამს შესძახა: — „აბა, გასწი მარჯვედ გერიონ, „ვრცელი წრეები გადალახე, თანაც გახსოვდეს 97 „დაღმართში ჩასულს შენ ახალი ტვირთის შექენა“. როგორც ნაპირით მოწყვეტილი ნავი შეინძრეს, ჯერ უკუ იქცეს და შემდეგ კი წინ გაექანოს, 100 ასე შეტოვდა წამს ურჩხული, იწყო უკუსვლა, ერთბაშად წელში გაიმართა, გაინავარდა, მოგრიხა კული, დაიკლანა გველთევზასავით, 103 წინა ტორებით შეარხია მდორე ჰაერი. არც ფაეტონი, როს სადავე მიუშვა მან ეტლს, დასერა ზეცა, გადარუჯა ცეცხლის კვლებით, 106 და არც იკაროს, როცა გრძობდა ფრთები სანთლისა ცხუნვარე მზეზე აღნებოდა და ემსხვრეოდა, თანაც შემკრთალის მამის ძახილს ისმენდა ამ დროს: 109 «უკვე გადასციდი, ჩემო შვილო, შენ სწორი გზიდან», აღბად არც ერთი იმათგანი ასე არ თრთოდა, როგორც დავშინდი მე ამ წუთში, როცა ვიგრძენი, 112 ჰაერში ვიყავ უსასოოდ გამოკიდული, და ვერას ესჭერეტი იმ საშინელ ურჩხულის გარდა. ასე ამგვარად მისცურავდა სულ ნელა, ნელა, 115 ერთბაშად განზე გაუხვია და ჩამოეშვა, მყისვე ვიგრძენი გვიბერავდა ქვევიდან ქარი. აჰა, მომესმა წყლის ქშუილი. დაუცხრომელი,

95. ჰერკულესის შიერ მოკლული სამტანიანი მეფე გერიონ.

104. ფაეტონი, phaeton — მითიური მზის ღმერთის ვაჟი, რომელიც მზის ეტლს ისე ცუდად მართავდა, რომ ლამის იყო მიწა არ დასწვა, სამაგიეროდ ძოკლულ იქნა ძევესის მიერ.

106. იკარი, Ikaros — და ი დ ა ლ ო ს ი ს ვაჟი, რომელსაც ჯადოსანმა მამამ სანთლის ფრთები შეასხა, კრეტას დილეგიდან გაიქცა, მაგრამ მზემ გაუღუნა ფრთები, ზღვაში გადავარდა და დაიხრჩო.

- 118 საშინელის ხმით აყრუებდა იგი მიდამოს; და ეგ ქუხილი მომესმოდა როგორც წინიდან; ისე ჩვენს ქვემოდ უმეტესად მარჯვენა მხრიდან; 121 სწორედ მიტომაც გადაეხარე მე მაშინ თავი და გადავიხდე, დამენახა; თუ რა ხდებოდა. უფსკრულის ნახვამ წამსვე შიში გამიორკეცა. 124 შევნიშნე: ცეცხლი გუზგუზებდა კიდითკიდემდის, და მომესმოდა მე ტირილი უშველებელი, მყისვე უეცრად შევიცანი, შეუცნობელი. 127 როგორც მიმინო გაფრენილი ცის ლაქვარდებში, გაქსუებული აიჭრება მალლა ეთერში, ვერ სჭერეტს საქნიერს, ველარც ლაქოს ფრთებისა ლიცლიცს 130 და ათქმევინებს თავის პატრონს: «ახ, ჩამოდიხარ?» ტრიალ-ტრიალით დაეშვება იმავე ალაგზე, სადაც აფრინდა, გააკეთა ცაში ირაო, 133 და ჩამოჯდება მონადირის მახლობლად სადმე, ასევე დინჯად ძირს დაეშვა კლდისპირს გერიონ, და როცა ტვირთი ჩამოსცილდა ძლიერ ქედიდან, 136 გაუჩინარდა, ვით ისარი მშვილდს მოწყვეტილი.

129. ეს სტრიქონში: Che senza veder logoro o uccello-ს ანჯელო ფორენ-ტინო სთარგმნის როგორც leure, გერმანელი ფილალეტეს: — Federspiel — იგუ-ლისხმება ჩიტის ფიტული, რომელსაც ვეროშელი მონადირენი მიმინოს მოსატყუ-ებლად ჰხმარობდენ (იხ. New. Vogel u wedeverubuch. ფრანკფურტ. 1582). ძველ საქართველოში ასეთ შემთხვევაში ჯობზე დაბმულ ლაქოს იყენებდნენ, ამიტომაც მეც ოდნავ გადავუხვიე სიხუსტეს.

ქება მეთვრამეტე

არის ადგილი ჯოჯოხეთის უფსკრულში ერთი, ჰქვიან სახელად ნალებოლჯე; ის მთლად რკინისფერ ქვისაგანაა, ამგვარივე კედელით ირგვლივ.

- 4 და შეჩვენებულ იმ ადგილის შიგ შუაგულში ამოთხრილია ჰა უღრმესი და უგრცელესი; აიწერება თავის დროზე იმისი ფორმა.
- 7 სივრცე — ჰისა და ქვის კედელის საფუძველს შუა წრისებურია; მორკალული და მონუსხული, ამასთანავე ათ ჯურღმულად იყოფა იგი.
- 10 როგორც გარედან ციხის კედლებს, თავდაცვის მიზნით, შემოავლებენ გარეშემო განიერ თხრილებს, მიუღდგომელი რომ გახადონ ამითი უფრო,
- 13 აი, ამგვარად გარეგნული მოსჩანდა სახე ამა მღვიმეთა, და ისე ვით ციხის თხრილებზე ხილებს აგებენ ზე ასაკეცს, სწორედ ამრიგად
- 16 კლდეთა ძირიდან ხერხემლები სხვა კლდეებისა აღმართულიყვნენ, გადაჰკვეთდენ გარე კიდეებს, მღვიმეებს მასთან, და ჰის ნაპირს ებჯინებოდნენ.
- 19 აი, ამ ადგილს ჩამოგვყარა ჩვენ გერიონმა თავის მხრებიდან; გაემართა მგოსანი მარცხნით, და მეც გავსდიე ჩემს წინამძღოლს უსიტყვოდ უკან.
- 22 და დავინახე მე გზადაგზა მარჯვენა მხარეს სხვა მწუხარება, სხვა წამება, ჯალათნი სხვანი: იყო მათ მიერ გავსებული პირველი მღვიმე,
- 25 რომლის სიღრმეში ცოდვილები ტანგაძარცულნი ორწილ ვიდოდნენ გაბაწრულნი: ერთი ნაწილი ჩვენსკენ, მეორე ჩვენთან ერთად, მაგრამ ნაბიჯი.

* * კონსტანტინე ჰიჭინაძის მიერ თარგმნილი.
2. ნალებოლჯე — ჯურღმული.

- 28 იმათი იყო უფრო ჩქარი, მსგავსად იმისა, იუბილეს დროს როგორც რომში მლოცველთა გუნდი გაივლის წმიდა ანგელოზის ხილზე ორ მწკრივად,
 - 31 რომელთა შორის ერთი არის პირმიქცეული ციხის მიმართ, და წმიდა პეტრეს ტაძრისკენ მიდის, ხოლო მეორე უბრუნდება მალღობებს ისევ.
 - 34 აქაც და იქაც ჩაშავებულ კლდეების თავზე იდგნენ რქიანი დემონები გრძელი შოლტებით, და უბადრუკებს საშინელით მისდევდნენ ცემით.
 - 37 ო, როგორ ხლტოდნენ პირველსავე დაკვრასთან ერთად ბედდაწყველილი ცოდვილები, და აღარც ერთი აღარ უცდიდა მეორეს და მესამე დაკვრას.
 - 40 და იქ გზადაგზა თვალთახედვა შეჩერდა ჩემი ერთერთ დასჯილზე, და წარმოვსთქვი მე იმ წამშივე: „ამ ადამიანს არა ვხედავ პირველად მხოლოდ“.
 - 43 მე შევიცადე, რომ შემეველო იმისთვის თვალი, შესდგა აგრეთვე წინამძღოლი ჩემი კეთილი, და ცოტა უკან დაბრუნების ნებაც კი დამართო.
 - 46 შოლტით გვემულმა ძირს დახარა ცოდვილმა თავი; სურდა დაფარვა მას სახისა, მაგრამ ამაოდ. მე მივაძახე: — „ვინაც თვალი დაიღე დაბლა,
 - 49 „თუ არ მატყუებს შენი სახის მოხაზულობა, „შენ უნდა იყო ვენედიგო კაჩინამიკო, „და გთხოვ მაუწყო, რა მიზეზით შთაგაგდეს აქ შენ“.
 - 52 მან მიპასუხა: — „გაგიტყდები, თუმცა კი მიმიძის; „მე ამას შენი მაიძულებს ნათელი ენა, „ენა, რომელიც მე ქვეყანას მაგონებს წარსულს.
 - 55 „დანაშაული მე მიმიძღვის მთლიანად მასში, „რომ მარკიუს ხელში ჩაუვარდა გიზოლა ტურფა, „თუმც სულ სხვა ხმები დადიოდა ამის შესახებ.
29. 1300 წელს პაპის ბონიფაციუსის მიერ. მოწყობილ იუბილეუმის გამო ზღვა ხალხი მოაწიდა რომს.
30. სან ანჯელოს ხიდი ტიბრზე (რომში).
50. იტალიელი აზნაური, გველფი, რომელმაც თავისი დაა — გიზოლა მარკუს დანესტეს მიჰყიდა. ეს გიზოლა ძლიერ ლამაზი ქალი ყოფილა თურმე.

- 58 „და ბოლონიის მკვიდრთა შორის არა თუ მარტო
„მე ვიტანჯები ამ უფსკრულში, ჩვენ იმდენი ვართ,
„რომ არ არსებობს სავენასა და რენოს შუა
- 61 „ენა იმდენი, ბოლონურად „პო“-ს რომ წარმოსთქვამს;
„თუ შენ ამისი დასამტკიცო საბუთი გინდა
„წარმოიდგინე იქაურთა სიძუნწე დიდი“.
- 64 და როგორც კი მან ეს სიტყვები წარმოსთქვა, მყისვე
დემონმა შოლტი უცხუნა და შესძახა:— „გასწი,
„ქალს გასასყიდელს, მაჰანკალო, ვერ ნახავ აქა“.
- 67 შემდეგ ჩემს მეგზურს დავეწიე; გადავსდგით კიდეც
რამოდენიმე ნაბიჯი და მივუახლოვდით
ერთ კლდეს კედელის საფუძვლიდან წამოწვევრილსა.
- 70 ჩვენ სულ ადვილად მოვექცით კლდის მწვერვალს თავზე,
მარჯვენა მხარეს მივუხვიეთ მისი ზურგით, და
მარადისობის ამა მღვიმეს გავშორდით გარეთ.
- 73 რა მივალწიეთ ადგილს, სადაც კლდის ზურგი ხიდს ქვეშ
ორად გაჭრილა შოლტვილების. გასატარებლად,
მითხრა ოსტატმა:— „შესდექი და დაჰყავი ხანი,
- 76 „ვიდრე ცოდვილნი უბადრუქნი, რომელთ სახენი
„შენ არ გიხილავს, რადგან ერთის მიმართულებით
„ვიდოდნენ ჩვენთან, არ მოხრიან პირს ჩვენდა მიმართ“.
- 79 და აჰა კიდეც, ძველთაძველი ხიდიდან ვხედავთ:
ახლოვდებიან მეორეს მხრით ჩვენდამი ლანდნი,
გრძლად გაბაწრულნი და აგრეთვე შოლტით გვემულნი.
- 82 ვიდრე შეკითხვას მოისმენდა, ოსტატმა მითხრა:
„ცოდვილს შეხედე ამ ახოვანს; მოემართება
„და, როგორც ხედავ, ერთ კრემლსაც კი არ აგდებს თვალით-
- 85 „თან რა მეფური ზვიადობით მოადგამს ნაბიჯს!
„იაზონია მარჯვე იგი და გაბედული,
„წარმტაცებელი კოლხეთიდან ოქროს კრაველის.

61. დანტეს ტექსტში: A dicer sipa tra Sávena e il Reno. „სიპა“ ბოლო-
ნურ დიალექტზე „პოს“ ნიშნავს.
63. თუმცა ბოლონიელები ცნობილნი არიან, როგორც ფრიად გულუხვი
და პურმარლიანნი, მაგრამ რატომღაც დანტე მათ სიძუნწეში ბრალსა სდებს.
შესაძლოა ეს პირად გამოცდილებასედაც იყოს დამყარებული.

- 88 „მოინახულა მან გზადაგზა კუნძული ლემნოს,
„მალე მას შემდეგ, როს იმ ქვეყნის მკაცრმა ქალებმა
„იქ ამოსწყვიტეს მამრობითი სქესი მთლიანად.
- 91 „იქ მან ფიციტ და მოთაფლული სიტყვებით შესძლო
„ნორჩ ჰიპოფილეს მოტყუება, რომელმაც უმაღ
„ყველა თავისი დობილები მოატყუილა.
- 94 „შემდეგ მან იგი დააგდო და დასტოვა მარტო;
„ამ ბოროტების ჩადენისთვის ისჯება აქ ის,
„აქვე სასჯელი დასტეხია მედეას გამო.
- 97 „მას თან მოსდევნენ შემცოდენი ამავე ცოდვით.
„აწ შენ საკმაოდ გაეცანი მღვიმეს პირველსა
„და მის წიაღში გამომწყვედულ ბედშავ ცოდვილებს“.
- 100 მალე მიველით ჩვენ იქ, სადაც კლდეთა მეორე
ზურგი გადაჰკვეთს საცალფეხო გზას, რომელითაც
ჩვენ მივიდიოდით, და მეორეს წარმოშობს ხიდსა.
- 103 აქ ჩვენ თვალთა წინ წარმოგვიდგა მეორე მღვიმის
ცოდვილთა ბუდე საშინელი; განუწყვეტლად
ჰკენესოდნენ, თანაც ხელებს თვისას იშენდნენ ირგვლივ.
- 106 გაზეპილიყვნენ ამ უფსკრულის გარეკიდენი
სოველი ობით ზეაღმავალ ორთქლისა გამო,
რაიც ყნოსვას და თვალთახედვას აზიანებდა.
- 109 მღვიმესა ამას სიღრმე ჰქონდა ესოდენ დიდი,
რომ მისი ფსკერის დასანახად საჭირო იყო
ხიდის უმაღლეს ადგილიდან ძირს გადახედვა.
- 112 და როდესაც კი ზე ავედით და გაღვიხედეთ,
ცოდვილთა ურდო დავინახეთ მღვიმეში დაბლა,
რალაც თხელსა და მყრალ ტალახში მოცურავენი.
- 115 აქ მე ცოდვილი შევამჩნიე, რომელსაც თავი
ისე ვასვროდა ტალახით, რომ აღარ მოსჩანდა
სასულიერო იყო ის თუ საერო პირი.

92. ვენერას მიერ წაქეზებულმა ლემნოსის ქალებმა თავიანთი მამები და ვაჟები
გასწყვიტეს. ჰიპოფილემ იდუმალ სიკვდილს გადაარჩინა თავისი მამა თოას; ამის
შემდეგ იგი მეფედ აირჩიეს ამბონებულმა დიაცებმა. როცა არგონაუტები ლემონს
მეწვიენ, და უპატრონო ქალებს დაეპატრონენ, ხოლო ჰიპოფილემ იაზონის ხსას
გახდა, იაზონმა იგი აქ დასტოვა და კოლხეთს გაემგზავრა.

- 118 და შემომძახა მან ქვემოდან: — „რისთვის მიტყერი მეტი სიხარბით მე, ვიდრე სხვა არაწმიდათა?“
„მისთვის, — მიუხედავად, — რომ, თუ ხსოვნა არა მალაატობს,
- 121 „მე შენ ოდესღაც მინახავხარ მშრალის თმებითა.
„შენ ხარ ლუკელი ალესიო ინტერმინეი;
„აი, ამიტომ ჩამოგტყერი განსაკუთრებით“.
- 124 მაშინ მან ხელი შემოიკრა თავზე და მითხრა:
„აქ ჩამომავდო მე სიტყვებმა ფარისევლურმა;
„დაუღალავად წარმოსთქმიდა მათ ჩემი ენა“.
- 127 აქ მომიბრუნდა მე მეგზური ჩემი და მითხრა:
„გადაიხარე, გადიხედე ოდნავად იქით,
„რომ შენის თვალთ დაინახო სახე ბოზისა.
- 130 „შეხედე, თმები მას რარიგად აქვს გაწეწილი,
„და ფრჩხილები კი გავსებია რაგვარი ზინთით.
„ხან დაცუტქდება, ხან ისევე ზეზე აღგება.
- 133 „ეს თაისია — ბოზი, ვინაც კუროს სიტყვებზე:
„დიდად მიყვარხარ და ძლიერი მაქვს შენი ნდომა“,
„მოურიდებლად უპასუხა: — „განემზადეო“.
- 136. „აწ კი შესჯერდნენ თვალნი ჩვენნი საკმაო მზერით“.

122. ალესიო ინტერმინეი — გიბელინებისა და თეთრების პარტიის ბელადი, მთელ პარტიასთან ერთად გააძევეს სამშობლო ქალაქიდან. იგი ძლიერ ლაქტობოყო თურმე და ხალხის მიმართ დიდ ფარისევლობას ეწეოდა.

ქება მიცხარამბა

- ო, სიმონ მაგუს! ო, ბინძურნო მიმდევრო მისის მწვალებლობისა! თქვენ, რომელნიც დაჰხარბებინართ ერთ სიტყველზე ჯვარდაწერილ ღვთაებრივ ძალას!
- 4 ვინაც ამ ძალით ოქრო-ვერცხლზე ვაქრობდით, — თქვენთვის დაიგუგუნებს საშინელი ხმა საყვირისა, თქვენთვის, მესამე მღვიმის წიაღს რომ შეუპყრიხართ!
- 7 ამასობაში ჩვენ შემდეგი საფლავის ზემოთ ავედით უკვე და მივედით იმა აღგილსა, სადაც კლდის თავი გადაჰყურებს შუაგულ მღვიმეს.
- 10 უზენაესო გონებაო! რა ხელოვნებას ამჟღავნებ ზეცად, მიწაზედან და ჯოჯოხეთში, და რა სამართალს აჩენს შენი მართლმსაჯულება!
- 13 მე დავინახე კიდერი და ფსკერი მღვიმისა ნაცრისფერის ქვით მოგებულნი; ამ ქვაფენილზე მრავლად მოსჩანდა ორმოები ერთგვარი სახის.
- 16 ასე მეჩვენა, რომ ისინი იმ ზომის იყვნენ, სან ჯიოვანის ტაძარში რომ ემბაზებია, ნათელთა წმიდა საიდუმლოს აღსასრულებლად,
- 19 რომელთა შორის რამდენიმე წლის წინად ერთი მე გავამსხვრიე, დახრჩობისგან რომ მეხსნა ჩჩვილი. დე, გადაიქცეს სიტყვა ესე ცილისწამების

1. სიმონ მაგუსის, ცნობილი ერეტისკოსის მიმდევრები იყვნენ ე. წ. სიმონისტები — წარჩინებული სამღვდლო პირები, რომელნიც გარყვნილ და მეჭრთამე სამღვდლო პირობებს „ხელის დასხმისათვის“ კრთამებს ართმევდენ ყოფილა შემთხვევა, რომ სამღვდლო თანამდებობას აძლევდენ თვით ისეთ „სულიერ მამებს“, რომელთაც საკუთარი ქალიშვილის გახრწნა ბრალდებოდათ.

14. ფლორენციაში ს. ჯიოვანის ეკლესიას უამრავი ხალხი აწყდებოდა ბავშვების მოსანათლავად, ამიტომაც ეკლესიის ქვის იატაკში ორმოები გააკეთეს ემბაზის მაგვარი, ამ ქვის ემბაზებში ნათლავდენ ბაღლებს.

20. აქ დანტე ოგონებს ერთ ავტობიოგრაფიულ ფაქტს: ერთი ბალი უცაბედად ჩავარდნილა ასეთ ორმოში, ბავშვის ყვირილზე ხალხი მოვროვდა, მაგრამ ჯერავინ უშველა. დანტე იმ დროს ქალაქის პრიორი იყო, მან ნაჯახით დაანგრია ემბაზა და ბავშვი იხსნა. როგორც ტექსტიდან ხჩანს, ცრუმორწმუნე საზოგადოებამ არ მოუწონა პოეტის ემბაზადან „ძღვდლის უკითხავად“ ბაღლის ამოყვანა.

- 22 აღმკვეთ სიგელად. თითოეულ ორმოდან მალლა აღმოეშვირათ მუხლებამდე ფეხები ცოდვილთ; ხოლო სხეული დანარჩენი ძირს ჩაფლულიყო.
- 25 ყველა ცოდვილებს მოსდებოდათ ტერფებზე ალი, და ამის გამო ისე თრთოდა მათი კუნთები, რომე საბელსა ყოველივეს დასწყვეტდნენ მყისვე.
- 28 როგორაც ზეთით გაქლენთილი საგნების წვის დროს ალი თავს იყრის ზედაპირზე, ამგვარად აქაც იგი ქუსლთაგან ცერებისკენ მიისწრაფოდა.
- 31 და მე წარმოვსთქვი:—„ეს ცოდვილი, ოსტატო ჩემო,— „თანატანჯულებს რომ აქარბებს მანჭვით და გრეხით, „ვინ უნდა იყოს ესდენ ძლიერ ცეცხლს მიცემული?“
- 34 მან მიპასუხა:—„თუ ისურვებ, მე შემიძლია „ძირს ჩაგიყვანო, აყვანილი ამ ციცაბოთი, „და იქ მისგანვე სცნობ მის სახელს და იმის ცოდვებს“.
- 37 ვუთხარ:—„რაც შენ გსურს, ყოველივე მეც მსიამოვნებს, „შენა ხარ ჩემი ბატონი, და ხომ იცი კარგად, „რომ მე შენს ნებას არასოდეს არ გადავუხვევი;
- 40 „შენ ჩემს გულშიაც კი ერკვევი“. შემდეგ ამისა მეოთხე ზღუდით ზე აველით, მივბრუნდით მარჯვნივ, და ვიწრო მღვიმის ორმოიან ფსკერზე დავეშვით.
- 43 ხოლო კეთილმა ოსტატმა ძირს არ დამსვა, ვიდრე არ მიმიყვანა იმ ცოდვილის ორმოსთან ახლო, ფერხთა საგსავით ქვემოდან რომ აღმოკენესოდა.
- 46 „ო, შენ, ვინაც არ უნდა იყო,— მივმართე ცოდვილს,— „ჩაყუდებულთ თავდაყირა, როგორც მიწაში „ჩარკმული ბოძი, ხმა გამოეც თუ შეგიძლია“.
- 49 ვიდექ ვით ბერი, აღსარებას რომ ართმევს მკვლელსა, რომელიც კიდევ მოუწოდებს მიწამიყრილი, რათა მან ჟამი სიკვდილისა დაავგიანოს.

51. კაცის მკვლელებს თავდაყირა მარხავდნენ ძველად, ასე დამარხული კაცი სიკვდილის წინ შენდობას სთხოვდა მახლობლად მდგომ ბერს.

- 52 აქ მან ქვემოდან შემომძახა:—„ო, როგორ! ნუ თუ, „ბონიფაციუსს, ეს შენა ხარ, და მეტყველებამ „მე წინასწარმა რამდენიმე წლით მომატყუა?“
- 55 „ნუ თუ გაძეხი იმ ოქროთი ესოდენ მალე, „რომლის გულისთვის შენ კეთილად შემკული ცოლი „დანიშნე, შემდეგ წაპბილწე ის და შეაგინე?“
- 58 მდგომარეობა აქ იმგვარი შეიქმნა ჩემი, კაცი საუბარს რომ ყურს უგდებს, ვერ იგებს ნათქვამს, და დარცხვენილმა აღარ იცის, როგორ მოიქცეს.
- 61 მაშინ მეოსანი მომიბრუნდა:—„უთხარი მალე: „«არა ვარ იგი, რომელიც შენ გგონივარ, ლანდო». და მეც იმგვარად ვუპასუხე, როგორც მებრძანა.
- 64 ჩემი პასუხი რომ ისმინა, შეთრთოლდა სული, გაასავსავა ფეხები და ხმით ცრემლიანით წარმოსთქვა ოხვრით:—„მაშ, მითხარი, რა გინდა ჩემგან?“
- 67 „თუ კი შენ ჩემი ვინაობის გაგების სურვილს „მოუყვანიხარ ამ კლდეებით, დეე უწყიდე, „რომ შემოსილი ვიყავი მე მანტიით წმიდით,
- 70 „მე ძე ვიყავი ძუ დათვისა და ხარბი ესდენ, „რომ საკუთარი ხელებისთვის მე ვაგროვებდი „პარკში ოქროსა, და აქ პარკში თვით მოვექეცი.

53. პაპი ბონიფაციუს მე-VIII, გარდაიცვალა 1303, ასე რომ, დანტემ 1300 წელს მას ვერ მოუხერხა ჯოჯოხეთს ჩაგდება. მაგრამ, თავისი უდიდესი მტრის დასასჯელად იგი აქ ხსენებულ სულს ამარ ჩივლებს. აქ შესაძლოა კაბალისტური წინასწარი ვარაუდი იყოს, თითქოს ხსენებულ ცოდვილს 1300 წ. უკვე სცოდნოდა რომ პაპი ბონიფაციუს 1303 წელს ჯოჯოხეთს ეწვევა.

ბონიფიციუს მე-VIII ფანატიური მიმდევარი იყო გველფების პარტიისა. როცა აღბრუნებ ფონ ოესტერაჰს რომის მეფედ აირჩიეს, ბონიფიციუსმა იმპერატორის გვირგვინი თავზე დაიდგა და შესძახა: „მე ვარ კრისარი, მე ვარ იმპერატორი“. მან ერთს ქორ-პისკოპოსს გიბლინს ნაცარი შეაყარა სახეზე და მიძახა: გიბელინო, გახსოვდეს რომ შენ და შენი გიბელინები ნაცრად იქცევითო.

56. იგულისხმება არა ხორციელი ცოლი, არამედ „მკვლესია“.
69: იგულისხმება პაპის მანტია, აქ მოსაუბრე სულია პაპი ნიკოლოზ მე-III, თავადი, ოსტინი გვარად (1277 — 1280 წ.).

მის შესახებ ერთერთი იტალ. ისტორიკოსი სწერს: „ვიდრე იგი ახალგაზრდა კარდინალი იყო, მას პატიოსან კაცად იცნობდნენ, მაგრამ, როგორც კი პაპი გახდა, სიმონიას, ე. ი. სამღვდლო თანამდებობის გაყიდვას ხელი მიჰყო, თავის ნათესაებს აწინაურებდა და ამ გზით ოქროს იხვეჭდა, სასახლეებს იძენდაო.

70. იგულისხმება ორსინის გვარი.

- 73 „წინამორბედნი, სიმონის ჩამდენნი სხვანი,
„ამ ქვის ხერტილით ძირს გატარდნენ და ამ კამბადაც
„იმყოფებიან ჩემი თავის პირდაპირ ქვემოთ.
- 76 „და მეც თვითონ იქ ჩავეშვები, როდესაც მოვა
„ამ ქვეყნად იგი, რომელიც შენ მეგონე წელიან,
„შემოძახილი ნაადრევი ოდეს გასმინე.
- 79 „მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩემს ქუსლებს ცეცხლი ეღება,
„და თავდაყირა ჩავკიდულვარ, გავიდა ხანი
„მეტი, ვიდრე ის გაწვალდება ამგვარის ყოფნით;
- 82 „რადგან მას უკან გამოჰყვება დასავლეთიდან
„მრავალნაირი ბოროტებით დამძიმებულნი
„მოძღვარი ბილწი: ის ორივეს დაგვეზარავს აქ ჩვენ;
- 85 „იგი ახალი იაზონი იქნება, რომელს
„წიგნი აღგვიწერს მაკაბელთა: ვით პირველს მეფე,
„ისე შეუწყობს ხელს მეორეს ფრანგთა ბატონი“.
- 88 არ ვიცი, ეგებ მეტისმეტად თამამი ვიყავ,
როდესაც მე მას ვუპასუხე შემდეგი სიტყვით:
„მითხარ, უფალმა რა საუნჯე მოსთხოვა პეტრეს
- 91 „წინასწარ, ვიდრე მას კლიტეებს ჩააბარებდა?
„არ უთხოვია ქეშმარიტად მისთვის შემოქმედს
„არარა, მხოლოდ უბრძანა მას: ვილოდე ჩემს გზით.
- 94 „და არცა პეტრე მოციქულსა, არცა თუ სხვებსა
„არ უთხოვიათ მათესათვის ოქრო ან ვერცხლი,
„ოდეს აღვილი დაიკავა გამყიდველისა.
- 97 „იყავი ასე, დასჯილი ხარ ვით მოგიხდება,
„ნაძარცვი ოქრო შეინახე კარგად, რომელმაც
„აღმართა შენი გოროზობა კარლოსის მიმართ.
- 100 „და რომ აქ ჩემში არ იწვევდეს თავშეკავებას
„პატივისცემა იმ უწმიდეს კლიტეთა მიმართ
„რომლებსაც ნათელ ქვეყანაში შენ განაგებდი,

82 — 83. იგულისხმება განხეთქილება რომის ტახტის დაუფლებების გამო
ფრანგულ პარტიის პაპის არჩევა და სხვ.
87. საფრანგეთის მეფის ჩარევა იგულისხმება.

- 103 „ჩემი სიტყვები იქნებოდა უფრო სასტიკი,
„რადგან ქვეყანას გულს უნაღვლებს სიხარბე შენი,
„კეთილთ წამქეზე და ბოროტთა განმდიდებელი.
- 106 „თქვენ, მოძღვარი ხომ მოციქულმან შეგნიშნათ მაშინ,
„ოდეს იხილა მან დიაცი წყლებზე მჯდომარე...
„ის, ვისაც შვილი თავი ჰქონდა დაბადებთივე,
- 109 „და ძალას თავის ათი რქიდან ვინც ღებულობდა,
„ვიდრე სიქველეს აფასებდა მეუღლე მისი.
„თქვენ ოქროსა და ვერცხლისაგან ღმერთი შეჰქმენით,
- 112 „და თქვენ მარტო მით განსხვავდებით წარმართებისგან,
„რომ წარმართები თაყვანს სცემენ ერთ კერპსა მხოლოდ,
„თქვენ კი ასობით გაგიხდით ღმერთად ისინი.
- 115 „ო, კონსტანტინე! რაოდენი დაჰბადა ცოდვა
„არა თუ შენმან მონათვლამან, არამედ ძღვენმა,
„რომელიც პირველ მდიდარ პაპსა შენ უთავაზე“.
- 118 და ვიდრე ასეთ სავალბელს აღმოვიტყოდი,
განრისხებით თუ სინანულით გულშეპყრობილი,
„ცოდვილი მძლავრად შეარხედა აშვერილ ფეხებს.
- 121 ეს მოეწონა, მე მგონია, ჩემს წინამძღოლსა,
„ისე უსმენდა კმაყოფილი ღიმილით იგი
„ქეშმარიტების გამომხატველ სიტყვების ხმასა.
- 124 შემდეგ მან ირგვლივ შემომხვია ორივე ხელი,
მიმიკრა გულზე და ხელახლა ზე აღმართა
იმ გზით, რომლითაც იმას წინად ძირს ჩამოეშვა.

109. აქ იგულისხმება არა დიაცი, არამედ ის ცხოველი, რომელზედაც იგი
ზის, 7 თავიანი და ათრქიანი.
114. აქ იგულისხმება არა კერპთაყვანისმცემელთა მრავალღვთიანობა,
არამედ ის გარემოება, რომ სიმონისტებს იმდენივე ღმერთი სწამდათ, რამდენიც
ოქროს ფულია ქვეყნად. ე. ი. ფულს აღმერთებდნენ.
117. იგულისხმება კონსტანტინე იმპერატორის მიერ პაპის სილვესტრის
დასაჩუქრება.
აქვე პოეტი ხაზს უსვამს პაპების გაუმაჟღრობასა და სიხარბეს, რომლის წყა-
ლობითაც რომის ეკლესია აპოკალიპსურ, მეძავად იქცა.

- 127 და გულმკერდიდან იქამომდე არ მომიცილა მან მე, ვიდრე არ მიმიყვანა ხიდის თავამდე, სადაც გზა მიდის მეოთხიდან შემდეგ ზღუდისკენ.
- 130 აქ კი ნელინელ ჩამოუშვა თავისი ტვირთი ფრიალოსა და დაკოჭრებულ კლდეზედან, სადაც ველური თხაც კი გაჭირვებით თუ გაივლიდა.
- 133 მაშინ მეორე ჩემს წინაშე გამოჩნდა ქალა.

მაგა მეოცე

- ახალ ტანჯვისთვის ხამს გაემართო ლექსის სტრიქონი, რათა პირველი სიმღერისა მეოცე ქების მექნეს მასალა საშაიროდ განმზადებულად.
- 4 თანდათანობით შევაჩვიე თვალი და მხერა, მწარე ცრემლებით მორწყულ სიღრმეს უფსკრულისასა. ვნახე სულელები გარს უვლიდენ ტაფობსა მცირეს
 - 7 თავჩაქინდრულნი, მოწყენილნი, ატირებულნი, სწორედ ისევე როგორც ჩვენში, სააქაოში დადიან ხოლმე დათალხული მოზარეები.
 - 10 როდესაც უფრო მინდობილმა ძირს ჩავიხედე და დავაკვირდი ამ ცოდვილებს, წამების კერძებს, შევნიშნე: ყველას ნიკაპიდან თეძოს თავამდის
 - 13 შებრუნებული ჰქონდა ტანის ზემო ნაწილი, და პირის სახე ზურგისაკენ მიბრუნებული. ასე რომ, ზურგით მოჩოჩავდნენ ჩვენსკენ პირუქმოდ.
 - 16 შესაძლო არის ამგვარი რამ მოსვლოდეს ვინმეს, ვისაც სიღამბლე შემთხვევია ან და ავი ზნე, ამგვარი რამე არ მინახავს და არცა მჯერა.
 - 19 ჰოი, მკითხველო, გისურვებდი ამ საკითხავმა მოგახვეჭინოს შენ კეთილი ნაყოფი მარგი, თავად განსაჯე ასეთი რამ თუ შესაძლოა,
 - 22 რომ თვალებიდან მე ცრემლები არ დამდენოდა, როცა ვხედავდი ასე ახლოს კაცისა სახეს ისე პირუქმოდ შებრუნებულს, უკუშექცეულს,
 - 25 რომ მდულარება თვალებიდან გადმონაჟონი, ამ ბედშავ სულელებს უკანალზე გადასდიოდა. და მე ესტიროდი კლდისა ქიმზედ გადაყრდნობილი.

2. დანტე მთელს „ჯოჯობეთს“ ე. ი. 34 ქებას — პირველ სიმღერას „Prima canzon“-ს უწოდებს.

. კონსტანტინე გამსახურდიას მიერ თარგმნილი.

- 28 მითხრა ოსტატმა:— „ხომ არ გინდა აჰყვე ამ შლეგებს,
„აქ სათნოებამ საბოლოოდ რომ გაიხაროს,
„ხამს იგი მოკვდეს და გაიხრწნეს აუცილებლად.
- 31 „იგია თავად უდიდესი მკრეხელთა შორის,
„ვინც ღვთის განაჩენს მართებულად აღარ მიიჩნევს.
„ასწიე თავი,—მეუბნება,—ალახვენ თვალნი,
- 34 „ნახე ის კაცი, თებაელთა წინაშე, ვისაც
„ერთხელ რომ მიწამ პირი უყო და გადაყლაპა,
„რომელსაც ყველა მისძახოდა გაოცებული:
- 37 «სად გადავარდი, მაგ ქვესკნელში ამფიარეუს,
„ან ბრძოლის ველი ასე ფიცხლად რისთვის დააგდე?»
„შეუკავებლად ეფლებოდა ის ჯურღმულეებში,
- 40 „ვიდრემდის მინოსს იგი ხელში არ ჩაუვარდა.
„ხედავ მას ზურგი თვისი მკერდად გადუქცევია,
„რადგანაც ძლიერ შორს უნდოდა წინ გაეხედა,
- 43 „უკულმა ხედავს და უკულმა დადის კიდევაც.
„ტირეზიასაც შეუცვლია მთლად აღნაგობა,
„ოდესლაც კაცი ახლა ქალად გადაქცეულა,
- 46 „ყველა სახსრებით მთელი ტანით ფერნაცვალები,
„ახლა მან წნელით უნდა სცემოს ორ-გველს დაგრეხილს,
„სანამ ხელახლა იგი კაცად არ განდიქცევა.
- 49 „ე, მანდ არონსი დაყრდნობილი საკუთარ ღიპზე,
„იგი ოდესლაც ლუნის მთაზე სცხოვრობდა თურმე,
„სად კარაელი თვით უფლიდა საკუთარ ყანას,

30. სიტყვა pità, ფრანგ. pitie, ვთარგმნე „სათნოებად“ გერმ. ფილალებტეს რატომღაც სთარგმნის მას Liebe-ედ (სიყვარული), მე კი ვარჩიე: სათნოება.

37—38. ამ ფიარეუს — მარჩიელი იყო ძველ საბერძნეთში, გადმოცემის მიხედვით მან ბრძოლაში აუცილებელი სიკვდილის მოახლოება იგრძნო და გაცხარებული ომის პირისპირ, მიწამ გადანთქა. ასეთ მზაკვრებად, მარჩიელებად იცნობდა ძველი საბერძნეთისა და ევროპის ცრუმორწმუნე საზოგადოება: ეურიპიდეს, ტირეზიას, მანტოს, არინს, ასტროლოგს ფრიდრიხ მე-II-ეს, გუიდო ზონატის, ფორლის და სხვ.

44. ტირეზიას, გადმოცემის მიხედვით, ორი გველი შემოაკვდა, ერთბაშად ქალად გადაიქცა, 7 წლის შემდეგ იმავე ალაგას ნ.ხა ეს ორი გველი და ისევ დაუბრუნდა მამაკაცობა.

49. არნოს, ან არუნს — ჰეტრურული მკითხავი და მზაკვარი — რომელმაც რომაელებს სამოქალაქო ომები და ცეზარის გამარჯვება უწინასწარმეტყველა. დანტე ლუნას უწოდებს ძველთაძველ ქალაქს ლუნის Luni-ს, ამ ქალაქის მახლობლად მოიპოვება სახელგანთქმული კარარის მარმარილო.

- 52 „მარმარის კლდეში გამოკვეთილ სახლში სცხოვრობდა,
„გადასცქეროდა ვარსკვლავებსა და ზღვის სანახებს.
„ხოლო ის ქალი გაწეწილი თმებით რომ ჰფარავს,
- 55 „თავის ძუძუებს, შენ რომელთაც ველარც კი ჰხედავ,
„ეს იყო მანტო, შემომვლელი მრავალი ქვეყნის,
„უკანასკნელად დაბინავდა ჩემს სამშობლოში,
- 58 „მე ამიტომაც მსურს მისმინო კიდევ მცირე ხანს.
„შემდეგ ამისა, რაც მოუკვდა ამ მანტოს მამა,
„ბახუსის ქალაქს დაეკარგა ზავისუფლება,
- 61 „მან ისევ იწყო ხეტიალი ვრცელ ქვეყანაზე.
„არის ერთი ტბა ჩვენს შვენიერ იტალიაში
„ალპების ტერფთან, გერმანიას რომ ემიჯნება
- 64 „ტიროლის ახლოს, და ბენაკო გვიქვია ამ ტბას.
„და მთელი წყალი ათასნაირ სათავიდანა
„გამომდინარე ჯერ აკურთხებს აპენინის მთებს,
- 67 „ვალ-კამონიკას და გარდას ტბას შორის მდებარეს,
„შემდეგ ამისა ამ ტბის ფსკერზე დადგება თვლემად-
„მის შუაგულში იმყოფება ერთი ადგილი.
- 70 „როგორც ვერონას და ბრესციას, ისე ტრიენტის
„ეპისკოპოსებს ის შეეძლოთ ეკურთხებინათ,
„ამ მიდამოში რომ გაეელოთ სამივეს ერთად.
- 73 „თხემის ზეთაზე, სად ნაპირი დაქანებულია,
„სდგას პეშიერა ბერგამასკის, ბრესციას გასწვრივ.
„სწორედ ამ ადგილს ნაპირიდან გადმოდის წყალი,
- 76 „რასაც ბენაკო თვის სტომაქში ველარ დაიტევს.
„აქედან იგი მოედება მწვანე ქალაქებს
„და მას მინიკო ეწოდება, არა ბენაკო

56. მანტო—ზემოდ ნახსენებ თებაელი მისანის ტირეზიასის ქალი, რომელსაც ვირგილიუსის მიხედვით მდინარის ღმერთის ტიბერიუსისაგან ოცნუს ეყოლა. მანტოს ქალაქ მანტუას დამაარსებლად სთვლიან მას.

61. იგულისხმება თებე — ბახუსის სამშობლო.
66. საოცარია, და ვერც დანტეს კომენტატორებს გამოურკვევიათ აპენინებს. გარდას ტბასთან რატომ ახსენებს დანტე.
71. ესე იგი: აქ სამი საეპისკოპოსოს მიჯნა იყო.

- 79 „თვით გოვერმომდის, სადაც იჭი პოს უერთდება.
„მცირე მანძილზე ბენაკოდან გასულ მინიკოს
„შეეხეჩება გავაკება, სადაც მდინარე
- 82 „განზე გაიწევს, მოედება ატეხილ ქალებს
„და ზაფხულობით აშმორდება ქაობი ავი.
„აქ გაუვლია გზად მიმავალ ველურსა ქალწულს —
- 85 „უნახავს-მანტოს კუნძული რამ ქაობებს შორის;
„უკაცრიელი, უდაბური ყოფილა იგი.
„კაცთ სიახლოეს შეგნებულად განრიდებულსა
- 88 „აქ უცხოვრნია მოახლეთა თვისთა ამარა,
„ვიდრემდის სუნთქვა არ წაერთო — აქ დარჩენილა.
„ამ ქაობების გარეშემო მცხოვრები ხალხი
- 91 „შემოკრებილა ამის შემდეგ ველურ კუნძულზე,
„ვინადგან იგი შეუვალი იყო მტრისათვის
„და მანტოს ძვლებზე აუგიათ ერთხელ ქალაქი,
- 94 „ანაზდეულად, ამ ადგილის გამომძებნელის
„შეურქმევიათ მათ სახელი თურმე მანტუა;
„და მრავლდებოდა მანტუაში მოსახლეობა,
- 97 „ვიდრემდის ფლიდი, პინამონტი შლეგ კასალოდის
„მუხანათობით ძირს დასცეკდა, შოატყუებდა.
„მეც ამიტომაც განვიმარტე ეს ყოველივე;
- 100 „ვინძლო ისმინო ჩემ სამშობლოს წარმოშობაზე
„შენ სხვანაირი განმარტება; არ დაიჯერო,
„რათა სიცრუემ არ დაჩრდილოს სიტყვა მართალი“.
- 103 მე ვუპასუხე: — „სიტყვა შენი ჰოი, ოსტატო,
„ჩემთვის იმდენად სარწმუნოა და საგულისხმო,
„რომ სხვის ნათქვამი ამის გამო არ მიღირს ჩირად.

97. პინამონტმა პირი შეჰკრა მანტულელ გრაფ ალბერტ და კასალოდისთან, რათა შეერთებული ძალით არისტოკრატია განედგურებიათ, მაგრამ ბოლოს უმტყუნა, და საშინელი სისხლის ღვრის შემდეგ, თვით ჩაიგდო ხელში ხელის-უფლება.

105. დანტეს carboni spenti-ის ფიორენტინო ასე გადმოგვცემს: comme des charbons éteintes: „როგორც ჩამქრალი ნახშირი“. ფილაეტეს და პოხამერი გამ-ქრალ ნახშირს არ ახსენებენ, არამედ: „Leere Spreu“. მე ვარჩიე ქართული თქმა: „არ მიღირს ჩირად“.

- 106 „მიბრძანე მზროლდ, ახლა ჩვენსკენ მომავალ ხალხში,
„თუ ვინმე არის ყურადღების ჩვენისა ღირსი,
„ამას უპყროა ერთობლივად გონება ჩემი“.
- 109 მან მიპასუხა: — „იმ შავ ზურგზე შეფენილ წვერებს
„ხომ კარგად ამჩნევ? იგი იყო სწორედ აუგურ,
„ეს იმ ხანებში საბერძნეთში როცა ვაჟაკნი
- 112 „გამოილიენ, ან აკვნებში თუ სადმე დარჩა
„კალხასთან ერთად ახლდა იგი ბერძნებს ავლისში,
„სახელად ერქვა ვერიპილეს, როგორც მაღალი
- 115 „ტრაგედისა ჩემის ლექსი გვაუწყებს ამას.
„ხოლო მეორე კაფანდარა, სნეული სახის,
„იყო ცნობილი ცრუ მისანი მიხაელ სკოტუს.
- 118 „დიდი ოსტატი ჯადოსნური ხელოვნებისა
„გვიღო ბონატი, იმის გვერდით აგერ ასდენტი,
„სჯობდა არასდროს არ დაეთმო სადგისი, ტყავი;
- 121 „ახლა კი წრფელი სინანულიც გვიანლა არის.
„საბრალოებმა მიატოვეს მაქო, მასტიკო,
„მასრა, სართავი, თითისტარი, რათა ესწავლათ

110. აუგურ, augures — ძველი რომის ქურუმთა საბჭოს წევრი, რომელიც ფრინველის ძახილისა, ელვა და ქუხილის მიხედვით ღმერთების სურვილს წინას-წარმეტყველებდა.

113—114. ვირგილი გვაუწყებს ვენიდაში, ვერიპილემ (ან ვერიპილეს) აუ-ლისში უწინასწარმეტყველა ბერძნებს: როგორც აულისიდან წასვლას, ისე უკან მოსვლასაც სისხლის ღვარი მოჰყვებო.

115. ტრაგედია. კან გრანდესადმი მინაწერ ბარათში, თავად დანტე სწერს: „ტრაგედია და კომედია გამოთქმით განსხვავდებიან ერთი მეორისაგან. პირველი მაღალი და პათეთური თქმაა, მეორე დაბალი და მოკრძალებული“. უფრო გვიან მან თავად განმარტა, თუ რად შეარქვა თავის პოემას comedia. კომედია იმიტომაც დაარქვა თავის ქმნილებას, რომ ამ პოემაში ენა ხალხურია volgar, „ისეთივე, რო-გორსაც უბირი დედაკაცები ლაპარაკობდენ“.

117. მიხაელ სკოტუსი—იმპერატორ ფრიდრიხ II-ის ასტროლოგი იყო. დიდი მწიგნობარი, არისტოტელესის კომენტატორი. ტომით შოტლანდიელი, დიდი ავან-ტიურისტი და ცინიკი.

119. გ ფ ი დ ო ბ ო ნ ა ტ ი — ვარსკვლავთმრიცხველი; ა ს დ ე ნ ტ ი — ცნო-ბილი პარმელი მისანი, ხელობით მეწაღე.

- 124 „ჭინკათ ხელობა და მზაკვრობა, კუდიანობა.
„ბალახ-ბულახსა აგროვებდენ, სანთელს ძერწავდენ.
„მაგრამ წავიდეთ, უკვე კაენ ეკლის მტვირთველი
- 127 „შესდგა ორივე ჰემისფეროს მმიჯნა ესაზღვარზე,
„და ეხუტება ოკეანეს სევილას ქვემოდ.
„წუხელაც მთვარე გორგალივით იყო გავსილი“, —
- 130 მითხრა ოსტატმა, საუბარში განვაგრძეთ გზაჲ.

125. საშუალო საუკუნოში, ევროპაში, ისე როგორც ჩვენშიაც, როცა ვინმეს გათვალვა, გათოფვა უნდოდათ, სანთლისგან გამოძერწავდენ იმის სახეს, ვისი გათვალვა უნდოდათ და თანაც შეულოცავდენ ან დასწყევლიდნენ.

126. მთვარეს საშუალო საუკუნოებში ეძახდენ—„ეკლის მტვირთველ კაენს“. თითქოს კაენი ღმერთს დაესაჯა მთელი სიცოცხლე ეკალის კონა ვთრია; მთვარე რომ სევილას ქვემოდ ხმელთა შუა ზღვაში ჩადიოდა, ეს უნდა ყოფილიყო დილის 8 საათი.

ქაზა მითქვამით

ასე ვიდოდით ჩვენ ორივე ხილიდან ხილზე. ისეთ რამეზე ვსაუბრობდით, კომედიაში რაც მოხსენების და შექების არ იყო ღირსი.

- 4 და მივალწიეთ არკის ზეთავს, როცა შევსდქით, რათა ამაო სიმძიმელი რომ მოგვესმინა და ჯურღმულების სხვა ნაპრალში გადაგვეხედნა.
- 7 და ეს ნაპრალი მომეჩვენა საშინლად ბნელი. ვით ვენციელთ არსენალში ზამთრობით ფისი სდულდება, რათა შეაკეთონ შემდეგ გემები,
- 10 რომელნიც ზღვაში ვერ გასულან შეუსწორებლად, ერთი ამზადებს ახალ ხომალდს, იქვე მეორე ფერდებს უფისავს გემს გამოწვროთნილს მრავალ ზღვაურში,
- 13 ზოგი ჩაქუჩებს ურახუნებს გემისა ბოლოს, ზოგიც გემის ცხვირს უკირკიტებს დაზიანებულს, ერთი ნიჩბების დამზადებას მოსჭიდებია,
- 16 მეორეს აფრა გაუფისავს უკანა ანძის, დანარჩენები ძველ იალქნებს ლესვენ ფისითა, — ასევე სდულდა ამ ჯურღმულში არა ცეცხლისა,
- 19 არამედ ღვთისა უებარი ნებისყოფითა ზრქელი და შავი ფისის ფაფა უშველებელი, ყოველის მხრიდან კიდებზე გადმოღვრილიყო.
- 22 კარგად ვხედავდი მდულარე ფისს ვით ქოთქოთებდა, და ინთხოდა ვით დინდგელის შავი ღვართქაფი. სულგანაბული შევსცქეროდი, „როცა ოსტატმა

6. იტ. Malebolgo, ფრანგ. Malebolge, გერმ. übelbolgen — სხვა შესაფერი ტერმინის უკონლობის გამო ვთარგმნე: „ჯურღმულ“-ად.

8. არსენალი — ძველად ქუჩა გემების სახელისნოს. დანტე: arzana არაბ. dārsinah, არსენალი.

- 25 „დახე, დახეო“,—დამიძახა და ხელი მკიდა.
მეც როგორც კაცი, შიშისაგან დაფეთებული,
ელდანაკრავი რომ ვერ ასწრებს იმის დანახვას,
- 28 რაც თავად საფრთხის მიზეზია, ასეთ წუთებში
ანაზღვეულად თვალს აცეცებს და მაინც გარბის,—
ისე შეებრუნდი, შევტრიალდი და დავინახე:
- 31 როგორ ამოძვრა კლდის ქონგურზე ეშმაკი შავი.
ო, რა საზარი იყო იგი შესახედავად,
ცქვიტი, ფეხმარდი და გაშლილი ზედ ესხა ფრთენი.
- 34 ზურგზე მოეგდო მას ცოდვილი, ხოლო ჭანგებით,
მოსქიდებოდა საცოდავის ფეხისა ტერფებს.
„ავჭანგვიანო, ხიდის ჩვენის მცველნო გუშაგნო,—
- 37 ჰყვიროდა იგი, — „ჰა, ერთ-ერთი სანტა ციტასი,
„უხუცესია ეს ცოდვილი და ძირს ჩაუშვით.
„ამის მაგვარნი იმ ქალაქში კიდევ ბევრია,
- 40 „და მე ახლავე იქ მივდივარ მათ მოსაყვანად.
„ციტაში ყველა ბუნტუროს ერთის გარეშე
„შესაძლო არის მოიყიდოთ ხელის ქუქყითა.
- 43 „ციტაში ფულთი „ჰო“-დ იქცევა ერთბაშად „არა“.
და გადაადგო, ხოლო თვითონ წვეტიან ქიმზე
გადმოირბინა ისე მარდად, როგორც ვერც ერთი
- 46 ეზოს ქოფაკი ქურდს ვერ გასდევს გამალებული.
ცოდვილი სული ძირს დაეშვა და ეშმაკები
ჩასაფრებულნი იმ ხიდის ქვეშ ჩხავოდენ ასე:
- 49 „აქ აღარ არის წმინდა ხატი, და სულ სხვა გვარად
„გმართებსო ცურვა, ვიდრე იგი წინად გვჩვეოდა
„იქ, საიქიოს მობანავეს სერჩიოს წყალში.
- 52 „მიტომაც თუ გასურს არ მოება ჩვენს ანკესებზე,
„სჯობს ფისის ტბიდან არ ამოჰყო ზევითკენ თავი“.
დაარქვეს ზურგზე ასზე მეტი ბედშავს ჩანგალი,

36. ავჭანგვიანი — დანტე: Malebranche—ასე უწოდებდნენ დანტე იმ ეშმაკებს, რომელნიც ამ ჯურღმულების ხიდებს დარაჯობენ.

37. იგულისხმება ქალაქ ლუკკას უხუცესნი, ამ შემთხვევაში კომენტატორების აზრით დანტეს მარტინო ბოტავიო მყოფია სახეში.

50. სერჩიო (Serchio)—მდინარეა ქ. ლუკკას ახლოს იტალიაში.

- 55 ეუბნებოდენ:—„ნებიერად იყურეულაღე“.
სწორედ ასევე შხარეული ხორცისა ნაჭკრს,
ატივტივებულს ჩააბრუნებს ჩანგალით ქვაბში.
- 58 ქველი ოსტატი მეუბნება:—„გაუჩინარდი,
„შეძვერი სადმე კლდისა ღრუში, რომ გექნეს მყუდრო
„თავშესაფარი, ხოლო ჩემი ნულარ გაქვს დარდი,
- 61 „ჩემთვის ყველანი ნაცნობია ამ გარემოში,
„და არა ერთხელ გავრეულვარ ამგვარ ბრძოლაში“.
მითხრა ოსტატმა, გაიარა უშიშრად ხიდი;
- 64 როცა მეექვსეს რიცხვით ნაპირს მან მიაღწია,
შესდგა ერთბაშად და მედგარმა შექმუნა შუბლი,
როგორც ძაღლები დაღრენილი, გაშმაგებულნი
- 67 მივარდებიან კბილთა ღრუნივით ვინმე მათხოვარს,
ასე ეშმაკნიც იმ ხილიდან გამოცვენილნი
მივარდნენ ოსტატს, დაემუქრენ რკინის ჭანგებით.
- 70 შესძახა მაშინ გაცოფებულთ მეგზურმა ჩემმა:
„გიჯობთ რომ დასცხრეთ ესოდენად ამბოხებულნი
„ვიდრე ხელს მახლებთ, მე მგონია, ის გირჩევნოდეთ
- 73 „დაწინაურდეს, მომისმინოს ვინმემ თქვენგანმა.
„და ამის შემდეგ შეგიძლიათ ამკუწოთ წვრილად.
ყველამ ერთბაშად დაიჩხავლა:—„წა, კუნდაცარავ“.
- 76 მყისვე შეჩერდნენ, მხოლოდ ერთი დაწინაურდა.
ახლოს მოვიდა ჩემს ოსტატთან და ეუბნება:
„ამ გარემოში რას აკეთებ, რას დაყიადობ?“
- 78 „ნუ თუ გგონია კუნდაცარავ,—უთხრა ოსტატმა,—
„მე ვეწვეოდი ამ გარემოს, ნება უფლისა
„რომ არ მფარვიდეს და განსაცდელს თქვენგან მოვლენილს
- 82 „არ მარიდებდეს ყოვლადშემძლე განგების ხელი?
„გზა დამიცალე, ვინაიდან ხედავენ ცაში,
„ვინმე კაცთაგანს რომ ვმეგზურობ ამ ველურ გზაზე“.

70. მალაკოდა, ტექსტში: Malacoda, ფიორენტინოც ხმარობს „მალაკოდას“ გერმანელები: Grauschwanz, grauschweif—კუნდაცარა.

- 85 წამს ეშმაკეულს სითამამე გამოელია
და ძირს დაუშვა რკინის ქანგი ზეშემართული.
შებრუნდა უცებ, გადასძახა იქვე თავის ტოლს:
- 88 „ვაგლახ, ჩვენ იმას ვერას ვავენებთ და ველარც მოვკლავთ“.
ჩემი მეგზური მომიბრუნდა და შემესიტყვა:
„შენ ჰეჲ, ხიდს ქვეშ მიჩქმალულო ნაპრალეხს შორის,
- 91 „გამოდი მყისვე, უშიშარად მომიახლოვდი“.
ზეწამოვიჭერ და სირბილით მას მივაშურე,
ეშმაკეულნიც თან მოგვსდევდნენ გაწბილებულნი.
- 94 მე კი შიშისგან ვცახცახებდი, რადგან მეგონა
ისინი უკან წაიღებდნენ აღთქმას დადებულს.
მე ვნახე ასე შიშისაგან რომ თრთოდენ სპანი
- 97 კაპრონას ციხე მტერს რომ მისცეს პირობის ძალით,
როცა შეხედეს გარს ეხვიათ მტრისა ლაშქარი.
მეც ამიტომაც ზედ ვეკვროდი ტანზე ჩემს ოსტატს,
- 100 და წამდაუწუმ ეშმაკეულთ ვუთვალთვალეხები,
რადგანაც მათი საქციელი მე მაეჭვებდა.
ძირს დაშვებული თან მოჰქონდათ რკინის ქანგები,
- 103 ერთი მეორეს შესცქეროდა — ეუბნებოდა:
„თუ გინდა ცოტას შევეხები ზურგზე ქანგითა“.
„მოფხანე ცოტა“, — უპასუხა ერთმა მეორეს.
- 106 მაგრამ დემონი, ჩემს მეგზურს რომ ესიტყვებოდა,
მობრუნდა მყისვე, გადასძახა თავის ამხანაგს:
„კმარა, იყურე, გეუბნები შე ჩხუბისთავო“.
- 109 მერმე მან ჩვენსკენ შეიბრუნა იჩქითად პირი
და გვეუბნება: — „თქვენ ამ გზაზე ველარ გაივლით,
„რადგანაც არკა აქაური, რიცხვით მეექვსე,
- 112 „დამსხვრეულია, ნამუსრევი გადარჩა მხოლოდ,
„და თუ გწადიათ გზა განაგრძოთ ამ მხდამოში,
„გირჩევთ ეს მღვიმე გადალახოთ და მოშორებით

97—98. კაპრინა, პიხელების ციხე, 1290 წ. გველფების მიერ კაპიტულაციით აღებული.

- 115 „თქვენ შეგიძლიათ გადიაროთ მეორე ხიდი.
„გუშინ შესრულდა ამის შემდეგ ათას სამოცი
„და ექვსი წელი, რაც ის ხიდი ჩანგრეულია.
- 118 „ხუთი საათიც მიუმატეთ, თუ გსურთ სიზუსტე.
„ახლა იმ მხარეს ვავაგზავნი მე ჩემიანებს,
„რათა ფისიდან ამოგვკარონ წამებულები.
- 121 „თქვენ მათ მიენდვეთ, და ისინი გზას გიჩვენებენ.
„დაწინაურდი, ალიჩინო, კალაკაბრინა. —
ყვიროდა იგი — შენ კაჯნაჩო, ბარბარჩია,
- 124 „შენ ინიშნები ათეულის უფროს მეგზურად,
„წა, დრაგინაჩო, ჩირიატო და ლიბიკოკკო,
„და შენც ფარფარელ, რუბიკანტე გადარეულო,
- 127 „შენაც გაჰყევი ამხანაგებს, გრაფიკანე.
„გადაიარეთ აღულებულ ფისის მორევი,
„და ეს პირები მიიყვანეთ შემდეგ ხიდამდის,
- 130 „რომელიც ჯერაც უფსკრულებზე აღმართულია“.
„ოსტატო ჩემო, — მიუბრუნდი ახლა ჩემს მეგზურს, —
„ვამე, ეს რა დაინახეს ჩემმა თვალებმა,
- 133 „გვიჯობს ვიაროთ უმეგზუროთ ჩვენ ამ ჯურღმულში,
„შენ შეგიძლიან კვლავინდებურ დარბაისლობით
„გზა გაიკვლიო, მე კი მიძიმს მათი დანახვაც;
- 136 „ხომ ხედავ როგორ უკაწაწებთ ბასრი კბილები,
„შეკმუხვნილ წარბებს ზედ ემჩნევა ავნი ზრახვანი“.
„ნუ გეშინია, — მიპასუხა ოსტატმა ჩემმა, —
- 139 „ამ კბილთა ღრქენით იმ ცოდვილებს ემუქრებიან,
„ფისის მორევეში რომ უწყალოდ იხარშებიან“.
ეშმაკეულნი შეტრიალდნენ მყისვე მხარმარცხნით,
- 142 ახლა მათ ენა გამოუყვეს თავიანთ უფროსს,
გაუდგენ გზასა, და მთავარმა ეშმაკეულმა
უკანალიდან მოგვასმინა დუღუკის ხმები.

108. იტალ. ტექსტში: Scarmiglione — ჩხუბისთავი, მოჩუბარი, ავარა.

142. ნამუსრევი — ნაფტქენევი, ნაფხენი, ნანგრევი.

123, 124, 125, 126, 127. კაგნატო, ბარბარჩია და სხვ. ეშმაკეულების სახელებია.

თბა მონტაჟი

მინახავს გასვლა ბანაკიდან ცხენოსნებისა,
მათი ფიცხელი იერიში, მათი ალღუმი,
უკან დახევა და გაქცევა მტერთაგან მათი.

4 ო, მე მინახავს თავდასხმანი თქვენს ქვეყანაზე,
არეცოს მკვიდრო! მე მინახავს კავალკადები,
მინახავს, როგორ გამართულა ტურნირზე ბრძოლა,

7 ხან ბუკთა ხმაზე, ხან ზარების ჩამორეკვაზე,
ხან დაფაფთ გრავინების, ხან ციხეთგან ნიშნის მიხედვით,
როგორც ჩვენსას და უცხო ქვეყნებს სწევით, ისე.

10 მაგრამ არასდროს არ მინახავს ამგვარი სტიკის
ხმაზე ვიდოდეს ქვეითი ან ცხენოსანი ჯარი,
• ან ხომალდები კანდელთა თუ ვარსკვლავთ ნიშანზე.

13 ჩვენ ათ დემონთან მივდიოდით. ო, საშინელი
თანამგზავრები! მაგრამ ხომ ვართ ტაძარსა შიგან
წმინდათა გვერდით, ტავერნაში ღორმუცელებთან.

16 და მაინც კიდევ თვალთახედვას არ ვაცილებდი
ფისს, რომ მენახა მე მთლიანი სივრცელე მღვიმის,
და შიგ ცეცხლსა და გენიაში შთაყრილნი სულნი.

19 ვით დელფინები, მოღუნული ზურგების რკალით,
ცნობას აძლევენ მენავეთა, რომ ახლოვდება
ჟამი, როცა მათ ნავის ბედზე უნდა იზრუნონ,

22 სწორედ იმგვარად ზოგიერთი დასჯილთაგანი
გამოჩნდებოდა ზედაპირზე შებნისთვის ზურგით,
და კვლავ ელვაზე უსწრაფესად იმალებოდა.

25 და ისე, როგორც კაობების სიღრმიდან ბაყაყთ
ამოუყვითა ზედაპირზე ტუჩები, ხოლო
ფეხებს და ტანის სხვა ნაწილებს ლაფში მალავენ,

7. ციხის ქონგურებიდან ცეცხლის ნიშნებისა და დროშების საშუალებით
განგაშის ატება.

20. Delphinus—დელფინების, ზღვის ღორების თამაშზე ავდარის მოახლოებას
ატყობენ მენავეები. თვით პლინიუსი იუწყება: „ეს ცხოველები ზღვაურის მოსვლას
გვაუწყებენ და ზღვაურიც იქიდანვე მოდის, საიდგანაც თვითონ მოცურავენ“.

* * * კონსტანტინე კიჟინაძის მიერ თარგმნილი.

28 ყოველი მხრიდან ამოეყოთ ცხვირები ცოდვილთ,
მაგრამ როგორც კი თვალს მოჰკრავდნენ ბარბარიჩიას,
ელვის სისწრაფით ჩაძვრებოდნენ მღულარე ფისში.

31 მე დავინახე—ო, ახლაც კი მიკვნესის გული,—
ერთმა დამალვა ვერ მოასწრო, ისე ვით ერთი
რჩება ბაყაყი, როს მეორე გაშვება წყალში.

34 გრაფიკანომ, მის მახლობლად მდგომარემ, მაშინ
მოსდო ჩანგალი შავის ფისით გაქლენთილ თმებზე
და, როგორც წავი, ამოავდო იქიდან იგი.

37 მე ამ დემონებს სახელებით ვიცნობდი ყველას,
რადგან ვისმენდი ამოძახილს დარაზმების ჟამსა,
და მაშინ ოდეს მიმართავდენ სახელით ურთერთს.

40 „ჩაურბევე ზურგში, რუბიკანტე, შენი ჩანგალი
„შემოაგლიჯე, მოათლითე გარშემო ტყავი“,—
ხმაშეწყობილი გაისმოდა ქაჯთა ძახილი.

43 მაშინ მივმართე მე წინამძღოლს: „ოსტატო ჩემო,
„გამოარკვეე თუ შეიძლო, ვინ არის იგი
„ბელშავი, ვინაც ჩაუვარდა თავის მტრებს ხელში“.

46 მიუახლოვდა მას მეგზური და შეეკითხა:
„სადაური ხარ?“—უპასუხა ამაზე სულმა:
„მე ნავარიის სამეფოდან ვარ წარმოშობით.

49 „მამამ ოხერმა, ქონება და ჯანღონე თვისი
„როცა გაფლანგა, დედაჩემი წამიძღვა წინ მე
„და მიმიყვანა ერთ ბატონთან მსახურად. შემდეგ

52 „მე შემეყვარა გულკეთილმა თიბოტო მეფემ,
„და იქ სავაჭროდ გავიხადე წყალობა მისი.
„აი, ის ცოდვა, რომლის გამოც აქ ვიხარებ“.

55 და ჩირიატომ, ლაშებიდან ეშვები ვისაც
გადმოეყარა ორივე მხრით, ვით ტახს ველურსა,
საბრალოს ერთი ეშვთაგანი ამოჰკრა მაგრად.

58 თითქოს კლანჭებში ჩაუვარდათ ავ კატებს თავგი.
ბარბარიჩიამ მოუჭირა ხელები და სთქვა:
„ჯერ დამაცალეთ, სანამ კარგათ ავკრავდენ ჩანგალს“.

- 61 შემდეგ ამისა ოსტატისკენ მიიღო პირი და უთხრა:—„კიდევ თუ გსურს რამე შეიტყო მისგან, მიეცი კითხვა, ვიდრემდისინ შუა გავგლეჯდე“.
- 64 და თანამგზავრიც შეეკითხა:—„ხომ არ არიან „აქ ლათინები ფისში ჩაყრილ ცოდვილთა შორის?“ მან უპასუხა:—„ავერ ამ წუთს დავსტოვე ერთი,
- 67 „ვინაც სცხოვრობდა იტალიის მეზობლად თურმე. „ო, მეც ნეტავი იმასავით დავმალულიყავ, „არ მექნებოდა ამ ბრწყალთა და ჩანგალთა შიში“.
- 70 „აბა გეყოფა!“— შეუძახა აქ ლიბიკოკკომ საბრალო ცოდვილს, და ხელებზე ჩანგალი მოსდვა, შემდეგ გაჰკრა და აავლიჯა ხორცის ნაფლეთი.
- 73 დრაგინაცომაც მოინდომა ეტაცნა ხელი ფეხებში მისთვის, მაგრამ ამ დროს დეკურიონი მიბრუნდა მათკენ და მრისხანე შეავლო თვალი.
- 76 როცა ისინი ცოტაოდენ მიწყნარდნენ, მისვე მიმართა ჩემმა წინამძღოლმა შეკითხვით ცოდვილს, რომელიც ისევ დასცქეროდა იარას თვისას:
- 79 „სტევი, თუ ვინ იყო ის, რომელიც შენ მიატოვე „შეუფერებელ დროს ნაპირზე რომ გამოსცურე?“ მან უპასუხა:—„იგი იყო ბერი გამიტა.
- 82 „მმართველი იყო გალურისა, სიმრუდის ბუდე, „რომელსაც ხელში ჰყავდა თავის ხელმწიფის მტრები „და მათ მოეპყრა არა ისე, ვით შეჰფეროდათ:
- 85 „აილო მათგან, როგორც ამბობს, ოქრო და შემდეგ „თავისუფლება მიანიჭათ; სხვა შემთხვევებშიც „უპირველესი იყო იგი მექრთამეთ შორის.
- 88 „იმასთან ხშირად საუბრობს ღონ მიკელე ცანკე, „დე-ლო გადერო—დაუღლეღად ენანი მათნი „მუსაიფობენ სარდინიის ამბების ირგვლივ.

65. ლათინელებად დანტე სთვლის იტალიელებს, ეს იმ შემთხვევაში, როცა იტალიელებს ბერძნებს უპირდაპირებს.

- 91 „ო, მიიხედეთ, როგორ აღრქენს აგერ ის კბილებს! „გავაგრძელებდი მე აქ კიდევ საუბარს, მაგრამ „ვშიშობ, ხელახლა არ ამიწვას წყეულმა კანი!“
- 94 მაშინ მრისხანედ შეუყვირა დემონთ: ბელადმა ფარფარელოსა, რომელიც იქ თვალდაჭეტილი ლამობდა ცემას:—„დაიკარგე, ბილწო ფრინველო!“
- 97 „თუ გსურთ იხილოთ ტოსკანელნი ან ლომბარდელნი „და მოუსმინოთ, —განაგრძობდა შემკრთალი სული, — „მე შემიძლია ამ წუთშივე აქ გავაჩინო,
- 100 „ოლონდ ბრწყალები საშინელი ამა წყეულთა „მათ არ აკრთობდეთ და ამათი შურისძიებდეს „არ ეშინოდეთ: მაშინ აქვე მარტო მჯდომარეს
- 103 „მე შემიძლია შვიდი სული ამოვიწვიო; „საკმარისია დავისტვინო, ვითა სტვენს ხოლმე „ჩვენგანი, ვინაც ზე ამოჰყოფს ფისიღუნ თავსა“.
- 106 ამის გამგონე კანიაცამ ასწია ტუჩი და თავის ქნევით განაცხადა:—„უყურეთ ამას, „რა ეშმაკობა მოიგონა, ხელთ რომ დავვიძვრეს!“
- 109 მაგრამ ცოდვილმა—მას მრავალი გააჩნდა ხერელი— მიუგო:—„მართლაც ბოროტებას ვამყლავნებ დიდსა, „რომ ამხანაგებს აქ ვუმზადებ წამებას ძლიერს“.
- 112 ვერ მოითმინა ალექინომ და უთხრა ცოდვილს წინააღმდეგი მისი, რასაც ფიქრობდნენ სხვანი: „მანაც და მანაც, თუ ჩაყვინთავ, არა გღევ უკან;
- 115 „მე ფრთებს დავუშენ მარტოოდენ ფისის ზედაპირს. „ჩვენ გავსცილდებით კლდეს და, ნაპირს მოფარებულნი, „შეგებდავთ, ერთი თუ დავგვძვრები ხელიდან ამდენს“.
- 118 ო, შენ მკითხველო, დაინახავ შესაქცევს ახალს! პირი იბრუნეს დემონებმა მეორე მხრისკენ, და სხვებზე უმალ მან, რომელიც უარზე იდგა.
- 121 ამასობაში ნავარელმა იხელთა წამი, მიწას ქუსლები დააჰკირა, გადახტა უცებ და დემონების დევნისაგან განთავისუფლდა.

- 124 შეძრწუნდნენ ამით ღემონები, მეტადრე იგი, ვინც შეცდომაში შეიყვანა, ამიტომ ცოდვილს გამოედევნა ის ყვირილით:—„ვერსად წამიხვალ!“
- 127 მაგრამ ამაო იყო ეს ხმა: ღემონის ფრთებმა შიშს ვერ გაუსწრო—მსწრაფლ ჩაჰყვინთა ცოდვილმა ფისში, და ქაჯი ისევ უკუიქცა გაწბილებული.
- 130 ამგვარად იხვი გარეული მიილტვის წყალქვეშ, თავს რომ დაესხმის შევარდენი, რომელიც უკან ბრუნდება ცაში დარცხვენილი და დაღალული.
- 133 და კალკაბრინა, გულმოსული ამ მოღორებით, გამოედევნა ღემონს ფრენით, გახარებულნი, რომ გამოუჩნდა ამხანაგთან საბაბი ჩხუბის.
- 136 რა წამს ცოდვილი დაიმალა, მან მაშინავე თავის ამხანაგს მიაშურა კბილების ღრჭენით, და ჩააფრინდა მას ბრჭყალებით უფსკრულის თავზე.
- 139. მაგრამ ისიც ხომ ბრჭყალმაგარი მიმინო იყო, მყის შეეგება შემოტევას პირისპირ მარჯვედ, და ორივენი ჩაიძირნენ მღულარე ფისში.
- 142 სულ მოკლე ხანში შეარიგა სიცხემ ისინი, მაგრამ სითხიდან ამოფრენას ვერ ახერხებდნენ, რადგანაც ფისით გაიგლისა იმათი ფრთები.
- 145 ბარბარიჩიამ, სხეების მსგავსად უკმაყოფილომ, ოთხი ღემონი გააგზავნა ჩანგლებით ხელში მოპირდაპირე ნაპირზე, და დაუყოვნებლივ
- 148 დანიშნულ ადგილს ჩამოეშენენ ისინი სწრაფად, და გაუწოდეს თავიანთი ჩანგლები დაფლულთ, რომელნიც უკვე სანახევროდ მოხარშულყვენენ.
- 151 ამ განსაცდელში მივატოვეთ ჩვენ იქ ისინი.

ქება გიოცლასაჲმ

- მარტონი, გამყოლთ მოკლებულნი და მღუმარენი მივისწრაფოდით ჩვენ გზადაგზა, მე უკან, ის წინ, ისე ვით ძმანი გზად მიდიან მინორიტელნი.
- 4 ქაჯთა ურთიერთ წაკიდებამ მე მომაგონა ერთი არაკი ეზოპისა, არაკი, სადაც ლაპარაკია გომბეშოს და ვირთხის ბრძოლაზე.
- 7 ორი ერთგვარი მნიშვნელობის სიტყვის აზრშიც კი მეტი მსგავსება არ იქნება, ვიდრე მათშია, თუ შევადარებთ ჩვენ აქ იმათ თავსა და ბოლოს.
- 10 და ისე, როგორც ერთი აზრი ჰბადებს მეორეს, ამ აზრმაც ჩემში მყის წარმოშვა მეორე აზრი, რამაც თავზარი პირვანდელი გამოიორკცა.
- 13 მე გავიფიქრე: „ღემონები მოსტყუდნენ ასე ჩვენს გამო; ალბად ამ მიზეზმა დაჰბადა მათში გაგულისება და სიბრაზე განუსაზღვრელი.“
- 16 „თუ განრისხება შეეუღლა მათ ბოროტ ნებას, მაშინ ისინი დაგვესხმიან უთუოდ თავზე მეტ გააფთრებით, ვიდრე ესხმის ქოფაკი ქურციკს.“
- 19 და მე ვიგრძენი, რომ შიშისგან მთლიანად თმები ყალყზე დამიდგა. მივიხედე, მივმართე მეგზურს: „ოსტატო, თუ კი ამ წუთშივე არ დავიძალეთ,“
- 22 „შიში შემზარავს მე ახლავე დაწყევლილ კლანჭთა; უკან მოგვდევენ უსათუოდ, კიდევაც თითქოს „მესმის ყიჟინა და ხრიალი დაღვენებისა.“
- 25 მითხრა პასუხად:—„ტყვიასხმული რომ ვიყო მინა, მე მაშინაც კი უსწრაფესად ვერ ავრეკლავდი „შენს სახეს, ვიდრე გამოვიცან, რაც გელო გულში.“

5. ეს არაკი ეზოპისა ამგვარია: ვირთხა და გომბეშო დამოზილდნენ. გომბეშომ იღუმალ თავის ფეხზე გადააბა ვირთხის ფეხი. ვიდრემდის ხმელდახმელ მიდიოდნენ არა უშავდა. მაგრამ, როცა ზღვის კიდეს მიადწიეს, აქ გომბეშომ ისკუბა, მორევში ჩაითრია ვირთხა და დააბრჩო იგი.

- 28 „აი, ამ წუთში შეიყარნენ ჩვენნი ზრახვანი
„ერთსახოვანნი და აღძრულნი მიწებით ერთით;
„მათ თანხმობიდან მე ამგვარი გამომაქვს რჩევა:
- 31 „აგერ კლდე მარჯვნივ თუ ფრიალო არ არის ეგზომ,
„რომ ჩვენ ჩაშვება ალგვიკვეთოს შემდეგ მღვიმეში,
„მაშინ შევიძლებთ დავალწიოთ მღვეარებს თავი“.
- 34 ვერცკი მოასწრო გადმოეცა ეს აზრი ჩემთვის,
რომ მე დემონებს ფრთებგაშლილებს თვალი შევასწარ,
შორს აღარ იყვნენ, გამალბით მოჰქროდნენ ჩვენსკენ.
- 37 მაშინ სასწრაფოდ აღმიტაცა მეგზურმა ხელზე.
ამგვარად დედა, უეცარად ძილდაფრთხობილი
ყოველი მხრიდან მოწოლილი კოცონის მიერ.
- 40 წამოიჭრება, ხელს დასტაცებს ზვილსა და გარბის
თავგანწირული და მზრუნველი მისთვის ესოდენ,
რომ ძლივსლა ასწრებს სიშიშველენი დაჰფაროს თვისი.
- 43 კლდის სიმალიდან ჩასრიალდა ოსტატი ქვემოთ,
ზურგმიბჯენილი დაფერდებულ შუროზე, რომლის
ბოლო-ორწოხი სხვა მღვიმეში გადადიოდა.
- 46 არასდროს წყალი დაშვებული თავდაღმა ღარით,
რომ მოძრაობა მიანიჭოს წისქვილის ქვასა,
ისე სისწრაფით არ ეცემა ბორბალის ფარფლებს,
- 49 რა სისწრაფითაც დაქანებულ კლდის ფერდობებზე
ძირს წასრიალდა და ჩაეშვა მეგზური ჩემი,
თან რომ მივყავდი მე შეილივით ხელთ აყვანილი.
- 52 და როგორც ფეხი დააბიჯა ორწოხის ფსკერზე,
კლდის თავს მოადგნენ იმავე წამს სულნი ბოროტნი,
მაგრამ მე უკვე აღარ მქონდა მათ მიმართ შიში,
- 55 რადგან განგება უმაღლესი, რამაც ამ ქაჯებს/
ვალად მცველობა დააკირსა მეხუთე მღვიმის,
ნებას არ აძლევთ, რომ დადებულს გასცილდნენ ფარგლებს.
- 58 ჩვენ იქ ვიხილეთ ბრბო შეღებილ აჩრდილებისა;
მოკლე ნაბიჯით დადიოდნენ ირგვლივ ისინი,
და თან სტიროდნენ შეპყრობილნი სისუსტით თითქოს.

- 61 მათ ტანზე ეცვათ ჩამოშვებულ კაპიშონებით
ანაფორები, გამოჭრილი და შეკერილი
ისე, როგორსაც ატარებდნენ ბერები კელნის.
- 64 მოოქროვილი გარეპირით, შიგნით ტყვიისა
და მძიმე ესდენ, რომ ფრიდრიჰის ანაფორები
გეჩვენებოდათ შედარებით უმჩატეს ჩაღად.
- 67 მარადობისთვის მძიმე იყო ის მოსასხამი!
ჩვენ კიდევ მარცხნით მიუხვიეთ, გავყვიეთ სულებს
და თანაც მოთქმას, სევდით სავსეს, ვუსმენდით მათსას.
- 70 მაგრამ დაღლილი უმძიმესი დატვირთვის გამო,
ის საბრალონი ისე ნელა ადგამდნენ ნაბიჯს,
რომ თანამგზავნი იცვლებოდნენ ჩვენს გვერდით მუდამ.
- 73 მიემართე მეგზურს:— „გამონახე მათ შორის ვინმე,
„თავის სახელით და საქმით რომ იყოს ცნობილი,
„არ შესდგე, ისე მიმოავლე გარშემო თვალი“.
- 76 მაშინ, როგორც კი გაიგონა მათ შორის ერთმა
ხმა ტოსკანური, მოგვაძახა:— „შესდგით ერთ წუთს,
„თქვენ, ასე სწრაფად მიმავალნი ბნელ სივრცეებით!
- 79 ეგებ შეიტყოთ ყოველივე, რაცა გასურთ, ჩემგან“.
მაშინ მობრუნდა თანამგზავრი ჩემსკენ და მითხრა:
„მაშ დაუცადე და შეუწყე მის ნაბიჯს ფეხი“.
- 82 მეც შევიცადე. დავინახე ორი ცოდვილი,
თვალთ გვამცნობდნენ, რომ დაწვეის სურვილი ჰქონდათ,
მაგრამ ტვირთი და სივიწროვე გზის აბრკოლებდათ.
- 85 მომიახლოვდნენ, გამისწორდნენ და აღმაცერად
ხმაგაკმენდილნი მომაჩერდნენ; შემდეგ ამისა
ერთიერთმანეთს მიუბრუნდნენ და ამეტყველდნენ:
- 88 „აი, ეს ყელის მოძრაობით სჩანს ცოცხალია;
„და ხოლო თუ კი მიცვლილები არიან, მაშინ
„თავიდან როგორ აიცილინეს სამოსი მძიმე?“

65. აქ იგულისხმება ისტორიული გარდმოცემა: თურმე ფრიდრიჰ მე-II-ემ ტყვისაგან საგანგებო ანაფორები დაამზადებინა; ამ ანაფორებს აცმევდა იგი ტანტის მოღალატეებს და შემდეგ ცეცხლში გადაადგებდნენ მათ.

- 91 შემდეგ ამისა მე მომმართეს:—„ო, ტოსკანელო, „ვინაც შესძელი მოგელწია ფარისეველთა „სიველიან ბრბომდე, ვინაობა გვაუწყე შენი“.
- 94 მივეც პასუხი:—„დავიბადე და აღვიზარდე „მშენიერ არნოს ნაპირებზე, დიად ქალაქში, „და ვარ იმგვარად ხორცშესხმული; ვით ვიყავ დღემდე.“
- 97 „მაგრამ თქვენ, რომელთ ლაწვთა ზედან გადაფენილა „ესოდენ დიდი მწუხარება, გვითხარით ვინ ხართ, „ან რა სასჯელი გდევთ ესოდენ სხივმომფინარე?“
- 100 მომიგო ერთმა:—„ეს სამოსი მოოქროვილი „ჩამოსხმულია ტყვიისგან და ისეა მძიმე, „რომ დატვირთული სასწორივით ვქანაობთ მის ქვეშ.“
- 103 „მზიარულ ძმათა ორდენიდან ვართ ბოლონელი, „მე ქვეყნად მერქვა კატალანო, მას ლოდერიბგო; „მოურავებად აგვირჩია შენმა ქალაქმა.“
- 106 „ერთის მაგიერ მოურავი გაუჩნდა ორი, „და ბრწყინვალედაც დავიცავით მისი მშვიდობა, „რასაც გარდინგოს მიდამონი მოწმობენ დღემდე“.

102. სულის ტრიალსა და კენესას აქ დანტე მძიმედ დატვირთულ სასწორის ქრიალს ადარებს.

103. პაპის ურბან მე-IV დროს (ბოკაჩიოს ნაამბობია) რამოდენიმე აწნაურმა პაპს სთხოვეს, რათა მას ნება დაერთო მათთვის შინაურულად ბერების ორდენი შეედგინათ, მათ არ უნდა დასჭირებოდა არც მარხვა და არც ამ ქვეყნიურ ლხენისათვის ზურგის შექცევა. ისიც უნდოდათ, რომ თავიანთ სასახლეებში ეცხოვრათ და ფუფუნება არ დაკლებოდათ. ურბანმა ნება დართო, მაგრამ იმ პირობით, რომ ოქროს დეზები არ ეტარებინათ, და იარაღი ეხმარათ მხოლოდ „ურჯულთა და ეკლესიის მტერთა“ წინააღმდეგ. მათ უნდა ეტარებინათ მკერდზე წითელი ჯვარი და ერთი ვარსკვლავი, ხოლო ამ ორდენს „ღვთისმშობლის რაინდები“ უნდა რქნეოდა. როცა ისინი პაპის სასახლიდან გამოდიოდნენ, ვილაცამ გარსმოგროვილი ხალხის წრიდან შესძახა: „დახეთ ამ მზიარულ ბერებს“, და ამიერიდან მათ კიდევაც შეერქვათ ეს სახელი.

108. გ ა რ დ ი ნ გ ო —ერთერთი უბანია ბოლონიაში, ამ უბანში რამოდენიმე სახლი ჰქონდა უბერტის, გიბელინების პარტიის ბელადების გვარეულობას, ეს სახლები სამოქალაქო ომის დროს დაუნგრევიათ.

- 109 „ბერნო, — შევსძახე, — ბოროტება თქვენს მიერ“... მაგრამ სიტყვა ვერ დავსძარ ამის მეტი, რადგან შევნიშნე, კაცი მიწაზე მიმსკვალული ყავარჯნით სამით.
- 112 რა დამინახა, მყის შეთრთოლდა განრთხმული დაბლა, მძიმე ოხერით და აღმოფშვინვით აპბურძგნა წვერი. ამის მნახველმა კატალანომ მომმართა სიტყვით:
- 115 „ამ მიმსკვალულმა, რომელსაც შენ უტყერი ახლა, „ფარისეველნი დაბრივა, რომ ძე კაცისა „ხალხის გულისთვის ჯვარს გაეკრათ და დაესაჯათ.“
- 118 „აი, ხომ ხედავ, ტანშიშველი აგდია იგი „გზის გარდიგარდმო გაშოთვილი, დე განიცადოს „ყველას სიმძიმე, ვინაც იმას ფეხს დააბიჯებს.“
- 121 „იგივე სასჯელი დასტეხია სიმამრსა მისსა, „და ყველას, ვინაც ეს ურჩიათ, რაიც შემდეგ ში „თესლად გარდიქცა ებრაელთა უბედობისა“.
- 124 აქ მე შევნიშნე განცვიფრება ვირგილიუსის. ამ სამარცხენოდ, საუკუნოდ გაძევებული და ჯვარედინად დალურსმული კაცის წინაშე.
- 127 შემდეგ ამისა ერთ ბერთაგანს მიმართა კითხვით: „ეგებ შეგეძლოს, რომ გვაუწყოთ, მარჯვენა მხარეს „არის თუ არა იმნაირი გვირაბი რამე,
- 130 „რომლითაც გასვლას მოვახერხებთ ამ უფსკრულიდან, „ისე რომ შეველა არ დაგვჭირდეს შავ ანგელოზთა?“ მან უპასუხა: — „უფრო ახლოს, ვიდრე გგონია,
- 133 „ქედი მალალი მდებარეობს, რომელიც მოდის „უპირველესი კედელიდან და გადასერავს „გულწაშავებულს, ჩაბნელებულ ორწოხებს ყველას;
- 136 „გაწყვეტილია აქ იგი და ვერ ჰფარავს მღვმემს; „თქვენ შეგიძლიათ გადიაროთ ზევეების თავზე, „რომელნიც ჰფარვენ ფერდობსაც და ჯურღმულის ფსკერსაც“.

109. აქ დანტე განზრახ უპირდაპირებს ურთიერთს ქრისტეს წამებასა და ბერების გარყვნილებას.

126. ვირგილიუსი გაოცებულია იმიტომ, რომ ჯოჯოხეთში პირველად ჩასვლის დროს (ქრისტეს სკვდილამდე) გაიფა იქ ჯერ კიდევ არ იყო.

- 139 ჩემმა მეგზურმა ერთის წუთით დადრიკა თავი.
შემდეგ წარმოსთქვა:—„მოგვატყუა უთუოდ იმან,
„ვინაც გადაღმა წაწყმედილებს ჩანგლებით იჭერს“.
- 142 სთქვა ერთმა ბერმა:—„მე მსმენია ბოლონიაში,
„ბევრი აუგი ეშმაკისა; ამბობდნენ, რომ ის
„მატყუარაა, ცბიერი და სიცრუის მამა“.
- 145 მაშინ მეგზური გაემართა ჩქარის ნაბიჯით;
სახეზე რისხვა მოჰფენოდა; მეც დავანებე
უმძიმეს ტვირთით წელგაწყვეტილ აჩრდილებს თავი
- 148 და თან მივყევი უძვირფასეს ფერხთა ნატერფალს.

ქაბა გიოცღაოთხე

- წლის დასაწყისის ისეთ დროში, როს მზე ისველებს
ოქროს დალალებს განბანილებს ვერსოს ურნაში,
როდესაც ღამე ხანგრძლივობით დღეს დაეწევა,
- 4 მინდვრების ყინვა თეთრად კაზმავს დაძას დღისას,
მაგრამ მცირე ხნით თუ შერჩება მას ეს სითეთრე,
სოფლელი კაცი ნახავს როგორ ელევა სარჩო,
- 7 შეავლებს თვალებს ყინვისაგან მოვერცხლილ ქალებს,
ხელებს დაუშვებს უიმედო, სასომიხდილი,
შინ შებრუნდება და ვაგლახობს გულშემოყრილი,
- 10 და აღარ იცის რა გააწყოს, რა მოაგვაროს.
მაგრამ აქ გულში აღეძრება სულ სხვა იმედი,
და რა შეიცნობს რომ ქვეყანას ანაზღეულად
- 13 უცვლია სახე, წამოავლებს ხელს თავის კომბალს,
და ცხვარს გარეკავს ფარეხიდან შიშველ მინდვრებში,
მეც ასე შევკრთი, როცა ვნახე ჩემი ოსტატი
- 16 დაღონებული, მოწყენილი, შუბლშეკმუხნილი.
მაგრამ სულ მალე დამიამა მან გულის წყლულნი,
როცა ორთავემ მივალწიეთ ხიდს ჩამონგრეულს.
- 19 უკან მობრუნდა, შემომხედა მეგზურმა ჩემმა,
და მზერა მისი იყო ეგზომ სათნო, კეთილი
და ვნახე იგი იმავ კორდის ფერხთით მდგომარე.
- 22 შესდგა, მცირე ხანს შეყოყმანდა, ანაზღეულად
გაშალა მკლავნი, მიაშტერა მზერა ნანგრევებს,
გაშალა მკლავნი, შემომხვია ირგვლივ ხელები.
- 25 როგორც მავანმა კაცმა გამრჯემ დარბაისლურად,
წინ დახედულმან და გამსჭვრეტმან მომავალისამ,
მან ამიყვანა მთის ზეთავის ერთ საფეხურზე,

21. იფულისხმება იგივე კორდი, სადაც პირველად შეხვდა დანტე ვირგილ-
უსსა უდაბურ ტყეში.

* * კონსტანტინე გამსახურდიას მიერ თარგმნილი.

- 28 მეორე ხელით მანიშნებდა, მეუბნებოდა:
„აცოცდი ფრთხილად იმ ქვის ბელტზე, თანაც გასინჯე,
„თუ შეუძლია დაგვიმაგროს და შეგიკავოს“.
- 31 ეს არ ყოფილა გზა მანტია მოსხმულ ცოდვილთა,
რადგან ჩვენ ორნი (ის მსუბუქი ვითარცა ლანდი,
მე კი ოსტატსა თან მივყავდი სულ ზევით, ზევით),
- 34 ფრთხილად ვიდოდით, მივფორთხავდით კლდიან ბრეკებზე.
და რომ ფერდობი ამ მხარეზე უფრო ნაკლების
სიგრძე-სიგანის, აღნაგობის არ ყოფილიყო,
- 37 მე უსათუოდ ვერ გავძლებდი, დავეცემოდი,
ვინადგან მღვიმის შესავალთან ჯურღმულის ყელი
აღმართისაკენ იყო ცერად დაქანებული,
- 40 და ყოველ ტაფობს ცალ მხარეზე უვლიდა ფლატე
და მეორეზე ჩაზნექილი ჰქონდა ნაპირი.
ბოლოს ორივემ მივალწიეთ გორაკის ზეთავს,
- 43 სად ნამუსრევი ნანგრევისა კიდევ ეყარა.
ფილტვები ჩემი დაიშრიტა მძიმე სუნთქვისგან,
ველარ შევსძელი სიარული და მოვიკეცე.
- 46 „ამიერიდან სიზარმაცე ხამს დაიოკო,
„რადგან ბუმბულში ნებივრობით და ფუფუნებით
„ჯერაც დიდება და სახელი არ მოხვეჭილა.
- 49 „და ვისაც უქმად ეს სიცოცხლე უტარებია,
„მისგან იმდენი დარჩენილა კვალი ამ ქვეყნად,
„რამდენსაც კვამლი, ან ზღვის ქაფი დასტოვებს ხოლმე.
- 52 „აღსდევ, მოთენთვას მოერევა ძლიერი სული,
„ყოველგვარ ბრძოლას ის მოიგებს გამარჯვებული,
„ვის მხნეობასაც ვერ დათრგუნავს ტვირთი ხორცისა.
- 55 „ჩვენ მოგვიხდებდა უფრო მაღალ მწვერვალზე ასვლა.
„აქედან გასვლა როდი ნიშნავს მიზნის მიღწევას,
„გამოიყენე თუ გაიგე ეს ნაუბარი“.

55. აქ იგულისხმება მე 8 არკაზე ასვლა, ან არა და მეორე ჰემისფეროში გადასვლა, და საღმრთოებელიდან—მიწიერ სამოთხემდის.

- 58 ზე წამოვიქერ, ვაჩვენებდი ოსტატს მეტ ძალას,
ვიდრემდის მქონდა მე იმ წუთას მუხლში და მკლავში.
ვარქვი:— „ოსტატო, მაშ ვივლინოთ, მოგყვები მხნეთა“.
- 61 მივყევით ქიმებს ოღრო-ჩოღროს და გაუვალსა.
წინანდებურზე უფრო მეტად პიტალო კლდეზე
მივსდევდი ოსტატს და გზა და გზა ვესიტყვებოდი,
- 64 რათა მას ჩემთვის არ შეეტყო უსუსურობა.
მოულოდნელად გამოვარდა პირქუშ ხაროდან
ხმა, რომელშიაც ვერ შევსძელი სიტყვის გარჩევა;
- 67 ვერ გავიგონე, თუ ხმა იგი რას გვაუწყებდა,
რადგან იმ წუთში სწორედ ხილზე ვიყავ შემდგარი.
მხოლოდ ეს გახდა საცნაური მის მოსმენაზე—
- 70 განრისხებულის მოგვესმოდა ანჩხლი ძახილი,
ძირს დავიხარე, მივაყურე, მაგრამ ვერასგზით
კაცხორციელის ვერ წვდებოდა მზერა იმ ჯურღმულს.
- 73 „ოსტატო,—ვარქვი მე ჩემს მეგზურს,—ვეცადოთ ვინძლო
„გადავიაროთ გაღმა მხარეს შევდგეთ იმ თხემზე,
„რადგან აქ მდგომსა მე არ მიჭრის თვალი და ყური“.
- 76 „მე საქმით გაგცემ ამის პასუხს,—მან მიპასუხა,—
„რადგან სურვილი მართებული, სამართლიანი
„ხამს რომ შესრულდეს და მოგვარდეს ღუმლის დაცვით“.
- 79 და მივალწიეთ ხილს გასულთა ნაპირსა მერვეს,
და მეც ჰალაკი საშინელი მიმოვიხილე;
აქ ვნახე როგორ ზიზზიმებდა გველების ხროვა.
- 82 მარტოდენ მათი მოგონებაც ჟრჟოლას მგერის ტანში.
თავი ნუ მოაქვს აწ ლიბიას უდაბნოებით,
თუმც იქ ბევრია ჩელიდრები, ფარე, იაკული,

83. ლ ი ბ ი ა—აფრიკის ერთ-ერთი პროვინცია, ეს პროვინცია განთქმულია თავისი არაჩვეულებრივი ცხოველებითა და ქვეწარმავლებით.

84—85. ამ ლექსში ხსენებულნი ცხელი ქვეყნების გველებია, და ბუნებრივია მათი სახელების გადაქართულება უსაზნო იქნებოდა. დანტეს ტექსტში ასეა: cheldri—წყლის ანკარა, iaculi—გველისარა, მაისის გველი ისარივით გამართული ეკვეთება თავის მსხვერპლს, cencri—ტარტულებიანი ასპიტი. farree—„მოცეკვავე“ გველი. amfisibena—თავი და კუდი თანაბრად მრგვალი აქვს, და ამიტომაც ძველებს ეგონათ—იგი როგორც წინ, ისე უკუსვლას ახერხებდა, მე მგონია, ეს ქართული ძლიოკვი, ანკარა უნდა იყოს.

- 85 თუნდ კრელი ჩენკრი და მომრგვალო ამფისიბენა. არცა ლიბიას, მეწამულ ზღვას, ეთიოპიას ჯერ არასოდეს ქვემძრომები ესდენ მრავალი
- 88 და საშინელი თვის მიწაზე არ მოსწრებიათ. ამ გაშმაგებულ და შხამიან გველთა ხროვაში შიშველი ხალხი ირეოდა სასომიხდილი.
- 91 ჰელიოტროპი, ან საფარი ენატრებოდათ. ზურგზე ხელები ჰქონდა ყველას გველით მიბმული, წელზე, კისერზე, თეძოებზე და სარცხვინელზე.
- 94 საბელბივით დაღვარჭნილი გარს ერტყათ გველნი. ჰა, გამოჰქანდა შხამიანი ასპიტი ერთი, და გამოუდგა ჩვენს მახლობლად მდგომარე ცოდვილს,
- 97 დაგესლა იგი იმ ადგილას, სადაც კისერი მხრებს უერთდება, დაიკლანა ცოდვილი იგი. თქვენ ასე სწრაფად ვერც ონს დასწერთ და ველარც ინსა,
- 100 როგორც ის ცეცხლში გაეხვია და დაინაცრა. შემდეგ ამისა, ძირს დაეცა ფერფლად ქცეული, ისევ წამოდგა, გადაიქცა ხელახლად ლანდალ.
- 104 ასე კვდებაო, მოგვითხრობენ მისანნი ძველნი, თჳვად ფენიქსიც და ხელახლა დაიბადება, თურმე, როგორც კი გაუხდება ხუთასი წელი.
- 106 მთელს სიცოცხლეში არც ბალახს სჭამს და არცა იჟქლსა, ამონისა და საკმეველის ნაზი ცრემლები საზრდოა მისი სანუკველი, და სიკვდილის ჟამს
- 109 მური და ნარდი სარეცელად დაეფინება. და როგორც კაცი გათვალული, დემონებისგან ან სულისხუთვით გათოფვილი, ღონემიხდილი

91. ჰელიოტროპი—მუქლურჯი ხვითო. ჯადოსნური ქვა, ძველებს ასე სწამდათ. ვისაც ეს ქვა ჯიბეში ჰქონდა, ყოველ წუთს შეეძლო გაუჩინარება.

105. ფენიქსი Phoenix—ძველ ეგვიპტელთა მითოლოგიის მითური ფრინველი, რომელიც სიკვდილის მოახლოვებაზე დაიფერფლება და შემდეგ კვლავ აღსდგება. იხ. ფასკუნჯი, საბა ორბელიანის ლექსიკონში.

105—109. დანტეს კონენტატორების აზრით ეს ადგილი დანტეს ოვიდის მეტამორფოზების მე-15 თავიდან უნდა ჰქონდეს აღებული.

- 112 ძირს დაეცემა და ხელახლა ზეიპრება, მიმოიხედავს, დაბნეული, ელდანაკრავი, რა საცნაურს ყოფს წამიერად გამოვლილ ძრწოლას,
- 115 ასე წამოდგა ის ცოდვილიც, რა გამოფხიზლდა: ო, შემოქმედის უღმობელო მართლმსაჯულებაე, რა სასტიკი ხარ ასე მწარედ შურისმგებელი!
- 118 ჩემმა მეგზურმა გამოჰკითხა მას ვინაობა, მან უპასუხა:—ტოკანოდან გადმომისროლეს „ამ საზარელად დაბჩენილი ჯურღმულის ყელში.
- 121 „ნამდვილ პირუტყვეულს ვეწეოდი მე იქ ცხოვრებას, „სწორედ იმნაირს, ვით შეშვენის ჩემებრ ჯორცხენას, „და პისტოაა გახლდათ, ჩემი თავშესაფარი“.
- 124 მივმართე მეგზურს — „შეეკითხე, თუ რანაირმა „დანაშაულმა ჩამოაგდო ის ამ უფსკრულში? „ვისაც ოდესღაც მე ვიცნობდი სისხლის მხვრეპელად“.
- 127 და იმ ცოდვილმა გაიგონა ჩემი ნათქვამი, არ დაგვემალა და მოგვაპყრო გულისაყური, შემოტრიალდა და შეფაკლდა სირცხვილისაგან.
- 130 „სავალალოა, —გამოსთქვამდა ის გულის ტკივილს, — „შენ ამ უფსკრულში რომ შემომხვდი ასე ბედითად, „აქ უფრო მეტი მწუხარება მერგო მე წილად,
- 133 „ვიდრე ის შემხვდა იმ ქვეყნიდან წამოსვლის ჟამსა. „არც შემიძლიან მაგ წადილი არ ავისრულო. „უფსკრულს შთამაგდეს მე, რადგანაც წმიდა ჭურჭელი
- 136 „საკურთხევილიდან მოვიპარე მუხანათურად, „და ჩემს მაგიერად სხვას დაბრალდა დანაშაული. „მაგრამ იმისთვის, რომ არ გეკრას მოშაინური
- 139 „ლიმილის დამლა მაგ ბაგეზე, მართებულაა, „ოდესმე თავსა თუ დააღწევ ამ ბნელ სავანეს. „მომაპყარ სმენა, ყურად ილე ჩემი ნათხრობი.

123. აქ იგულისხმება Vanni Larzeri Fuccio Lazzeri-ს ბუში ამიტომაც „ჯორცხენას“ უწოდებს მას დანტე. ფრიად ფანატიური წვერი შავების პარტიისა, დანტეს თანამედროვე

133. ვანი უფჩიმ გასძარცვა სან-ჯიაკობოს ეკლესია.

- 142 „შავეებისაგან გასწმენდავენ აწ პისტოაას,
„შემდეგ მცხოვრებლებს და ზნეს იცვლის თვით ფლორენციაც,
„ვალდიმაგრადან გამოიწვევს გრიგალს მარიხი,
- 145 „ბნელი ღრუბლების ასაბიით გარემოცულსა.
„გაიმართება დაუცხრომელ ქარიშხალის დროს
„პიკენის ველზე ულმობელი მძვინვარე ბრძოლა.
- 148 „იჩქითად ნისლი გაიპობა, გაიფანტება
„და მაშინ თეთრებს არ ასცდება განადგურება.
„ამას მოგითხრობ, რომ მოგტკლა ამ ამბით გული“.

142. იგულისხმება შავეების პარტია.
143. აქ დანტე მარჩეზე მალესპინას აღარებს გრიგალს. ვალდიმაგრაში იყო მისი საუფლო. ე. ი. ომის ღმერთი მარიხი (მარსი) გამოიწვევს შავეების ლაშქარს.

ქება მათხრობით

ესა სთქვა ქურდმა და ხელები ასწია ზევით,
და სამი თითით გააკეთა დაცინვით ბრაწი.
წამოიძახა:—„ღმერთო, შენი არ მეშინია.

- 4 „მას შემდეგ, რაც მე აქ ასპიტებს დავუმეგობრდი“.
გველთაგან ერთი მყის კისერზე შემოეხვია,
ხმა გაკმინდევო—თითქოს ამას ეუბნებოდა.
- 7. მეორეც უცბად შემოერთყა ცოდვილს მკლავებზე,
შემოეტმანსა მთელს სხეულზე, შეჭკრა, შეჭკოჭა,
რად არ იქცევი ნაცარტუტად ო, პისტოაა,
- 10 რად არ გაჰქრები უჩინარად ქვეყნის პირიდან,
რადგანაც შენსა გარყენილებას არ უჩანს ბოლო,
თვით ჯოჯოხეთის დაბნელებულ ჯურღმულთ წიაღში,
- 13 არ შემხვედრია უფრო მეტად მგმობელნი ღვთისა,
მათ იგიც ველარ შეედრება, ვისაც ოდესღაც
თებეს მახლობლად ძალადობით მოუღეს ბოლო.
- 16 გაიქცა იგი, გაგვეცალა სიტყვის უთქმელად,
თვალი მოეპკარი ვით მორბოდა გაცოფებული
კენტავრი ერთი, აღრენილი გაიძახოდა:
- 19 „საით წავიდა იგი მრუში და გულარძნილი?“
ვგონებ მარემაც იმდენ გველებს არ ასაზრდოებს,
რამდენიც კენტავრს დაჯორგვილი მიჰქონდა ზურგით.
- 22 ურჩხული შავი, ფრთა გაშლილი აჯდა ქეროზე,
პირდაბჩენილი ცეცხლს აფრქვევდა გზად შემოხვედრილს.
ჩემი მეგზური მეუბნება:—„ეს არის კაკუს,

2. საშუალო საუკუნოებში, როცა ქ. პისტოაასა და ფლორენციას შორის მუდმივი ქიშპი იყო, პისტოაელებს აუგიათ ქვის სვეტი, რომელზედაც გამოკვეთილი იყო ბრაწიანი ხელი, ფლორენციისაკენ მიშვერილი.

19. იგულისხმება ვანი ფუჩჩი.

21. იხ. მეცამეტე ქების შენიშვნები—„მარემა“

24. კაკუსი.—ფულკანის შვილი, რომელიც ავენტინის მთის ერთ გამოქვაბულში სცხოვრობდა, ჰერკულესს 4 ზროხა და 4 ხარი მოჰპარა, რისთვისაც ჰერკულესმა მოჰკლა იგი კიდევაც.

- 25 „რომელსაც თურმე ავენტინის მთისა ფერდობთან
„სისხლისა ტბები არა ერთხელ დაუქცევია.
„ის გამოთიშეს ამ ქვესკნელში თვის ტოლებიდან,
- 28 „რადგანაც ჯოგებს გზად შეხვედრილს ახრჩობდა იგი.
„და ამ ურჩხულის ხელმრუდობას მოულო ბოლო
„მძიმე ხელცულმა ძალოსანის ჰერკულესისამ,
- 31 „თუმცადა ასში ათი კეტიც არ მოხვედრია“.
როცა ვირგილი მომითხრობდა ზემოდ ნაამბობს,
ურჩხული მარდად მიჰქროლავედა ჩვენს სიახლოვეს.
- 34 აჩრდილი სამი შემოადგა იმავე ხიდსა,
სადაც ჩვენ ორნი ვსაუბრობდით, განზე გამდგარნი.
არც ჩემსა ოსტატს და აღარც მე შემომჩნევია,
- 37 როგორ მოვიდნენ სამივენი ანაზღეულად,
მხოლოდ ეს იყო, შემოგვესმა ყივილი მათი.
„ჰეჰ, ვინა ხართ აქ მოსულნი“,— შეგვძახეს ერთხმად.
- 40 წამსვე შეეწყვიტეთ ჩვენ ორივემ აქ მასლაათი,
და გულისყური მივაპყარით ახლომოსულთა.
ვერ შევიცანი ვინაობა მათი ვერასგზით,
- 43 მაგრამ ეს მოხდა, ისე როგორც ხდება შემთხვევით
ერთი მეორის, იძულებით ახსენებს სახელს,
ერთი მათგანი ჰკითხულობდა:— „სადღაა კაანფა?“
- 46 და მეც ბაგეზე დავიდევნი იმ წუთში თითი,
რათა ჩემს მეგზურს დაეძაბა გულისაყური.
ვინძლო, მკითხველო, შენ დაექვდე ჩემს ნაამბობში,
- 49 მე ეს ამბავი საკვირველად არ მეჩვენება,
რადგან მე თავად ძლივს ვიჯერებ ჩემს მიერ ნახულს.
იმ წუთში, როცა შევსცქეროდი ახლომოსულებს,
- 52 ექვსფეხა გველი ზედ მიეჭრა ერთ-ერთს სამმთავანს
შემოეჭიდა, მოეხვია შუა თათებით
მუცელზე, წელზე შემოეჭდო გაცხარებული,

43. კაანფა დონატო გამოჩნდება ქვემოთ ექვსფეხიანი გველის სახით, იგი იჩქიზად გველად იქცა და ამიტომაც მოიკითხეს ამხანაგებმა.

- 55 წინა თათები შემოავლო მკლავებზე მჭიდროდ,
ორთავ ლოყაში გაუყარა ბასრი კბილები,
ქვედა თათები წაიგრძელა, თეძოებს მოსდო,
- 58 და გრძელი ბოლო გაუყარა თეძოთა შორის.
არასდროს სურო ასე მჭიდროდ ხეს არ ეხვევა,
როგორც ურჩხული აეტმანსა ცოდვილის სხეულს,
- 61 ერთი მეორეს გადაესკვნა, გადაეკვანძა,
ერთი მეორეს შეეხორცა და შეედულა,
თითქოს ჰქონოდათ მათ ორივეს დინდგელის ხორცი.
- 64 ფერი და ხორცი აირია და გაითქვიფა,
არც ერთს არ შერჩა აღნაგობა უწინდებური,
ასე ატყვია ცეცხლში დამწვარ ქალაღზე ლაქა
- 67 წაბლისა ფერი, როცა იგი დაიშრიტება,
დაჰკარგავს თეთრ ფერს და სიშავე ჯერ არ ხლებია.
ორივე სულმა დაინახა ეს საოცრება,
- 70 წამოიძახეს:— „ო, აგნელო, გეცვალა სახე,
„ამიერიდან არც ერთი ხარ და აღარც ორი“.
ორივეს თავი უკვე იქცა ერთ სახეობად.
- 73 როს ორი ლანდი წარმოგვიდგა ჩვენ როგორც ერთი,
და ერთ სახეში ორივენი გაერთიანდნენ.
მუცელი, მკერდი, თეძოები ისეთნი გახდნენ,
- 76 რომლისა მსგავსი ჯერ არავის არ მოსწრებია.
მთლად წაიშალა პირველადი ნაკვთები მათი
უცხო რამ სახე შეიცავდა ორმაგ არსებას,
- 79 და გაგვეცალა იგი დინჯი, ნელი ნაბიჯით.
ვით მარდი ხვლიკი ელვასავით სწრაფად მორბედი
გაიშლინგებს და მახლობელ ბუჩქს მიაშურებს,
- 82 ასე ორივეს შეუტია ასპიტმა ერთმა
(პილპილის ფერად მოხატული ჰქონდა პერანგი),
და ერთ იმათგანს შეანთხია გესლი სწორედ იქ,

- 85 საიდგანაც ყრმა რძით საზრდოობს დედის მუცელში, იქვე დაეცა გაშხლართული, სულგანაბული. დაჭრილმა სულმა გველს შეხედა გარინდებულმა,
- 88 წამს გაიჭინთა, გააზმორა და დაამოქნარა, თითქოს ხურვება დამართოდეს, მოსვლოდეს ძილი. გაშტერებული გველს უმზერდა, გველიც დაკოდილს,
- 91 ერთს დანაკოდი უხრჩოლავდა, მეორეს პირი, და გაერია ურთიერთში ორთქლი და შმორი. ლუკანი სდუმდა საბელუსის და ნასიდუსის
- 94 მწვავე ტკივილებს როს შეეხო და გაგვიმელავენა, აწ მოისმინეთ ყურადღებით აქ მოთრობილი. ოვიდიუსიც ბედშავ კადმუსს და არეთუზას
- 97 არ იხსენიებს და პოეტმა ერთი მათგანი გველად აქცია და მეორე ჩხრიალა წყაროდ, მაგრამ მე მაინც ეს არ მიჩანს სახარბიელოდ,
- 100 რადგან არასდროს მას კავშირი სხვადასხვაგვარი ურთიერთშორის გათქვეფილი არ მოუცია, ორივე ფორმას მატერია რომ გაეცვალათ.
- 103 შუა გაიპო გველის კუდი და დაკოდილის ორივე ფეხი შეეზარდა მყისვე ერთმანეთს თეძო, ბარძაყი მიეწებნენ ერთი მეორეს,

85. იგილისხმება კიბი.

92. საბელუს და ნასიდუს—კატოს ლაშქრის მეთაურები იყვნენ, პირველი მათგანი ხვლიკმა დაჭბინა და წამსვე დაიწვა, მეორეს გველმა უკბინა, იგი საშინლად დასივდა და მოკვდა.

95. კადმუსს თებენიდან ილირიაში გაიქცა და ცხოვრებისაგან მოქანცულმა გველად გადაქცევა ინატრა და მართლაც აუსრულდა სურვილი.

არეთუზას მდინარეთა ღვთაება ალფუს გამოუდგა, როცა არეთუზამ ლანას საუფლომდის მოაღწია, აქ იგი წყაროდ იქცა, მღვამეში შეიჭრა და შემდეგ სიცილიაში ამოჰყო თავი.

99—100. ამ საკმაოდ ბუნდოვან ტაევში დანტე გულისხმობს თავის მოძღვრების ქმედობით, ძალას Virti Formativa-ს. ასეთი ძალა დანტეს აზრით არის ადამიანის თანდაყოლილი კავშირი, ამ კავშირთან შეუღლებულია სულის „ღვთაებრივი ნაპერწკალი“. ეს ორი კავშირი დანტეს მსოფლშემეცნებით სიკვდილის შემდეგაც განუყრელი რჩება.

- 106 სულ მცირე ხანში აღარ სჩანდა არსად სახსარი. და გახლეჩილმა გველისკუდმა მიიღო ფორმა, რომელიც წელიდან კაცის ტანზე გაუჩინარდა.
- 109 კანი ცალ მხარეს გაფაფუკდა, მეორე კიდე გახდა უხეში ხოკლიანი, გაკაფებული; ვნახე ხელები ილლიაში ვით შესრიალდნენ,
- 112 და ორი ფეხი ქვემძრომისა, აქამდის მოკლე, ერთ წამს დაგრძელდა, და დამოკლდნენ კაცის ხელები, ორი უკანა გველის ფეხი წამს დაიგრია,
- 115 გადაეკვანდა, გადაესკვნა ერთი მეორეს და გადაიქცა მამაკაცის სარცხვინელ ასოდ; ხოლო კაცისა გაიხლიჩა, შუა გაიპო
- 118 კვამლმა ორივეს მთელ სხეულზე გადაურბინა, თმა ამოვიდა ცალმხარეზე, მეორე მხარეს დასცვივდა ბეწვი, ზედა კანი შეიქნა სლიპი,
- 121 წამოდგა ერთი და მეორე ძირს დაენარცხა. თვალს აცეცებდა და ორივე თვალის გუგაში ხან ერთის დრუნჩი კიანთობდა, ხან მეორისა.
- 124 ფეხზე მდგომარემ გაისწორა თმა საფეთქელთან, და მატერიის სიჭარბემან ტიტველ ლოყებზე ანახდელულად ორი ყური აღმოაცენა.
- 127 ნაშთმა, რომელსაც უკან არც კი დაუხევიან, უეცრად ცხვირი გაიჩინა სახის სიბრტყეზე, და გამოუჩინდა ბუნებრივი სწორი ტუჩები.
- 130 ოთხზე მხოხავმა წაიგრძელა ერთბაშად დინგი, ორივე ყური შეიკეცა თავის ქალაში, ასე სჩვევია ლოკოკინას რქების შეკეცვა,
- 133 და ენა მისი, სასაუბროდ განმზადებული, შუა გაიპო და მეორეს—ენა გაპობილს—მყის შეეზარდა, გაუმრთელდა გაჭრილი ენა.
- 136 გველად ქცეულმა სულმა ერთიც გაიშლინგა, იწყო სისინი, გაემართა ქალაკისაკენ. მეორე უკან გამოუდგა, თან ახველებდა.

- 139 ესიტყვებოდა:—“მე ეს მინდა, რომ აწ ბუოსომ „დაიწყოს ჩემებრ ამ ბილიკზე უმწეოდ ხობვა.“ მეშვიდე გარსში მე ვიხილე სულთა გარდაქმნა,
- 142 ფორმების შეცვლა, მიგრაცია ნაირნაირი, და ეს სიახლე მასალისა თუ მიპატიებს, ჩემი კალამი რომ არ ეძებს დაფნების მომკას.
- 145 თუმცა თვალები დამიქანცა სანახაობამ, და სული ჩემი იყო ფრიად განცვიფრებული, ცოდვილთა მაინც ვეღარ შესძლეს იღუმალი გზით
- 148 მუნით განლტოლვა და გაპარვა შეუმჩნეველად, რომ მე პუჩიო სციანკატო იქ არ შემეცნო. ის ერთად-ერთი შთენილიყო სახე უცვლელი.
- 151 ახლად მოსულთა სამ ცოდვილთა შორის ერთ-ერთი იყო სწორედ ის, ვისაც იგლოვ ჰოჲ, ჯავილლე.

ქება ოცდამეექვსე

- ო, იზეიმე, ფლორენციავ! შენს ძლიერებას ფრთების სიერცელით დაუფარავს ხმელეთი, ზღვები, თვით ჯოჯოხეთშიც კი გუგუნებს შენი სახელი!
- 4 მოქალაქენი ქურდთა შორის ვიხილე შენი, ხუთი ისეთი პიროვნება, რომ მე სირცხვილმა დამწვა,—და ეს ხომ შენს სახელსაც არა სდებს პატივს.
- 7 მაგრამ სიმართლეს თუ შეიცვენ სიზმარნი დილის, მალე შეიტყობ, პრატოელებს რაცა სურს შენთვის, სხვათა ადგილთა მცხოვრებლებზე რომ არა ვსთქვათ რა.
- 10 უბედურება რომ დაგატყდეს, დროც არის ამის; დეე, დაგატყდეს, თუ კი იგი არ აგცილდება, თორემ უმეტეს დაგამძიმებს შემდეგში მოხუცს!
- 13 გავემართენით; გამობრუნდა ოსტატი უკან და წარმითაცა თან იმავე კლდის ციკაბოთი, ძირს ჩაშვების დროს კიბებდად რომ გამოგვადგა.

7. დილის სიზმარი. ძველი, ანტიური ქვეყნის ცრუმორწმუნეობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიუღწევდა დილის სიზმრებს.

ჯერ კიდევ ოვიდიუსი ამ საგანზე შემდეგსა მღერის:

Namque sub aurora jam dormitante lucerna

Tempore quo cerni Somnia vera solent.

ქართული დაახლ. თარგმანი:

მაცდუნებელი სიზმარი მეტწილად გარეგან ზეთგავლენათაგან წარმოსდგებიან, სახელდობრ კუკის ზედმეტად დატვირთვისაგან, მაგრამ, როცა სული ასეთ დაბრკოლებას გაემიჯნება, მაშინ ვხედავთ ჭეშმარიტ სიზმრებს.

8. აქ დანტე გულისხმობს შავებისა და თეთრების დროის სამოქალაქო ომს. 1304 წელს შავებმა თეთრების სახლებს ცეცხლი წაუკიდეს. პრატოს კარდინალმა ნიკოლომ დასწყველა ფლორენციელები და მათ წინააღმდეგ ჯვაროსნული ომი-გამოაცხადა.

12. დანტეს ეს სტრიქონი ასე უნდა გავიგოთ: ახალგაზრდობაში იგი ბუნებრივად გაბოროტებული იყო თავის სამშობლოს მიმართ, რაკი მან გააძევა პოეტი, მაგრამ თანაც ფიქრობს, რომ მოხუცებულების უამს მისთვის ეს ძნელად ასატანი იქნება.

* * * კონსტანტინე ჭიჭინაძის მიერ თარგმნილი.

138. იგულისხმება ბუოსო დე დონატი.

151. გუერჩიო (გუელფო, ფრანჩესკო) კავალკანტე ჯავილეს მცხოვრებლებზე მოაკვლევინეს, სამაგიეროდ მისმა ნათესავებმა ჯავილეს მცხოვრებლებზე შური იძიეს-

- 16 კლდეთა ნაქცევთა და პირლია ნაპრალთა შორის განმარტოებით მოარულებს ვერ გაგვიყვანდნენ, თუ არ ხელების დახმარებით, მუხლები ჩვენნი.
- 19 ჩემს გულს ნაღველი ერეოდა, და ახლაც, ოდეს მხსიერებით გავაცოცხლებ ხილვას მაშინდელს, მიძიმე კავშანს ვეძლევი და გონებას ვლაგმავე.
- 22 ნუმც დაუკარგავს მას სიქველე—მეგზური თვისი; და თუ ვარსკვლავმან ბედნიერმან, ან ცისა მადლმან მე სათნოება მომანიჭა, არა მშურს ჩემთვის.
- 25 ვით გორაკის ძირს მოსვენებით მჯდომარე გლეხი, წლის იმა ჟამსა, ოდეს თავის ბრწყინვალე სახეს ცათა ქვეშეთის საშუქარი მეტ ხნობით აჩენს,
- 28 და დღის იმა ჟამს, ოდეს კოლო ბუზს შეეცვლება, უცქერის ველზე მოოქროვილ ციციანათელებს იქ, სადაც მისი ყანა არის და ვენახია,
- 31 ამგვარად აღნი ამდენივე, გამაშუქარნი მერვე მღვიმისა, დავინახე, როგორც კი ფეხი • დაეადგი ადგილს, საიდანაც ფსკერი მოსჩანდა.
- 34 ვით მან, ვის გამო ძუ დათვებმა იძიეს შური, წმინდა ელიას ცეცხლოვანი ეტლი იხილა, ოდეს ზეცისკენ წარიტაცეს ცხენებმა იგი,
- 37 ხოლო შორეულ სიმაღლეში თვალნი იმისნი, ველარ არჩევდნენ ველარაფერს, გარდა აღისა, წინ რომ მიჰქროდა, ვით მსუბუქი ღრუბელის ქულა,
- 40 ასევე მღვიმის შავ სიღრმეში თვითოეული მისრიალებდა ცეცხლის ალი, რომელიც თითოს ცოდვილს, ვით ნადავლს, შეიცავდა თავის წიაღში.
- 43 მე ხიდის ნაპირს ავეკარი, რომ დამენახა ეს სანახავი, და უთუოდ უფსკრულსა შიგან გარდევებოდი, რომ ტინისთვის არ მეველო ხელი.

34. გადმოცემით: ილია წინასწარმეტყველი ბავშვებმა გააჯავრეს: „ქაჩალო, ქაჩალო“ შესძახეს, სამაგიეროთ მან ორი დათვი მიუჯახავა ბავშვებს და დააგლეჯინა ისინი.

- 46 როცა მეგზურმა ყურადღება შენიშნა ჩემი, ასე მაუწყა:—„აღნი ესე შეიცვენ სულებს, „და ცეცხლს დამდაგველს შიგ ეძლევა ყოველი სული“.
- 49 „ოსტატო,—გვადრე,—მე ამაში ვრწმუნდები მეტად, „შენ რომ ყურს გიგდებ, თორემ თვითვე წარმომედგინა, „რომ ეს ამგვარად უნდა იყოს, და მსურდა კითხვა,
- 52 „ვინ ახლოვდება ამ ზემოდან გაყოფილ ალში „იმგვარად, თითქოს ალი იყოს იგი ცეცხლისა, „რომელმაც შთანთქა ეთეოკლე და ძმა იმისი?“
- 55 მითხრა:—„ამ ალში ულისია და დიომიდე. „შეერთებულნი აქ არიან სასჯელში ისე, „ვით ბოროტების ჩადენის დროს ყოფილან ერთად.
- 58 „აი, ეს ალი მოსდებიათ ცდუნებისათვის, „ოდეს ხის ცხენით ბჰე განახენეს მათ, საიდანაც „კეთილშობილი გამოვიდა რომაელთ თესლი.
- 61 „აქ დასტირიან ტყუილს, რითაც დედადამია „აქილევისთვის იტანჯება, მიცვლილი თუმცა; „აქვე ისჯება მოტაცება პალადიუმის“.
- 64 „თუ კი ალიდან შეუძლიათ მათ ლაპარაკი, „ოსტატო ჩემო, გთხოვ, და კიდევ გთხოვ დამატებით,— „და, ღეე, გახდეს თხოვნა ჩემი ათასის ფასი,—
- 67 „ნება მომეცი შევიცადო, ვიდრე მოალწევს „ჩვენამდე ალი, ორ ნაწილად რომ გაკვეთილა. „ხომ ხედავ, რარიგ მომიხიბლა მან მე სურვილი“.

55. ულისი (Ulisse) ლათ. სახელი ოდისეუსისა. ოდისეუს მთავარი გმირია ჰომეროს პოემის „ოდისეას“-ი, ლაერტის ვაჟი, პენელოპეს ქმარი, კუნძულის—იტაკას მეფე; დიომიდე—ტილდუსის ძე, არგოსის მეფე, ტროას ომებში ერთ ერთი უმამაცესი მებრძოლი. ომიდან დაბრუნებულს ცოლი გაუბოზდა, ანის გამო სამშობლოზე გულადრენილი აპულიას გაემგზავრა და აქ მრავალი ქალაქი დაარსა.

59. იგულისხმება: „ტროას ომის დროს მხედრებით გაესილი ხის ცხენის ციხეში შეპარება, შემდეგ ციხის კარიბჭის გაღება. ამ კარიდან გამოვიდა შემდეგ ენეას და ლაციუმში (Latium) დასახლდა.

61. დედადამია — აქილევის (ჰომეროს გმირის) მეუღლე. აქილევი ტროას ომში მოკლეს, ასე რომ დედადამია დასტიროდა თავის მეუღლეს.

63. ოდისეუსმა და დიომიდემ მათხოვრის სამოსი გადაიცვეს და პალადიუმი მოიტაცეს მინერვას ტაძრიდან.

- 70 „შენი სურვილი,—მიპასუხა,—ლირსია ქების,
„და შეგისრულე შენ ამ სურვილს კიდეც ამიტომ,
„მაგრამ ეცადე გააჩერო როგორმე ენა.
- 73 „მალაპარაკე: შენ რაცა გსურს, მიგიხვდი უკვე;
„ვინ იცის, რაკი ბერძნებია ეს ცოდვილები,
„მგებ არ გიცნონ შენს ენაზე საუბრის ღირსად“.
- 76 როდესაც ალი მოგვეახლა და სცნა ოსტატმან
დრო და ადგილი შესაფერად, მე გავიგონე,
როგორ დაიწყო მან უბნობა შემდეგი სიტყვით:
- 79 „ო, თქვენ, ორნი რომ მოქცეულხართ ერთ აღში! თუ კი
„წინაშე თქვენდა მე რაიმე დავიმსახურე,
„ღიადი იყო, თუ მცირე ეს დამსახურება,
- 82 „ოდეს ჩემს მალალ ნაწარმოებს ვწერდი იმ ქვეყნად,—
„გთხოვთ ნუ ისწრაფით და გვაუწყოს თქვენს შორის—ერთმა,
„სად დაიღუპა ის საკუთარ დანაშაულით?“
- 85 ამ სიტყვის შემდეგ ძველმა აღის რქამ, უმაღლესმა
ნელა დაიწყო მოძრაობა—და აჩურჩულდა,
თითქოს ქარისგან შერხეული და მოცახცახე.
- 88 აქეთ და იქით შეტორტმანდა, მგაგსად ენისა,
რომელიც უკვე სასაუბროდ განმზადებულა,
და აჰა, კიდეც შემოგვესმა ხმა და სიტყვანი:
- 91 „მაშინ, როდესაც მე ცირცვა დავსტოვე, ვინაც
„ერთ წელზე მეტ ხანს დამაყოვნა გაეტას ახლოს,
„უადრ ეს; ვიდრე დაარქმევდა სახელს ენეას
- 94 „ამა ადგილსა, არცა შვილის უნაზეს გრძნობის,
„არც ვალს მოხუცი მამისადმი, არც სიყვარულსა,
„რომელიც ძვირფას პენელოპას ავსებდა ლხენით,
- 97 „ალარ შეეძლოთ აელაგმათ ჩემში სურვილი,
„მეცნო ქვეყანა და გამეგო გამოცდილებით
„ადამიანთა ბოროტება და სათნოება.

91. ცირცე, ლათ. Circe, აიას კუნძულზე სახელგანთქმული ჯადოსანი ჰელიოსისა და პერზეს ქალიშვილი. მან ოდისეუსი და მისი მხლებლები (ტროას ომიდან დაბრუნებულნი) ღორებად აქცია.

93. როცა ენეას იტალიაში ჩამოვიდა, გარდაიცვალა მისი ძიძა გაეტა, ამ ადგილს შემდეგ გაეტა შერქვა.

- 100 „გზას დავადექი გაშლილ ზღვაზე ხომალდით ერთით,
„და თან მეახლა ამხანაგი რამოდენიმე,
„რომელთაც ჩემგან განშორება არ მოისურვეს.
- 103 „სჩანდენ ნაპირნი ესპანეთის და მაროკოსი,
„ვხედავდი კუნძულს, სარდინიას და სხვა კუნძულებს,
„ზღვით შემოგარსულთ და განბანილთ მისის ზვირთებით.
- 106 „და ჩვენ ყველანი ღრმით მოხუცი ვიყავით უკვე
„მაშინ, როდესაც მივალწიეთ ზღვის ვიწრო სრუტეს,
„სად ჰერკულესმა ზე აღმართა საზღვარი კლდისა,
- 109 „როგორც ნიშანი,—ნურასოდეს მის გარდალახვას
„დუ ნუ გაჰბედავს, ნუ იფიქრებს ადამიანი!
„მარჯვნივ დავსტოვეთ სევილია, სეუტა მარცხნივ.
- 112 «ძმანო,—მივმართე ამხანაგებს, ასიათასი
«საშიშროებით მივალწიეთ თქვენ დასავლეთსა,
«და აწ სიცოცხლე თქვენ ხანგრძლივი არ დავშთენიათ;
- 115 «ესოდენ მცირე უამისათვის არა ღირს დასთმოთ
«სიამოვნება იმ უკაცურ ქვეყნის ხილვისა,
«მანათობელი მზის გაღალმა რომ მღებარეობს.
- 118 «შთაშომავლობა მოიგონეთ მალალი თქვენი,
«თქვენ პირუტყვეული ცხოვერებისთვის არ გაჩენილხართ,—
«ცოდნა გეკუთვნისთ მოიპოვოთ და სათნოება».
- 121 „და მე ამ მცირე მოწოდებით ჩემს ამხანაგებს
„გამბედაობა შთაუნერგე იმდენი გულში,
„რომ შესაძლოც კი აღარ იყო თავშეკავება.

105. რაკი ეს ადგილი ზოგიერთ მუხლში ჰოპერის ოდასეას ეწინააღმდეგება, დანტეს კომენტატორთა შორის ფილალეტეს ჰფიქრობს, რომ დანტეს ჰომერის პოემა არ უნდა ჰქონოდა წაკითხული.

106. იგულისხმება ტირენის ზღვა, სადაც მღებარეობს კუნძულები: კორსიკა, სარდინია და სხვ.

108. ტექსტი: Dov' Ercole segnò li suoi riguardi. უკანასკნელი სიტყვა riguardare შეხედვა, ყურადღების მიქცევა. აქ იგულისხმება ჰერკულესის მიერ საშიშროს გაკეთება, დაწესება.

111. დანტეს ცნობის მიხედვით უნდა ვიგულისხმოთ, რომ ოდისეუსს დაახლოვებით კალიქის ბუნტამდის უნდა მიეღწიოს.

116. ძველი გეოგრაფების ჰიპოტეზით, მეორე ჰემისფერო მიწისა მარტოდენ წყლებისაგან ე. ი. ზღვიანგან შესდგებოდა, ასე რომ დაუსახლებელი და უკაცრიელი ეგონათ.

- 124 „ზურგი ვაქციეთ აღმოსავლეთს, და მყის ნიჩბები
„ფრთებად აესხა გაქანებას გიჟურსა ჩვენსას,
„რომლის მანძილზე სულ მარცხენა გვეჭირა მხარე.
- 127 „ღამე მეორე პოლიუსის ვარსკვლავებს სჭვრეტდა,
„ხოლო ჩვენი კი გამუდმებით ძირს იხრებოდა
„და იმდენად, რომ ზღვის ზედაპირს ეკვროდა თითქმის.
- 130 „უკვე ახალი ცის წიაღში შუქი მთვარისა
„ხუთჯერ აენტო და ჩაბნელდა მას შემდეგ, რაც ჩვენ
„საბედისწერო გარდავლახეთ საზღვარი იგი.
- 133 „მაშინ მწვერვალი ჩვენს წინაშე გამოჩნდა შორით,
„შავის წყვდიადით შემოსილი, და მომეჩვენა
„ის უმაღლესად ჩემგან ხილულ მწვერვალთა შორის.
- 136 „დიდად ვიხარეთ. მაგრამ მალე დავლონდით ისევ,
„რადგან აღმოხდა ახალ მიწას სასტიკი ქარი,
„და განრისხებით დაეჯახა პირისპირ ხომალდს.
- 139 „დაატრიალა ის სამკეცად, ზვირთებიც ირგვლივ,
„ხოლო მეოთხედ ზე ასტყორცნა ხომალდის თავი
„და უზენაეს ნებისამებრ პირქვე დაამხო,
- 142 „ვიდრე ტალღებმა არ შეითქვეს ჩვენს თავზე პირი“.

მაგა ოცდამეხვიდა

- უკვე გასწორდა ალი იგი წინაშე ჩვენსა,
და ისევ ისე უმოძრაო და დადუმებულ
უტკბილეს მგოსნის ნებისამებრ წინ გაემართა.
- 4 მაშინ მის შემდეგ მომავალმა მეორე აღმა
თავის მწვერვალზე თვალთახედვა მიიპყრო ჩვენი;
შიგან ჩურჩული გაურკვევი ისმოდა რალაც.
- 7 ვითარცა ხარმან დაიბლავლა სიცილისმან
ჯერ, და ეს იყო მართებულიც, იმისის კენესით,
ვისმან ყალამმან სახიერი გახადა იგი;
- 10 ვით ის ბლაოდა წამებულის ხმით საშინელით,
თუმცა-ლა იგი სპილენძისგან ნაჭედი იყო,
და ჰგვანდა მიანც, რომ წამებას მთლად განემსქვალა,—
- 13 ისე სიტყვანი სევდიანნი, რომელთაც პირველ
ალის გულიდან გასავალი ვერ მოენახთ,
გამოურკვეველ, ყრუ ჩურჩულში იჩენდნენ თავსა.
- 16 მაგრამ, როგორც კი გაარღვიეს მწვერვალი ალის,
იგი მაშინვე შეტორტმანდა და ამოძრავდა
მზგავსად ენისა, მის წიაღში რომ მეტყველებდა.
- 19 მოგვესმა:— „ო, შენ, ვისაც ჩემი ხმა მოგიწოდებს,
„ვინაც წარმოსთქვი ლომბარდიის ენაზე წელან:
„აწ შეგიძლია რომ წახვიდე, აღარ გაკავებ“,—
- 22 „თუმცა მე ეგებ რამდენიმეთ დამავიანდა,
„მაინც ინებე შეჩერება და საუბარი.
„აი, ხომ ხედავ, რომ ვიწვი და თან ეს მწყურთან:
- 25 „თუ კი შენ მხოლოდ ამ ქამისად ხარ შთავდებული
„ბნელ სამყაროში ლათინელთა ტკბილის ქვეყნიდან,
„ჩემნი ცოდვანი საიდანაც მთლად მომყოლიან,

- 28 „მაშინ მაუწყე: რომანიის მცხოვრებნი ახლა
„მშვიდად არიან თუ ომობენ? მე დავიბადე
„მთებში—ურბინოს და ტიბროსის სათავის შუა“.
- 31 ძირს დავიხარე და ვუხსენდი ალს ყურადღებით,
ამ დროს ოსტატი, გვერდით მდგომი, შემეხო ხელით
და მითხრა:—„თვით შენ ესაუბრე, ლათინელია“.
- 34 მაშინ მე უკვე გამზადებულ სათქმელით პირზე
დაუყონებლივ ავმეტყველდი და ვუპასუხე:
„პაი, აჩრდილო, მოქცეული მგზნებარე ალში!
- 37 „ვერასდროს შენი რომანია ვერ იარსებებს
„ისე, რომ შუღლი მის ჯალათებს არ ედოსთ გულში,
„მაგრამ აშკარა არ ყოფილა იქ ჩემს დროს ოში.
- 40 „რავენა ახლაც იგივეა, რაც იყო წინათ:
„დაბუდებულა იქ არწივი მძლავრ პოლენტასი,
„და დაუფარავს მას ჩერვია თავისის ფრთებით.
- 43 „ქალაქი, ალყა ხანდაზმული რომელმაც შესძლო
„გადაეტანა და მოესრა ლაშქარი ფრანგთა,
„მწვანე თათთა ქვეშ გაშოთვილი ამჟამად გმინავს,
- 46 „ბერი ნავაზი ბერუკიო და მისი ლეკვი,
„რომელთაგანაც დაისაჯა მონტანა მკაცრად,
„კბილმოლესილნი ნანადირევს სძიძენიან ჩვეულს.
- 49 „და ქალაქებშიც, ლამონეს და სანტერნოს წყლებთან,
„გამეფებულა ლომის ლეკვი თეთრის ბუდიდან,
„ვინც ზამთარ-ზაფხულ გამუდმებით პარტიას იცვლის.

28. იგულისხმება პროვინცია მონტეფელტრო.
40. ქალაქ პოლენტას გერბი იყო თეთრ, ცისფერ, წითელ და ყვითელ ფონზე გამოსახული თეთრი არწივი. ქალაქი ჩერვია პოლენტას ზედგავლენას მქვემდებარებოდა.
48. 1300 წლებში ფორლის ხელისუფალის ორდელაფის გვარის გერბი იყო მწვანე ლომი.
49. ლამონეს და სანტერნოს პირას მდებარე ქალაქები: იმოლა და ფაენცა 1300 წელს მაინარდ პაგანის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ. ამ უკანასკნელის გერბი იყო: თეთრ ფონზე გამოსახული თეთრი ლომი. ეს ფეოდალი თანაბარის გულმოდგინებით ემსახურებოდა როგორც გველფებს, ისე გიბელინებს, წარა-მარა პარტიას იცვლიდა.
51. იგულისხმება ქალაქი ჩეზენა (მდინარე სავიოს ნაპირას მდებარე). იგი ხან გველფების, ხანაც გიბელინების ხელში იყო.

- 52 „ხოლო ქალაქი, განბანილი სავიოს ზვირთით,
„თავისუფლებას და მონობას შორის მერყეობს
„ისე, ვით ტაფობს და მთებს შორის რომ მდებარეობს.
- 55 „ახლა გვითხარი, გვედრები: შენ ვინ იქნები?
„უარს ნუ იტყვი, ისე ვით მე არ მითქვამს იგი,
„და, ღეე, ქვეყნად ხსოვნა შენი სუფევდეს ხანგრძლივ“.
- 58 აღმან ჯერ კიდევ იბუტბუტა რალაცა ერთ ხანს,
მიჰხარ-მოჰხარა აქეთ-იქით შემდეგში წვერი
წაწვრილებული და ამგვარი მოგვბერა სიტყვა:
- 61 „მე რომ ვფიქრობდე, თუ ჩემს პასუხს მოისმენს კაცი,
„ვისაც მიქცევა უწერია ხელახლა ქვეყნად,
„არ დაიძროდა ალი ესე სრულიად მაშინ.
- 64 „მაგრამ ვინათგან, თუ სიტყვების გვექნება რწმენა,
„ამ უფსკრულიდან არ გასულა ცოცხალი არსი,
„მეც გიპასუხებ: უშიშარი სირცხვილის მიმართ
- 67 „ერთ დროს მხედარი, მე მონასტერს წაველი შემდეგ,
„მქონდა იმედი, რომ საბელი სან ფრანჩესკოსი
„ცოდვებს ამხდიდა—და ეს რწმენა არც მიმტყუნებდა,
- 70 „თუ არა მამა უმაღლესი, —წაწყმედა მის სულს!
„ისევ შთამაგლო მან წინანდელ ცოდვათა შიგან,—
„ყური დამიგდე და გიამბობ,—როგორ და რისთვის?
- 73 „ვიდრე ვცოცხლობდი მე ძვალთა და ხორცთაგან ქმნილი,
„რანიც დედამან მომანიჭა, ჩემნი საქმენი
„იყვნენ ნაქნარნი მელისანი და არა ლომის:
- 76 „კარგად ვიცოდი ყველა ხრიკი, მოვლა ფარული,
„და ისე კარგად შევითვისე ეს ხელოვნება,
„რომ მე სახელი გამივარდა მთელს ქვეყანზე.
- 79 „მაგრამ, როდესაც მივალწიე ცხოვრების იმ ხანს,
„როს წუთისოფლად ადამიანს შეშვენის უკვე
„ძირს ჩამოჰკეცოს იალქნები, ჩამოხსნას თოკნი,

74. იგულისხმება გვიდო მონტეფელტრო, რომელიც იტალიის ისტორიაში ცნობილი იყო როგორც ძლიერ მონებრებული და მელაძუა პოლიტიკოსი და ფრიად მოქნილი, ელასტიური მეომარი.

- 82 „მე შემეზიზლა, რაც მანამდე მომწონდა გულით,
„და მივიქეცი უფლისადმი ღრმა სინანულით.
„ვაგლახ! შემეძლო თურმე კიდევ დამეხსნა თავი!
- 85 „მაშინ მეუფე თანადროულ ფარისეველთა
„სისხლით შეცამსერელ ომს აწყობდა ლატერნას ახლოს,
„არ თუ საარაცენტ და არცა თუ ურიათ მიმართ,
- 88 „რადგან მტრად ჰყვანდნენ მას ყოველნი ქრისტიანენი.
„არვის უნახავს იმათ შორის აკრასთან ძლევას,
„და არც სავაჭროდ მოუღაბხავს ხონთქარის მხარე.
- 91 „მან დაივიწყა უმალლესი ხარისხი თვისი,
„წმიდა აღკვეცა და აგრეთვე ჩემი საბელი,
„რომლის შემბმელი სამუღამოდ ხმებოდა ყველა.
- 94 „და რაგვარადაც კონსტანტინე სორაქტეს მთებში
„ევედრებოდა სილვესტროსა, რომ განეკურნა
„ის კეთრისაგან, იმგვარადვე შემთხოვდა იგი,
- 97 „გადამერჩინა სიამაყის ცხელებისაგან:
„რჩევას ითხოვდა იგი ჩემგან, მაგრამ მე ვსდუმდი,
„რადგან სიტყვანი მთვრალის სიტყვებს მოჰგვანდნენ მისნი.
- 100 „მან მითხრა კიდევ:—«გაანებე მაგ ეკვებს თავი,
„წინასწარავე მოგიტევებ მე შეცოდებას,
„ოლონდ მასწავლე, პენესტრინო როგორ ავილო;
- 103 «შენ იცი, ძალმიძს დავხურო და განვახვნა ზეცა;
«აი, ამიტომ გასაღები ხელთა მაქვს ორი:
«ფასი იმათი არ ესმოდა ჩემს წინამორბედს».
- 106 „ამგვარ უღაო საბუთებმა მეც დამარწმუნეს;
„გულში ვიფიქრე, რომ სიჩუმეს სჯობს მეტყველება,
„და მოვახსენე:—«თუ, მამაო, შემინდობ ცოდვას,

- 109 «მაშინ უწყიდღე მხოლოდ ერთი,—რომ საკმაოა
«ბევრი დაჰპირდე, შეუსრულო მცირედი წილი,
«და გაიმარჯვებ შენ მალლითგან შენის ტახტისა».
- 112 „როს მივიცვალე, სან-ფრანჩესკო მოადგა ჩემს სულს,
„მაგრამ ერთერთმან ქერუბინმან შავის ფერისან
„უთხრა:—«ნუ მჩაგრავ და ნუ მიგყავს ამისი სული!
- 115 «იგი ღირსია ჩემს მონებთან წავიდეს ქვემოლ,—
«რჩევა გაიღო მან მაცდური; მას შემდეგ დღემდე
«არ თუ ამაოდ ვარ მის თმებში ხელჩაბლუჯვილი.
- 118 «არ შეენდობა იმას, ვინაც არ ინანიებს,
«ფიცთან ერთად კი სინანული არ შეიძლება,—
«ეს იქნებოდა ერთმანერთის წინააღმდეგი».
- 121 „ვაჰმე! რა-რივად ავცახცახდი, როდესაც ხელი
„მტაცა და მითხრა: «არ იცოდი ეგების შენ, რომ
«ცოტაოდენი ლოლიკისა მეც გამეგება?»
- 124 „შემდეგ მინოსთან წამიყვანა, უკანასკნელმაც
„შემოახვია გარეშემო რვა რგოლად კული
„თავის მაგარ ზურგს, გაბრაზებით იკბინა მასზე
- 127 „და ხმა გამოსცა:—«მათგანია ცოდვილი ესე,
«ვინც ალსა შიგან ჩაიშვების»; აი ამიტომ
„ასე ვიდაგვი, როგორც ხედავ, ამ სამოსელში».
- 130 და რა წამშიაც დაასრულა მოთხრობა თვისი,
ალი დაიძრა ადგილიდან და გაემართა,
თანაც მკვენესარე მიაჩხევედა წვეტიან მწვერვალს.
- 133 ჩვენ კი, მე ჩემის თანამგზავრით, გავყევით შემდეგ
კლდეთა ხერხემალს, და მეორე თალს მივადექით,
მღვიმესა ზედან გადატყორცნილს, სადაც ეზღვებათ
- 136 განხეთქილების დამთესველთა სანაცვლო დასჯა.

89. აკრა, უკანასკნელი ქალაქი იყო, რომელიც ქრისტეს ჯვაროსნებს შერჩათ, მაგრამ 1290 წელს ხონთქარმა ისიც წაართვა მათ.

95. იმდროინდელი გადმოცემის მიხედვით, კონსტანტინე კეისარი სდევნიდა პაპს სილვესტრეს, და ამიტომაც ამ უკანასკნელმა სორაქტეს შეაფარა თავი. შემდეგ ლეგენდა მოგვითხრობს: თურმე კეისარს კეთრი შეეყარა, მან შევლა სთხოვა პაპს, პაპმა იგი მონათლა და განკურნაო.

103. იკულისხმება პეტრე და პავლე მოციქულების გასაღებები.

ქება მეოცდარვა

ვინდა შესძლებდა თუნდაც წყობილ სიტყვის გარეშე მრავალგზის ცდაში აღეწერა სისხლისა ღვარი და ჭრილობები, რომლის მოწმეც მე გავხდი მაშინ.

- 4 უეჭველია უძლურია აქ კაცთა ენა, რადგანაც ჩვენი მეტყველება, გონების ნიჭი, იმა საგნების შესაცნობად ვეღარ იკმარებს.
- 7 თუნდაც კვლავ აღსდგეს ხალხი იგი აურაცხელი, აპულიისა შავბედიითი მიწისა მკვიდრნი, განუკითხავად დაღვრილ სისხლზე მწარედ მგოდები,
- 10 როს რომაელთა უთვალავმა ლეგეონებმა ხმლებით დასცელეს აპულიის ნაშიერები, როგორც მოგვითხრობს შეუმცდარად ტიტუს ლივიუს,
- 13 თუნდაც ის ერიც, რომერტ გისკარდს ვინც წინ აღუდგა, ან და ისინიც, ვისი ძვლებიც კეპერანოში, მის სანახებში კიდევ ჰყრია დაუმიწები,
- 16 სად აპულიელთ მატყუარა შეერქვათ ერთხელ, ან და მეგრძოლნი უშიშარნი ტაგლდაკოჩოსი, სადაც აღარდმა გაიმარჯვა უიარაღოდ.
- 19 ყველა ეს მკვდრები დაკეპილი და დაჩეხილი, ერთად რომ ნახოთ თავმოყრილი, დაყორებული, ვერ შეედრება იმ საშინელ, ამაზრზენ სურათს,

10. აქ გულისხმობს დანტე იმ ისტორიულ ფაქტს, როცა რომის კონსულმა პუბლიუს დეციუს მუსსმა, 455 წ. ქრისტემდის, აპულიელები დაამარცხა, ამ ბრძოლაში 2,000 აპულიელი ბრძოლის ველზე დარჩა.

12. იგულისხმება კანნეს ბრძოლა.

13. ნორმანების ჰერცოგმა რომერტს გისკარდმა (Robert Guiscard) ბერძნებს წაართვა უკანასკნელი პროვინცია აპულიაში.

16. იგულისხმება ბრძოლა ბენევენტთან, სადაც მეფე ალფერდმა ტანტი და სიცოცხლე დასთმო, აქ უღალატეს მეფე მანფრედს აპულიელებმა.

18. ტაგლდაკოჩოს ბრძოლა, სადაც ფრანგი ჯვაროსანი აღარდ დე ვალერი კარლ ანჟუს ეხმარებოდა.

. კონსტანტინე გამსახურდიას მიერ თარგმნილი.

დანტე ალიგჰიერი

- 22 რომელიც მეცხრე გარსში ვნახე საკუთარ თვალით. არასტროს კასრი ფსკერგაცლილი არვის უნახავს ისე უწყალოდ გამოხრული, ძროდაბჩენილი,
- 25 როგორიც ერთი მე ვიხილე ცოდვილთაგანი, შუა გაეპოთ ნიკაპიდან იმ ნახვრეტამდის, რომლითაც უზრდელ კაცს სჩვევია ხანდახან ხრცოლა.
- 28 ფაფუკი ფაშვი ფეხებს შორის დაჰკიდებოდა; გაშიშვლებული, სისხლიანი მოსჩანდა ფილტვი, ბრმა ნაწლავები, განავალის სადენი მილი.
- 31 ვინადგან ერთ წუთს მე მას მზერას არ ვაშორებდი, შემომესიტყვა, თვით გაიხსნა გაჭრილი მკერდი: „მიყურე, როგორ გავიხლიჩო ჩემივ სხეული;
- 34 „ხომ ხედავ მაჰმადს აგრე რიგად დასახიჩრებულს „აქვეა ალი უმოწყალოდ თავგაპობილი. „ყველა ესენი სთესდნენ ქვეყნად განხეთქილებას,
- 37 „მიტომაც ყველა, როგორც ჰხედავ განკვეთილია. „როცა ერთ-ერთი ამ ხალხიდან წრეს შექოუვლის, „მივა ეშმაკი, შიშველ ტანზე გადაახტუნებს,
- 40 „შემდეგ შემოჰკრავს იმ საცოდავს, შუა გაჰკვეთავს, „რადგან ჭრილობა ჩვენი ისევ მოშუშდებოდა, „რომ წარამარა არ დაგვსდევდეს ეს ბელზებელი.
- 43 „მაგრამ შენ ვინ ხარ, აქ უსაზნოთ ხილზე დამდგარი, „აღბათ ჩალიჩობ ვიდრე სასჯელს დაგაკისრებდნენ!“ — „ჯერაც სიკვდილი საიქიოს მას არ სწვევია.
- 46 „არც შეცოდებას მოჰყოლია მწარე განკითხვა, — შემომეშველა და მიუგო ოსტატმა ჩემმა, — „მაგრამ აქაურ ვითარების გასაცნობელად
- 49 „აწ უკვე მკვდარი—მე დამყვება და გზას ვაჩვენებ „მას ჯოჯოხეთის ყველა გარსში კიდიოკიდემდის „და ყოველივე მართალია, რასაც გიამბობ.“

35. მაჰმადის მიმდევართა შორის აღიმ გამოიწვია უდიდესი განხეთქილება მაჰმადიანთა წრეში.

- 52 რა ყური მოჰკრეს ამ საუბარს, წამს ასზე მეტი ცოდვილი იქვე ორმოებში მოჯარდა ერთად, გაოცებულნი შემცქეროდნენ, და საკუთარი
- 55 დავიწყებოდათ მათ წამება და გულის დარდი. „აწ გადაეცი ჩემს მაგივრად შენ ფრა დოლჩინოს, „ვინძლო იმ ქვეყნად კვლავ იხილო მთიები მზისა,
- 58 „თუ ჯერ არ ფიქრობს ჩემს ნატერფალს ჩამოჰყვეს ქვევით, „ხამს რომ სურსათი ბევრზე ბევრი შემოინახოს, „რომ ზამთრის პირის გაჭირვებამ ნოვარას მცხოვრებთ
- 61 „არ არგოს წილად გამარჯვება, რომელიც სხვა გზით „მათთვის არც ისე ხელალებით მოსახვეჭია“. ეს დამაბზრა მე მაჰმადმა, წარსდგა ნაბიჯი,
- 64 მყის გაგვეცალა და გაუდგა ისევ თავის გზას. ახლა მეორე მომიბრუნდა ცოდვილი სული, რომელსაც ყელი გახვრეტილი ჰქონდა უწყალოდ,
- 67 ცხვირმოკნეტილი და ერთ-ერთი ყურიც მოჰმული. იგი პირველი შემესიტყვა მდომარეთ შორის, ტყავემოცილი, სისხლიანი გაალო პირი
- 70 მითხრა: „ჰოჲ, შენ ვისაც ჯერაც არ მოგვხვედრია „განკითხვის სუსხი და ვინც ერთხელ მე შემხვედრია „ოდესღაც ზევით, იმ სოფელში, ლათინთა ცის ქვეშ,

56. ფ რ ა დ ო ლ ჩ ი ნ ო (ძმა დოლჩინო)—საშუალო საუკუნის ფრიად საინტერესო რეფორმატორი, 1305 წელს იგი რელიგიურ კომუნიზმს ჰქადაგებდა, მთელი ქონებისა და თვით ქალების კომუნიზაციას; ეკლესიას „აპოკალიპსურ მეძავს“ უწოდებდა. მიიმხრო უკმაყოფილო ხალხი, დაძრწოდა ნოვარას პროვინციაში, ეკლესიებს და სასახლეებს სცარცვავდა. მას და მის სექტანტებს ხშირად ისე სდევნიდნენ, რომ ისინი იძულებული იყვნენ თავისი, ძაღლის და ხშირად საკუთარი მიცვალებული, ან მოკლული ამხანაგების ხორცი ეჭამათ. ეპისკოპოსებმა და თავადებმა ფეხზე დააყენეს ხალხი, დოლჩინოს სატანას და მწვალებელს ეძახდნენ და მის ჯვარცმას ჰქადაგებდნენ. ბოლოს ერთ მთაზე გამაგრდა დოლჩინო, მაგრამ 1307 წელს ეს სიმაგრე აიღეს, თავად დოლჩინო შეიპყრეს, შანთებით აწამეს და დასწვეს. დოლჩინო ამიტომ მოათავსა დანტემ მაჰმადთან ერთად, რადგან იგიც მრავალცოლიანობას ჰქადაგებდა.

60. ნ ო ვ ა რ ა. იტალიის ერთ-ერთი პროვინცია და ამ პროვინციის სატანტო ქალაქი.

- 73 „თუ კი მსგავსება არ მატყუებს აქ უჩვეულო, „როცა მიაღწევ შენ ოდესმე იმ ველს სანატრელს, „ვერჩელის მხრიდან რომ ისწრაფვის მარკაბისაკენ,
- 76 „გთხოვ მომიგონო მე—პიეტრო და მედიჩინა, „ამცნე ჩინებულ მოქალაქეთ ფარნოში მცხოვრებთ „ანჯიოლელლოს და დიდ ბატონს გილო პოლენტას,
- 79 „თუ მკითხაობა ამ ქვესკნელში სარწმუნო არი, „ტირანი ვინმე მოღალატე, ფიცის გამტეხი „შეიპყრობს, შეჭკრავს, ქვებს დაჰკიდებს ორთავ ხელებზე,
- 82 „იქ კატოლიკას სიახლოვს გემიდან ზღვაში „მათ გადაუშვებს და დაახრჩობს მუხანათურად. „ნეფტუნს არასდროს არ უხილავს ასეთი დიდი
- 85 „დანაშაული ჩაედინოთ ოდესმე ბერძნებს, „ან მეკობრეებს კიპროსსა და მაჯორკას შორის. „რადგან ცალთვალა მუხანათი, რომელიც მართავს
- 88 „ქალაქს ერთ-ერთი ჩვენგანისთვის დია საზიზლარს, „მოიწვევს იმათ სათათბიროდ, მოაწყობს ისე, „რომ მათ ფოკარას უსაშველო ქარის წინაშე
- 91 „ალარც ლოცვები დასჭირდებათ, ალარც ალთქმები“. მივუგე მაშინ:—„თუ კი გინდა მე ეს ამბები „წავილო ზევით და გადავსცე საუწყებელი,
- 94 „ვინ არის იგი, ვისაც ხილვა იმა ქვეყნისა, „არ იამება, მინდა თავად ვიხილო იგი“. ხელით სწვდა ყბაზე იგი ერთერთს მის სიახლოვს

76. მ ა რ კ ა ბ ო იყო ვენეციელთა სასახლე, რომელიც გვიღო და პოლენტამ დაანგრია. როგორც მარკაბო, ისე ადგილი ვერჩელი ლომბარდიის მიდამოში მდებარეობენ.

77. პიეტრო და მედიჩინა, იტალიელი აზნაური, რომელიც გვიღო და პოლენტას და მალატესტა და რამინის ერთი მეორის წინააღმდეგ აქეზებდა. იგი მართლაც პარადად გასცნობია ოდესღაც დანტეს.

81—83. ცალთვალა მალატესტინო და რამინიმ დაჰპატიჟა გვიღო დე კარსერ და ანჯიოლელლო და კაგნან, და შებოჭილნი ზღვაში გადაადგდებინა კატოლიკას მახლობლად.

91. რადგანაც იმ დროს მთელი საზღვაო მისვლა-მოსვლა ქარისა და ბუნების სხვა სტიქიონებისაგან იყო დამოკიდებული, ცრუმორწმუნე ხალხი, სადმე გამგზავრების წინ, ლოცულობდა და ალთქმებსა სდებდა.

- 97 გაუხსნა პირი, და მეუბნება:— „ეგ მუნჯი იყო, ვინაც ცეხარის უსაფუძვლოდ გაფანტა იჭვი, როცა ურჩია, რომ საომრად განმზადდისთვის“
- 100 „უქმი ჭოქმანი საზიანო საქმე არისო“.
რა საცოდავად შემკრთალიყო ეგ სვედაესილი, ენა მოჭრილი, დაზაფრული იმ წამს კურიო,
- 103 სახელგანთქმული თავის დროზე მჭევრმეტყველობით-
ერთმაც, რომელსაც ორივე ხელი ჰქონდა წაჭრილი, ზევით ასწია მოჩეხილი მკლავის ძირები
- 16 ისე, რომ სისხლით შეეთხუზნა მყისვე ცხვირპირი.
წამოიძახა:— „ალბად კიდევ გახსოვს შენ მოსკა
„ეს მე შევსძახე მოსისხარ მტერს:—«გათავდეს ბარემ»“
- 109 „და ამ სიტყვებმა ტუსკიელებს მოულო ბოლო“.
— „და ნათესავი შენი სრულად გაანადგურა“, —
მე შევაგებე, ხოლო იგი ნელის ბარბაცით
- 112 ჩვენ გაგვეცალა, როგორც კაცი ვარამისაგან
გულშემოყრილი და სავსებით გაგიჟებული.
მარტო მე დავრჩი. დავაცქერდი ბრბოს მოზიმზიმეს,
- 115 და ვნახე მაშინ იმნაირი სანახაობა,
რომლის მოთხრობას უსათუოდ ვერ გავებდავდი,
მაგრამ ეგ არის, რომ უმზაკვრო ცნობიერება
- 118 ისე ამტკიცებს ჩვენს შეგნებას, ვით კაცს ჯავშანი.
ნამდვილად ვნახე და, მგონია, ახლაც ვხედავდე
თითქოს უთავოდ დადიოდეს კაცი ისევე,
- 121 როგორაც სხვები ამ საცოდავ, წამებულ ბრბოში.
ხელი წაეგლო საკუთარი თავის ქოჩორზე,
ლიფლიფასავით მოაქნევდა, და თავი იგი

98—102. აქ იგულისხმება რომის ტრიბუნი კურიო, რომელმაც რიმინის მახლობლად ურჩია ცეხარს ომის დაწყების არ დაყოვნება, და ამ გზით ბრძოლა წააგებინა.

108. მოსკა ლამბერტიმ (თავად გიბელინმა) გველფებისა და გიბელინების სამოქალაქო ომში წამქეზებელის როლი შეასრულა ამ სიტყვებით. მის შეძახილს მოჰყვა დიდი სისხლის ღვრა ფლორენციაში.

- 124 შემოგვცქეროდა, გაჰკიოდა:— „ვაჲ მე, ვაჲ“,
ასე ლიფლიფად გაეხადა მას თავისთავი,
და ორი ერთში, ერთი ორში გადასულიყო.
- 127 რა-რიგად გახდა შესაძლებლად ეგ საოცრება,
ალბად, თვით უწყის ვინც დასაჯა იგი ამრიგად.
რა ხიდის ყურთან მოაღწია, ასწია ხელი,
- 130 და ხელში თავი კვლავ ეჭირა ზეაღმართული,
სიტყვები მისი რომ იოლად ჩვენ მოგვწოდომოდა:
„დახე, ამ ჩემს ტანს საზიზლარად დასახიჩრებულს,
- 133 „გვედრი შენ, ვინაც აქ ეწვიე გარდაცვლილ სულებს,
„დახე, თუ ვისმეს ჩემზე დიდი რგებია ტანჯვა.
„ჩემი ამბავი საიქიოს თუ წარიტანო,
- 136 „გახსოვდეს: მე ვარ თვით ბედკრული ბერტრამ დალ ბორნო,
„რე ჯიოვანის, ვინც ასმინა თათბირი მრუდე.
„მე ავაშხედრე მამა ძისა თვისის წინაღმდეგ,
- 139 „არც ახიტოფელს უთესია ამდენი შური,
„როს აბესალომს ამხედრებდა დავითის მიმართ,
„რადგანაც ვიყავ გამთიშველი, ვაჲმე ახლა
- 142 „თავი და ტანი გათიშულათ უნდა ვატარო,
„ამგვარად გავხდი შურისკების უებრო მსხვერპლი“.

136. აქ ნახსენები ბერტრამ დალ ბორნო, იტალიელი ვიკონტი, ცნობილი რაინდი და ტრუბადური იყო, ხოლო 137 ლექსში ნახსენები—„რე ჯიოვანი“—მეფე ჯიოვანი (მეფის ნაცვლად ვინმარე იტალ: „რე“ (მეფე); რაკი მეფეებს მუდამ დიდი ადგილის დაკავება უყვარდათ, არც ეს ქართული სიტყვა დაეტია ამ სტრიქონში. (კ. გ.). ფილალეტისის აზრით ბერტრამ დალ ბორნეს მეფე ჯიოვანისათვის როდი გაუწვევია ცუდი თათბირი, არამედ მეფე ჰანრიხისათვის. როგორც სწანს, დანტეს აქ ისტორიულ ზედმიწევნობისათვის გადაუხვევია.

ქება მითოსდაცხრა

ხალხის ზიზზიშმა და სისხლიან წყლულების ცქერამ ისე დამქანცა, დამალონა, მატკინა თვალნი, რომ მე ტირილი მომანდომა და განსვენება.

- 4 ვირგილიუსი მეუბნება:— „რატომ გახევედი, „ან რად აშტერებ მაგ საცოდავთ მოწყენილ მზერას, „სხვა ჯურღმულეებში ეს შენ ჯერაც არ დაგმართინა
- 7 „ან ვით შესძლებდი დაგეთვალა ვნებულნი სულნი, „როცა ოცდაორს ეგ ქალაკი უდრის მილიას. „ჰხედავ, ჩვენს ფერხით ამოსულა ეგერ მთოვარე.
- 10 „ამიერიდან დაგვრჩენია ხანი მცირედი, „და სანახავი ჩვენ კიდევ გვაქვს აქ ბევრზე ბევრი“. „შენ რომ გაგეგო, — ვუპასუხე, — იმის მიზეზი,
- 13 „თუ რად ვიყავი ასე მზერად გადაქცეული, „ვინ იცის, ეგებ დაყოვნების დაგერთო ნება“. ჩემი ოსტატი გზას გაუდგა ამასობაში,
- 16 უკან მივსდევდი, განვაგრძობდი მასთან საუბარს: „იმ ბნელ ხაროში, შევსცქეროდი რომელსაც წელან, „ვგონებ ერთ-ერთი ნათესავის ჩემისა ლანდი
- 19 „მოსთქვამდა მწარედ თავის მძიმე დანაშაულზე“. „ამიერიდან დააღწიე მისთვის ფიქრს თავი, „ვინადგან წელან, როცა ხილზე გამოვდიოდით,
- 22 „მე შევამჩნიე შენსკენ იგი თითს ვით იშვერდა, „გემუჭკრებოდა, გერი ბელლოს იხსენიებდა. „იმ წუთში შენი ყურადღება დაეპყრო მთელად
- 25 „ალტაფორტისა დიდსა ბატონს, მას შესცქეროდი, „მიტომაც იგი ვერ შენიშნე და გაგეცალა“. „მეგზურო ჩემო, — ვუპასუხე მე ვირგილიუსს, —

8. მილია, ლათ. Millia, რომაელთა ხანაში უდრიდა ათას (passum-ს) ნა-
ბიჯს. ამ ადგილიდან დანტე სივრცეების ოდენობას აღნიშნავს.
25. ალტაფორტე, ან ჰოტეფორტე, ბერტრამ და ბორნოს სამკვიდრებელი.

- 28 „ჯერ მის მაგივრად სისხლი არვის არ აუღია, „და, მე მკონია, ამიტომაც მემღურის მეცა, „გასაგებია: უფრო მეწვის მე მისთვის გული“.
- 31 ჩვენ მივდიოდით და გზადაგზა მივბაასობდით, ვიდრემდის ისეთ გავაკებას არ მივაღწევდით, სადაც ფლატედან ჩვენ შეგვეძლო თვალი მოგვეკრა
- 34 და დაგვენახა იქ მახლობლად მდებარე ველი. ვიდრეკით ასე, ქვედა ქალაქს გადავცქეროდით, კარგად მოსჩანდა დასერილი ჯურღმულის პირი,
- 37 ვხედავდით კარგად ამ ჯურღმულში გამოკეტილებს. გვესმოდა თანაც ჟრიაშული გულისწამლები, და შემზარავი სიმძიმის, ვაების ხმები.
- 40 მეც ამიტომაც დავიცავი თითებით ყურნი, თითქოს ივლისსა და სექტემბრის თვეების შორის ავადმყოფები, სნეულები ავი სახადით
- 43 მთელი მარემის, სარდინიის, ვალდიჩიანას ჰოსპიტალები დავცალოთ, აქ მოეყვანოთ, და დაემწყვდიოთ ამ ჯურღმულში ყველანი ერთად.
- 46 იღვა ისეთი საძაგელი და მყრალი სუნი, როგორც სჩვევია კეთროვანის ჩირქიან სხეულს. ამ ვრცელი კლდისა უკანასკნელ ნაპირს ჩავყვებით,
- 49 მერმე მხარმარცხნით გაუხვიეთ, და ამის შემდეგ უკვე გარკვევით გავარჩიეთ ჯურღმულის ფსკერი, სად უტყუარი და უებრო მართლმსაჯულება,
- 52 უზენაესის ნებისყოფის აღმსრულებელი, ღირსეულ სასჯელს ახდევინებს ყალბისა მქნელებს. მე არ მგონია უფრო დიდი ურვა, გოდება
- 55 ეგინის ხალხის შემხედვარეს რომ მოესმინა, როს შავი ჭირი გაერია დიდსა და მცირეს, და ცხოველებსაც, უმცირესსა თავად ქუასაც

28. იგულისხმება გერი ბელლო, დანტეს ღვიძლი ნათესავი, ყალბი ფულის მჭრელი და დიდი ჩხუბის თავი.

43. მარემი, სარდინია და ვალდიჩიანა — დანტეს დროს ქაობიანი ადგილები ყოფილა და აქაურ საავადმყოფოებში. მუდამ ურიცხვი ავადმყოფები იყვნენ თურმე მოთავსებულნი.

55—56. ეგინის ჭირის შემდეგ, ეაქის თხოვნით, იუპიტერმა ჯინჯველები ადამიანებად აქცია და ახალ ხალხს შეერქვა მირმილები, სიტყვიდან *μυρμη* ჯინ-
კველი.

- 58 როგორც მგოსნები მოგვითხრობენ, გაავლო მუსრი, და უძველესი ერი იგი ჯინჭველთა თესლით კვლავ აღორძინდა, განაახლა ჯილაგი თვისი,
- 61 ვიდრე ამ ვნებულ, გაწამებულ სულების მნახველს . როცა ისინი ზიმზიმებდენ ქანცმილეული. ამ ბნელ ქალაკში ერთი პირქვე დამხობილიყო,
- 64 ჰგოდებდა მწარედ, და მეორე გვერდზე დაგდებულს ზედ დასწოლოდა, როგორც კეცი კეცზე შედგმული, ზოგიც ბილიკებს მიჰყოლოდა ოთხზე მჩოჩავი,
- 67 ჩვენ მივდიოდით ორივენი ნელის ნაბიჯით. ვსდუმდით, ვუმზერდით დაკუთებულით ირგვლივ სნეულებს. ცოდვილებს ტანზე ეყრებოდათ ნახოკი კანი,
- 70 არასდროს არცერთ მეჯინიბეს ბატონის შიშით, ეგზომ სისწრაფით, ამნაირად დაუზოგავად არ უხმარია ჯერ სამნელი ცხენის წმენდის დროს,
- 73 როგორც ცოდვილნი საკუთარი ხელის ფრჩხილებით კანს იხოკავდნენ, რათა ამ გზით მათ ეგრძნოთ შვება, აუტანელი ფხანისაგან გაცოფებულებს.
- 76 მათი ფრჩხილები ისე ფცქვნიდნენ სხეულზე კანსა, ვით დანისპირი ტანზე ქეცედს ააცლის თევზებს. „შენ ჰეჲ, ფრჩხილით რომ იხოკავ საკუთარ ხელებს,—
- 79 მიმართა ერთ-ერთს ცოდვილთაგანს ოსტატმა ჩემმა, „მარქვი თქვენს შორის ლათინელი თუ ურევია, „სხვაფრივ გისურვებ, რომ მარადეამს გეყოს ფრჩხილები
- 82 „მაგ საამური სამუშაოს შესასრულებლად“. „ჩვენ ორივენი ლათინელი გახლავართ, სულმთლად „სახე შეცვლილნი, როგორც ხედავთ,—სთქვეს მათ ტირილით,—
- 85 „მაგრამ შენ ვინ ხარ ვითარების ჩვენის მკითხავი?“ ჩემმა მეგზურმა მათ მიუგო:—„მოკვებები ცოცხალს „მე კლდიდან კლდეზე გადავდივარ ძლივს მაჯაგანით,
- 88 „რათა ამგვარად მას ვაჩვენო ეს ჯოჯოხეთი“. ორივემ მყისვე ხელი უშვა ერთი მეორეს, ორთავემ ჩვენსკენ მოიბრუნეს წამსავე პირი,

72. ს ა მ ნ ე ლ ი—სამურველი, ცხენის საწმენდი ხელსაწყო.

- 91 და მათ მესამეც მოეკედლა, როცა ისმინა, ჩემმა მეგზურმა, რაც მათ უთხრა, ხოლო ოსტატი, მე მომიბრუნდა, გვერდს მომეკრა და მეუბნება:
- 94 „ჰკითხე შენ იმას, რაც გინდოდეს“, და მეც უმაღლვე, მათ შევესიტყვე, რადგანც ნება დამართო ოსტატმა. ვუთხარი:—„სულნო, დეე დარჩეს, თქვენი სახელი
- 97 „წუთისოფელში სამუდამოდ წარუხოცელი, „და ხსოვნა თქვენი კაცთა შორის იქნეს მზეგრძელი, „ოლონდ ეს მარქვით თქვენ ვინა ხართ, ან სადაური,
- 100 „ნუმც საძაგელი, საზიზლარი წამება თქვენი „დაგიშლით მამცნოთ ვინაობა და გამიმზილოთ“. „ვარ არეცოდან,—მითხრა ერთმა,—ჩამავდო ცეცხლში
- 103 „მე გულარძნილმა და სასტიკმა ალბერტ სიენამ, „მაგრამ სიკვდილის ჩემის მიზეზს, ეგეც იცოდე, „არ შთაუგდივარ ჯოჯოხეთში“. და მე დავსძინე:
- 106 „შენ მართალს ამბობ, ასე იყო“—მან კვლავ განაგრძო: „წუთისოფელში მე შემეძლო ჰაერში ფრენა, „მაგრამ ერთ-ერთმა ჰქუათხელმა, ახირებულმა
- 109 „მომთხოვა მისთვის მე ეს საქმე მესწავლებინა; „მხოლოდ იმიტომ, რომ მე იგი ჯადოსნურის გზით „ველარ გაეხადე დედალოსი, თავის მამასთან
- 112 „მან დამასმინა და ჩამავდეს ცეცხლის კოცონში. „მაშინ მინოსმა ზედმიწევნით სწორმა მსაჯულმა „მე მიმისაჯა აქ მეთვე ჯურღმულში ყოფნა,

102. კომენტატორების აზრით ეს სული უნდა იყოს გრიფოლინო დ'არეცო თურმე სიენას ეპისკოპოსის ვაჟთან ალბერტ დასიენასთან საუბრის დროს მას წამოსცდენია: „მე რომ დამჭირდეს, ჰაერში გავფრინდებოდა“; ალბერტს ეს შეჰ-შურდა, თურმე, და მოსთხოვა ეს ხელოვნება მისთვისაც ესწავლებინა, — „მე ეს ვი-ხუმროე“,—მიუგო გრიფოლინომ, ალბერტი მაინც არ მოეშვა, ბოლოს ალბერტ და სიენამ ეშმაკეულის თანაზიარად გამოაცხადა იგი და დააწვევინა. სხვანი ამბობენ: გრიფოლინო მატყუარა იყო, ალბერტს უამრავი ფული დასტყუა, ამოღ ავარჯიშა „ფრენაში“ და სწორედ ამაზე გაფიცდა ალბერტ და სიენა, და გრიფოლინო ცეცხლში დააწვევინაო. საერთოდ ცნობილია, რომ გრიფოლინო ალკიმიას ეწეოდა თურმე.

111. დედალოს (დადალოს)—სახელგანთქმული მოქანდაკე ყოფილა ძველ საბერძნეთში, დიდი ჯადოქარი და მისანი.

- 115 „რადგან მიწაზე ალქიმიას მე ვეწეოდი“. მივმართე ისევ ვირგილიუსს და ვეუბნები: „არა მგონია, რომ სხვა იყოს ხალხი ამ ქვეყნად
- 118 „სიენელებზე უფრო მეტად თავქარიანი, „და არც ფრანგები ჩამორჩება მათ ამ საქმეში“. ხოლო მეორე კეთროვანმა ჩემი ნათქვამი
- 121 რა მოისმინა, ჩაერია ჩვენს საუბარში: „სტრიკას ნუ ჩასთვლით იმათ შორის, „იგი ფლანგვაში იმთავიდანვე იყო ფრიალ თავდაქერილი,
- 124 „ნიკოლოც უნდა გამორიცხოთ, მან შემოიღო „მიხაკის მხალის საჭამანდი ამ ტურფა ბაღში, „სად ნიადაგი ყვავილთათვის სანუკველია,
- 127 „არც ის კრებული მიათვალეთ, სადაც კაჩია, „თავის მეგობრებს უმართავდა დიად ნაღიმებს. „ამგვარად ქეიფს შეაღია მან ვენახები,
- 130 „და ნიჭი თვისი ხალხს უჩვენა აბაგლიატომ. „ახლა თუ გინდა, რომ გაიგო სიენელების „დამსწრეთა შორის, თუ ვინ არის მტერი მეორე,
- 133 „კარგად შემხედე, დამაკვირდო და დარწმუნდები, „რომ კაპოჩიოს ვლგავარ ლანდი მე შენს წინაშე. „ალქიმიისა შემწეობით ძვირფას ლითონებს
- 136 „მე ვაყალბებდი, შენც მიცნობდი საიქიოში, „როგორც მაიმუნს სანაქებო აღნაგობისას“.

119. ფრანგების თავქარიანობის შესახებ არა ერთი მათი ევროპელი მეზობელი სჩივის. ჯერ კიდევ რენესანსის ხანებში ბოკაჩიო აღნიშნავს ამას, გადმოცემით სიენა ფრანგებს უნდა დაეარსებინოთ და ამიტომაც დანტე ფრანგებს ადარებს მათ.

122. გაუგებარია თუ ვინ უნდა იყოს სტრიკა. ფილალექსი ჰეიქრობს, ვგ სტრიკა ქვემოდ ნახსენებ მოქეიფეთა კლუბის წევრი უნდა იყოსო.

124. იგულისხმება ნიკოლო ბონსინიორი, რომელმაც შემოიღო მიხაკის მხალის გარნირით შეკაზმული ხოხბის კერძის ჯამა. ჯალაქ სიენას ტურფა ბაღს უწოდებს დანტე.

127. იგულისხმება 12 მოქეიფის კრებული, ერთგვარი კლუბი მოქეიფეების სიენაში. ისინი ძლიერ კარგად იყენებდნენ წელიწადის ოთხივე დროს თავიანთ დაუცხრომელი ქეიფისათვის; ამ კლუბში ქეიფის დროს კაჩია ასტიანომ თავისი მამული გაფლანგა, ხოლო აბაგლიატომ თავისი ენამოსწრებულება უჩვენა სიენელებს.

134. ფრიალ ენამახვილი ფლორენციელი კაპოჩიო, დანტეს სიკაბუჯის მეგობარი ყოფილა, იგი ალქიმიას მისდევდა თურმე.

ძევა მირცხაათი

- მაშინ, როდესაც იუნონა ზემელას გამო თვის სასტიკ რისხვას თავს ატეხდა თებაჟს ტომსა, რაიც მან საქმით არა ერთხელ ჰყო თვალსაჩინო,
- 4 ისე გაცოფდა ატამასი, გადაირია, რომ, ოდეს თვალი შეცაასწრო შეუღლეს თვისას, ორი შეილი რომ აყვანა ორივე ხელზე,
- 7 დაიღრიალა: — „მიმოგშალოთ ბადენი, რათა „გზაზე ძუ ლომი დავიჭიროთ ორლეკვიანი“; შემდეგ ამისა გააშვირა სასტიკნი თათნი,
- 10 ჩასკიდა ერთ-ერთ ვაჟს თავისას, სახელად ლეარხს, ზე შეაქნია და შეაკლა პიტალოს კლდისას, ხოლო დედა კი წყალს მიეცა მეორე ტვირთით.
- 13 ან და როდესაც ძირს დაამხო ფორტუნის ხელმა ილიონელთა განდიდება და სიგოროზე, რასაც თან მოჰყვა მეფისა და სამეფოს დანთქმა,
- 16 მაშინ ჰეკუბა, ბედდამწვარი და სევდიანი, ვინც ტყვეობაში პოლიქსენას სიკვდილი ნახა, ხოლო ზღვის პირას პოლიდორის უსულო გვამი,

1—2. ზემელე — კადმოსის ასული, ბერძნ. მითოლოგიაში ძველსი საყვარელი, რომელიც მოჰკლა კიდევაც იჭვენულ ჰერას მიერ წაქეზებულმა ძველმა. იუნო (ბერძნულ მითოლოგიაში ჰერა) — ქორწინებისა და მშობიარობის ღმერთალი — იუპიტერის (ბერძნ. ძველსი) მეუღლე, ამიტომაც „ზევიერ დედოფლად“ წოდებული (მითოლოგიაში). როცა იუნომ გაიგო ზემელესა და ძველს შორის ფარული ურთიერთობის არსებობა, იგი ამხედრდა ზემელეს მამის — კადმუსის, ქ. თებაჟს დამარსებელის წინააღმდეგ. მრავალი ხიფათი შეჰყარა მან ზემელეს დედ-მამას და ბოლოს ორივენი გველებად აქცია, ხოლო მათი ვაჟი ათამას გააგიჟა და კლდეს მიახლდა.

16. ჰეკუბა. (ლათ. Heccuba) ტროას მეფის პრიამის მეუღლე, ჰექტორისა და პარისის დედა, ტროას დანგრევის შემდეგ იგი ბერძნებმა დაატყვევეს.

17. პოლიქსენა — პრიამისა და ჰეკუბას ასული; როცა ტროას ომებში გამარჯვებულმა ბერძნებმა თრაკიის მახლობლად ლუზა ჩაუშვეს ზღვაში, მათ აქილევსის ლანდი გამოეცხადა და მოითხოვა: პოლიქსენა მსხვერპლად შემოეწო-

* * კონსტანტინე ჰიჭინაძის მიერ თარგმნილი.

- 19 ისე გაცოფდა და სიბრაზეს მიეცა იმგვარს, რომ გააფთრებულ ქოფაკივით დაიწყო ყეფა— ასე შეშალა მწუხარებამ გონება მისი.
- 22 მაგრამ არასდროს არც თებელნი, არც ტროელები არა ყოფილან იმ ზომამდე გააფთრებულნი, და არ უფატრავთ არც პირუტყენი, არც კაცთა ხორცი,
- 25 რა სიმკაცრესაც ამქალაქებდა აზრდილი ორი, გაფთრებული და ტიტველი: სირბილის დროსაც იტბინებოდნენ, ვიღ იშველით გაჭრილი ტახი.
- 28 ერთი მათგანი კაჭოკიოს ებღღუნა პირდაპირ, ხელი ჩასჭიდა მას კისერში, თან წარიტაცა და დედამიწას მიჭყარცხვიდა მისის მუცელით.
- 31 არეცოვლმა კი შეკრთომით მაუწყა ასე: „ეს ჯიოვანი შიკო არის გაცოფებული, „თავის უზომო განჯრისხებას სხვებს ატეხს თავზე.“
- 34 „დეე, ნუ დაგვლეჯს შენ კბილებით მეორე სული,— მივუგე სიტყვა, — ჰქმენ წყალობა და გამირკვიე, „ვიდრე თვალთაგან არ გამქალა, ვინ არის იგი.“
- 37 მან მიპასუხა:— „უძველესი სულია ქალის. „ბილწი მირასი — შეიყვარა მშობელი მამა „უმეტეს გრძნობთ, ვიდრე ვალად ეკისრა ასულს.

რეთო. ბერძნებმა ეს სურვილი აღსრულეს აქილევსის ლანდს. როცა პოლიქსენას ცხედარი დედას მიას ჰქვამდნენ, იგი ზღვის ნაპირისაკენ გაემართა, რათა მიცვალებულისათვის სისხლი მოებანა ზღვიან წყლით, მაგრამ უცაბედად იქვე თვალის ბრძანებით უკანასკნელი ვაჟის პოლიდორის ცხედარს. პოლიდორი დედამამას ბიარებული ჰყავდა პოლიმნესტორ თრაკიის მეფისათვის, მაგრამ იგი ბერძნებს მოეყვიდათ და ამიტომაც პოლიმნესტორს და თვალები ამოჰკაწრა. აიყვლია ტროას ქალები, გაბრაზებულმა თრაკიელებმა ქვები დაუშინეს უბედურ დედას; იგი შიშისა და ბრაზისაგან გაგიჟდა და ძალისებურად შეჭყეფდა თრაკიელებს.

27. ი შ ე ლ ი. — საღორე.

31. იგულისხმება გრიფოლინო დ' არეცო.

32. ჯიოვანი შიკი დეი კავალკანტიმ — სიმონე დონატის რჩევით შემდეგი სიყალბე ჩაიდინა: სიმონეს ბიძას, ბუოსო დონატის (მე-XXV კებაში ქურდებს შორის მოხსენებული) სხვადასხვა უხეიო საშუალებებით დიდძალი ქონება ჰქონდა მოხვეჭილი. ჯიოვანმა შიკი მის ლოგინში ჩაწვა, თავი მოიკლამყოფა, მოწმეები და ნოტარიუსი მოიხმრა და სიმონე დონატის უანდერძა ბიძა მისის ბუოსო დონატის ქონება.

38. მირა (Mirra) ჰაფოს მეფის კინირას (Cinira) ასული; მირას მამა თვისი შეუყვარდა ისე მოაწყო, რომ ბნელში შეხვედროდა კინირას. აღევლებულმა მამაკაცმა ვერ იცნო თავისი პირმშო და გვერდით მოუწვა. ამ საშინელი სიყვარულისაგან წარმოიშვა ადონის.

- 40 „ცოდვის მახეში რომ ვაება თავისი მამა, „ის მოველნა მას სრულიად სხვა ქალის სახით, „მსგავსად სულისა, იქ ვინც გარბის და ვინც გაჰბედა,
- 43 „რათა მთელს ჯოგში უტუტრფესი ეშოვნა ქაკი, „ბუზო დონატად ქცეულიყო, და თან შეეთხზა „ყალბი ანდერძი ყოველგვარი კანონის დაცვით“.
- 46 ოდეს ორივე ცოჟიანმა, რომელთა ზედან ჩემი შეჩერდა თვალთახედვა, გვერდს ჩავვიარა, მე შემოვბრუნდი, რომ გულბილწნი მეხილა სხვანი.
- 49 და დავინახე იქ ერთერთი, — ის მთლად ლიუტოს გარეგან სახეს ძიილებდა, თუ კი მის სხეულს გადაჰკვეთავდნენ თქობებში ფხვების ზემოდ.
- 52 წყალმანკისაგან, — სნეულება, რომელიც ალკვეთს სხეულში წვეთა მიმოქცევას, შესცვლის ნაწევრებს, და თანაბრობას დაუკარგავს სახეს და მუცელს, —
- 55 პირი დავლო, ვით ჭლექიანს, რომელსაც ფიცხი წყურვილის გამო ზემო ჩარბი აუწევია, ხოლო მეორე დაუხრია ძირს ნიკაპისკენ.
- 58 „თქვენ, ვინც შესძელით, მე არ ვიცი თუ რა მიზეზით, „აქ ეს წამება აგეცდინათ — წარმოსთქვა იმან, — „გთხოვთ მიაქციოთ თვალთახედვა და ყურადღება
- 61 „ოსტატ ადამის უბედობას. მე სიცოცხლეში „სურვილისამებრ ყოველივეს მფლობელი ვიყავ; „ვაჰმე! ახლა კი მენატრება წვეთი წყალისა!
- 64 „ნაკადულები, კახენტინოს მწვანე ბორცვთაგან, „სველ და ნესტიან ნიადაგში საწოლის მჭრელნი, „ძირს რომ ჩარბიან და ერთვიან მდინარე არნოს,
- 67 „თვალწინ მიდგინ ამ ქაბისად მე განუწყვეტლივ, „და არც ამაოდ, ვინაიდგან იმათი ხილვა „მანმობს უმეტეს, ვიდრე სენი სახის შემცვლელი.

49. ლიუტო (იტალ. liuto) გერმ. Laute, გიტარისებური, სიმებიანი მუსიკალური იარაღი. ბოლოში განიერი, თავში წვრილი.

61. ადამ და ბრესციამ გრაფის გვიდო დი რომენას მიერ წაქეხებულმა ყალბი ფლორენციული ფლორები მოსჭრა. სან ლორენცოში ერთი სახლი დაიწვა, ამ სახლის საძირკველში იპოვეს დიდძალი ყალბი ფული. მაშინ შეიპყრეს ოსტატი ადამ და ბრესცია და კოცონზე დასწვეს. იტალიაში ამ ადგილს ახლაც აჩვენებენ გიდეები და ყოველი მგზავრი თითო ქვას დაახლის იმ ადგილს.

69. კახენტინო—მდინარე არნოს ზემო ჰალა მთის ნაკადულებით მრავალგზის მორწყული.

- 70 „მართლმსაჯულებამ უმკაცრესმან ამოირჩია
„ჩემს საწამებელ იარაღად ადგილი იგი,
„სადაც შევცოდე, რომ ტანჯვანი გამიძლიეროს.
- 73 „ეს რომენაა, იქ ვასხამდი ყალბ ფულებს, რომელთ
„ნათლისმცემელი იოანეს სახე ეხატათ,
„რის გამო სხეულს ვავეყარე მიწაზე დამწვარს.
- 76 „და რომ შემედლოს უბადრუკნი ვიხლო სულნი
„ალექსანდრესი, გვიდოსი და იმათი ძმისა,
„მე ამ სანახავს არ გავსცვლიდი ბრანდის წყაროზე.
- 79 „ერთი მათგანი ჯოჯოხეთში ყოფილა, თუ კი
„ამ დამთხვეულმა აჩრდილებმა არ მომატყუეს:
„მაგრამ რას ვაქნევ, თუ ხელფეხი მაქვს შეხუთვილი?
- 82 „ისე მჩატე რომ მაინც ვიყო — შემედლოს გავლა,
„თუნდ ერთის გოჯის, თითოეულ საუკუნეში,
„მაშინ მე უკვე ვიქნებოდი დამდგარი გზაზე,
- 85 „რათა მეხილა ამ უწმინდურ ურდოში იგი,
„თუმცა საზღვარი გარეშემო ამ ქალაქისა
„უღრის მილიას სიგრძით თერთმეტს, განით ნახევარს.
- 88 „მათის, აი ამ უწმინდურთა მიზეზით მოვხვდი
„ამგვარ ცოდვილთა ბნელს ურდოში: მომაქრევიენს
„იმათ ფლორები შენარევით სამი კარატის“.
- 91 მე შევეკითხე:—„ვინ იქნება ეს ორი სული,
„აგერ შენს მარჯვნივ ჩახუტებით მწოლიარენი,
„ორთქლი რომ ასდით, ისე როგორც ზამთარში სველ ხელს?“
- 94 „ასე ყოფილან ჩემს მოსვლამდე, — მომიგო სულმა, —
„და, რაც აქა ვარ, არასოდეს არ განძრეულან;
„ვფიქრობ, უძრავად დარჩებიან სამარადისოდ.

74. ფლორინები—1252 წლიდან ჩვენ დრომდის ფლორენციაში სჭრიან ოქროს ფულს ფლორინებს, მათზე იოანე ნათლისმცემლის (ვითომდა ფლორენციის დამაარსებლის) სახეა გამოხატული.

77. კომენტატორებს ჯერაც ვერ დაუდგენიათ ვინ უნდა იყოს ეს სამი ძმა? ვაგეზ გრაფ გვიდოსი, (ალდრადას შვილისშვილის) ვაჟები?

78. ბრანდის წყარო—ფონტე ბრანდა, ცნობილი ჰაა სიენაში.

- 97 „ერთი — ქალია, ვინც იოსებს დასწამა ცილი,
„მეორე — სინონ, ცრუ ბერძენი ილიონიდან:
„აცხელებს მაგათ და ოხშივარს ორთქლავენ მყარლსა“.
- 100 მაშინ იმ ორი აჩრდილიდან ერთერთმა სულმა,
„შეურაცყოფად მიილო რა ეს დაწამება,
„მუშტი დაარტყა წყალმანკიანს გაბერილ ფაშეზე;
- 103 ფაშემაც ამაზე ხმა გამოსცა, ისე ვით დოღმა,
„ხოლო ადამმა თავისის მხრით გაარტყა აჩრდილს
„ხელი, რომელიც მე მსუბუქი არ მომეჩვენა,
- 106 და უთხრა თანაც:—„მოძრაობა არ ძალმიძს თუმცა
„დამძიმებული ასობით, მაგრამ ხელი კი
„მე გვარიანად მიმოძრაობს ასეთ შრომისთვის“.
- 109 უთხრა სინონმა:—„როდესაც შენ კოცონზე წახველ,
„მაშინ არ იყო შენი ხელი ამდენად მარჯვე,
„მაგრამ ასევე მარჯვე იყო ყალბ ფულს რომ სჭრიდა“.
- 112 ხოლო ადამმა:—„მართალს ამბობ ამ შემთხვევაში,
„მაგრამ სიპართლე დაგავიწყდა ტროაში გეთქვა
„მაშინ, როდესაც შეგეკითხნენ იმის შესახებ“.
- 115 „თუ მე ვსტყუოდი, შენ სანაცვლოდ ყალბ ფულებს სჭრიდი,—
„უთხრა სინონმა, — მე აქა ვარ ერთის ცოდვისთვის,
„შენოდენი კი არცერთ დემონს არ აწევს ზურგზე.
- 118 „აბა ხის ცხენი მოიგონე, ფიცის გამტეხო,—
„აქ ლიპიანმა უპასუხა, — და დაიტანჯე
„მით, რომ ქვეყანამ იცის შენი დანაშაული!“
- 121 „შენ კი იტანჯე მოწყურებით, რომელმაც შენი
„ენა დახეთქა, დაიტანჯე დამპალის წყალით,
„რომელმაც ფაშეი აგიბერა ყორისებრ თვალწინ“.
- 124 აქ ყალბისმქნელმა უპასუხა:—„ეგ შენი პირი
„იღება მაშინ, როცა გინდა თქმა ბოროტისა:
„თუ მე მოწყურია და სინესტივ ვარ გაბერილი,
- 127 „შენ ხომ ცხელებას დაუწვავხარ და შენი თავი
„ალშია თითქოს; დიდი ხეწნა არ იქნებოდა
„საჭირო, რომ შენ აველოკა ნარციზის სარკე“.

129. ე. ი. შენ ისე მოწყურებული ხარ, რომ სიამოვნებით შეხვრები ანკარა წყაროს; წყაროში ხედავდა ნარციზი საკუთარ სახეს, რომელიც შეუყვარდა მას.

- 130 მე უდიდესი ყურადღებით ვუსმენდი იწათ,
მაგრამ მომმართა მე უეცრად ოსტატმა: — „ფრთხილად!
„ცოტა კიდე და შემიძლია გავჯავრდე შენზე“.
- 133 როგორც კი მესმა ეს მრისხანე სიტყვები მისი,
მყის შევეტრიალდი დარცხვენილი იმგვარად მისკენ,
რომ მარტოოდენ მოგონება მიწითლებს სახეს,
- 136 და ვით შემკრთალი საშინელის ოცნებით კაცი,
გულს აიძვებდა, რომ ეს არის ოცნება მხოლოდ,
და სურს, რაც არის, თითქოს იგი არ ყოფილიყო,
- 139 ისე ვიდექი მე უსიტყვოდ, რადგან მინდოდა
ბოდიშის მოხდა, — მოვიხადე კიდევაც იგი,
და არ ვიცოდი, რომ ბოდიში მოხდილი მქონდა.
- 142 „შეისყიდიდა დანაშაულს შენსაზე მეტსა
„სირცხვილის გრძნობა უფრო მცირე, — ასე მომმართა
ოსტატმან ჩემმან: — ინუგეშე პბითი თავი, —
- 145 „და თუ შემთხვევა მოწმად გაგხდის შემდეგში კიდეც
„ამგვარი ჩხუბის, გაიხსენე, რომ ვდგევარ გვერდით,
„რადგან სურვილი ასეთების გაგონებისა
- 148 „არის სურვილი უსათუოდ მდაბალი მეტად“.

ძეგა მითცდათმარება

- ენამ, რომელმაც მომაყენა წყლული ისეთი,
რომ სიწითლემან დამიფარა ორივე ღაწვი,
მე განკურნება მომანიჭა შემდეგში ისევ;
- 4 სწორედ ამგვარად შუბის წვერი აქილევისა
და მისის მამის — გადმოცემა მოგვითხრობს ასე —
ჯერ დაჰკოდვიდა და შემდეგ კი წყლულს მოარჩენდა.
- 7 უკან დაეტოვებო ჩვენ თანდათან ქალაკი იგი,
შბელურებით ავსებული და მღუმარენი.
მიუყუებოდით მის გარშემო მოვლებულ კიდეც.
- 10 იყო სინათლე უმეტესი, ვიდრეა ღამით,
ხოლო ღლის შუქზე უმცირესი: თვალი ძლივს სჭრიდა,
მაგრამ სმენა კი განაცვიფრა საყვირის ხმამან,
- 13 ძალა რომლისა დაჰფარავდა ქუხილის გრგვინვას, —
და ამ ხმაურმა, ყურადღება რომ დამიტყვევა,
მზერაც აგრეთვე მიმიჯაჭვა ერთს წერტილზედან.
- 16 საუბედურო დამარცხების შემდეგ, როდესაც
მთლად დაიღუბა წმინდა საქმე კარლოს დიდისა,
არ უყვირნია უმძლავრესად ორლანდოს საყვირს.
- 19 როგორც კი თავი ზე ავსწიე, მეჩვენა თითქოს
წინ გავარჩიე რამდენიმე მალალი კოშკი;
მივმართე ოსტატს: — „ეს რა არის, რა ქალაქია?“
- 22 ხოლო მე იმან: — „წარმოდგენას შეუყვანიხარ
„შენ შეცდომაში, ვინაიდან შორიდან ლამობ
„ამ სიბნელეში გაარჩიო საგნების სახე.
- 25 „მიუახლოვდი იმა ადგილს და დაინახავ
„შენ, თუ მანძილი რაოდენად ატყუებს გრძნობას.
„აბა უჩქარე ცოტაოდენ“.

- 28 ოსტატმა ნაზად დამიჭირა ხელი და მითხრა:
„რომ შენ საგანი მოგეჭვენოს ნაკლებად უცხო,
„გაიგე უმალ, ვიდრემდისინ წინ წახვიდოდე,
- 31 „რომ ეს კოშკები კი არ არის, გიგანტებია
„ჭისა სიღრმეში მდგომარენი, ნაპირთან ახლოს,
„და შთამალულნი შიგ ტერფთაგან ვიდრე წელთამდე“.
- 34 როგორც ბურუსის გაცრეცის ჟამს ეჩვევა თვალი
თანდათანობით გაარჩიოს საგნების სახე,
შემობურვილი ჰაერშიგან შემდგარის ორთქლით,
- 37 ისე, სქელი და ჩაკუპრული სივრცის მკვეთელი,
მიახლებული ჭის ნაპირსა, ვგრძნობდი, რა-რიგად
გაქარწყლებული შეცდომის წილ, მზარავდა შიში.
- 40 მონტერეჯორეს კედლებზე რომ შემდგარან კოშკნი,
სწორედ იმგვარად ჭის გარშემო მოვლებულ კიდეს
ასცილებოდნენ შუატანით კოშკების მსგავსად
- 43 გოლიათები საშინელი და შემზარავი,
რომელთა მიმართ განრისხებას ამელავენებს კიდეც
იუპიტერი ქუხილით და მეხთა კვეთებით.
- 46 უკვე შემეძლო გამერჩია ერთერთის სახე,
მზარნი, გულმკერდი, უმეტესი ნაწილი მუცლის
და ძირს გვერდებზე ჩაშვებული ორივე ხელი.
- 49 ეჭვი არ არის, მოქცეულა ბუნება კარგად,
რომ მოუშლია ამ ვეება სულიერთ შექმნა,
და მარინისთვის მოუსპია ჯალათნი დიდნი.
- 52 თუ ის არ ნანობს სპილოთა და ვეშაპთ გაჩენას,
მაშინ გონივრულ განსჯის შემდეგ უნდა ვიფიქროთ,
სამართლიანად და ბრძნულად რომ იქცევა იგი,
- 55 რადგან გონების მოქმედება თუ შეუერთდა
ძალმორკმულებას და სიავეს, ადამიანი
ველარ შეიძლებს ველარაფრით დაიცვას თავი.
- 58 გიგანტის სახე მომეჩვენა გრძლად და ვეებად,
ვით წმიდა პეტრეს ეკლესიის ზეთავი რომში;
მისდა თანაბრად დიდნი იყვნენ ასონი სხვანი.

- 61 ასე რომ იმა ნაპირიდან, რომელიც ტანის
ქვედა ნახევარს დაჰფარავდა, მოსჩანდა მალა
კიდეც იმდენი, რომ თმებამდე ვერ აუწევდა
- 64 ხელს ერთად სამი ფრიდლანდელი, რადგან მზარნიდან,
იქ, სადაც თავი ინასკვება მოსასხამისა,
იყო ფსკერამდე ოცდაათი მთლიანად პალმა.
- 67 „რაფელმა ამეკიზაბი აღმი!“
აღმობდა ხახას უზარმაზარს, რომელსაც ტკბილთა
საგალობელთა არ შესწევდა წარმოთქმის ძალა.
- 70 რქვა მას ოსტატმა:—„ხელთ აიღე, შეშლილო სულო,
„შენი საყვირი, დე დააცხროს მან შენი რისხვა,
„ანუ სხვა ვნება, ოდეს იგი დაგიწყებს ქენჯნას.
- 73 „მოსძებნე ყელზე და მონახავ თასმაზე შენ იქ
„გამობმულ საყვირს; ჰა — შეხედე, როგორ ჰკილია
„შენს უზარმაზარ მკერდზე იგი, ჩერჩეტო სულო!“
- 76 შემდეგ ოსტატმა მე მომმართა:—„ეს ნებროთია.
„თავს თვით იმტყუნებს; წამოწყებამ გიჟურმა მისმა
„ქვეყნად წარმოშვა ერთის ნაცვლად მრავალი ენა.
- 79 „დაესტოვოთ იგი, ნუ დაეზარჯავთ ამაოდ სიტყვებს.
„არცერთი ენა გასაგები არ არის მისთვის
„იმგვარად, როგორც სხვებს არ ესმის იმისი ენა“.
- 82 შემდეგ შემოვლა მოვახდინეთ მარცხნიდან დიდი,
და ისრის ერთი გადატყორცნის მანძილზე ვნახეთ
სხვა გოლიათი უმეტესი და საზარელი.
- 85 არ ძალმიძს გითხრათ, თუ ამგვარად ვის ნებისყოფას
შეეკრა იგი: მკერდზე ჰქონდა მარცხენა ხელი
მიმაგრებული, მარჯვენა კი მიკრული ზურგზე
- 88 ჯაჭვით, რომელიც ეშვებოდა კისრიდან დაბლა,
და გარემომო ხუთ სარტყელად შემოვლებოდა
გიგანტის სხეულს, ზე აღმართულს ჭის სიღრმეთაგან.
- 91 „ამ გულგოროზმა მოინდომა ძალმორკმულობით
„შესჯიბრებოდა იუპიტერს, ცათა მბრძანებელს,—
სთქვა წინამძღოლმა, — და სანაცვლო მიიღო ჯილდო.

- 94 „მას ეფიალტე ეწოდება; გმირობა მისი
„დიდ იყო, ოდეს გიგანტებმა შეაკრთეს ღმერთნი;
„ხელი მმუსერელი უმოძრაოდ შთენია ახლა“.
- 97 მივმართე ოსტატს:—„მაქვს სურვილი, თუ შესაძლოა,
„რომ მე აქ ჩემის საკუთარის თვალებით ვნახო
„განუზომელი ბრძარეოს“. მან მიპასუხა:
- 100 „აი აქავე, შენ მახლობლად, ნახავ ანთეოზს;
„ის თავისუფლად იმყოფება და ლაპარაკობს.
„იგი ყოველგვარ ბოროტების ფსკერზე ჩავეყვანს.
- 103 „ხოლო იგი კი, ვისი ნახვაც შენ მოისურვე,
„შორს არის უფრო, შეკრულია, ჩამოჰგავს ამას,
„მაგრამ სახე მას მხეცური აქვს გარდამეტებით.“
- 106 არასდროს კოშკი ისე ძლიერ არ შერყეულა
უსაშინელეს მიწის ძვრისგან, როგორაც მაშინ
ტანი უეცრად შეტორტმანდა ეფიალტესი.
- 109 მე არასოდეს არ მიგრძენია სიკვდილის შიში
ასე ძლიერი, და ჯაჭვი რომ არ შემენიშნა,
გამათავებდა მარტოოდენ ამ შიშის ზარი.
- 112 წინ გავემართეთ ამის შემდეგ და მივადექით
ანთეოზს — იგი ჭის ზედა პირს ასცილებოდა
უმეტეს, ვიდრე ხუთი ადლით, გარდა თავისა.
- 115 „ო, შენ, რომელმაც უტურფესი ხეობის ველზე,
„სად სციპიონი ეზიარა დიდებას უკვდავს,
„ხოლო ანნიბალ უკუ იქცა ლაშქარით თვისით,
- 118 „ლომი ათასი შეიპყარი! შენ, ვის შესახებ
„დღემდე ამგვარი დაშთენილა თქმულება ხალხში,
„რომ, თუ კი ბრძოლას წარმართავდი შენს ძმებთან ერთად,
- 121 „შვილებს მიწისას გამარჯვება ხედებოდათ წილად,
„ნუ იუარებ ჩვენს შთაყვანას შიგან უფსკრულსა,
„სადაც კოციტი შეუჯაჭვავს უმძაფრეს ყინვას.
- 124 „ნურცა ტიციუსს, ნურც ტიფეოსს ნუ მიგვასწავლი,—
„ძალუძს სურვილი შეგისრულოს ამ ადამიანს,—
„მაშ დაიხარე და ნუ ღმეკავ მაგვარად სახეს.

- 127 „ჰო, შეუძლია მას დიდება შეგასხას, — იგი
„ჯერ ცოცხალია და ფიქრობს, რომ იცოცხლებს ხანგრძლივ,
„თუ მას ვადამდე არ აღიწვევს მადლი ციური“, —
- 130 უთხრა ოსტატმა, და გიგანტმაც მოჰკიდა ხელნი,
ძალა, რომელთა შემზარავი სცნა ჰერკულესმა,
და აღიტაცა უეცარის სისწრაფით მალა.
- 133 აქ მომიბრუნდა ვირგილიუს და მომაძახა:
„მომიახლოვდი, რომ აყვანა შევიძლო შენი“.
და ჩვენ ორნივე ერთ სიმძიმედ გარდავიქცით.
- 136 ვით კარისენდა, თუ ვუცქერით იქიდან იმას,
სითქენც იხრება, როს ღრუბელი გადუფლის თავზე,
ხოლო ის თითქოს შესახვედრად გადაზნექილა,
- 139 ასე მეჩვენა ანთეოზი, ოდეს ვიხილე
იგი დახრილი, — მე წამიერ ვინატრე გულში,
სხვა გზა ქვესკნელში შთასასვლელად რომ ყოფილიყო.
- 142 მაგრამ მან მშვიდად ჩავეყვანა უფსკრულის ფსკერზე,
სადაც დანთქმულან იუდა და ლიუციფერი.
არ დაშთენილა დიდხანს იგი წელმოდრეკილი:
- 145 ტანში გასწორდა ისე, როგორც ხომალდის ანძა.

ქება მითოსდათორჩება

- მე რომ შემეძლოს აქ მივმართო ლექსს გაურანდავს, როგორც შეშვენის ამ საშინელ, ამაზრზენ ჯურღმულს, რომელსაც ირგვლივ მოსჯარვია კლდე უამრავი,
- 4 დაძაბულ ძალას გონებისას მოვიმარჯვებდი, მაგრამ ამგვარი ხელოვნება არ მეხერხება, და ამიტომაც აწ ვმეტყველობ მოკრძალებულად.
- 7 ვერას გააწყობს აქ ლაღობა, ვერც ბავშის ენა, რომელსაც „დედა“, ან „მამილო“ ძალუძს გამოსთქვას; ამ გზით ვინ შესძლებს რომ ასწეროს გამოუთქმელი,
- 10 ან ვინ ასახოს საძირკველი სამყაროისა. მინდა მწედ ჰყავდეს ჩემს სიმღერებს ის ბანოვანნი, ვინაც ამფიონს მოეშველა, როდესაც იგი
- 13 ქალაქ თებაის გაღავანებს თვით აშენებდა, რათა სიმღერა შეეფარდოს ჩემს მიერ ნახულს. ო, კაცთა მოდგმავ, დაწყველილო პირველითგანვე,
- 16 რომელიც გმინავ ამ ქვესკნელში, ხომ გირჩევიდა, რომ ყოფილიყავ ქვეყნად არვე თხათ, ან ცხოვართა. როდესაც ქვევით მივალწიეთ ჭის ბნელ ფსკერამდის,
- 19 ვიდექით უკვე გიგანტების ფერხთან ორნივე. ზე ავიხედე თვალშეუვლებ კლდის ფლატესაკენ, მყის შემომსმა მე სიტყვები ასეთნაირი:
- 22 „ფრთხილად იყავი, არ დაადგა ამ ქანცმილეულთ „და უბედურ ძმებს თავზე ფეხი მოულოდნელად“. რა გავიგონე ეს სიტყვები შემოვტრიალდი.
- 25 და დავინახე ჩემს წინაშე, იქვე ჩემს ფერხთით. განიერი ტბა, მიაგავდა იგი არც თუ წყალს, არამედ მთლიანს მოვარვარე ფართობს მინისას.

13. ქალაქი თებე, თებაა, ეგვიპტეშია, გადმოცემის მიხედვით ამფიონმა თავისი სიმღერით ქალები მოიხზო და ქალაქის გაღავანის აშენებაში მოიშველია.
 17. არვე — ჯოგი თხისა, ან ცხერისა.
 27. ფილალებსის ვარაუდით ეს ტბა შემდგარია კოციტუსის წყლებისგან
 *** კონსტანტინე გამახურდიას მიერ თარგმნილი.

დანტე ალიგვიერი

- 28 ასეთი ზრქელი ხობოკვერა მტკიცე ყინვისა არა აქვს თავად დონაუს წყალს იქ ავსტრიაში, არც მდინარე დონს ზამთრეული ცისა შემყურეს.
- 31 ზედ დასცემოდა თუნდაც მთელი პეტრაპანასი ან ტამბერნიჩეს მალლობებიც რომ დასწოლოდა, არ გაადენდა იგი ტკაცანს, არც „კრიკს“ უმციურესს.
- 34 როგორც ბაყაყი საყიყინოდ მომზადებული წყლიდან გამოყოფს დინგს ისეთ დროს, როს გლეხის ქალი ოცნებობს ხშირად პურის მკაზე, ასევე სულნიც
- 37 გალურჯებულნი მთელ სახეზე ყბების ძირამდის, სულმთლად დამზრალნი ყინვისაგან გამოგვეცხადნენ, აკაწკაწებდნენ თანაც კბილებს ვით ყანჩა ნისკარტს.
- 40 თავმოდრეკილნი ჯერაც თვალებს ვერ გვისწორებდნენ, ბაგეზე სუსხი ეტყობოდათ, თვალებზე — ტანჯვა. როცა ქვევითკენ ჩავიხედე, მყის შევაშჩინე
- 43 ჩემს ფერხთით ორი მკერდს მიჰკროდა ერთი მეორეს, ასე რომ თმები ჭავის ქალის აღრეულიყო. „აწ მარქვით, სულნო, ერთმანეთზე მიხუტებულნი, —
- 46 შევსძახე: — „ვინ ხართ?“ — ზე ასწია ორივემ თავი. იწვიმა ცრემლმან მათ თვალთაგან ანაზღეულად; ცრემლები იგი წამწამებში გაჰყინა სუსხმა.
- 49 ჯერ არასოდეს ორი ლატნა არვის უნახავს რკინის ჭანგებით ერთმანეთზე გადაჭდობილი ამაზე მეტი სიმტკიცით და გულმოდგინებით,
- 52 როგორც ის ორი მოჰხვეოდა ურთიერთს სული, ორნივე ბრაზისგან აღრენილნი, გაცოფებული ერთი მეორეს მისდგომოდნენ ვით ყოჩსა ყოჩი.
31. პეტრაპანა, ამ მთის სადაურობის შესახებ ჯერაც ვერ შეთანხმებულან დანტეს კომენტატორები. პროფ. ფორნაჩიარის აზრით, ეს უნდა იყოს მთა პიეტრა. აპუანა, ხოლო ფილალებს: მონტი დელლემბანიე. სკარტაჩინი: სერჩიოსა და მაგრას მახლობლად მდებარე მთა — პანია.
 32. ტამბერნიჩე — დანტე გულსისხმობს ალბად სლავონიაში მდებარე მთებს.
 33. „კრიკ“, ტექსტში: Mon avria.... fatto cric. როგორც ფრანგ მთარგმნელს, ისე გერმანელებს, ეს სიტყვა უცვლელად შემოღებული აქვთ, ეს „კრიკ“ უნდა მოასწავებდეს გაუხვობილი ყინვის ტკაცანს.

- 55 ერთმა, რომელსაც ყინვისაგან ორივე ყური დამზრალი ჰქონდა, მოახერხა ეს ეთქვა ჩემთვის: „რას მოგვაშტერდი, თუ შენ გინდა ამ ორ ცოდვილთა
- 58 „იცოდე აწი ვინაობა, სადაურობა, „გახსოვდეს: ველი სად მდინარე რბის მიზენჩიო „ეკუთენის ამ ორს და მათ მამას ბატონ ალბერტის;
- 61 „ორივე ერთივე დედის საშოს ნაშიერია. „მთლად მოიარო თუ გინდ გარსი შენ კაინისა, „ველარ მოსძებნი აქ ისეთ სულს ყინვის მორევეშო,
- 64 მათზე მეტად რომ ეკუთენოდეს გადაყულება, „არც იგი, ვისაც გაუგებია მკერდი, მხარბეჭი „შუბის მოქნევით შუაღლისას ერთხელ არტურმა,
- 67 „არც ფოკაჩია, არც პატრონი ეგერ, იმ თავის, „ახლა ჩემს მზერას რომ ხელს უშლის შუაში მდგარი. „სასსოლ მასკერონ ერქვა ქვეყნად ოდესლაც ამ კაცს,

56—60. ეს ორი ცოდვილი, კომენტატორების აზრით, უნდა იყოს გრაფ ალბერტო დეგლი ალბერტის ვაჟები: ალესანდრო და ნაპოლეონე დეგლი ალბერტი, ისინი მამის სიკვდილის შემდეგ ურთიერთს დაერივნენ და ერთმანეთი დასჩხეს.

62. გარსი კაინისა, ანუ კაინა, ერთერთი განყოფილებაა უკანასკნელი გარსისა, სადაც ნათესავების მოლაღატენი ისჯებოდნენ.

66. ძველი გადმოცემის მიხედვით, მეფე არტურმა ჩააბარა თავის უკანონო ვაჟს მორდრეკს თავისი სახელმწიფო და დედოფალი ჯინევრა. თავად საფრანგეთს წავიდა ლანკლოტის დასამარცხებლად. მორდრეკს ჯინევრა შეუყვარდა; ტახტისა და დედოფლის ხელში ჩასაგდებად აჩვენა ჯინევრას, ვითომდა არტურის მიერ მონაწერი, ყალბი წერილი. ამ წერილის მიხედვით ტახტი მას უნდა რგებოდა, და ჯინევრაც მას უნდა გაჰყოლოდა ცოლად, რაკი თავად მეფე სასიკვდილოდ დაჭრილი იყო ვითომდაც. დედოფალი კოშკში გამაგრდა და არ დანებდა მორდრეკს, თანაც საფრანგეთისაკენ აფრინა კაცი. ჯანრისხეზული არტური მობრუნდა, საკუთარ ვაჟს შეება, დაამარცხა იგი. და ხელშუბით ისე განგმირა, რომ მზის შუქი გადიოდა მის სხეულში.

67. ფოკაჩია, იგულისხმება ფოკაჩია კანჩელიერი და პისტოია, ერთერთი, თერთების მეთაურთაგანი. როცა მისი მტრები რაინდები მის წინააღმდეგ შეითქვენენ, ფოკაჩია მათთან შეტაკებას ერიდებოდა. ფოკაჩიას უსაყვედურეს: „შენ მშიშარა ხარ და მტერს გაუბრძობარო“. — „მე ის მირჩევნია ხალხმა რომა სთქვას: ფოკაჩია მშიშარა ყოფილაო, ვიდრე ის, ფოკაჩია მოჰკლესო.“

69. სასსოლ მასკერონმა მოჰკლა თავისი ძმის ერთადერთი ვაჟი და მისი ქონება მითვისა. სამაგიეროდ იგი კასრზე დააჭედეს და ფლორენციის ქუჩებში დააგორებდნენ ამგვარად, შემდეგ კი თავი მოჰკვეთეს.

- 70 „თუ ტოსკანელი ხარ შენ მკვიდრი, გეცოდინება, „ენამრავლობა რომ მე ბევრი აღარ დამჭირდეს, „გეტყვი: გახლავარ უბერტინოს მკვლელი დე პაციო.
- 73 „სახელად მერქვა კომიჩიონ და ველოდები, „თუ როდის მოვა, შემეცვლება თავად კარლინო“. შემდეგ ამისა მე ვიხილე ათასი სახე,
- 76 სიცივისაგან გათოშილი, გალურჯებული და ამიტომაც ამ გაყინულ ტბის მოგონებაც მულამეამს ჟრეოლას მას შემდეგაც მომგვრიდა ხოლმე.
- 79 რაც უფრო მეტად შევდიოდით ჯურღმულთა ცენტრში, სად ყოველივე სიმძიმენი ერთს ესწრაფვიან, მეც ვცახცახებდი მარადიულ ყინულის გზაზე,
- 82 არ კი ვუწყოდი ნებისით იყო, თუ უნებლიედ, თუ განგებისგან მქონდა იგი ნაკარნახევი, მაგრამ ეს იყო, ამ თავების შორის მავალმა,
- 85 ერთ ცოდვილთაგანს წიხლი ვკარი პირისახეზე, დაიღრიალა ამ ბედკრულმა: — „რისთვის გამსროსი, „თუ მონტაპერტის ბრძოლისათვის შურს არ იძიებ?“
- 88 მე კი ჩემს მეგზურს მივუბრუნდი: — „ოსტატო ჩემო, „მადროვე ერთი ვიდრე ეჭვებს აქ გავფანტავდე, „შემდეგ კი ძალგის დამაჩქარო როგორც გენებოს“.
- 91 სდუმდა ოსტატი, მე მივმართე ისეც ამ ცოდვილს, მოურიდებლად ღმერთს რომ გამობდა და მაგინებდა. „მარქვი ვინა ხარ, რომ აძაგებ ამგვარად, მოყვასს?“
- 94 „შენ ვინ ხარ თავად, — მან მომიგო გაანჩხლებულმა, — „განუკითხავად რომ დადიხარ ანტენორაში, „თანაც წიხლს მირტყამ აქ ცხვირპირზე, რომ ვყოფილიყავ

72—73. კომიჩიონდე პაციომ მოჰკლა თავისი სისხლით ნათესავი უბერტინო.

74. თერთების პარტიის მოლაღატე კარლინოდე პაჩი, კომიჩიონდე პაჩი მოუთმენლად მოვლის, თუ როდის ჩამოვა იგი ჯოჯოხეთში, რაკი კარლინო ჯვრაც ცოცხალი იყო.

95. ანტენორა — ჯოჯოხეთის უკანასკნელი გარსის მეორე ჯურღმულია. აქ ისჯებიან სამშობლოს მოლაღატენი, ანტენორი ერქვა მოლაღატე ტროაელ თავადს.

- 97 „სული ცოცხალი, ხომ ვიგრძნობდი ტკივილს უმეტესს?“
„მე ცოცხალი ვარ, — ვუპასუხე, — ხამს გიხაროდეს,
„რომ მე შენს სახელს ჩემს ლექსებში ვახსენებ ერთხელ“.
- 100 მომიგო მაშინ:—„წა, გამშორდი, ქალაჩუნობა
„და გახსენება ამ ჯურღმულში არ მეჭირვება“.
წავწვდი ქოჩორში, ვეუბნები:—„მარკვი ვინა ხარ
- 103 „თორემ არც ერთი არ შეგჩრება თავზე თმის ღერი“.
და მან მომიგო:—„დამაგლიჯე თუ გნებავს თმები,
„ჩემს ვინაობას ვერ გაგიმხელ“, — ეს სთქვა და წამსვე
- 106 თავი დაჰხარა და მეორემ წამოიძახა:
„რა მოგივიდა, რა დემონი შეგიჩნდა ბოკკა?“
„აწი ნუ იტყვი თუნდ ნურათერს— მივმართე ბოკკას, —
- 109 „შე მოლაღატე, გამცემელო, შენს ნამდვილ ამბავს
„მე თან წავიღებ იმ სოფელში“.— და მან მომიგო:
„წა, გამეცალე და იუბედე რამდენიც გნებავს,
- 112 „მხოლოდ ეგ არის, თუ გახვიდე ამ ჯურღმულიდან,
„სჯობს გაიხსენო იგი, ვისაც ენა აქვს გრძელი
„ამცნე სულ ყველას, რომ აქ შეხვდი ბატონს დუერელს,
- 115 „სადაც ცოდვილნი ჩაცვენილან ყინვის მორევში.
„თუ მკითხავ კიდევ ვინ არიან სხვანი ქვესკნელში,
„გეტყვი: შენს გვერდით მდგომარეა თვით ბეჭერია,
- 118 „რომელსაც ყელი გამოლადრეს ფლორენციაში.
„იქ მოშორებით განელონეს და ტრიბალდელოს
„მახლობლად რომ წევს, უნდა იყოს სოლდანიერი“.
- 121 გავშორდით ამათ და ერთ ღრუში ვნახეთ ჩვენ ორი
ცოდვილთაგანი გათოშილი, გალურჯებული,
ერთი მეორეს დამხობოდა უღონოდ თავზე,

107. ბოკკა დეგლიაბატი გველფებს ეხმარებოდა; როცა ფლორენციელი გველფების ჯარი სიენას წინააღმდეგ ილაშქრებდა, იგი გიბელინებმა მიიმხრეს. ამიტომაც მან შიგ შუა ბრძოლაში (მონტაპერტისთან) გველფების ლაშქრის საზღვარს—ჯაკობოს მოსჭრა ის ხელი, რომლითაც მას დროშა მიჰქონდა.

114—120. ბუოსო და დუერა, ბეჭერია სოლდანიერო, და სხვ. ამ სტროფებში ნახსენები პირები კიტალიის ქრონიკებში მოლაღატეებად არიან ცნობილნი.

- 124 და ისე, როგორც დამშეული პურს მოკმეჩს ხოლმე,
„ისე ღადრავდა ქვემწოლარეს ის, ვინც ზედ აწვა,
კეფისა ძირას, სად ხერხემალს შეერთვის თავი.“
- 127 სწორედ ისევე უმოწყალოდ გლეჯდა ტიდეე
გაცოფებული მენალიპეს საფეთქლებს კბილით,
მას შემდეგ, რაც მან თავის ქალა დაღრნა, გამოხრა.
- 130 „ჰოჲ, შენ,—ვარკვი, მტრისა შენის ხორცის მჭამელო,
„უნდა მაუწყყო, ვის ეკუთვნის ეგ თავის ქალა,
„ან მის პატრონმა შენ რა გაენო, რა დაგიშავა,
- 133 „აგრე რომ ღადრავ მის თავისერს მხეცური ჟინით.
„ოლონდ ეს მამცნე და გპირდები, თუ შემრჩა ენა,
„რომლითაც, ნიჭი მეტყველების მიბოძა ზენამ,
- 136 „მე შენს სიმართლეს არ დავკარგავ საიქიოში“.

127. ტიდეე, ანუ ტიდეუს, ერთ-ერთი 7 თებელთაგანი, სასიკვდილოთ დასჭრა მენალიპუსმა, მაგრამ მომაკვდავმა ხელშუბით დაკოდა ტიდეუს და შემდეგ კბილით დაღრნა მტრის თავისქალა.

მება მონაცდათება

ტუჩები თმებზე შეიწმინდა მაშინ ცოდვილმა,
რა გაათავა საზიზლარი ზარმელი თვისი,
და კეფა სულმთლად გადაულრნა მოსისხარს კბილით.

- 4 შემდეგ ამისა მოგვიბრუნდა და გვამცნო ესა:
„შენ ეს გწადია: განვიახლო წამება იგი,
„რომლისაც თავად მოგონებაც ამაზრზენია.
- 7 „უნდა იცოდე, სიტყვა ჩემი იქნება თესლი
„და ამ თესლისგან უსათუოდ აღმოცენდება
„დიდი სირცხვილი იმ უპირო მოლაღატისა,
- 10 „რომელსაც წელან თქვენ წინაშე კბილით ვლექავდი,
„და აქ სიტყვებიც არ იქნება თქმული უცრემლოდ.
„არ ვიცი ვინ ხარ, ან ქვესკნელში ვით მოაღწიე,
- 13 „მაგრამ კილოზე შეგამჩნიე, რომ ფლორენციის
„შენ ნაშიერი უნდა იყო, და უსათუოდ
„გეცოდინება, რომ მე ვიყავ გრაფ უგოლინო,
- 16 „ხოლო მეორე იყო როჯერ ეპისკოპოსი.
„ახლა ისმინე; თუ რად უმტრე ამ ჩემს მეზობელს.
„არ ღირს გაიმბო, თუ რაკვარი მუხანათობით,
- 19 „ვით მილაღატა გულალალად მასზე მინდობილს.
„და ვით შემოპყრო მოსისხარმა და მომაკვდინა.
„მაგრამ შენ ალბად არც კი იცი, რაც მთავარია,
- 22 „თავად ამბავი უსასტიკეს მოკვდინებისა.
„მაშ მოისმინე და განსაჯე ჩემგან ნათხრობი.
„იმ ვიწრო ხერგლმა გულშემზარავ, ბნელ დილეგისამ,

16. უ გ ო ლ ი ნ ო მ — (გრაფ გერარდესკას გვარიდან) განდევნა ნინო ვისკონტი და თავად დაეპატრონა პიზას, მაგრამ ქორეპისკოპოსს როჯერ უბალდინის შე-
შურდა ეს, და ხალხი აუჯანყა. გულანდის, სისმონდის და ლანფრანჩის (ახნაურე-
ბი იყვნენ) მეთაურობით ჭაილაშქრა უგოლინოს წინააღმდეგ „ქრისტეს ჯვრით
ხელში“, შეიპყრო უგოლინო და შეიძვებინა (ზოგიერთი კომენტატორების აზ-
რით მისი შვილის შვილებიც) დილეგში ჩააგდო, ხოლო დილეგის კლიტენი
მდინარე არნოში გადააგდო.

24. უგოლინო დამწყვედული იქმნა გულანდის კოშკში 1288 წ. იგი 7 თვე
იმყოფებოდა ამ დილეგში.

- 25 „(რომელსაც ახლა ჩემს შემდგომად ჰქვია სახელად
„შიმშილის კოშკი, სად მრავალი პატიმარია),
„მე იქ მაჩვენა საქანელთა თვისთა წყალობით
- 28 „მრავალ მთვარეთა მოქცევაჲ, სხივით გავსება.
„როცა ბედითმა ზმანებამან დაფხრიწა რიდე,
„ვეყავ საცნაური მომავლისა სახე უჩინო:
- 31 „იგი მეჩვენა მე სიზმარში ვით მძლე ბატონი,
„რომელიც მგელს და მგლის ბოკვერებს ერეებოდა
„იმ მაღალ მთისკენ, ქალაქ ლუკას რომ ემიჯნება.
- 34 „წინ მიუძლოდნენ მას მწვერები სულმთლად გამბდარი,
„ქარვად გაწვრთნილნი, დაგვიღონი, გაუმაძღარნი,
„დაწინაურდნენ მყის გულანდი, შემდეგ სისმონდი,
- 37 „და არც ლანფრანჩი მონადირეთ ჩამორჩენია.
„მცირე ხნის შემდეგ დაიქანცა მამალი მგელი,
„და ბოკვერებსაც ვნახე ჯანი ვით ელეოდა,
- 40 „მისწვდენ მწვერები, დაულადრეს ბედშავთ ფერდები.
„როცა ცისკრისას გამოფხიზლდი, მე შემომესმა,
„თუ ვით სტიროდენ შიმშილისგან ჩემი ბალები,
- 43 „რომელნიც ჩემთან იმ დილეგში იტანჯებოდნენ.
„თუ განაგონი ცრემლს არ მოგვერის, მაშინ არ ვიცი
„ეგზომ ულმობელს რა მოვალბობს, რა აგატირებს.
- 46 „ისინი უკვე ძილფხიზლობდენ, ახლოვდებოდა
„ჟამი, როდესაც ჩვეულებრივ მოჰქონდათ საზრდო.
„წამს შემომესმა ვით დაჰკეტეს ქვევით ჭიშკარი
- 49 „იმ საშინელი დილეგისა და მიუზბრუნდი,
„სიტყვის უთქმელად მივაშტერდი მე ჩემსა ვაჟებს.
„გული გაქვავდა და შემაშრა თვალებზე ცრემლი;

27. ს ა ქ ა ნ ე ლ ი — ძვ. ქართული. ნიშნავს სარკმელს, იხ. დაბ. წიგნი ა. ც. ბ.

31. აქ იგულისხმება როჯერ ქორეპისკოპოსი.

34. აქ იგულისხმება მთა ს. ჯიულიანო, რომელიც ქალაქ ლუკასა და პიზას
შორის მდებარეობს.

37. ამ ალგორითულ სიზმარში უგოლინოს წარმოდგენილი ჰყავს როჯერი
როგორც ნადირობის წინამძღოლი, ხოლო დანარჩენი გიბელინები: გულანდი, სის-
მონდი და ლანფრანჩი მარეგებად და ბაზიერებად.

- 52 „ისინი მწარედ ქვითინებდნენ გულამომჯდარნი.
„ერთი მათგანი მეუბნება, ანსელმუჩიო:
«რა გასაოცრად მოგვაჩერდი, რაო მამილო?»
- 55 „არცერთი ცრემლი მე იმ წუთში არ დამდენია.
„არც თუ რამ მითქვამს საპასუხოდ იმ დღის მანძილზე,
„არც შემდეგ ღამეს, ვიდრემდის მზე ამოვიდოდა.
- 58 „როს მკრთალი შუქი ჩვენს დილეგში შეპოიპარა,
„ენახე ხატება საკუთარი ოთხივ სახეზე,
„გაცოფებული კბილით წავწვდი საკუთარ ხელებს;
- 61 „მათ კი ეგონათ, რომ შიმშილმა ეს მაიძულა,
„ადგნენ ერთბაშად წინ დამიდგნენ, შემომქვითინეს:
«რას შერები მაძავ, თუ სიყმილი ვაწუხებს ეგრე
- 64 «ჰა, ჩვენი ხორცი, ეს ინება, რადგან ამ ხორციით
«ეგზომ ვნებულთ შენ შეგვმოსე, წაილე შენად.»
„დავლუმდი მყისვე, მათთვის გული რომ არ მომეკლა,
- 67 „სდუმდნენ ოთხნივე, როგორც იმ დღეს, ისე შემდეგშიც.
„ო, მკვიდრო მიწავ, ნეტავ ჩემთვის გაგებუნა პირი.
„როცა მეოახე დღე გათენდა დაეცა გადო,
- 70 „ჩემს ფეხრთით იწვა და ამგვარად მევედრებოდა:
«რისთვის არ გინდა მომეშველო, ჩემო მამილო?»
„იქ მოკვდა იგი, და როგორაც მე აქ მიყურებ,
- 73 „ისე მეც ვნახე საკუთართა თვალთა წინაშე
„ოთხივე ვაჟი ვით კვდებოდა, ოთხივე ზედიზედ.
„უკვე მეხუთე და შეექვსე დღე შემოთენდა,
- 76 „თვალის სინათლე დამელია ისე ვბორგავდი,
„და მათ ცხედრებზე დავდიოდი დარეტებული.
„კიდევ სამი დღე ვიჯახირე და ვივალაღე,
- 79 „ბოლოს შიმშილმა გაიმარჯვა დარდის წინაშე“.
ესა სთქვა, შემდეგ კვლავ მივარდა ბრახმორეული
იმ უპატრონო თავის ქალას დაუწყო ლექვა.

63. სიყმილი—შიმშილი
79. როგორც დანტე, ისე ფრანჩესკო და ბუტი, ამ შემთხვევაში დაუჯერებელ ამავეს მოგვითხრობენ. ცნობილია რომ ადამიანი 40-დღეზე მეტს სძლებს უკმეღად.

- 82 ვაჟ, შენ პიზავ, სამარცხეინო ლაქავ ხალხისა,
შენიერ ქვეყნის სად სჩვევიათ წარმოთქმა si-სა,
გიგვიანებენ მეზობელნი პატიჟს მართებულს.
- 85 აწ ამოდრავდი, კაპრაია და შენც გორგონა,
ზღუდეთ იქეცით და დახერგეთ არნოს შესართი,
რათა პიზაში მოსახლენი წალეკოს წყალმა.
- 88 ახალო თებე, უსამართლოვ, განუკითხავო,
ვთქვათ უგოლინო მტერს გადასცა ეგ შენი ციხე,
მაგრამ მის ვაჟებს რას ერჩოდი ჯვარზე რომ აცვი,

83. si—იტალ. ჰო, დიახ.—დანტეს დროს რომანულ ენებზე მოლაპარაკე ხალხებს არჩევდნენ: Langue de si, Langue d' oc, Langue d' oui. დანტე თავის ტრაქტატში De vulgare eloquentia შემდეგსა სწერს: „მთელი ამ ხმელეთის მოსახლეობა დონაუს, ან პაულუს მაეოტის შესართავიდან დასავლეთისაკენ ვიდრე ინგლისის, იტალიისა და საფრანგეთის სამზღვრებადმდის ერთ ენაზე ლაპარაკობს, თუმცა იგი ენა სლავონიელებსა, უნგრელთა, ტედესკის (გერმანელების), საქსონელების და ინგლისელებისათვის სხვადასხვა დიალექტად იქცევა, მათ ის გარეგნება აკავშირებთ, რომ ყველანი ჰოს თქმის დროს ja-ს ამბობენ. იქიდან დაწყებული აღმოსავლეთისაკენ, ე. ი. უნგრეთის სამზღვრებიდან იწყება სულ სხვა ენა. ხოლო იმ ნაწილს, რომელიც ამ ქვეყნებს გარეშე მდებარეობს ევროპაში, აქვს მესამე ენა, თუმცა იგი ამჟამად სამგზისაა დანაწილებული, ვინაიდან, როცა მათ რაიმეზე ჰოს თქმა ნებადეთ, ზოგნი იტყვიან: os, ზოგნი: oui, ხოლო სხვანი: si-ს. სახელდობრ: ესპანელნი, ფრანგნი იტალიელნი“. რატომღაც დანტეს არეგია გეოგრაფიული ცნებები. შესაძლოა სლავო, ნიელებს და უნგრელებს იგი ტედესკის—გერმანელებს იმიტომაც მიაკუთნებს, რომ ამ ხალხებს იმ დროში ალბად კარგად ეცოდინებოდათ გერმანული.

85. კაპრაია და გორგონა—პიზას გასწვრივ მდებარე კუნძულებია.

88 გრაფ უგოლინოს ბრალდებოდა ხსენებული ციხის გადაცემა ქალაქ ლუკკას მცხოვრებლებისადმი. ეს ჩათვალა მას სამშობლოს დაღატად. აქ უნდა იგულისხმებოდეს ციხე რიპაფრატა. უგოლინოს ურჩევია პიზელებისათვის ეს ციხე ქალაქ ლუკკას გადაეცითო. ზოგიერთი კომენტატორის აზრით, თავად უგოლინოს უნდა გადაეცეს იგი ციხე ქალაქ ლუკკას მცხოვრებთათვის. აქ დანტე იგონებს თებაძს მაგალითს-კადმუსის გვარის დასჯის ამბავს.

90. კომენტატორის ფლამინიოს აზრით უგოლინოს შვილები და შვილიშვილები არც ისე ბალღები იყვნენ. თურმე ისინი შეიარაღებულნი შეუპყრიათ პიზელებს. იმ დროის სიბნელისა და სისასტიკის დასახასიათებლად საყურადღებოა ერთი გადმოცემა: თურმე იმ ხანებში, როცა ქორეპისკოპოსი ოოჯერი უგოლინოს ებრძოდა, უკანასკნელის შვილიშვილი ძიძას ჰყავდა. ბავში წამოიზარდა. თავის პაპისა და მთელი მისი ოჯახის ამბები გამოიკითხა. წავიდა პიზაში და გამოაცხადა: მე მოღალატე გრაფ უგოლინოს შვილიშვილი ვარო. პიზელებმა სამუდამოდ საპყრობილში ყოფნა მოუსაჯეს მას. ვაჟის სანახავად ჩუმად დადიოდა მისი ძიძა. ვაჟი მიუდგა თავის დედამამუცს. და ორი შვილი ეყოლა მისგან. როცა ჰაერის მე-VII გწვია პიზას, ეს ვაჟი გაუნთავისუფლებიათ თურმე.

- 91 ნორჩი ბრეგატა, ან ჰაბუკი უგუჩიონე
და ორს დანარჩენს ჩემს ლექსებში უკვე ნახსენებთ.
დავწინაურდით, მივალწიეთ ისეთ ადგილას,
- 94 სადაც ცოდვილნი, გაყინული ხობოკვერისგან
გარემოცულნი, ძირს ეყარნენ თვალდაღუზულნი.
თავად ტირილიც არ შეეძლოხ, რადგან ცრემლები
- 97 პირველითგანვე მოდენილი ზედ შეყინვოდათ
თვალის გუგაზე ვით კრისტალის სათვალეები.
თუმცა სიცივემ მთლად დამიზრა კანი სახისა,
- 100 გრძნობიერება დამიკარგა სუსხით გათოშილს,
მაგრამ მე მაინც ქარის ქროლვა ვჰყავ საცნაური.
მივმართე ოსტატს, ვეუბნები:—„ეს რა ქარია?“
- 103 და მან მომიგო:—„შენ მიაღწევ მალე იმ ადგილს,
„სად საკუთარი თვალი მოკცემს ამ კითხვის პასუხს,
„როცა იხილავ ამ ბორიოს წარმომშვებ მიზეზს“.
- 106 მაშინ ერთერთმა ამ ყრულში ჩაკირულთაგან
ჩვენ მოგვაძახა:—„ჰოე, სულნო ეგზომ სასტიკნო,
„განგებისაგან წარგზავნილნო ამ ყინვის გარსში,
- 109 „ჩამომაცალეთ მე სახიდან ეს საფარველი.
„რომ ოდნავ მაინც გულის ჭირი შემიმსუბუქდეს,
„და არც ცრემლები შემეჭირხლოს ქუთუთოებზე“.
- 112 მე ვუპასუხე:—„თუ გსურს ხვედრი შეგიმსუბუქო,
„ჯერ ეს მითხარი, თუ ვინა ხარ და ამის შემდეგ
„ვინდლო ვერ შეეძლო მოგიბოვო ოდნავი შეება,
- 115 „დეე, მე თავად გავირიყო ყინულთ წიაღში“.
მან მყის მომიგო:—„მე გახლავარ ალბერეგ ბერი,
„ბაღნარის ბნელის აწ ნაყოფით ხელნი წოენილი,
- 118 „ლეღვი მეწადა და მის ნაცვლად მომაგეს ფშატი“.
„რას ამბობ?“—ვარქვი,—„შენც გიწია უკვე სიკვდილმა?“
მან მიპასუხა:—„მე არ ვიცი სხეული ჩემი

120. ა ლ ბ ე რ ი გ ბ ე რ ი — ალბერეგო დე მანფრედი, ერთერთი „ფრატე გაუდენტე“—„მხიარულ ძმათაგანი.“ პაპის ურბან მე-IV-ის ნებართვით ბერობის სახელწოდება მიიღეს ბოლონელმა დიდმა აზნაურებმა; მათ არც მარხვა ესაჭიროებოდათ, არც ამ ქვეყნიური „კოუნებათათვის“ ზურგის შექცევა, აკრძალული ჰქონ-

- 121 „რა ყოფაშია იქ ამგებად, მალლა მიწაზე;
„ამ პტოლომეას ენიჭება პრივილეგია:
„აქ ჩამოვარდეს შესაძლოა სული მანამდის,
- 124 „ვიდრე ატროპოს შეუწყვეტდეს გზას სიცოცხლისას.
„ოლონდ წარმხოცე აწ თვალთაგან ცრემლები ესე
„მწვავე სუსხისგან შეყინულნი, ჭირხლად ქცეული,
- 127 „გამცნობ, რომ სული მუხანათი, დაუნდობელი
„როგორც კი ღალატს იქ მიწაზე ჩაიდენს თურმე,
„სწორედ იმნაირს, როგორც მე დამედო ბრალად,
- 130 „მყისვე დემონი მას შეიპყრობს, წარსტაცებს სხეულს,
„დაეუფლება მერმე უამის აღსრულებამდის;
„ჩამოაგდებენ შემდეგ ამ სულს ამ ყინულეთში.
- 133 „შესაძლო არის იქ მიწაზე დარიალობდეს
„ამ ლანდის ხორცი, მანდ ჩემს უკან რომ აღრქენს კბილებს,
„ეს ყოველივე ალბად შენაც მოგხსენება,
- 136 „რაკი ბნელეთში ჩამოსულხარ საიქაოდან.
„მეც ლანდი გახლავთ თვით მესსირე ბრანკა დ'ორია,
„წელი მრავალი გაატარა მან ამ ჯურღმულში“.

დათ მხოლოდ და მხოლოდ ოქროს დეზების ტარება. ალბერეგო ეკუთვნოდა გველფეხების პარტიის ხელმძღვანელ ფეოდალთა გვარს. იგი ეჭიშპებოდა თავის ნათესავს მანფრედი დე მანფრედის. ერთხელ ამ უკანასკნელმა სილა აჰამა ალბერეგოს. მანფრედიმ ბოდიში მოიხადა, ალბერეგომ თავი მოიკატუნა, თითქოს ძველი წყენა არც კი ახსოვდა და კიდევაც მიიპატრუა თავის ოჯახში მანფრედი და მისი ვაჟი. ნადიმის დასასრულისას ალბერეგომ მსახურობს შესძახა: „ხილი მოგვართვითო“. ეს იყო ნიშანი და მყისვე შემოკვიდნენ დარბაზში უგოლინო და ფრანც დე მანფრედი და სტუმრები დახოცეს. ბოკაჩიო მოგვითხრობს: „დაშინებულმა მანფრედის ვაჟმა ალბერეგომ ალბერეგოს ბერული ჩოხა წამოისხა სასწრაფოდ, მაგრამ სიკვდილი მაინც ვერ აიციდინა. ამ ამბის შემდეგ ალბერეგოს შეძახილი: „ხილი მორართვითო“, სანდაზოდ გადაიქცა.

124. პ ტ ო ლ მ ე ა (Ptolomea)—ხემოდ აღწერილთ გარისს განყოფილებას ეწოდება. დანტე ამ სახელს უკავშირებს ალბად ბიბლიურ პტოლომეას, მოვდელმთავარ აბოზის ვაჟს, რომელმაც სიმონ მაკაბელი და ვაჟნი მისნი: იღლა და მათე პურობის დროს მოჰკლა.

126. ა ტ რ ო პ ო ს—atropos) (ბერძ. მიუცილებელი, გზაშეუღელი) ერთერთ სამ მოძრათაგანი, რომელიც ცხოვრების გზას გადაუჭრიდა ად.შიანს ძვ. ბერძნ. მი, თოლოგის მიხედვით.

- 139 მე ვუპასუხე:— „შენ მატყუებ, და მე მგონია,
„ჯერ არ მომკვდარა იქ მიწაზე ბრანკა დ'ორია
„სასმელს და საჭმელს შეეჭყევა ტანთშემოსილი“.
- 142 „ზედა ჯურღმულში, სადაც ცხელი ფისი დუღდება,—
ამბობდა იგი,— „ჯერ არ იყო კიდევ მოსული
„მიქაელ ცანჩე, როს დემონმა იმის მაგივრად
- 145 „ლორიას ტანში მოათავსა, აქ ჩამოგზავნა,
„ამ ყინულეთში, ნათესაენი, თანაზიარნი.
„ახლა ამას გთხოვ გამიწოდე მე ბედშავს ხელი
- 148 „აღმიხვენი თვალნი ყინვისაგან ამოფისულნი“.
ო, გენუელნო, უზნეონო და ბიწიერნო,
რისთვის წაბილწა ეგ ხმელეთი ტერფებმა თქვენმა!
- 151 ერთერთი თქვენი ნათესავის, რომანიაში
ყველაზე მეტად გულარძნილის და პირბოზისა,
მე შემხვდა ლანდი იქ, კოციტში, ამოვლებული,
- 154 იქ ვნახე სული, ხოლო მისი ბილწი სხეული
ვით მოჩვენება დარიალობს ჯერაც მიწაზე.

139. ბ რ ა ნ კ ა დ' ო რ ი ა მ მოჰკლა თავისი სიმამრი მიქაელ ცანჩე პურობის ვაშს.
146—147. მიქაელ ცანჩე და ბრანკა დ'ორია ნათესაენი იყვნენ და ავკაცობის თანაზიარნი.
151—157. გ ე ნ უ ე ლ ე ბ ს—დანტე ჰკიცხავს, რადგანაც იტალიის ერთერთი მემბტიანის სიტყვით: „გენუელნი თუმცა ფრიად წდიდარნი, ძღვემამოსილნი და ნორკმულნი იყვნენ, მაგრამ ქალაქი სავეს იყო ავკაცებით, მკვლევლებითა და მრუშებით... განუზომელად იღვრებოდა ადამიანის სისხლი. ასე რომ ქალაქის მოსახლეობა თურმე იძულებული გახდა თავის წრიდან 18 გულმეცნიერი (Sapientes) და ბრძენი მოქალაქე ამოერჩიათ. მათთვის ნება დაერთოთ ერთი,თვის განაგებობაში ყოველივე ზომისათვის მიემართათ, რაც კი ქალაქის მყუდროობისათვის აუცილებელი იქნებოდა“.

ძევა მარცდათოთხმეტა

„Vexilla regis prodeunt inferni

„ახლა ჩვენ სამტროდ,—ასე მითხრა ვირგილიუსმა:
„წინ გაიხედე, თუ შეიძლო შეასწრო თვალი“.

- 4 თითქოს ნინევი ზრქელი ნისლის ბურავდა ზეცას,
ჩვენს ჰემისფეროს ლამის კალთა ეფინებოდა,
შორიახლოდან მე ვამჩნევდი ქარისა წისკვილს,—
- 7 ატრიალებდა, აბრუნებდა ძლიერად ქარი.
უკუვიქეცი, მივეკედლე ისევ ჩემს ოსტატს,
რაკი საფარი მე სხვაგვარი არსით მიჩანდა.
- 10 უკვე მივედი (მეკრძალება ამის ლექსად თქმა),
ისეთ ადგილას, სად აჩრდილნი უკვე საცსებით
ყინვის ლოლუებს შეემოსათ და გაეთოშათ.
- 13 მოსჩანდნენ ლანდნი ისე ნათლად და გამკვირვალედ,
ვით მცირე დვრიტა ჩავდებული საწყლე კიქაში.
ზოგს თვალზე რული ძირს მწოლარეს მოჰკიდებოდა,
- 16 ზოგიც ყვინთავდა ზეზეურად ფეხზე მდგომარე,
ერთნი მთლად თავქვე, მეორენი ყირაზე მდგარნი,
ზოგს ფეხი თავთან მიეტანა მშვილდივით მოხრილს.
- 19 უკვე საკმაოდ ორიგენი დავწინაურდიოთ,
როცა ოსტატმა შესძლო ჩემთვის ეჩვენებინა
არსება იგი, ვინც ოდესღაც ყოფილა, თურმე,
- 22 პირშვენიერი, სახილველად ფრიად საამო.
წინ დამიყენა, გამაჩერა მაშინ ოსტატმა,
მითხრა — „ეგ არის თავად დიტე, და ამ ადგილზე

1. Vexilla regis prodeunt inferni adversos nos—ამოდებულთა კათოლიკურ ჰიმნიდან და ნიშნავს: „ჯოჯონეთის თავადმა გაშალა დროშები ჩვენ სამტროდ ანლა. დანტეს ორიგინალში პირველი ოთხი სიტყვა ლათინურადაა.
22. იგულისხმება ლუციფერი, რომელიც ბიბლიური ლეგენდის მიხედვით ფრიად ლამაზი უნდა ყოფილიყო.

- 25 გმართებს უთუოდ აღიჭურვო მხნეობით ღიღით“. სჯობს არც კი მკითხო ო, მკითხველო, ვით დავიბენი, როგორ გაეხვედი უეცარად გარინდებული,
- 28 ამას ვერ ავწერ, რადგან სიტყვა აქ უძლურია. არცა სიკვდილი მომწევია ენა წართმეულს, არცა სიცოცხლის შემრჩენია მე ნატამალი.
- 31 თავად იფიქრე თუ კი შეგწევს გონების ძალი, რა ვიქნებოდი უსიკვდილოდ და უსიცოცხლოდ? ამ სიმძიმის სამყაროს იმპერატორი
- 34 ამოდიოდა და ყინული სცემდა გულმკერდზე. რა გამოეჩნდები, მე რომ ვინმემ დევს დამატოლოს, ასევე დევიც მარტოდენ მის მკლავის სიგრძეს
- 37 რომ შეადაროთ, გეჩვენებათ მთლად ქონდრის კაცად. ახლა შენ თავად ხამს განსაჯო, წარმოიდგინო, თუ რა სიდიდის იყო მისი სხეული სრული.
- 40 რამდენად ადრე ყოფილიყო ის შევნიერი, იმდენადავე საზიზღარი იყო ამჟამად. თუ კი ის თვალებს მიაპყრობდა მალლა შემომქმედს,
- 43 იგია თავად ბოროტების ყოვლის მიზეზი. რა-რიგ გავვოცდი, როცა ვნახე მე ჩემის თვალთ სამგვარი სახე გამოსხმული რომ ჰქონდა თავზე,
- 46 ჯერ წინა სახე სისხლისფერი, მთლად მეწამული; სხვა დანარჩენი პირველს სახეს უერთდებოდა, ორთავე მხარის შუა გულში' დატანებული,
- 49 ხოლო სამივე შუბლის ზემოდ ჰქონდა შეყრილი. ნახევრად თეთრი და ნახევრად იყო ყვითელი მარჯვენა სახე, და მეორე სახე მარცხენა.

- 52 იმათი ფერის, ვინც ნილოსის პირას ბინადრობს. ყოველი სახის ქვემოდ ფრთენი უშველგებელი უჩნდა ისეთი, ვით შეჭმენის ანაირ ფრინველს.
- 55 ჯერ არასოდეს არ მინახავს ამხელა აფრა ზღვაზე გაშლილი. ფრთებზე ბურტყლიც კი არ ემოსა, არცა ღამურის ქინქლის მსგავსი თუ ეტყობოდა.
- 58 აბარტყუნებდა ისე ძლიერ იგი თავის ფრთებს, რომ დამდგარიყო გარეშემო სამკეცი ქარი, მთელი კოციტიც აპიტომაც იყინებოდა.
- 61 ექვსივე თვალთაგან მონადენი მდულარე ცრემლი, სისხლიან დუქში არეული სამივე ნიკაპზე, ნიაღვარივით დაუტყბრომლად ჩამოსდიოდა.
- 64 ყოველ ხახაში გაჩხირული ჰყავდა ცოდვილი, და ყოველ მათგანს გლეჯდა რკინის, ლომისებრ კბილით. ასე ერთბაშად აწამებდა, ღრღნიდა სამივეს.
- 67 პირველს მათ შორის გარნა მარტო სატანის კბილი ღადრავდა, გლეჯდა, კბილთან ერთად ბასრი ქანგები; ასე რომ ზურგზე ერთიანად გასცლოდა კანი.
- 70 მითხრა ოსტატმა: — „სული ესე მომეტებულად „რომ იტანჯება, იუდაა ისკარიოტი, „თავი ხახაში გაჩრილი აქვს სატანას მისი,
- 73 „ფეხები უჩანს, და მეორე შავდრუნჩიანი, „გახლავს ბრუტუსი, იტანჯება ხმაგაკმედილი. „ხოლო მესამე, ახოვანი კასსიუსია.
- 76 „დროა წავიდეთ, ვინაიდან ეშვება ღამე „და ყოველივე ნახული გვაქვს თვალმისაწვდენი“. ყელზე მოვეჭდე მე ჩემს ოსტატს, დავყვივი ნებას.

33. ტექსტში: Lo imperador del doloroso regno.
 35. დევი,—აქ შეგნებულად ქართულ მითოლოგიურ ხატს მივმართე, თუმცა თავად დანტე giganti-ს ახსენებს, ე. ი. გიგანტს
 37. საინტერესოა: ფილალეტის ვარაუდით ლუციფერის მკლავი უნდა ყოფილიყო 1483 გერმ. ფუსი, 811 იტალ. ბრაჩია—წყრთა.

52. იგულისხმება შავი ფერისა, ე. ი. ნილოსის პირად მცხოვრებთა ფერისა. ფილალეტეს განმარტავს: დანტეს დროს ქვეყნის სამ ნაწილს იცნობდნენ მხოლოდ, სატანას წიფელი სახე ევროპელების თეთრწითელ კანის ფერს უნდა მოასწავებდეს. ყვითელი—აზიელებისა, ხოლო შავი—აფრიკელთა შავ სახეს.
 71—75. ისკარიოტელი, ბრუტუსი და კასსიუსი, დანტეს შემეცნებაში წარმოადგენდნენ სამს უპირველეს ცოდვილებს და მოღალატეებს. მათ სხვადასხვა დროს უღალატეს ქრისტეს, ვკლესის დამფუძნებელს და ცეზარს — სახელმწიფოს მებაღერს.

- 79 ხოლო მან მარჯვედ შეურჩია დრო და ადგილი,
და სწორედ, როცა ლუციფერმა გაშალა ფრთენი,
ბურტყლიან ფერდებს ძირს ჩამოაყვია ცალკერძად ბეწვებს,
- 82 ხოლო ცალკერძად ხელს ავლებდა გაყინულ ქერქსა.
ერთბაშად, როცა მივალწიეთ თეძოს თავამდის,
შემოტრიალდა და კვლავ იწყო ზე აცოცება.
- 85 ასე მეგონა კვლავ ჯოჯოხეთს ვუბრუნდებოდი.
„მარჯვეთ იყავი“ — მითხრა მაშინ ვირგილიუსმა,
თანაც ქმინავედა, როგორც კაცი ქანცმილეული.
- 88 „დროა ამ ტანჯვას დავალწიოთ როგორმე თავი“,
ეს მითხრა, მყისვე კლდის ნაპრაღში გამოძვრა მარჯვედ,
ჩამომსვა იქვე, განაპირას და გვერდს მომიდგა.
- 91 ზე ავიხედე, ლუციფერი მსურდა მენახა.
სწორედ ისეთი, როგორც ვნახე წელან მე თავად,
და თვალი ვკიდე ვით აპლაკა ფეხები მალა.
- 94 რამდენად დიდი მღელვარება მე განვიცადე,
გამსაჯოს თვით ბრბომ, ვიცი იგი ვერც კი გაიგებს,
როგორ ადგილას გავიარე, როგორ ვეწამე.
- 97 „აღსდევინ, მითხრა მე მეგზურმა, — წინ გვიდევს გრძელი
„ჩვენ გზა და შარა დია ძნელად გადასავლელი,
„მზესაც თვით ეტლის მესამედი გადაუვლია“.
- 100 ადგილი იგი, სადაც მაშინ ვიდექით ჩვენა,
კოშკის დარბაზი როდი იყო, არამედ მრუმე
და ოღროწოლო, ბუნებრივი ტაფობი რამე.
- 103 „ჰოა ოსტატო, ვიდრე უფსკრულს გავეყრებოდე, —
ვარქვი ჩემს მეგზურს, რა ავდექი და გავიმართე, —
„მიამბე რამე, განმიფანტე გაუგებრობა:
- 106 „სად გაჰქრა ყინვა, ან სატანა როგორ წაიქცა,
„ან მზემ ვით განვლო ეს მანძილი ესდენ სისწრაფით,
„სალამოსა და დილას შორის განწესებული?“
- 109 მან მიპასუხა: — „ნუ გგონია ცენტროს გადმოღმა
„იმყოფებოდე იქ, სადაც მე სატანის ბეწვებს
„ვეჭიდებოდი; იგი მიწის მთელ სიმაღლეზე

- 112 „გახიდულია, როგორც ღერძი უშველებელი.
„შენ გაღმა იყავ, ვიდრე ქვევით ჩამოვიდოდი,
„როს გამოგბრუნდი, შენც გამოსციდი სწორედ იმ მიჯნას,
- 115 „რომელსაც ელტვის მიწიერი სიმძიმე სრული.
„და იმყოფები ახლა ისეთ ჰემისფეროს ქვეშ,
„რომლისა გასწვრივ სხვა მეორე ახურავს მიწას,
- 118 „სად ძე კაცისა უცოდველად იშვა, სცხოვრობდა;
„აწ ფერხნი შენნი ზედ დაგიდგამს მცირე რამ გარსზე,
„რომელიც არის ჯიუდეკას გარსისა გასწვრივ.
- 121 „ბე დილა არის, ხოლო გაღმა საღამოვდება,
„ხოლო ის არსი, რომლის ბეწვიც კიბედ ვიხმარეთ
„გაჩხირულია ყინულეთში კვლავინდებურად.
- 124 „სწორედ ამ მხარეს ჩამოვარდა ზეციდან ეშმა
„და ხმელი იგი, ამ ადგილას ამობორცვილი,
„ზღვის საბურველით შეიმოსა მისგან შემკრთალი,
- 127 „და შეუერთდა მეყვსეულად ჩვენს ჰემისფეროს;
„ხოლო ნაწილი, შენც ხომ ხედავ აწ დაცლილია,
„შეკრთა, შეინძრა, ატივტივდა, იქცა მწვერვალად“.
- 130 არის ადგილი იქ ქვემოთკენ ეშმაკეულის
და მის საფლავის მოშორებით, თვალშეუგლები,
მხოლოდ თუ სმენით მიუხვდები სადაურობას,
- 133 კლდის ნაპრალიდან გამოყოფნავს რუ მოჩხრიალე.
იღუმალ ბილიკს ავედევნეთ მე და მეგზური,
ნათელ სამყაროს სახილველად უკუქცეულნი.
- 136 ვიარეთ აღმა, მიცყებოდი უკან ჩემს ოსტატს,
ვიდრე სივრცეში გამოჭრილი არკის გაღალმა
არ ვნახეთ ცისა შვენებანი ნაირნაირი,
- 139 და გამოვედით, რომ გვეხილა კვლავ ვარსკვლავები.

129. დანტეს კოსმოგონიის მიხედვით მიწის ორივე ჰემისფერო ამგვარადაა წარმოშობილი: ლუციფერი (ეშმა) ციდან ჩამოვარდა და იერუსალიმის გასწვრივ მდებარე ჰემისფეროს დაეცა, შემდეგ კი მიწაში გაეხირა ღერძისა დარად. მიწა, რომელსაც გასწვრივ მდებარე ჰემისფერო ზედ ეხურა, შეკრთა, მან ზღვის ტალღების საბურველი წამოისხა და ჩვენი ხმელეთისაკენ გამოჰქანდა. ხოლო ის ნაწილი ხმელისა, რომელიც სატანის ზედდაცემამ შეარყია (და ჯოჯოხეთი გააჩინა) აბორცვდა და მთა განსაწმენდელისა, ანუ საღმინებელისა გაკეთდა.

ს ა რ ჩ ე ვ ი:

1. კონსტანტინე გამსახურდია: დანთე ალიგვიერი 1
2. კონსტანტინე გამსახურდიაჲ სთარკმნა ძეგანი:
1, 4, 5, 8, 9, 12, 13, 16, 17, 20, 21, 24, 25, 28, 29, 33, 34.
3. კონსტანტინე ზიზინაძეჲ: — 2, 3, 6, 7, 10, 11, 14, 15,
18, 19, 22, 23, 26, 27, 30, 31.
4. ჟღა, ჟმუცბლათი, გარკანი და თიტულეზის დაწერი-
ლობანი შესრულებულია მხატვრის, კროფესორის
ი. შარლემანის მიერ.

ი ლ ლ ი უ ს ტ რ ა ც ი ე ბ ი.

1. დანთეს კოტრეტი გარგელოს ნახათის ვიკია.
2. დანთეს თავი. ამოღებულია „კოდექს რიკარდინუსიდან“.
3. დანთეს ჯოჯოხეთის გეგმა: ამოღებულია „კოდექს რიკარ-
დიდან“.
4. კოველიის ილლიუსტრაცია: გვენციას გამოცემიდანაა გა-
ღმოღებული.
5. ხარონის ნავი: კოდ. სტრადანუსის მიხედვით.
6. კოველიის ხელნაწერის ილლიუსტრაცია Codex Riccard.
7. საში ტყუის შემოსვდომა: ნახ. ლ. გუღიაშვილისა.
8. კოდ. პარისიდან ამოღებული ილლიუსტრაცია.
9. ფრანკისკო და პაოლო—შესრულებულია კროფ. ი. შარ-
ლემანის მიერ.